

# სვეტიცხოველი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

# Svetitskhoveli

Scientiic Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2016

სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI
3

# საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე
დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:
ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტკარაძე
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:
ქეთევან მახაშვილი

© სვეტიცხოველი
სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
**ISSN** 1987–6874
გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2013.



**ჟურნალ „სვეტიცხოვლის“, 1917 წლის დეკემბრის, ყდის ფრაგმენტი**

# სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი"-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი" ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი" განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

*ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია*



*პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი*

# "მოწყალების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

***

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედინსერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა.** სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

*უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს*
*კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან*
*სულთმოფენობის დღესასწაულზე*

***ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი***
***ივლისი 2008 წელი***



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

# ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

# სარჩევი

უწმინდეს პატრიარქს ....... 11

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა
წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის აღსანიშნავად გამართულ დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს ....... 12

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა
წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
გამართულ დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს ....... 16

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა, წარმოთქმული კონფერენციაზე „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა" ....... 17

მიტროპოლიტ ანანიას მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე – „რელიგია და მეცნიერება" ....... 23

მიტროპოლიტ ანანიას მისასალმებელი სიტყვა თეოლოგიის
კათედრის 5 წლისთავზე ....... 39

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა 2007 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში
ილია II-ის ინტრონიზაციის 30-ე წლისთავზე
მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას ....... 42

მიტროპოლიტ ანანიას მისალოცი სიტყვა ილიაობის
დღესასწაულზე, 2008 ....... 44

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის „უფლის კვართის ორდენით" დაჯილდოებისას ....... 45

მიტროპოლიტ ანანიას მისალოცი სიტყვა
პატრიარქის აღსაყდრების 31-ე წლისთავის იუბილეზე ....... 47

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა სვეტიცხოვლის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ....... 48

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა - ავტოკეფალიის
აღდგენის დღესასწაულზე ....... 51

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული თეოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი
მიძღვნილ კონფერენციაზე ....... 55
მის უწმიდესობას და უნეტარესობას სრულიად საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს

**მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველის, საქართველოს საპატრიაქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენებითი ბარათი** ........ 57

**მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესი ილია II-ის ეპისკოპოსად კურთხევის 50-ე წლისთავზე** ........ 59

**მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 2016 წლის ილიაობის მისალოცი სიტყვა უწმიდეს პატრიარქს** ........ 61

**მარიამ დედოფალი – „მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“**
*ნანა ხაზარაძე, დარეჯან ცუცქირიძე* ........ 63

**XVIII საუკუნის ხელნაწერი A 1443 „კრება ფლორენციისა“** (აღწერილობა)
*დეკანოზი იაკობ (ბექა) უშიკიშვილი* ........ 70

**მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი**
*მანანა ქუთათელაძე* ........ 75

**თბილისის ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია**
*მანანა ქუთათელაძე* ........ 131

**ქართული ასო-ნიშნების სახელდების ლინგვისტური და ისტორიულ-გეოგრაფიული არსი**
*რაულ გვეტაძე, სოფიო კანაშვილი* ........ 163

**საააკაძეთა გვარის წარმომავლობა**
*ვაჟა ოთარაშვილი* ........ 171

**Цвет в науке, музыке, поэзии и искусстве**
*Эка Харашвили* ........ 188

# უწმინდეს პატრიარქს

ვმადლობთ უფალს, რომ თანამონაწილენი ვართ საქართველოს ეკლესიის დიდებისა – უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის 40 წლოვანი ღვაწლისა საჭეთმპყრობლის ტახტზე.

უწმინდესი ახლო წრეში ბრძანებს: „მე ყოველთვის ვუყვარდი ხალხს, მუდამ ვგრძნობდი ხალხის სიყვარულს".

„ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა საქართველოს სიყვარულის გამო ქართველ ერს მოუვლინა უწმინდესი პატრიარქი ილია, აქედანაც ჩანს, რომ, ივერია, ჭეშმარიტად, მისი წილხვედრია" – ბრძანა ერთხელ მეუფე ანანიამ.

ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს უწმინდესმა ათეულობით ეპისკოპოსი აკურთხა. ამჟამად, 2016 წლისათვის, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდში ქიროტონიით უხუცესია მეუფე ანანია. სინოდის ყველა წევრი მის შემდეგაა ნაკურთხი.

მეუფე ანანიას მღვდელმთავრობის 35 წლის მანძილზე უწმინდესი პატრიარქი ხშირად ბრძანდებოდა მის ეპარქიაში.

მეუფე ანანიას სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსად დანიშვნისთანავე 1981 წელს უწმიდესი ეწვია ახალციხის წმ. რაბათის ეკლესიას და მთელ მესხეთს.

უწმიდესი ეწვია საფარას, ვარძიას, ზარზმას და სხვა აქაურ ეკლესია მონასტრებს, იმის შემდეგაც რაც ისინი აკურთხა და აამოქმედა მეუფე ანანიამ ათეიზმის ურთულეს წლებში და მოამზადა ისინი პირველი ლიტურგიის აღსასრულებლად.

უწმინდესმა მესხეთში საგანგებოდ ჩამოიყვანა ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ მეექვსე.

მისი უწმინდესობა ახალციხის გავლით ძალზე ხშირად ჩადიოდა ფარავნის ტბასთან, ფოკას მონასტრის დაარსების პერიოდში, როცა მონასტრისთვის მიწის გამოყოფა და სხვა მსგავსი პროცედურა იყო შესასრულებელი იმჟამინდელ ბოგდანოვკის რაიონში, რომელიც მეუფე ანანიას ეპარქიაში შედიოდა. უწმინდესი ბრძანდებოდა ვალეში, უდეში, ბორჯომში და სხვაგან. იქაური ეკლესიების კურთხევისა და ამოქმედების შემდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უწმინდესი ასევე მრავალჯერ ეწვია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრს, რომელსაც მეუფე ანანია ხელმძღვანელობს.

ამ შეხვედრების დროს მეუფე ანანიამ მრავალჯერ მიმართა სიტყვით უწმინდეს პატრიარქს.

მალე მთელი საქართველო და მართლმადიდებელი სამყარო სიყვარულით აღნიშნავს საპატრიარქო ტახტზე ილია II აღსაყდრების მე-40-ე წლისთავს.

ამასთან დაკავშირებით თეოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა მოიპოვეს ის სიტყვები და მისალმებები რომლითაც მეუფე ანანიამ მიმართა უწმინდეს პატრიარქს ამ ბოლო წლების მანძილზე, რომელთაც ვთავაზობთ მკითხველს.

# მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსების აღსანიშნავად გამართულ დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს

**„თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,** ბატონო რექტორო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს პატივცემულო წევრნო, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მთელი ქართველი ერისათვის წარმოადგენს მეცნიერების, კულტურისა და განათლების საამაყო კერას, სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც აღზრდილი მაღალკვალიფიციური კადრები დაუღალავად იღწვიან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომაც აქ თეოლოგიის კათედრის დაარსებას და მის კურთხევას უწმინდესისა და უნეტარესის კათალიკოს პატრიარქის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. თეოლოგიის კათედრის დაფუძნება ერთი ნაწილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დიდი პროგრამისა, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო ტექნიკური განათლება ამასთანავე ჰუმანიტარული განათლების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას, მის გაფართოებას, გაღრმავებას, პროფესიონალი ინჟინრის მიერ ეროვნული სულიერი კულტურის გათავისებას და მისი ეროვნული ფენომენის მატარებელ მოქალაქედ აღზრდას გულისხმობს. თეოლოგიის კათედრას ამ მხრივ დიდი მისია ეკისრება. მის მუშაობას საფუძვლად დაედება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სწავლება რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან ბრძანა:

„დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა ეკლესიასთან ერთად ასრულებდა, დღეს ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს. იგი უნდა იქცეს ერისათვის ჭეშმარიტი გზის მკვალავად, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დამცველად. ამიტომაც, ხელი უნდა შევუწყოთ მისი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლენას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე უნდა იზრუნოს, ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდა მიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც, ახალგაზრდებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, ბოროტებასთან ბრძოლა და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი.

მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა, მისი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ქართულ სულს ვკარგავთ. ამისი მაგალითი ბევრი გვაქვს“.

უწმინდესი ილია II კვლავ ბრძანებს: „საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ერთადერთი რაც მას აკლდა ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და

შესრულებას ინტელიგენცია მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა თავის ცოდნას რწმენას უკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს“. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწმიდესი პატრიარქის მიერ მოხმობილი მაგალითი II საუკუნის ცნობილი მეცნიერის კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც შეიმუშავა მოძღვრება რწმენისა და ცოდნის შერწყმისა. მას უწოდებენ პირველ ქრისტიან მეცნიერს. მართალია, იგი მღვდელი, სასულიერო პირი იყო, მაგრამ სამოძღვრო საქმიანობით არ იფარგლებოდა. კლიმენტი ალექსანდრიელის თანახმად ქრისტიანები ორ ჯგუფად იყოფიან, მონანი ღვთისა და მეგობარნი უფლისა. ეს უკანასკნელი რწმენისა და ცოდნის წყალობით ამაღლდნენ სულიერი და მისტიკური ჭვრეტის საფეხურებამდე და განვლეს სრულყოფის გზა ღვთის მონიდან – ღვთის მეგობრამდე. მაგრამ კლიმენტის აზრით, არც ცოდნაა საკმარისი, ამასთანავე საჭიროა სიკეთის ქმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია აღსრულება ღვთის მცნებებისა და მიმსგავსება შემოქმედისა.

სიკეთის ქმნით, უანგარო სიყვარულის მეშვეობით პიროვნება თანდათან თავისუფლდება შურის, სასოწარკვეთილების, შიშის, ბოროტების და სხვა ვნებებისაგან. მას უყვარს ყველა, ცდილობს მათ დააახლოებას ღმერთთან, თვითონაც სიყვარულის მადლით ამყარებს მუდმივ, ლოცვით ურთიერთობებს უფალთან.

თუ პიროვნებას, მით უმეტეს მეცნიერს, არა აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არა აქვს სულიერი საგანძური და მისთვის ერთადერთი ურყევი ავტორიტეტი არ არის ღვთის მცნებები, მაშინ მისი ნებისმიერი იდეა თუ გამოგონება ერის, კაცობრიობის საწინააღმდეგოდ მობრუნდება“.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმიდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: „ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა.

მეცნიერება და სარწმუნოება შეიძლება ორ მძლავრ ფრთას შევადაროთ, რომელზეც დაყრდნობითაც ქართველ ერს შეუძლია კვლავ მოიპოვოს სულიერი და სახელმწიფოებრივი სიძლიერე. ახალი თაობა, უთუოდ, კვლავ, გადებს შემაერთებელ სიბრძნის ხიდს მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის.

წყარო ერის ბედნიერებისა, დიდი ილიას თქმით, ცოდნა და განათლებაა: „სწავლის და ცოდნის შეძენა იმ ძვირფასი თესლის შეკრებას ჰგავს, რომელიც მშობელ ქვეყანას უნდა მოჰფინონ ერთი ათასად მოსამკელად“.

ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესიის წევრთათვის საამაყოა, რომ ძველ საქართველოში სწავლისა და ცოდნის კერებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ. უფლისადმი მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა და იშვა დიდი ქართული მწერლობა. ითარგმნა წმიდა წერილი, საფუძველი ჩაეყარა ქართულ ლიტერატურას. პირველი მწერლები სასულიერო პირები იყვნენ და შესაბამისად ეროვნულ ლიტერატურას XI საუკუნემდე სასულიერო სახე გააჩნდა. ძველი ქართული მეცნიერება, ისტორიოგრაფია ეკლესიის წიაღიდან სულიერად განამტკიცებდა ქართველობას, აყალიბებდა იდეოლოგიას ერის კონსოლიდაციისა და გამთლიანებისათვის. ქართული ეკლესიის წიაღში იშვა ყველა ჩვენთაგანისათვის საამაყო ძველი ქარ-

თული არქიტექტურა, მხატვრობა, სატაძრო მუსიკა. ყოველივე ეს ქმნიდა ქართული სულიერების გარეგან სახეს, მაგრამ რაც შედარებით არსებითია, ეკლესია ზრდიდა მორწმუნე, ღმერთთან შერიგებულ, ღვთის მოყვარულ და ღვთის მოშიშ მრევლს.

ამიტომაც, ქართველი ადამიანი ყოველთვის იყო სულიერად მტკიცე, ძლიერი. შეეძლო მოქალაქეობრივ-პატრიოტული მოვალეობის აღსრულებასთან ერთად პირადი ზნეობრივი განწმედა, თავის ცოდვის დანახვა. მასში ძლიერი იყო ხმა უფლისა, ხმა სინდისისა, გააჩნდა სინანულის გრძნობა ჩადენილი ცოდვების გამო და სურვილი იმისა, რომ ყოფილიყო ცოდვებისაგან განწმენდილი, წმიდა წინაშე ღვთისა. შესაბამისად ეძლეოდა კიდეც უფლისაგან მადლი, კურთხევა, უნარი მოყვასის, გვერდით მდგომი ადამიანის სიყვარულისა. უფალი ღმერთი ქართველ ერს ანიჭებდა კეთილდღეობას, უმტკიცებდა სახელმწიფოებრიობას, აძლევდა საშუალებას აღეზარდა კიდევ უფრო უკეთესი ახალი თაობა, თუმცა, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, სულიერი მოდუნება, დათმობა როგორც სულიერი, ისე გარეშე მტრისადმი, ამრავლებდა ცოდვებს, შესაბამისად ისჯებოდა ქვეყანა, იშლებოდა ნაწილებად, ერთმანეთთან მებრძოლ, ერთმანეთთან მოქიშპე რეგიონებად, რაც აუძლურებდა ქართველობას, დაბლა სცემდა სულიერებას.

რეგიონებად დაშლილ-დანაწევრებულ და კუთხური ცნობიერებით დასუსტებულ ქართველ ერს XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობაც მოუსპეს, ხოლო XX საუკუნეში ათეისტური ხელისუფლება შეეცადა მთლიანად ამოეძირკვა მისი სულიერება. ამასთან დაკავშირებით, კირიონ კათალიკოსი წინასწარმეტყველებდა კიდეც 70 წლის წინ ათეისტების ბატონობის დამკვიდრებისას, ის ამბობდა:

„გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გაველურების, გახრწნის კარამდე“.

გავიდა ულმერთო ათეისტების ბატონობის 70 წელი. ღვთის შეწევნით ერი გადაურჩა ფიზიკურ გადაშენებას, მაგრამ „სულიერ გაველურებას და სულიერ გახრწნას“ თავი ვერ აარიდა. ეს გამოჩნდა უკანასკნელ წლებში ე.წ. სამოქალაქო ომის დროს, როცა საქართველომ დაკარგა ძირძველი მიწა-წყალი აფხაზეთსა და სხვაგან. ეს ჩანს აგრეთვე, ერის მაცოცხლებელი სულის – ეკლესიისადმი დამოკიდებულებითაც და იმ ნიჰილიზმით, რომელიც ამჟამად არსებობს საზოგადოებაში.

წმიდა კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ, ჯერ კიდევ, სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ „ერი და ეკლესია, ყოველი მოქალაქე ქვეყნისა მოვალეა, როდესაც ხედავს უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალებას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის საზიანო შეცდომებს, იტვირთოს ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა, გაითავისოს მისი მწუხარება, იღვაწოს მისი გაუმჯობესებისათვის“.

საბედნიეროდ, III ათასწლეულის დასაწყისს ქართველი ერი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით შეეგება. აღსრულდა დიდი ილიას ოცნება – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ახლა ჩვენს ხელთაა ჩვენი ერის და ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი აყვავება, რაც მხოლოდ სულიერების აღორძინებით, ახალი თაობის სათანადო აღზრდითაა შესაძლებელი.

ჩვენი ფიქრით, თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა არის მცდელობა მთლიანი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებისა, ძიება სხვადასხვა ხერხისა და საშუალებებისა პიროვნების სუ-

ლიერი გაძლიერებისათვის. პიროვნებამ საკუთარი უნარის, თავისი აქტიურობის წყალობით უნდა შეძლოს პირადი ბედნიერების მოპოვება, შეძლოს თავისი ყველაზე დიდი ოცნების აღსრულება. მან უნდა მიიღოს უძლეველი იარაღი – ჭეშმარიტი ცოდნა, რათა თამამად და მხნედ გაუძღვეს თავის საქმეს, დაძლიოს ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი. ამასთანავე იყოს მოშიში და მოყვარული ღვთისა და აღმსრულებელი მისი მცნებებისა.

უკვდავი მამა და მოძღვარი დიდი ილია, რომლის სწავლება მარად თანამედროვეა, წერს: „ახლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არ შველის თავს, თვითონ არ ირჯება თავისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის, ეყრდნობა არა საკუთარ მხნეობას, არამედ გარედან ელის დახმარებას, გარეთ ეძებს სახსარს თავისი ცხოვრების გასაძლიერებლად, ამისთანა კაცი გადადებულია უფრო დასამარცხებლად, ვიდრე გასამარჯვებლად“.

ილიას მიაჩნია, რომ ბოლო საუკუნეებში ქართველი ერის ცხოვრების ქრონიკული მოუგვარებლობის მიზეზი არის „სენი უქმობისა“ – უმოქმედობისა. „ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის თავის არპატრონობისა, თავის თავის არ შველისა, ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც საქართველოში“. ილია მართალი აღრმავებს ეკლესიის სწავლას, გამოთქმულს დიდი მამის ეფრემ ასურის მიერ, რომ „სული უქმობისა“, უსაქმურობისა და უილაჯობისა – ცოდვაა. საჭიროა მისი განგდება, რამეთუ ყოველი კაცი მოვალეა ღვთის კურთხევის შესაბამისად საკუთარი გარჯით, მხნეობით, შრომით, ოფლის მოდენით ცხოვრობდეს თვითონ და აცხოვრებდეს თავის ოჯახს. „პიროფლიანი ჭამდე პურს“ – ესაა წმიდა წერილში გაცხადებული ნება უფლისა კაცის მიმართ. აქედან გამომდინარე, სწავლა-განათლება უნდა წარმოადგენდეს არა გარეგან ფორმალურ სამკაულს, სამშვენისსა, გამოხატულს დიპლომის სახით, არამედ პირიქით, როგორც ითქვა, ბასრ იარაღს გამარჯვების, ბედნიერების მოსაპოვებლად, სიღარიბის დასაძლევად, ოჯახისა და ქვეყნის ასაყვავებლად.

„ამ წუთისოფელში ბედი იმისა, ვინც ძლიერია და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“ – ილიას უკვდავი იდეები, ცხადია, საყრდენი იქნება ჩვენი კათედრის მუშაობისა.

დაარსება ამ მნიშვნელოვანი კათედრისა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს აღმავლობის გზაზეა. არასოდეს ყოფილა საქართველოში ეკლესიების ასეთი დიდი რაოდენობის ერთდროული მშენებლობა. ეს მიგვითითებს, რომ ერის ქრისტიანული სული ცოცხალია და ერი იმედით უყურებს მომავალს. ხალხი მობრუნებულია სარწმუნოებისაკენ და ცხადია, რომ ეს არის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II გეგმაზომიერი, თანმიმდევრული მოღვაწეობის შედეგი, როგორც ათეისტური მძიმე რეჟიმის დროს, ისე შემდგომ, ჩვენს რთულ ხანაში უწმინდესი პატრიარქის ილია II დროს ეკლესიას ახალი სასიცოცხლო ძალა მიეცა.

ქართული ეკლესიის აღორძინება საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა, ქართული ეკლესია სულია ქართველი ერისა. როგორც სხეულს არ შეუძლია სიცოცხლე უსულოდ, ისევე ქართველ ერს მისი მაცოცხლებელი სულის გარეშე და დღეს, როცა ხალხი სულიერ საზრდოს ეწაფება, მისთვის შესაბამისი პირობების მიცემაა საჭირო.

მართლაც, ბოლო წლებში უწმიდესი კათალიკოს-პატრიარქის ღვაწლით დაარსდა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, სემინარია, სასულიერო აკადემიები თბილისსა და ქუთაისში, ეკლესიის წიაღში უწმიდესის კურთხევით ჩამოყალიბდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. ყველა ისინი მოწოდე-

ბულნი არიან არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწეობისათვის, არამედ სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვისაც, რათა იქცნენ „ახალ იერუსალიმად“ – სულიერებით და „სხვა ათენად“ - მეცნიერებით. მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრამ ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს. ზემოთ აღნიშნული აკადემიების, აგრეთვე, უცხოეთის უნივერსიტეტებში არსებული თეოლოგიის ფაკულტეტების პროგრამების შესაბამისად, თეოლოგიის კათედრაც უნდა შეეცადოს ყურადღება მიაპყროს ბიბლიოლოგიის (ძველი და ახალი აღთქმის, წმიდა წერილის), ღვთისმეტყველების შესწავლას, ქართველოლოგიური და საენათმეცნიერო ელემენტების კვლევას, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნიკური, ისტორიული და სხვა საკითხების გაშუქებას, მსოფლიო რელიგიათა ისტორიის შეცნობას, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაანალიზებას. აქ უნდა იღვაწონ საერო და სასულიერო მკვლევარებმა.

როგორც ამბობენ, სიტყვებსა და იდეებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ. მით უმეტეს წმიდა წერილში, წმიდა სახარებაში გადმოცემულ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სიტყვებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულ ეროვნულ იდეებს, რომელთა შესწავლას ასევე დიდი დრო დაეთმობა ჩვენთან.

დასასრულ, მისი უწმინდესობის ლოცვით გულითადად ვულოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ საბჭოს, მის ყველა წევრს, რექტორატს, სტუდენტობას, რომელთაც სიხარულით მიიღეს მათთვის უჩვეულო თეოლოგიის კათედრის დაარსება. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს თეოლოგიის ახალი კათედრა, ამინ“.

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა

წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ დიდ საბჭოზე 2001 წლის 19 ოქტომბერს

...მე მინდა ვთქვა, რომ ეს არის ისტორიული დღე, როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუძვნდება თეოლოგიის კათედრა...

ჩვენ საპატრიარქოში ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ღვთისმეტყველების კათედრამ იმუშაოს, რომ თქვენ ცოდნა მიიღოთ, მაგრამ ამავე დროს, ვისაც სურს, რომ ღრმა ღვთისმეტყველი იყოს, ღრმად ჩასწვდეს ღვთისმეტყველებას, აუცილებლად საჭიროა ცოდნა, აუცილებლად საჭიროა ღრმა მეტყველება, ფილოსოფიური აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება.

ბავშვებს პირველი კლასიდან უნდა ვასწავლოთ ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნება და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღებთ მოაზროვნე ახალგაზრდობას. მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს...

მე ასე წარმომიდგენია ღვთისმეტყველების კათედრის მუშაობა: აქ არის ზღვა მასალა. ადამიანმა შეიძლება ყველაფერი იცოდეს ზერელედ, ზედაპირულად და ზოგადად. რა თქმა უნდა, ყოველმა ჩვენგანმა, უნდა ისწავლოს, მაგრამ ეს სწავლა მე ასე წარმომიდგენია: ყოველმა ჩვენგანმა, ყოველმა თქვენგანმა რომელიმე წმიდა მამა უნდა აირჩიოს, დავუშვათ, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნეტარი ავგუსტინე და მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეთ ამ წმიდა შრომებს...

ამ ღვთისმეტყველების კათედრამ მარტო თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა კი არ უნდა მოიცვას, არამედ

საერთოდ ჩვენს ეკლესიაში და ჩვენს საქართველოში უნდა დანერგოს...

მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმიდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბატონი რექტორის დამსახურება და მადლობას ვწირავ მას".

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა, წარმოთქმული კონფერენციაზე „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა"

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

ბატონებო, ღვთის უდიდესი მადლით, ქართველ ერს დღეს-დღეობით გააჩნია თავისი ეროვნული სახელმწიფო. ეს მოვლენა ჭეშმარიტად უზენაესის უდიდესი მოწყალებაა. როგორც ცნობილია, ჩვენმა ერმა თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობა დაკარგა XV საუკუნის ბოლოს. 500 წლის მანძილზე ჩვენ ფაქტიურად არ გაგვაჩნდა ერთიანი ეროვნული სახლი. ჯერ საქართველო დაიყო პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რეგიონალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, კიდევ უფრო მცირე რეგიონალურ სამთავროებად, რომელნიც თითქმის სამასი წლის განმავლობაში ებრძოდნენ არა მარტო მტერს, არამედ ერთმანეთსაც. საბოლოოდ დაშლილ-დანაწევრებული ქვეყანა მეზობელმა იმპერიებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. უკანასკნელი ორასი წელი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. ამ დროს შეირყა ეროვნული ცნობიერება, ჩამოყალიბდა კუთხურობა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ყველა უბედურების სათავე იყო ქვეყნის დანაწილება რეგიონებად, თითქმის 500 წელი იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისთვის, მაგრამ ვერ შეძლეს.

და აი, ჩვენმა თაობამ უფლისაგან მოიპოვა ეს უდიდესი საბოძვარი, ახდა 500-წლოვანი ნატვრა წინა თაობებისა და გვაქვს ეროვნული სახელმწიფო, რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს.

საქართველო, ვითარცა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩაერთო მსოფლიოს მიმდინარე პროცესებში. დღევანდელ მსოფლიოში გლობალიზაცია წარმოადგენს ფაქტს. თანამედროვე ცივილიზაცია, რომელსაც ევროპული ცივილიზაცია უდევს საფუძვლად, მიისწრაფის ტექნოლოგიური საშუალებებით მსოფლიოს ინტეგრაციისაკენ. გლობალიზაციის პროცესი მოიცავს როგორც დიდ, ასევე მცირე სახელმწიფოებსა და კულტურებს. ის საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, ერების კულტურულ და ცნობად კავშირს თავის ისტორიულ ფესვებთან. მსოფლიოს თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ, რათა ღირსეულად დახვედროდნენ გლობალურ პროცესს, ისე ჩართულიყვნენ მასში, რომ მიეღოთ სარგებელი და ამასთანავე არ დაეკარგათ კავშირი ეროვნულ კულტურასთან და იდენტობასთან. ეს, მართლაც, დიდებულად შეძლეს იაპონელებმა, ჩინელებმა, თურქებმა, მსოფლიოს სხვა ერებმა. მცირე კულტურის ხალხებმა კი ვერ გაუძლეს ამ პროცესს. აფრიკისა თუ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ენა არის არა მშობლიური, არამედ უცხო ენა – ინგლისური თუ ფრანგული. ამიტომაცაა, რომ მათ ვერც კულტურის შენარჩუნება შეძლეს და სხვა ცივილიზაციის ნაწილად იქცნენ. როგორ უნდა შევხვდეთ ჩვენ ქართველები ამ გარდაუვალ პროცესს – ერთიანი კულტურით, უნიტარული სახელმწიფოებრიობით თუ რეგიონებად დაყოფილი ქვეყნით?

ამჟამინდელ მსოფლიოში მიმდინარეობს თანამედროვე ერების ჩამოყალიბების გამალებული პროცესი. ჩემი თაობის თვალწინ ასობით ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. XX ს-ის 50-60-იანი წლებიდან აფრიკასა და აზიაში კოლონიურმა სისტემამ თითქოსდა ელვისებურად ადგილი დაუთმო ახალ სახელმწიფოებს, თანამონაწილენი ვართ რუსეთის საბჭოთა იმპერიის დაშლისა სხვადასხვა სახელმწიფოებად. დედამიწაზე მშვიდობისა და სტაბილურობისათვის თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფო სამართალი აღიარებს ასეთ პრინციპს: „ერთი ერი – ერთი სახელმწიფო“. რას ნიშნავს ეს? ქვეყნის დომინანტმა ერმა უნდა შეძლოს თავისი ენა და კულტურა განავრცოს მთელ სახელმწიფოში, მისცეს მის საზღვრებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს თავისი კულტურული იერსახე, საბოლოოდ კი ჩამოაყალიბოს ისინი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად. სახელმწიფო იმ ხალხისა, რომელიც ერად ვერ აყალიბებს თავისი ქვეყნის მოსახლეობას, არა აქვს უნარი მოქალაქეთა ერთობად გარდაქმნას ქვეყნის სხვადასხვა წარმოშობისა თუ კონფესიის პირი, ანდა არ შეუძლია იყოს მაკონსოლიდირებელი ძალა თავის ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა, იშლება ნაწილებად, სხვადასხვა ტერიტორიებად და სახელმწიფოებად. ამიტომაც შესაბამის ლიტერატურაში ზოგჯერ ისმის კითხვები, მაგალითად, რა ელის ირანს, თუ სპარსი ხალხი ერთიან ერად ვერ ჩამოაყალიბებს ირანში მცხოვრებ არასპარს მილიონობით მოქალაქეს? მსგავსადვე ფიქრობენ ერაყისა და სხვა სახელმწიფოთა შესახებაც, სადაც ძირითადმა ხალხმა ვერ შეძლო ერთიან ერად გადაექცია ქვეყნის ყველა მცხოვრები. ასეთივე თვალსაზრისი ზოგჯერ გამოითქმის რუსეთის მიმართაც. ამ საშიში ზონიდან თურქეთი XX ს-ის 20-იანი წლებიდან გამოიყვანა ქემალ ათათურქის რეფორმამ და სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელმაც შეძლო ყოფილი ოსმალეთის სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის და კონფესიის ადამიანი გადაექცია ერთიანი თურქეთის მოქალაქეებად, თურქული ენითა და კულტურით. თურქმა ხალხმა XX ს-ში შეძლო თურქი ერის ჩამოყალიბება, ანუ სხვადასხვა ეთნოჯგუფებისა და კონფესიის

მოსახლეობის ერთიან ერად (ეროვნულ ერთობად), ნაციად გადაქცევა.

როგორც ითქვა, იმ სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით, რომელიც ცნო მსოფლიო თანამეგობრობამ, მიმდინარეობს თვისობრივად ახალი ერების ჩამოყალიბება. მაგალითად, ინდონეზია ისტორიულად დასახლებულია სხვადასხვაენოვანი, სხვადასხვა წარმოშობის უამრავი ტომით, რომელნიც ამჟამად ახალ ინდონეზიელ ერად ყალიბდება ერთი ენითა და ერთი კულტურით. მსოფლიოში ათობით ასეთი ახალი ერი-სახელმწიფო ყალიბდება.

უფალმა ღმერთმა ინება კაცობრიობა აეშენებინა ერებისა და სახელმწიფოების სახით, ისტორიულად ცივილიზებული დედამიწა მუდამ სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, სახელმწიფოებს ერები ქმნიდნენ და, როგორც ითქვა, კაცობრიობის მთელი ისტორია ერებისა და სახელმწიფოების ისტორიაა, რომელსაც მათი ურთიერთობანი ქმნის. აქედანაც ჩანს, რომ ერები და სახელმწიფოები ღვთის ნებითაა შექმნილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერი-სახელმწიფოები კარგი მასალაა კაცობრიობის დიადი მშენებლის ხელში, აქედან ალბათ გამომდინარეობს კიდეც ერებისა და სახელმწიფოების მისია. მაგალითად, ბერძენი ხალხი მიიჩნევს, რომ მან თანამედროვე კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციას დაუდო საფუძველი, ევროპელი ერები თავიანთ მისიად მიიჩნევენ – უფრო კულტურული და სამართლიანი იყოს მსოფლიო. სხვა ერებს თავიანთ მისიად მიაჩნიათ იზრუნონ ადამიანის უფლებების დასაცავად მთელ მსოფლიოში. რა მისია აქვს ამჟამად ქართველ ერს? რა მისია უნდა ჰქონდეს ხალხს, რომელმაც 200-წლიანი კოლონიური ჩაგვრის უღელი გადაიგდო და ამის გამო ჯერჯერობით ძალზე სუსტი სახელმწიფო აქვს? ამ კითხვის პასუხი ალბათ ასეთი შეიძლება იყოს – ქართველი ერის უპირველესი მისია ამჟამად არის განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, რისთვისაც საჭიროა, რომ იგი ჩამოყალიბდეს ვითარცა თანამედროვე ერი-ნაცია. მან უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება. თანამედროვე ერად ჩამოყალიბების შემდეგ კი, როცა ის უკვე მიიღებს თავის სახეს, უფალი ღმერთი მას, ისევე როგორც სხვა ერებს, გამოიყენებს მსოფლიოს ცივილიზაციის მშენებლობის დიად საქმეში. იქამდე კი, როგორც ითქვა, თანამედროვე ერად, ნაციად ჩამოყალიბება უნდა იყოს საყოველთაო საზრუნავი. ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საშუალებანი ამისა? დიახ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების მსგავსად ორი უმთავრესი მოთხოვნილების შესრულებაა საჭირო. ესენია:

1. ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება,

2. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში.

ჩვენს მეზობელ თურქეთში XX ს-ის დასაწყისში თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად იღვწოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის ცნება. მალე ეს საზოგადოება გადაიქცა თურქეთის მმართველ პარტიად, რომლის წესდების თანახმად გარკვეული განსხვავებაა იმ ერებს შორის, რომელნიც წარსულში არსებობდნენ და თანამედროვე ერებს შორის. თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ქვეყნის ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ერთიანი საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის

შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ო. გიგინეიშვილი. ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება, კრებულში „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბ. 1983, გვ. 145-146). ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს: „თურქეთში ნაციონალიზმის დებულება გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი, სწორედ ამ პრინციპით „ერთი ერი – ერთი სახელმწიფო“ იქმნებოდნენ თანამედროვე საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოებს უწოდებენ, მართლაც ერთეროვანნი არიან“ (იქვე, გვ.146).

ევროპის სახელმწიფოების მოწყობის სისტემის შესაბამისად თურქეთში რეფორმების გატარებამ საფუძველი შეუქმნა თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მსგავსადვე მოხდა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ბულგარელებისა, რუმინელებისა, ბერძნებისა და სხვა ხალხებისა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამწუხაროდ, საქართველო (ალბათ ჯერჯერობით) უფრო ემსგავსება კონგლომერატს კონფესიურად, კულტურულად, ლინგვისტურად და რაც მთავარია, ეთნიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობისა. აი, სწორედ ამ ხალხების გადაქცევაა საჭირო თანამედროვე ერთიან ერად, ისევე როგორც ეს მოახერხეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, მაგალითად, აზერბაიჯანელები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდაეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით.

რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? – ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა. სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს. საქართველოს ნაციას უნდა ჰქონდეს კულტურული ერთობის განცდა.

ძველად, XIX ს-მდე, ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. გრიგოლ რობაქიძე თავის „გველის პერანგში“ ასეთ ამბავს აღწერს. სპარსეთში, ერთ-ერთ ბაღჩაში ქეიფია, ქართველების სუფრასთან ახლოს სომხებს აქვთ სუფრა გაშლილი, სომხები ქართულად საუბრობენ, ადღეგრძელებენ თამარსა და დავით აღმაშენებელს, ამბობენ „ჩვენი თამარი“, „ჩვენი მეფე დავითი“, საქართველოს ადიდებენ. ეს კი იქვე მოქეიფე ქართველებს უკვირთ. ნ. მარის სიტყვითაც, XIX ს-მდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა. ქართული ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელი დიდოელები და ჭარ-ბელაქნელი (აზერბაიჯანელი) ლეკები, ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღეელი ხალხების დიდებულებმა, საქართველოში მცხოვრები მუსულმანების შესაბამისმა ფენებმა.

სამწუხაროდ, რუსთა 200-წლიანი ბატონობის შედეგად, ამჟამად ქართულმა ენამ და ქართულმა კულტურამ საქართველოშივე დაკარგა ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია.

ფაქტიურად საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ტოლხარისხოვანი კულტურა. ესაა: ქართული, რუსული, სომხური და სხვა ეთნოსების კულტურები. ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავის ეთნოჯგუფებში არსებულ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ. მხოლოდ რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა კულტურებს. მაშასადამე, ქართული კულტურა კი არ ფარავს სრულიად საქართველოს, არამედ უცხო, სხვა ერის კულტურა, როგორც ითქვა, ესაა რუსული კულტურა. შესაბამისად რუსული ენა საქართველოში წარმოადგენს ერთაშორისი ურთიერთობების საშუალებას. ესაა ეროვნული ტრაგედია, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი უდიდესი შემაფერხებელი მიზეზია საქართველოს ხალხების ინტეგრაციისა ერთიან ერ-სახელმწიფოდ (სამწუხაროდ ამ ტრაგედიის განცდა თითქმის არა აქვს ჩვენს საზოგადოებას).

აი, როგორ გადაჭრეს მსგავსი ვითარება ჩვენმა მეზობლებმა. ქემალ ათათურქის და რეფორმატორების მიზანი იყო მოეშორებინათ ოსმალეთის იმპერიული მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უშლიდა თურქეთში მცხოვრები ტომებისა და ხალხების ერთიან ერად კონსოლიდაციას. ამიტომაც მათ თავდაპირველად არა ეკონომიკასა და მრეწველობას მიაპყრეს ყურადღება, არამედ კონსოლიდაციის უპირველეს იარაღს – ენას, კულტურას, ნაციონალიზმს. ო. გიგინეიშვილი წერს: „ოსმალური ენა, ყოფილი იმპერიის, ანუ მმართველი ზედაფენის ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან. ამიტომაც რეფორმატორებმა ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას, რათა „თურქულ ენას მინიჭებოდა პრიორიტეტი ძველი იმპერიის ენასთან შედარებით“. რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური (არაეროვნული) სახელმწიფო. ახალ თურქეთში თურქული ენა და კულტურა დაუპირისპირდა ძველ იმპერიულს (ოსმალურს). ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი. ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები, ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული – ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება“ (ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.149). რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? თურქი ნაციის ჩამოსაყალიბებლად, რათა ის გამკლავებოდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს. როგორც ო. გიგინეიშვილი წერს „რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოძალებას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და გადმოვიდა მის წინააღმდეგ“ (იქვე, გვ.148). რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის მაგალითით? ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის – ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად საჭიროა წარსულის იმპერიული მემკვიდრეობის დაძლევა, ანუ საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვაა აუცილებელი! თურქეთში, როგორც ითქვა, კოსმოპოლიტურად, ე.ი. არაეროვნულად მიიჩნეოდა ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფერო-

დან და მათ ნაცვლად ამკვიდრებდნენ ეროვნულს. ჩვენში ძველი იმპერიის ენის, ე.ი. რუსულის, მიმართ შესაბამისი მიდგომები უნდა შემუშავდეს. ზემომოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს – „ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან შედარებით“, იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული კულტურით, ენით, ლიტერატურით, მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს იმპერიულ-კოლონიალურ ნაშთად, რომელიც აფერხებს საქართველოს სხვადასხვა ხალხების ინტეგრაციას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, რადგანაც სწორედ ეს გზა აქვთ არჩეული ჩვენს ყველა მეზობელ ერს. მაგალითად, XIX ს. დასაწყისში რუსეთში ფრანგული ენისა და კულტურის მომხმარებელმა ზედაფენებმა ნაპოლეონის ომების შემდეგ უარყვეს ფრანგული ვითარცა დამპყრობლის ენა და კულტურა, რომლის ადგილი ნაციონალურმა (რუსულმა) დაიჭირა. ქართული ენის გავრცელებას ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოდ ის ტერიტორია მიიჩნეოდა, სადაც ქართული ენით ადიდებდნენ უფალს და ქართული ენით ლოცულობდნენ. დღეს მსოფლიოში მსგავსი პრობლემების გადაჭრა დაკისრებული აქვს მასმედიას, მასობრივ კულტურას, ტელევიზიას, განათლების სისტემებს. საყოველთაო განათლება – სკოლები საქართველოში უნდა იყოს ქართულენოვანი, ამის მიღწევა ალბათ ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ტელეპროგრამები საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი. არ შეიძლება სახელმწიფო და ქვეყნის მომცველი კერძო ტელეარხები გადასცემდნენ რუსულენოვან ფილმებსა და პროგრამებს, ეს სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელია. საქართველოს სამხრეთ რეგიონებში – ესაა ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა რეგიონებშიც ტელევიზია ძირითადად რუსულენოვანია, ქართული ენა გაძევებულია რუსული, სომხური და აზერბაიჯანული (თურქული) ენებით. თბილისის თვით I სახელმწიფო არხიც კი – რუსულენოვან ფილმებს აჩვენებს არცთუ იშვიათად, რაც როგორც ითქვა, სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელია. სხვა სფეროშიც თითქმის ასეთი ვითარებაა, გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე და თქვენ იხილავთ გასაყიდი წიგნების უწყვეტ თაროებს. მაგრამ აი, საოცრება, ესაა ძირითადად რუსულენოვანი წიგნები, საქართველოს არც ერთი, არც სახელმწიფოებრივი და არც კულტურული ფენები ამას არც კი განიცდიან, იმდენადაა გამსჭვალული რუსული კულტურით საქართველოს საზოგადოებრივი სფერო – რუსული ენისა თუ წიგნების ეს ბატონობა შეუმჩნეველიც კი რჩება. ამის შედეგია ის, რომ არა თუ არაქართული ეთნიკური წარმომავლობის, არამედ თვით ქართველი ბავშვებიც კი საქართველოს ტელევიზიიდან სწავლობენ რუსულ ენას, ითავისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგად ქართველებისათვის რუსული კულტურა თითქმის მშობლიურად იქცა, რუსული ენისა და კულტურის ათვისების გამო ქართველები რუსეთს თითქმის მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევენ, მიდიან იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ადვილად ეგუებიან გარემოს. მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს ან რუსეთზეა საქმიანობით დამოკიდებული, ეს იწვევს მათ სწრაფ ასიმილაციას – გარუსებას, მეორე მხრივ, ქართველის მიერ რუსული კულტურის გათავისებით დაზარალდება საქართველოს სახელმწიფო. ამის შედეგი იქნება საქართველოს ვითარცა არ შემდგარი კულტურის სახელმწიფოს დაშლადანაწილება, რადგანაც ვერ გაავრცე-

ლა თავისი ეროვნული კულტურა და ახალ ეპოქაში, თანამედროვე ვიტარებაში, ვერ დაიცვა სულიერი ეროვნული ღირებულებები. მართალია, XX საუკუნეში უფალმა აღუდგინა თავისუფლება, მაგრამ თავისი ჯვარი ვერ მიიტანა ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბდა ნაციად და ამით ვერ გახდა მკვიდრი ამქვეყნიური მომავალი დიდებისა. უფალმა მოგვცა ჩვენი სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა – მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

რეგიონებში ქართული კულტურის განვრცობა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღორძინება ჩვენი ხალხის მოვალეობად და ღირსების საქმედ უნდა იქცეს უფლის შემწეობით, ამინ.

**4.10.2004**

## მიტროპოლიტ ანანიას მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე – „რელიგია და მეცნიერება“

**თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, თქვენო აღმატებულებავ ბატონო რექტორო, პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!**

ვიღებ კურთხევას და მაქვს პატივი მოგესალმოთ ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის სახელით.

XX საუკუნემ გარკვეული მიჯნა აღმართა მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის. ჩვენი კათედრის ერთ-ერთი მოვალეობაა დაძლევა ამ მიჯნისა და ამ ორი ღირებულების ურთიერთდაახლოება ახალგაზრდობის სულიერ ღირსებათა განმტკიცების, მათი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით. მეცნიერებისა და სარწმუნოების დაახლოება ჩვენ გვესახება ვითარცა საერო და საეკლესიო სამეცნიერო დარგების ურთიერთჰარმონიული შეთანხმება ჭეშმარიტების დასადგენად. „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“ – ბრძანებს წმ. სახარება. ერის თავისუფლების ხარისხის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო სიმართლის დადგენას ყველა დარგში, მათ შორის საისტორიო მეცნიერების მხრივ.

ჩვენთვის სამაგალითოა კულტურულ მსოფლიოში მიმდინარე მსგავსი პროცესები. XVIII-XX სს-ში როცა არნახულად განვითარდა მეცნიერება და ადამიანის გონებამ სახე უცვალა დედამიწას და როცა ეპოქას ეწოდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანა, რომელსაც თან ერთვოდა ათეისტების მიერ დარვინის თეორიის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება, ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ საზოგადოებასა და ბუნებაში ადგილი აღარ

დარჩა რელიგიისათვის. მეცნიერებს მიზნად დაუსახეს მონაწილეობა მიეღოთ რელიგიის დევნაში, რომ თითქოს მეცნიერება და რელიგია ერთმანეთის მეტოქეები არიან და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს. რელიგია მიიჩნეოდა ანაქრონიზმად, წარსულის გადმონაშთად. ფიზიკოსები და მეცნიერები კი ფიქრობდნენ, რომ ფლობდნენ ბუნების ყველა საიდუმლოს, ნაზიარები იყვნენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

საბედნიეროდ მეცნიერების, ფიზიკის განვითარებამ, ელემენტარული ნაწილაკების სამყაროს შესწავლამ აღმოაჩინა, რომ მექანიკური ფიზიკა, რომელიც იქამდე მარტივად ხსნიდა სამყაროში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს, მცდარი და არაზუსტი აღმოჩნდა, რამაც მოითხოვა ფიზიკის ახალი თეორიის შექმნა, რომელიც სწორად ახსნიდა ბუნებაში მიმდინარე პროცესებს. ჩამოყალიბდა თანამედროვე ფიზიკა, რომლის ფუძემდებლებიც იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და ფილოსოფოსები: აინშტაინი, შრედინგერი, ბორი, ჰაიზენბერგი და სხვანი.

თანამედროვე მეცნიერების ჯერარნახული განვითარება დაემყარა კვანტურ მექანიკას, ანუ თანამედროვე ფიზიკას. ამ ძველი და ახალი თეორიების ურთიერთშეჯერება ხდებოდა ფიზიკოსებისა და ფილოსოფოსების ე.წ. „სოლვეის" კონფერენციებზე. მოგეხსენებათ, რომ I კონფერენცია შედგა 1911 წ.

ჩვენთვის, მორწმუნეთათვის განსაკუთრებით საინტერესოა V კონფერენცია, რომელიც 1927 წ. შედგა, ოქტომბრის თვეში, ქალაქ ბრიუსელში. ამ კონფერენციაზე გაიმართა ფართო დისკუსია-მსჯელობა ცნობილ მეცნიერთა შორის. კამათი ეხებოდა ყველაზე მთავარს – მიკროსამყაროს კანონების ალბათურ ახსნა-განმარტებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ბრძოლა ძველ ფიზიკასა და კვანტურ მექანიკას შორის – მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. ამ კონფერენციის აღმწერი შემდგომ იტყვის, რომ: „ამ ბრძოლაში ფიზიკოსები ნებსით თუ უნებლიედ იდიალიზმის მხარეზე აღმოჩნდნენ, ანუ ისეთი მსოფლმხედველობისა, რომელიც სინამდვილის დასაბამად სულიერს აღიარებს და მიიჩნევს, რომ მატერიალური აღმოცენებულია სულიერის საფუძველზე. მატერიალური სულიერის გამოვლინებაა. იდეალიზმი სამყაროს შემოქმედად და დასაბამად აღიარებს სულს, რომელიც ამტკიცებს, რომ სული წინ უსწრებს ბუნებას; ბუნებაზე ადრე არსებობდა". ამ კონფერენციამ დაამტკიცა, რომ XX ს-ის აღმოჩენებმა ფიზიკაში გამოიწვია კლასიკური ფიზიკის ცნებათა მსხვრევა, რითაც მატერიალიზმიც ინგრევა. ამიტომაც ამბობდა ცნობილი ასტროფიზიკოსი ედინქტონი: 1927 წ-დან ჩამოყალიბებული მეცნიერული აზრისათვის რელიგია მისაღები გახდა. ამის შესახებ 20-იან წლებშივე შეიტყო მთელმა მსოფლიომ. ფიზიკოსთა კონფერენციის მსგავსად, მეცნიერების სხვა დარგების რელიგიისა და მეცნიერების შესახებ აზრთა ურთიერთშეთანადება ხდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე. როგორც ჩანს ამ ტალღამ ჩვენამდეც მოაღწია. საბედნიეროდ, ღვთის მადლით დაინგრა ის ათეისტური რეჟიმი, რომელიც დევნიდა რელიგიასა და რელიგიურ სამეცნიერო მიმართულებებს საქართველოში და დღევანდელი ჩვენი კონფერენციაც ამ მიზანს ემსახურება, „სოლვეის" კონფერენციის მსგავსად. რადგანაც ათეისტური მიჯნა ხელოვნურად აღარ გვაშორებს ჩვენ – მორწმუნე და არამორწმუნე მეცნიერებს. ალბათ ჩვენშიც დადგა დრო ერთად დავსხდეთ სხვადასხვა დარგების სპეციალისტები და კონფერენციაზე ერთმანეთს შევათანხმოთ სხვადასხვა მოსაზრებანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესახებ. რათა არც სასკოლო და არც უმაღ-

ლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში არ ჩანდეს მხოლოდ ერთი მიმართულება, ერთი თვალსაზრისი სამყაროს, ბუნებისა და ადამიანის წარმოშობისა და მისი რაობის შესახებ.

ქართველ ისტორიკოსებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით იმ დიად საქმეში, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეწოდება, მაგრამ ცხადია საისტორიო დარგებიც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში განიცდიდნენ ზეწოლას იმპერიული და ათეისტური რეჟიმების მხრიდან და ბუნებრივია იგი არ შეიძლებოდა განვითარებულიყო ისე, როგორადაც განვითარდებოდა ის თავისუფალ საზოგადოებაში. ამიტომაც ალბათ საჭიროა „სოლვეის" კონფერენციათა მსგავსად ამ დარგის სპეციალისტების საგანგებო კონფერენციის ჩატარება და სხვადასხვა მოსაზრებების ურთიერთშეთანხმება-შეჯერება.

ჯერ კიდევ სამეცნიერო დარგთა შორის, რომელიც შეისწავლებოდა ძვ. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისტორიოგრაფიას. ძვ. საქართველოს საისტორიო სკოლა იყენებდა უძველეს ქართულ წყაროებს და მატიანეებს, რომელნიც უხვად იყვნენ გაჯერებულნი ქრისტეშობამდე დაფიქსირებული ცნობებით და შეიძლება ითქვას, რომ არცთუიშვიათი სახელმწიფოებრივი კატაკლიზმების გამო ძვ. ქართული საისტორიო სკოლა არსებობდა ეკლესიის წიაღში და სასულიერო მოღვაწეები – ბერები და ეპისკოპოსები იყვნენ კიდეც ქართველი ერის მემატიანეები. (ჩვენ მხედველობაში გვყავს ლეონტი – მროველი ეპისკოპოსი, არსენ ბერი. „მოქცევაი ქართლისაი"-ს განმვრცობი) სამწუხაროდ ძველმა ქართულმა საისტორიო სკოლამ იარსება მე-19 ს-ის შუა წლებამდე. ის ასპარეზიდან გაქრა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების კვალდაკვალ. XIX–XX სს-ის მიჯნაზე ძვ. ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის ადგილი დაიჭირა რუსეთის საიმპერიო უნივერსიტეტების ბაზაზე აღმოცენებულმა ახალმა ქართულმა საისტორიო სკოლამ, რომელიც ძალზე კრიტიკულად მიუდგა ძვ. ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიის საბაზისო მონაცემებს, უარყო და მათ ნაცვლად შემოგვთავაზა ახალი. ისინი სამწუხაროდ ვერ გვიხსნიან მრავალ ისეთ საკითხს, რომელნიც გადაჭრილი ჰქონდა ძველს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ურთიერთწინააღმდეგობა საეკლესიო და საერო ისტორიოგრაფიათა შორის დროულად უნდა გადაიჭრას.

წიგნის – „გეორგიკა" (ტ.IV, ნაკვეთი II, 1952 წ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა) წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „1934 წ. გამოიცა საკავშირო მთავრობის კომპარტიის ცეკას დადგენილება – „სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ სსრკ სკოლებში", იმავე წლის აგვისტოში მივიღეთ ი. სტალინის, ს. კიროვის და ა. ჟდანოვის მითითებები იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიწეროს „სსრკ ისტორიისა" და „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოები" (გვ. VIII).

ამ დადგენილებების, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის დადგენილებების, შესაბამისად მავნებლობად გამოცხადდა საქართველოს ერთიან ქვეყნად წარმოსახვა და ქართველი ერის „უძველეს ხანაში" ჩამოყალიბების თეორია. ისტორიული „ფაქტები" ისე უნდა მიეწოდებინათ მკითხველისათვის, რომ მათ ქართველი ერი – ახლად ჩამოყალიბებულად, ხოლო საქართველო არც თუ უძველეს ხანაში წარმოქმნილ ქვეყნად დაესახათ.

ამის შესაბამისია ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობაც (სხვა შემთხვევაში წიგნი არ გამოიცემოდა) – აქ აღნიშნული თითქოსდა ბიზანტიური საეკლესიო კათედრების ნუსხების ე.წ. „ეკთესისების" მიხედვით დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის კათედრას ექვემდებარებოდა IX ს-მდე, ხოლო ის გარემოება რომ X ს. დასაწყისიდან

დასავლეთ საქართველოს ეპარქია" აღარ იხსენება ბიზანტიურ ეკთესისებში, მოწმობს მის ჩამოშორებას ბიზანტიისაგან და მცხეთის საკათალიკოსოსთან დაკავშირებას, რაც უთუოდ საგულისხმოა საქართველოს გაერთიანების იმ პროცესის შესასწავლად, რომელიც IX საუკუნიდან „იწყება" (იქვე, გვ. VII).

სინამდვილეში „ეკთესისებში" ჩამოთვლილი „დას. საქართველოს" საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ბერძნები „ლაზიკას" უწოდებდნენ, ანუ ტრაპიზონის ოლქში.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით კი „დასავლეთ საქართველოა – ლაზეთი", თითქოს აქ არსებობდა „დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო". სინამდვილეში „ლაზთა მეფეები" და „ლაზიკა" იყო ტრაპიზონის მხარე და მისი გამგებლები.

VI ს-ში იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის ეპარქიების შესახებ წერდა – „პოლემონის პონტოში შედის ხუთი ქალაქი: (ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემენიონი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში), მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკა (სადაც არის ქალაქი პეტრა..., არქეოპოლისი, როდოპოლისი", აქვე შედის ჩვენს მიერ სპარსელებისგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუსურუსი, ლისისი, შემდეგ მოდის ჭანთა ქვეყანა მხოლოდ ჩვენი მეფობის დროს დაპყრობილი... სხვა ტომებიც – სვანები, სვიმაგები, აფსილები, აბაზგები" (მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003, V მს. კრება) რომელია „ჭანთა ქვეყანა, ჩვენი მეფობის დროს დაპყრობილი"?, ცხადია აქ იგულისხმება არა ქალდეა-ჭანიკა, ტრაპეზუნის ახლოს მდებარე ქვეყანა, არამედ მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო, სადაც იმჟამად გადმოსახლებულა ჭანური მოსახლეობა ტრაპიზონიდან და ამიტომ ეწოდება მას „ჭანთა ქვეყანა". იქვეა სვანები, აფსუები, აბაზგები. მაშასადამე „ჩვენი ლაზიკა" ანუ ბიზანტიელების მიერ დაპყრობილი „ლაზიკა" მოიცავდა მდ. რიონის დასავლეთ სანაპიროს, შემდეგდროინდელ გურიასა და ტრაპიზონის ქვეყანას. მაშასადამე მთელ დასავლეთ საქართველოს არ ერქვა „ლაზეთი".

ლაზიკის ეპარქიაში ჩანს თავდაპირველად იყო ორი სამიტროპოლიტო ფასიდისა და ტრაპეზუნტისა, შემდეგ ისინი გაერთიანდნენ.

I ნოტიციის მიხედვით „ეპარქია ლაზიკისა – ფასიდის მიტროპოლიტი 1. როდოპოლისის ეპისკოპოსი, 2. აბისსენთა ეპისკოპოსი, 3. პეტრათა ეპისკოპოსი, 4. ზიგნევთა ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.130). ტრაპეზუნტი I ანოტაციის მიხედვით პოლემონის ნეოკესარიის ერთერთი საეპისკოპოსოა კერასუნტის, პოლემონიონისა და კომანის გვერდით. (იქვე, გვ.184). ყველა ამ ქალაქს ასახელებს იუსტინიანეც.

II ნოტიციით ტრაპეზუნტი უკვე სამიტროპოლიტო ქალაქია.

III ნოტიციით „ლაზიკაში, ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ექვემდებარება 13 ეპისკოპოსი, მათ შორის ერთერთი არის „ფასიანის ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.133).

IV ნოტიციაში ტრაპეზუნტის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ის უკვე არის „მიტროპოლიტი ტრაპეზუნტისა, მთელი ლაზიკისა, მას ახლა კესარიის ადგილი უჭირავს" (იქვე, გვ.136). აქედან ჩანს, რომ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი თუ კი იქამდე იყო ლაზიკის მხოლოდ ერთი ნაწილის იერარქი, ახლა ის არის „მიტროპოლიტი მთელი ლაზიკისა", ანუ მის იურისდიქციაში ახლა ლაზიკის მეორე ნაწილის ანუ „ფასიდის" სამიტროპოლიტო, თუმცა კი ჩანს ისინი მაინც

ცალკე სამიტროპოლიტოების სახით არსებობენ, ანდა ზოგჯერ მთლიანდებიან, ისე რომ „ფასიდი ტრაპეზუნტი“ ერთ ქალაქად წარმოიდგინება კიდეც. ამიტომაც უძველეს საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით პ. ვესელინგი XVIII ს-ში წერდა, რომ „ნიკეის II კრების (787 წ.) მახლობელ ხანებში ფასისი და ტრაპეზუნტი, როგორც ჩანს ერთ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ“ (გეორგიკა, ტ. IV, ნაწილი II, 1952წ. გვ. 200).

*ს. ყაუხჩიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ „სრულიად გამორიცხულია, რომ ერთმანეთს ტერიტორიულად ასე დაშორებული ფოთი და ტრაპეზუნტი ერთ საეპისკოპოსო კათედრაში ყოფილიყვნენ“ (იქვე, გვ.200), მაგრამ, თვით ნოტიციები და ასევე მრავალი წყარო მიუთითებს, რომ ფასისი და ტრაპეზუნტი გარკვეული ხნიდან ნამდვილად იმართებოდნენ ერთი ეპისკოპოსის მიერ. თუმცა ს. ყაუხჩიშვილიც მართალია „აქედან გამოსავალი არის ერთი – ფასისი არ ერქვა ფოთს, რადგანაც ფოთი ძალზეა დაშორებული ტრაპეზუნტიდან. ფასისი ერქვა არა ფოთს, არამედ მდ. ჭოროხთან ანუ ფასისთან (და არა რიონთან) მდებარე ქალაქს. ეს უნდა ყოფილიყო ძველი აფსაროსი, თანამედროვე გონიო. I–II სს-ის „აფსარუნტი“ (აფსაროსი), IV–VII სს-ში „ფასიდად“ იწოდებოდა და ის მდებარეობდა ლაზიკის ჩრდილო ნაწილში. ლაზიკა კი, როგორც აღინიშნა, ეწოდებოდა ტრაპეზუნტის მხარეს და მის ჩრდილოეთით მდებარე ოლქს. მას ჩვენი მთარგმნელები თარგმნიდნენ ასე – „სოფელი მცხეთა“, ესაა თანამედროვე ლაზეთი თურქეთში და იშვიათ შემთხვევაში მდ. რიონის მარცხენა სანაპირო, ძირითადად კი ესაა ჭოროხის ხეობა, აფსაროსი ანუ ქალაქი ფასისი, რომელიც მდებარეობდა ძველი წყაროების განმარტებით, მდინარე ფასისის (ანუ ჭოროხის) მარცხენა მხარეს, ესაა გონიო. აქვე ამ არეალშივე უნდა ყოფილიყო ფასისის სამიტროპოლიტოში შემავალი საეპისკოპოსოები როდოპოლისისა, საისონისა და ზიგნევისა და არა დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში, როგორც ეს მიაჩნია ს. ყაუხჩიშვილს. ს. ყაუხჩიშვილამდე გაცილებით ადრე ისტორიული გეოგრაფიის დიდად აღიარებული მცოდნე ადონცი წერდა კიდეც, რომ „არდასის ჩრდილოეთით მდებარეობს ზიგანა, იმავე სახელის ქედის ძირში, ტრაპეზუნტის მთავარ გზაზე. ზიგანა იყო ძველ დროს ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტი და იქ იყო რეზიდენცია იმ ხუთი ეპისკოპოსიდან ერთერთის რეზიდენციად, რომელნიც ლაზიკის ეპარქიაში შედიოდნენ. საეკლესიო თვალსაზრისით ჭანიკა ლაზიკას მიეკუთვნებოდა“ (**Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ, 1908, стр.65**). ს. ყაუხჩიშვილმა დიდი გამოკვლევა ჩაატარა იმის დასამტკიცებლად, რომ ზიგანევი ანუ გუდაყვა თითქოსდა იყო საეპისკოპოსო კათედრა, ასევე ძალზე ხელოვნურია საისინის გამოცხადება ცაიშის კათედრად. როდოპოლისისა კი ვარდციხედ. საქმე ისაა, რომ ვარციხე ბაღდადთან არ იწოდებოდა ვარდციხედ. პირიქით, ეტიმოლოგიურად ვარციხე არ არის ამოვარდნილი ქართული ტოპონიმების წარმოების წესიდან. ვარციხე ნაწარმოები არის ისე, როგორც მაგალითად ვარძია, ვარიანი, ვარკეთილი. ისევე როგორც ვარძია არ იყო „ვარდძია“, ანდა ვარიანი – „ვარდიანი“, ვარკეთილი – „ვარდკეთილი“, ასევე ვარციხე არ ყოფილა „ვარდციხე“ ანუ როდოპოლისი.*

ს. ყაუხჩიშვილის აღნიშნული ჰიპოთეზა შემდგომში საფუძვლად დაედო ისეთ მძიმე დასკვნებს, თითქოსდა დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და მისგან გათავისუფლდა IX-X სს-ში. თუმც კი ს. ყაუხჩიშვილი პატიოსნად

აღნიშნავდა ამის შესახებ: „ჯერჯერობით არავითარი მტკიცე დასაყრდენი არა გვაქვს ამ გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციისთვის“ (გეორგიკა, IV, გვ.189).

ამ მხრივ ჩვენ უფრო უნდა ვენდოთ უძველეს ქართულ წყაროებს, რომელნიც მიიჩნევდნენ დასავლეთ საქართველოს მცხეთის იურისდიქციის ქვეშ მდებარე ტერიტორიად IV საუკუნიდანვე, ხოლო „ლაზიკები ფასისის მიტროპოლიაში შემავალი როდოპოლისი, საისენთა, პეტრასა და ძიგანევის საეპისკოპოსოები“ განლაგებულნი უნდა ყოფილიყვნენ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ტრაპეზუნტის მიმართულებით, თუმცა მათგან შესაძლებელია პეტრა იყოს არა გონიო, არამედ ის ციხე ჭოროხთან, რომელსაც ამჟამად „ქაჯეთის ციხე“ ეწოდება.

აქვე, ტრაპეზუნტის ოლქში მიუთითებდა ადონელიც ფასიდის სამიტროპოლიტოს აღნიშნული საეპისკოპოსოების არსებობას. ჭოროხისა და ტრაპეზუნტის ქვეყანას ეწოდებოდა ლაზიკა. მის ჩრდილო ნაწილში უნდა ყოფილიყო ფასიდის სამიტროპოლიტო განლაგებული. ეს ალბათ იყო ის მიწა-წყალი, რომელსაც ძველი ქართველი ისტორიკოსები უწოდებდნენ „ბოლო კლარჯეთისა“, რომელიც განლაგებული იყო შავი ზღვის პირზე. ქართული „კლარჯ“ ალბათ ბერძნული „კლარძ“ ანდა „კლაზიკად“ ანდა „ლაზიკად“ გამოითქმოდა. „ბოლო კლარჯეთისას“ ქვეყანაში შედიოდა – ხუფათი, გონიო, მის საზღვართან ქვემო გურიაში კი ბათომი და ქაჯთა ციხე, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ფასიდის სამიტროპოლიტო და მისი ყოფილი საეპისკოპოსოები. ეს იყო ისტორიული ლაზიკის ჩრდილო მხარე. როგორც ითქვა, ლაზიკის მეორე სამიტროპოლიტო იყო ტრაპეზუნტი, რომელსაც შემდეგ მთელი ლაზეთის ყველა ეპარქია დაემორჩილა.

რიზესა და ხუფათს შუა ცხოვრობდა ხალხი, რომელიც არ ემორჩილებოდა მის სამხრეთით ტერიტორიაზე არსებულ „რომაელ“ ხელისუფლებას და არც მის ჩრდილოეთით „ლაზიკის მეფეთა“ (რომაელთა მიერ დადგენილ) ხელისუფლებას, ეს ხალხი იბერიის მეფეს ემორჩილებოდა, თუმც ეკლესიურად მათ თურმე ლაზეთის ეპისკოპოსები უნიშნავდნენ მღვდელმსახურებს, თუმცა ყველანი კი ეკლესიურად „კათალიკოსს“ ემორჩილებოდნენ. ეს „კათალიკოსი“ უნდა ყოფილიყო არა დვინის, არამედ მცხეთის კათალიკოსი (იხ. ჩემი „მსოფლიო საეკლესიო კრებები“, VII კრება).

განსაკუთრებით გასაოცარი და შეიძლება ითქვას შოკისმომგვრელია ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ნოტაციათა ცხრილებში ბერძნულ ხელნაწერებში არსებული ცნობების თვითნებური შეცვლა. კერძოდ, VI და VIII ნოტიციების ხელნაწერებშია „ამისიის სებასტოპოლისის ავტოკეფალური ეკლესია“ და სიტყვა „ამისია“ ს ყაუხჩიშვილმა წაშალა და მის ნაცვლად დაწერა „აბასგია“ თანაც ბერძნული შრიფტით და ისე მიაწოდა მკითხველს. ამის შედეგად მან და მასთან ერთად მთელმა საზოგადოებამ დაასკვნა, თითქოსდა „აბასგიის ავტოკეფალური ეკლესია“ არსებობდა X ს-ის შემდგომაც, რაც არასწორია. დედნებში არ არის ასეთი მინიშნება, პირიქით, ნოტაციების სწორი წაკითხვა, ანუ წაკითხვა იმისა, რაც წერია, იძლევა საშუალებას იმისა, რომ გამართლდეს ძველი ქართული ისტორიოგრაფია, რომ VIII ს-ში, აფხაზეთის საერისთავოს გათავისუფლებისა და მისთვის დასავლეთ საქართველოს მიწების გადაცემის შემდეგ, მეფეების – არჩილისა და მისი დის დროს, მოხდა საეკლესიო გაერთიანება – აბაზგიის ეკლესიისა და დასავლეთ საქართველოს (ქართლის) ეკლესიათა გაერთიანებაც.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ სიტყვა „ფასისის“ განსაზღვრებას. მ. ბერძენიშვილი წერს, რომ ბერძნები „ფასისს“ უწოდებდნენ მდინარეებს 1) ყუბანს, 2) არაქსს, 3) ჭოროხს, 4) რიონს, 5) ჯულფას. (მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის, 1969, გვ.88). ერთი სიტყვით, შავი ზღვის იმ სანაპიროს მდინარეებს, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, რადგანაც პროქართული ენით ფსა, ფშა აღნიშნავდა წყალს (კერძოდ „დ“ – განშლა, ს, შ აღნიშნავდა წყალს) უფრო ზუსტად კი მდინარის დელტას, მის შესართავს ზღვასთან, ანუ გაშლილ წყალს.

აღნიშნულ მდინარეთაგან „შეუდარებლად უფრო ხშირად იხსენიება ფასისის სახელით მდ. ჭოროხი... ამ ფასისის სათავედ სდებენ არმენიის მთებს ან მოსხიკეს მთებს. საგულისხმოა, რომ ჭოროხის გაიგივება ფასისთან უფრო მყარიცაა. ამ სახით იგი გვხვდება (თუ ქსენოფონტეს არ ჩავთვლით) ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე, დაწყებული ერისტოსთენედან და დამთავრებული პროკოფი კესარიელით“ (იქვე, გვ.91).

პუნქტები „ზიგნევი“, „სებასტოპოლისი“, „პიტია“ (პიტიუნტი), „მოხორა“ შეტანილია ბიზანტიურ სამხედრო დანაყოფთა იმ ნუსხაში, რომელის ჯარი იდგა მცირე არმენიაში (ტრაპეზუნტის ოლქში) (ამ ნუსხას შემოკლებით Notatia-ს უწოდებენ) – ბიზანტიის ჯარის განლაგება: „არმენიის დუქსი, არმენიის სარდლის ხელქვეით არიან პონტოში – პონტოს პირველი ლეგიონის პრეფექტი – ტრაპეზუნტი, რაზმი რიზესი, რაზმი თეოდოსესი... პითია (პიტიუნტი), ვალენტა, ესიპორტო, პარამბოლე, სებასტოპოლისი, ზიგანნე, მოხორა“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 175).

აქ მოხსენებული „ზიგანე“, რომელშიც იდგა ბიზანტიის ჯარი და იყო ეპისკოპოსის კათედრა, ნ. ადონცის მტკიცებით, მდებარეობდა ტრაპეზუნტის გზაზე. აქვე იყო მის არეალში ლაზიკის სხვა ოთხი საეპისკოპოსო და არა რიონის ხეობაში. აქ ყოფილა ზიგანის მთა, უღელტეხილი, სოფელი. ეს სახელი დღემდე ეწოდება ამ სოფელს და მთას! ლაზეთის საეპისკოპოსო ცენტრი „ძიგნე“ ადონცის აზრით, სწორედ აქ იყო (იქვე, გვ. 176)

„მოხორა“ ასევე საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის კოპორტის ბანაკი ყოფილა ზიგნის მარჯვნივ. (იქვე, გვ.177).

უსუპორტი – საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის ჯარის ბანაკი, აქვეა, ესაა „არიანა“, შემდეგდროინდელი „სუსარმია“, ახლანდელი „სიურმენე“ ნავსადგური ტრაპეზუნტის მარჯვნივ (გვ. 177).

აქვე იყო „პიტია“ და „სებასტოპოლი“, რადგანაც აღნიშნული ბიზანტიური ჯარების განლაგების წესის შედგენის დროს აბაზგიის პიტიუნტსა და სებასტოპოლზე ბიზანტიას ხელი არ მიუწვდებოდა (გვ.177).

საქართველოს უწმინდესმა პატრიარქმა ახალგაზრდათა მიერ მეცნიერების უკეთ დაუფლების მიზნით შემოგვთავაზა „ღრმა აზროვნების“ პროგრამა, რაც მოითხოვს ფაქტების უფრო ღრმა ანალიზს. ეს არის კურთხევა, რომელიც ცხადია უთუოდ უნდა შესრულდეს. უნდა შეიქმნას „ღრმა აზროვნების“ სასკოლო სახელმძღვანელოები. ამჟამად ათასობით მოსწავლე და სტუდენტი ეუფლება რელიგიისა და ეკლესიის ისტორიას. ჩვენ „ღრმა აზროვნების“ პროგრამის შესაბამისად ვავალებთ სტუდენტებს უფრო უკეთ გაეცნონ სამეცნიერო ლიტერატურას ჩვენი ერისა და ეკლესიის წარსულისა და ისტორიის შესახებ. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ საერო-საისტორიო ლიტერატურის საბაზისო მონაცემების ნაწილი არ ეთანხმება იმას, რასაც ასწავლის ძველი მატიანეები და წმ. ეკ-

ლესია. ამის შესახებ თავდაპირველად მიგვითითეს სტუდენტებმა და ასევე ლექტორებმაც. მათ მიერ მრავალგზის დაისვა კითხვა, რომელიც ძალზე გვაფიქრებს და შეიძლება ითქვას დილემის წინაშეც კი გვაყენებს. მხოლოდ ერთ ყველაზე მცირე მაგალითს მოვიტან მათ შორის. კერძოდ, წმ. ეკლესია და ძველი მატიანეები გვასწავლიან, რომ I ს-ში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერია, ივერიელი ხალხი მისი საფარველის ქვეშ უნდა ზიარებულიყო ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეკლესიის სწავლებით, (რომელიც ასახულია შესაბამის ტროპარებსა და კონდაკებში და ასევე საეკლესიო კრებების დადგენილებებშიც, რომელთაც ქვემოთ შევეხებით), I ს-ში, ანუ წმ. მოციქულთა დროს „ქართლი" ანუ „ივერია" ეწოდებოდა შემდეგდროინდელ სრულიად საქართველოს, ქართველნი კი ერქვათ ამ ქვეყნის მკვიდრთ, მთელს მოსახლეობას, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. ჩვენ ცხადია აღნიშნული „ღრმა აზროვნების" პროგრამის შესაბამისად ვავალებთ სტუდენტებს გაეცნონ საერო ისტორიოგრაფიის მიღწევებს ამ მიმართულებით და გამოიყენონ მათი მტკიცებულებები აღნიშნული რელიგიური საკითხების შესასწავლად და ბოლო ჯამში კი თავიანთი რწმენის განსამტკიცებლად, მაგრამ სწორედ აი აქ, შესაბამისი საერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ აწყდებიან ისინი დიდ წინააღმდეგობებს. აღმოჩნდა, რომ ახალი საერო-საისტორიო ლიტერატურის მიხედვით „ქართლი" ანუ „ივერია" X ს-მდე ეწოდებოდა თურმე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, „ქართველნი" კი აღმ. საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს. ცხადია ეს შეუსაბამობები, რომელნიც არსებობენ საერო და საეკლესიო ისტორიოგრაფიებს შორის დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს. მოუგვარებელ პრობლემათა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა სწორედ საერო და საეკლესიო-საისტორიო მეცნიერებათა ურთიერთთანამშრომლობით უნდა დაიწყოს. მივიჩნევთ, რომ საჭიროა უფრო ჩავუღრმავდეთ ამ და მრავალ სხვა საკითხს, რომელთაც ქვემოთ შევეხებით. ძვ. ქართველ მემატიანეთა მტკიცებით ქართველი ერი, ვითარცა ეთნოპოლიტიკური მთლიანობა უკვე არსებობდა ქრისტეშობამდე IV–III სს-ში და ამიტომაც მან შეძლო იმ დროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება მეფეების – აზონისა და ფარნავაზის მიერ. ახ. ქართული ისტორიოგრაფია უარყოფს ამ თვალსაზრისს და მიიჩნევს რომ ფარნავაზი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე. ქვეყნის გაერთიანება, ანუ დასავლეთ საქართველოს შემოერთება ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში დაიწყო გაცილებით გვიან, IX-X სს-ში, შესაბამისად ამავე საუკუნეების შემდეგ დაიწყო ქართველი ერის ჩამოყალიბება. მაშასადამე ჩვენ გვაქვს ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული ორი თვალსაზრისი ქართველი ერის და მისი ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბების დროის შესახებ. ამისგან გამომდინარეობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა დასკვნები.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი საერო ისტორიოგრაფიის აღნიშნული მონაცემები ასახულია ისეთ აკადემიურ საეკლესიო, მაგრამ უცხოენოვან გამოცემებში, როგორიცაა „Православная Энциклопедия" და სხვ... როგორც ცნობილია წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა და ზოგადად უდიდეს საეკლესიო სამეცნიერო მიღწევას და ის ვრცელდება არამხოლოდ რუსეთისა და ჩვენს მოძმე სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მთელს მსოფლიოში. სამწუხაროა, რომ აქ არა

მარტო ტაო-კლარჯეთის საეკლესიო არქიტექტურა და ამ მხარის მოსახლეობაა მოხსენებული არაქართულად. არამედ П. Э.-ის სხვადასხვა ტომეულებში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები ძალზე დამახინჯებითაა მითითებული. კერძოდ, I ტომში, სტატიაში „ალბანეთის საკათალიკოსო“ და თან დართულ შესაბამის რუკაზე აღნიშნულია, რომ წმ. ნინოს დროს, IV ს-ის დასაწყისში აღმ. საქართველოს დიდი ნაწილი ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომ თითქოსდა ბოდბე, რუკაზე აღნიშნული გურჯაანი, იორ-ალაზნის ხეობები და სხვა ტერიტორიებიც დასახლებული იყო ალბანელებით, ხოლო ეს უკანასკნელნი კი თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრებად მიაჩნიათ. ცხადია ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ სტატიისა და რუქის პათოსს, რადგანაც ქართლის განმანათლებელი წმ. ნინო ქართლის ერთერთ დაბაში დაიკრძალა, რომელსაც მაშინ ბოდი ეწოდებოდა და ეს ქვეყანა შედიოდა მეფე მირიანის იბერიის ანუ ქართლის სამეფოში და არა ალბანეთში, რომელსაც П. Э.-ში მიაკუთვნეს ბოდბე. ჩვენდა სამწუხაროდ სტატიისა და რუქის ავტორები მიუთითებენ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს, რომელნიც „ქართიზაციის თეორიის“ შესაბამისად ამტკიცებენ, რომ თითქოს ჰერები ალბანელები იყვნენ, რომელთა გაქართველება, ასიმლაცია და ქართიზაცია დაიწყო უძველეს ხანაში და საბოლოოდ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დროს შემოუერთდა ჰერეთი (ანუ ე.წ. დასავლეთ ალბანეთი) ქართლს. ეს თვალსაზრისი ასახულია ჩვენს ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევების ტომეულებში და სწორედ ეს გახლავთ საყრდენი აღნიშნული სტატიისა П. Э.-ში.

საქმე ისაა, რომ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვითარცა საისტორიო წყაროს ბოლო დრომდე ნაკლებად ეყრდნობოდნენ, რადგანაც მიაჩნდათ: ვაკეთებ ციტირებას: „ლეგენდა წმ. ნინოს შესახებ ჩამოყალიბდა გვიან VIII-IX სს-ში“. არცთუ დიდი ხნის წინ ასეთი იყო ამ წყაროს მიმართ ოფიციალური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. მაგრამ, რადგანაც უკვე შეიცვალა „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიმართ ესეთი დამოკიდებულება, ალბათ უკვე შეიძლება და უნდა შეიცვალოს კიდეც იორ-ალაზნის ხეობისა და მისი მოსახლეობის მიმართაც მცდარი შეხედულება, ვინაიდან ეს მხარეები და მისი მოსახლეობა „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით ცხადია ქართლის სახელმწიფოს ეკუთვნიან და ეთნიკური ქართველები არიან. „ქართიზაციის თეორია“ არც ამ მიმართულებითაა სამართლიანი, რადგანაც მიიჩნევს, რომ ალაზნისა და ივრის ხეობათა მოსახლეობა თითქოსდა არაქართველები იყვნენ, რომელნიც შემდგომ გაქართველდნენ. მითუმეტეს რომ, აღნიშნულ რუქაზე, რომელიც „ალბანეთის საკათალიკოსოს“ შეეხება, იორის ხეობის უდიდესი ნაწილი, მისი მარჯვენა სანაპირო მდ. მტკვრამდე, ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი „სომხურ ოლქადაა“ გამოცხადებული. ცხადია ეს „ქართიზაცია“– „გაქართველების“ იმპერიულ-საბჭოური თეორიის შედეგია, რომელიც ჰიპერკრიტიკულად მიუდგა უძველეს ქართულ მატიანეებს, მათ შორის ფარნავაზიან მეფეთა მატიანესაც, სადაც გარკვევითაა აღნიშნული, რომ ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში აქ ისხდნენ ერისთავები ხუნანისა და სამშვილდისა.

იორისა და ალაზნის ხეობების ისტორიულ ჰერეთად, ანუ ალბანეთად წარმოდგენა ამჟამადაც კი აფერხებს ქართველი ერის ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა. აზერბაიჯანელ ერში ჩანერგეს თვალსაზრისი, რომ ისტო-

რიული ალბანელები არიან აზერბაიჯანელთა წინაპრები, მაშასადამე შესაბამისად ძველ ალბანელთა კულტურული მემკვიდრეობა აზერბაიჯანელი ერის სულიერი საგანძურია, ამიტომაც აღნიშნულ რუკაზე ალბანეთის საკათალიკოსოში გურჯაანის, ბოდბისა და სხვა ქართული ძველი ქალაქების მოქცევა არაა შემთხვევითი. მათ აქვთ რაღაც სამომავლო პრეტენზიები. ასევე არაა შემთხვევითი, რომ ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ. ძვ. ქართულ ეკლესიებზე ბოლო წლებში გაკრული იქნა ბრინჯაოს დაფები, რომლებზეც აღნიშნულია, რომ თითქოსდა ეს ქართული ეკლესიები სინამდვილეში არიან ძველი ალბანური ანუ აზერბაიჯანული კულტურის ძეგლები, რამეთუ ჰერეთი ისტორიული ალბანეთის ნაწილად, ხოლო ჰერები კი ალბანელებად, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრებად მიიჩნევა. მათი ეს მტკიცება, როგორც ეს П.Э.-ის შესაბამისი სტატიის თანდართული ლიტერატურიდან ჩანს ეფუძნება ქართველ მეცნიერთა შორის პოპულარულ ქართიზაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც როგორც აღვნიშნეთ ჰერები თითქოსდა უძველეს ხანაში არაქართველები იყვნენ, რომელთა ქართიზაციაც ანუ გაქართველება შემდგომ მოხდა. განსაკუთრებით სავალალოა, რომ ჩვენს მეცნიერთა დაუფიქრებლობით ვკარგავთ არა მარტო კულტურის ძეგლებს, არამედ მოსახლეობასაც. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს თბილისიდან უნერგავენ დაბეჯითებულ თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან, ხოლო აზერბაიჯანელები კი უნერგავენ თვალსაზრისს, რომ ჰერები იგივე ალბანელები არიან, მაშასადამე ინგილოები არიან ძვ. ალბანელთა შტამომავლები, ისევე როგორც აზერბაიჯანელი ერის სხვა ეთნოჯგუფები. ასე რომ მალე, ალბათ რამდენიმე ათეულ წელში ჩვენ ინგილოებსაც დავკარგავთ. აღნიშნული საკითხების მიმართ სულ სხვა თვალსაზრისი აქვს საეკლესიო ისტორიოგრაფიას, მაგ. წმ. შუშანიკი იყო ჰერთა ანუ რანთა დედოფალი. ასეა ეს გადმოცემული შესაბამის ძველ ლოცვებში, ტროპარებსა და კონდაკებში. მაშასადამე, საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიხედვით ჰერეთი არ ეწოდებოდა ივრისა და ალაზნის ხეობებს, არამედ ეწოდებოდა შემდეგდროინდელ მხარეს – რანს, რომელიც მდებარეობდა გაცილებით სამხრეთით და მოიცავდა თანამედროვე განჯის რეგიონს. ძველ მატიანეებშიც იგივე თვალსაზრისია გამოთქმული. მაგ.: წმ. მეფე არჩილი გადავიდა VIII ს-ში კახეთში და იმ მხარეში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ. ანუ ისტორიულ კახეთში ააშენა ეკლესიები. მემატიანეც წერს: „ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე... და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპათს ორთა წყალთა შუა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 244). მაშასადამე, ძვ. ქართველი მემატიანეების მიხედვით იორის, ალაზნის ხეობებს ვიდრე კავკასიის ქედამდე, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად კახეთი და საინგილო ეწოდება ერქვა ერთი სახელი – „კახეთი“. ასეა ეს მეფე არჩილის ცხოვრების მიხედვით VIII ს-ში და ჩანს შემდგომი დროის მემატიანეების ჯუანშერისა და ლეონტი მროველის დროსაც. ანუ ეკლესიები, რომელთაც აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა მიაწერეს, რომ თითქოს ალბანური კულტურის ძეგლები არიან, სინამდვილეში ააშენა არჩილ მეფემ კახეთის მხარეში და არა ჰერეთში. ჰერეთი არც კია ნახსენები მის ცხოვრებაში. ჰერეთი იმჟამად, როგორც ვთქვით, იორ-ალაზნის შესართავის სამხრეთით მდებარე მხარეს ეწოდებოდა და არა თანამედროვე საინგილოს, მითუმეტეს

ბოდბე-გურჯაანის რეგიონს. ასე რომ, ჩვენი XX ს-ის ისტორიოგრაფია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საერო ისტორიოგრაფიასაც არ ეთანადება საეკლესიოს, ანუ XIX ს-მდელს, რაც მრავალ დაბრკოლებას ქმნის.

П. Э.-ის 2000 წ-ს დაბეჭდილ I ტომში დამახინჯებულია ასევე საქართველოს ეკლესიის ჩრდ. საზღვარის საკითხიც, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჯერჯერობით არ ყოფილა ქართველ მეცნიერთა განსჯის საგანი. კერძოდ აქ, სტატიაში ოსეთის ანუ „ალანიის ეპარქიის" შესახებ და მასზე თანდართულ რუქაზე აღნიშნულია, რომ თითქოს დიდი ლიახვისა და თერგის სათავეები, ალანების (ე.ი. ოსების) აღმოსავლეთის ჯგუფის საეკლესიო ქრისტიანული ძეგლების ისტორიულ არეალს წარმოადგენდა X ს-ში. (წყაროდ მითითებულია ვ. კუზნეცოვის შრომები). მაშასადამე, თანამედროვე ყაზბეგისა და ახალგორის რაიონები თითქოსდა არ შედიოდნენ აღნიშნულ დროს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში და ექვემდებარებოდა ოსეთის ანუ ალანიის სამიტროპოლიტოს, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იყო. ეს მოსაზრება ცხადია არასწორია. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიული დვალეთი ანუ ნარმამისონის ქვაბული მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. საქართველოს ეკლესიის კალენდარში დღესაც კი მოიხსენიება ის დვალი, ანუ ქართველი წმინდანები (მაგ. წმ. ნიკოლოზი), რომელნიც დვალეთის მიწაზე ოსური ტომების დასახლებამდე (ე.ი. XV–XVI სს-მდე) ჩვენს ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, ისევე როგორც ცნობილნი არიან ქართული წმ. წერილის დვალი გადამწერები და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ცხადია დვალეთი არასოდეს შედიოდა ალანიის ეპარქიაში. მით უფრო გასაოცარია აღნიშნული სტატიის ავტორთა მტკიცება და უხვი ფოტოგრაფიული მასალები, რომლითაც ისინი ავითარებენ მცდარ აზრს, რომ თითქოს ინგუშეთის ცნობილი ტყობა-იერდას ეკლესია ოსეთის – ალანიის ეპარქიაში შედიოდა. რამდენადაც ცნობილია, რომ ამ ტაძარზე არის ქართული წარწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენებულია საქართველოს პატრიარქის სახელი, რომელსაც ამ წარწერის მიხედვით „აღმოსავლეთის პატრიარქი" ეწოდება (ბატონი გივი ღამბაშიძის ცნობით, რომელიც დღეს ჩვენთან იმყოფება). მაშ როგორ შეიძლება ითქვას რომ ეს ტაძარი ეკუთვნოდა ალანიის ეპარქიას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს?! აქაც ცხადია, ე.წ. „ქართიზაციაგაქართველების" იმპერიულ-საბჭოური თეორია გამოდის წინა პლანზე. საქმე ისაა, რომ ამ თეორიის მიხედვით, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა (ГСЭ. ГССР) და საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც. IX-X სს-ში თითქოს „აღ. საქართველოს მთიანეთის ქართიზაცია" მიმდინარეობდა. ხდებოდა მათი ქართულ კულტურულ და საეკლესიო არეალში შემოყვანა. ანუ იქამდე ისინი ქართულ კულტურულ სამყაროს არ ეკუთვნოდნენ. ეს „ქართველი მთიელები" სინამდვილეში იყვნენ ფარნავაზიანთა ხანის ქართველი ერის დვრიტა და სიძლიერის საყრდენი. ნ. მარი და მისი გავლენით ზოგიერთი ქართველი და ასევე რუსი სამეცნიერო თუ საეკლესიო მოღვაწენი, (მაგალითად რუსული ეკლესიის ახალმოწამე წმ. იოანე ვოსტორგოვი) ამ ქართველ მთიელებს, კერძოდ ხევსურებსა და ფშავლებს ჩეჩნურ-ვაინახურ ტომებად მიიჩნევდა, რომელნიც თითქოს აღნიშნულ IX-X სს-ში გაქართველდნენ ქართული ეკლესიის მეოხებით. ეს აზრი ცხადია იმპერიული გადმონაშთია, რომელიც დროულად უნდა აღმოიფხვრას თეორიული მუშაობით, წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში მსგავსი სტატიები მუდამ დაიბეჭდება.

ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში საქართველოს სამხრეთი ოძრხის, წუნდის და კლარჯეთის საერისთავოების სახით შედიოდა. ხოლო ძვ. ბერძენი ავტორების ცნობით ქართველური ტომები კაპადუკიიდან ვიდრე არაქსის სათავეებამდე იყვნენ დასახლებულნი. ამით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასალმა ჭოროხის ხეობაში ტაო-კლარჯეთში პირველი მონასტრები და ციხე-სიმაგრეები დაარსა. კერძოდ ტაოში, (იმიერ ტაოში) იმ ადგილთან ახლოს, სადაც შემდგომ იშხნის ცნობილი კათედრალი აშენდა, ვახტანგ გორგასალმა აღმართა „თუხარისის" ციხე-სიმაგრე, ხოლო კლარჯეთში არტანუჯთან ახლოს – მონასტრები და ეკლესიები (ქ. ც., ტ. I, გვ.177).

VI ს-ის შემდეგ, სპარსეთის აგრესიის შედეგად შეირყა ფარნავაზიან მეფეთა ქართლის სამეფო, მან დაკარგა სამხრეთის ტერიტორიების ერთი ნაწილი, სადაც სპარსეთი მხარს უჭერდა ანტიბიზანტიური მიმართულების სომხური ეკლესიის იურისდიქციის განვრცობას. ასე მოექცა ქართველი ხალხით დასახლებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. ამ მიზეზთა გამო VII საუკუნეში იშხანში დაარსებულ იქნა სომხური საკათალიკოსო ერთ-ერთი ცენტრი. პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებისთანავე ტაო-კლარჯეთის ქართულმა მოსახლეობამ სასწრაფოდ გადაიგდო სომხური ეკლესიის ბატონობის მძიმე უღელი, რომელიც მათ არმენიზაციას უწყობდა ხელს და დაიბრუნა, აღიდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. უფრო მეტიც, ამ ეთნიკური ქართველების გულმხურვალე პატრიოტიზმი იქცა სიძლიერის ტახტად ბაგრატიონი მეფეებისა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისა IX-X სს-თა შემდგომ. როგორც ცნობილია, ნიკო მარმა წამოაყენა ამ ქართული საეკლესიო სწავლების საპირისპიროდ თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მთელი ეს მხარეები, ტაო-კლარჯეთი ეთნიკური სომხებით იყვნენ დასახლებულნი. შემდეგ აქ თითქოს შეიჭრა ქართული ეკლესია და გააქართველა აქაური სომხობა. სამწუხაროდ ნ. მარს გამოუჩნდნენ მომხრეები, უფრო მეტიც მისი თეორია გაბატონდა კიდეც ისტორიულ მეცნიერებაში. მიუხედავად სიმონ ჯანაშიას და პავლე ინგოროყვას ცნობილი შრომებისა ნ. მარის ეს მოსაზრება ასახულია П.Э.-ის I ტომში, რადგანაც ეს საკითხი განხილული იქნა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მიერ მრავალჯერ. მას აღარ შევეხები, თუმცა კი უნდა ითქვას, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" მაინცაა ასახული ნ. მარის ეს მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს „ტაო-კლარჯეთის ფეოდალური სამთავროს შემადგენლობაში შევიდა ამ ტერიტორიის ქართული და სომხურ-ქალკედონიტური ეპარქიებიც" (საქ. ისტ. ნარკ. II, 1973, გვ. 585). სწორედ ამ „სომხურ-ქალკედონიტურ" ეკლესიებადაა გამოცხადებული П.Э.-ის მიერ ოშკი, ბანა, ხახული, ოთხთა ეკლესია და ტაო-კლარჯეთის ყველა სხვა ეკლესია. ისინი იყვნენ არა „სომხურ-ქალკედონიტური" ეკლესიები, არამედ ეთნიკური ქართველებისა, რომელნიც იქამდე „სომხურ-ქალკედონიტური" საეკლესიო ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და ეს უღელი მათ გადაიგდეს. (ისევე როგორც, მაგალითად, თბილისის სიონი არ იყო „რუსულ-ქალკედონიტური" ეკლესია XIX ს-ში, არამედ იყო ეთნიკური ქართველების ეკლესია, რომელიც დროებით იყო რუსული ქალკედონიტური ეკლესიის იურისდიქციაში). ამიტომაც არაა სამართლიანი ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრება П.Э.-ის სტატიაში. ესაა, ცხადია, ურთულესი საკითხი, მაგრამ

წმ. ეკლესიას ამის შესახებ აქვს თავისი საეკლესიო ავტორთა შესაბამისი გამოკვლევები, რომელთა გაცნობაც საჭიროა უცხოეთში მსგავსი სტატიების გაგზავნის წინ.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ძალზე სადავო საკითხად იქცა XX ს. სეპარატისტული რეჟიმების მოთხოვნითა და ხელშეწყობით. ისინი დას. საქართველოს ეკლესიას, მათ შორის აფხაზეთის საკათალიკოსოს მიიჩნევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის იმ ავტოკეფალურ საეკლესიო ერთეულად, რომელიც ისტორიულად კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და რომლის „ქართიზაცია-გაქართველებაც" შემდეგ მოხდა ქართული ეკლესიის მიერ.

სამწუხაროდ, П.Э. I ტომში მსგავსი თვალსაზრისია გადმოცემული, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს VII ს-ის შემდგომ არაბების ძალაუფლების გავრცელებამ „გამოიწვია ქართლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია დას. საქართველოში, რამაც აქ გამოიწვია აღმოსავლურ-ქართული (ქართლის) ენის შეჭრა დას. საქართველოს კულტურასა და საეკლესიო სფეროში. ამიტომაც ეს ენა აქ გადაიქცა ღვთისმსახურებისა და აგიოგრაფიის ენად" (სტატია „აფხაზეთის საკათალიკოსო" П.Э. ტ.1, გვ.68).

საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელია მსგავსი თვალსაზრისი. ჩვენი საეკლესიო მატიანეები, უფრო მეტიც, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, მაგ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ანდრია მოციქულმა აქ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმ. ნინომ მოაქცია „ყოველნი ქართველნი".

ჩვენ ვიცით, რომ ანდრია მოციქულმა ძირითადად დასავლეთ საქართველოში იქადაგა, მაგრამ დასავლეთ საქართველო ეკლესიის წმ. მამათა მითითებით არა VII-IX სს-დან, არამედ ძველთაგანვე, ისტორიულად არის იგივე ქართლი, ქართლის ფარნავაზიანთა სამეფოს ერთი ნაწილი, ანუ საქართველო. ამიტომაც უწოდებს I საუკუნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართლს რუის-ურბნისის კრება „საქართველოს", მატიანეებიც, როგორც „მოქცევა ქართლისა" ისე „ქართლის ცხოვრება" დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აქ ქართლის ფარნავაზიან მეფეებს დადგენილი ჰყავდათ ე.წ. „დასავლეთის" ანუ ეგრისისა და არგვეთის ერისთავები. რუის-ურბნისის კრების წმ. მამათა მტკიცებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევე ეწოდებოდათ ქართველნი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსას. ეს იყო ერთი ხალხი, ერთი ერი, რომელიც მოაქცია წმ. ნინომ. ამიტომაცაა აქ ნაბრძანები „მოაქცია ყოველნი ქართველნი", ე.ი. მათ შორის ეგრისის და არგვეთის მოსახლეობაც. საეკლესიო იურისდიქციის თვალსაზრისით, XX ს-ში გამოითქვა თვალსაზრისი, რომელიც თანდათან დოგმად ითქვა, თითქოსდა დასავლეთ საქართველო ე.წ. „ნოტაციების" მიხედვით IV-VIII სს-ში შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

დოსითეოსი და ქრისანთო ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები XVII ს-ში ბერძნული წყაროების შესწავლის შედეგად აცხადებდნენ, რომ ეკლესიას, რომელსაც ქართველები „აფხაზეთის საკათალიკოსოს" უწოდებენ, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში ეწოდება „ქვემო იბერიის ეკლესია", „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსო" ჯერ კიდევ ლევ ისავროსის დროიდან, VIII ს-დან. ვინაიდან იბერიას აქვს ორი გეოგრაფიული მხარე – ერთს ე.ი. აღმ. საქართველოს ეწოდება „ზემო იბერია", ხოლო მეორეს, ე.ი. დას. საქართველოს – „ქვემო იბერია", რომ ერთიან იბერიელ ხალხს გარკვეული დროიდან ორი საკათალიკოსო ჰქონდა და ერთი უზენაესი პატრიარქი.

ამ თვალსაზრისში, როგორც ითქვა, ეჭვი შეიტანეს XX ს-ის დასაწყისში ნ. მარის „ქართიზაციის“ თეორიის შედეგად, რომლის მიხედვითაც ქართული ენა არის მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობის ენა, რომელმაც თავისი ენა და კულტურა მცხეთის საკათალიკოსოს დახმარებით განავრცო მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ ჰერეთში, ქვემო ქართლში, ტაო-კლარჯეთს, აღმ. საქართველოს მთიანეთსა და დას. საქართველოში. ეს მოსაზრება იქცა ურყეველ დოგმად, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. მაგ. „მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ნიადაგზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთიმერეთში, წამოაყენა ფორმულა თავისი ორგანიზაციულ გაბატონების დასაფუძნებლად (საქ. ისტ. ნარკვ. II, 1973, გვ.586).

ძველი საეკლესიო სწავლებით კი ქართული ენა იყო არა ერთ-ერთი ქართული (ქართლის) ტომის ენა, არამედ საერთო-სახალხო-საყოველთაო ენა. ჯერ კიდევ არიან-ქართლში ყოფნის დროს, ანუ ძვ. ქართული ენა – ყველა ქართული ტომის საერთო ენა იყო. (ხოლო ეკლესიის მამების სწავლებით, ყველა სატომო დიალექტები ერთიანი უძველესი ქართული ენის განშტოებანი იყვნენ. ეს მოსაზრება სულხან-საბას ლექსიკონშიცაა ასახული). ამოტომაც წერდა არსენ ბერი – მოძღვარი დავით აღმაშენებლისა – „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“. ე.ი. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენა იყო არიან-ქართველთა ენა, ანუ უძველესი ქართული ენა.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დას. საქართველოში მასიურად რომ გადასახლებულიყო IX-X სს-ში, ეს უთუოდ ეცოდინებოდა X ს-ის ქართული ეკლესიის ისტორიის სომეხ მკვლევარს უხტანესს, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხს. ის ეხება ქართველთა ეთნიკურ ვინაობას და სწორედ X ს-ში წერს, რომ ივერიელები ის ხალხია, რომელნიც პონტოს ზღვის პირზე (ლაზიკაში) დაასახლა ნაბუქოდონოსორმა, სადაც ეს ხალხი განმრავლდა, გადმოსახლდა აღმ. საქართველოში.

ასეთია X ს-ის სომეხი ისტორიკოსის აზრი. არც სომხურ და არც ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ოდნავი მითითებაც კი არ არის იმისა, რომ აღმ. საქართველოს მოსახლეობა გადასახლდა დასავლეთ საქართველოში, როგორც ამის შესახებ წერს П.Э. აქ უნდა ითქვას, რომ დას. საქართველოს მოსახლეობასაც I ს-ში იბერიულ ტომებად მიიჩნევდნენ. მაგ. სტრაბონის დროს, I ს-ში, ბერძენი ისტორიკოსებისა და მეცნიერების ერთი ნაწილი სვანურ ტომებს იბერიელებად მიიჩნევდა. ამიტომაც წერდა სტრაბონი, რომ „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“. ეს იბერიელებად წოდებული სვანები კი, სტრაბონისავე ცნობით, ბატონობდნენ ყველა მეზობელ ტომზე და ცხოვრობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე ბიჭვინთიდან (პიტიუნტიდან) სოხუმამდე (დიოსკურიამდე). ცხადია, სვანები უცხოელებისათვის იბერიელები იყვნენ თავიანთი ენითა და კულტურით. ქართულენოვანნი უნდა ყოფილიყვნენ სტრაბონისავე ჩვენებით შიდა კოლხეთში მცხოვრები მესხებიც სტრაბონისავე სიტყვით, აქ „მოსხთა ქვეყანაში“ იყო კოლხეთის უმთავრესი „ლევკოთეას“ სალოცავი. სწორედ იბერიელებად სახელდებული სვანები, მესხები, ქვემო იბერები ანუ ლაზები იყვნენ ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ფუძე-ქართული ენის მატარებლები, რომელსაც დაეფუძნა ძვ. ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენა, რომლის შექმნა შემუშავებაშიც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით მეგრელებსაც და სვანებსაც მიუღიათ მონაწილეობა. როგორც ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, პეტრე იბერის აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი იყო, წმ. წერილის

ქართველ მთარგმნელთა იმ პლეადის მეთაური, რომელმაც IV-V სს-ის მიჯნაზე ქართულ ენაზე უზადოდ გადმოიღო წმ. სახარება, ძვ. და ახ. აღთქმის წიგნები. ამით იყო გამოწვეული, რომ უძველესი ხანიდან, ვიდრე XIX-XX სს-მდე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთს, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძვ. ქართული ენა გამოიყენებოდა. მიზეზი ამისა იყო არა ქართიზაცია აღნიშნული ტომებისა, არამედ ის, რომ ეს ენა არასდროს ყოფილა სატომო, ერთერთი რომელიმე კუთხის ენა, არამედ პროტო, ანუ ფუძექართული ენის განვითარებას წარმოადგენდა და საერთო სახალხო ენა იყო ყველა ქართველური ტომისათვის.

ეკლესიის სწავლებით ქართულ ენას მფარველობდა თვით დედა ღვთისმშობელი. ექვთიმე ათონელს ღვთისმშობლის გამოცხადებით მიეცა ქართული ენის ცოდნის ნიჭი. უფრო ადრე, X ს-ში, ილარიონ ქართველის ეპოქაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავისი გამოცხადებით დაიცვა უცხოეთში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. კიდევ უფრო ადრე, ქართველთა საეკლესიო პატივისცემა ამ ენისადმი დამოწმებულია ისეთ უკვდავ ქმნილებაში, როგორიცაა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ვმადლობთ უფალს, რომ დადგა ჟამი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, აღარ არის ის ათეისტური დაუძლეველი მიჯნა, რომელიც აშორებდა ერთმანეთს მეცნიერებასა და სარწმუნოებას, მაგრამ ჩანს, ჯერ კიდევ დასაძლევია ჩვენს ცნობიერებაში შემორჩენილი მისი ნაშთები. მეცნიერების და სარწმუნოების ურთიერთდაახლოება XX ს-ში კარგად შეძლეს ფილოსოფოსებმა და ფიზიკოსებმა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი კონფერენციაც თავის სიტყვას იტყვის ამ მიმართულებით.

ჩვენს საერთაშორისო კონფერენციას საფუძველი ჩაუყარა საქართველოს უწმინდესმა პატრიარქმა ილია II-მ, მისი სულისჩამდგმელები არიან ჩვენი დიდი მეცნიერები ივერი ფრანგიშვილი და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ბ-ნი რამაზ ხუროძე.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სახელმწიფო ენასა და კულტურას – „განავრცო ენაი ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული“ (იქვე, გვ. 26)

ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სახელმწიფო მმართველობის სისტემები იყო იდენტური. მის განხილვამდე შევეხოთ სტრაბონისეულ (და სხვა ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების) ცნობათა თანხვედრას ძველ ქართულ წყაროებთან სამეფო ხელისუფლების შესახებ. კერძოდ, სტრაბონის ცნობით, იბერიის მეფეებს ირჩევდნენ მოსახლეობის I წრიდან გვარის უხუცესობისა და პატივის შესაბამისად. სწორედ ასეთივე გაგებისაა „ქართლის ცხოვრებაც“, რომლის მიხედვით ერთიანი საქართველოს სამეფოს ფუძემდებელი არის ფარნავაზი, რომელსაც „ქართლის მეფის“ ტიტული ჰქონდა. ამ წყაროს მიხედვით მცხეთელი მამასახლისის ძმისწულმა, ფარნავაზმა იპოვნა დიდი საგანძური და გადაწყვიტა ის გამოეყენებინა ქვეყნის გასათავისუფლებლად ალექსანდრე მაკედონელის პატრიკ აზონისაგან. ამ მიზნისთვის მან უპირველესყოვლისა, მიმართა ეგრისის გავლენიან პირს – ქუჯის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა წოდება ერისთავისა. საუკუნეთა მანძილზე, მკვლევართა ინტერესს იწვევს დიალოგი ქუჯისა და ფარნავაზს შორის, მზაობა ქუჯისა დამორჩილებოდა ფარნავაზს. იმხანად მართალია მდიდარ, მაგრამ გავლენის არმქონე ფარნავაზს ქუჯი ასე მიმართავს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლო-

ბა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი" (ქ. ც., ტ. I, გვ. 22) ამ დიალოგის არსს ჩვენ ფაქტიურად გვიხსნის სტრაბონის ცნობა, რომელიც ეხება იბერიაში მეფეთა გამორჩევის წესს. კერძოდ, სტრაბონის მიხედვით, იბერიაში მცხოვრები მოსახლეობა საზოგადოებრივად იყოფოდა ოთხ ფენად. პირველი ფენა იყო „უფალთა" – ყველაზე უფროსთა წრე – მათგან ირჩევდნენ მეფეებს, უფროსებს (ალბათ ძვ. ქართულად „მამასახლისებს") ნათესაობის, ხარისხისა და ასაკის შესაბამისად. (სტრაბონი, XI, 3,6).

ფარნავაზამდე ქართველებს, ამ წყაროს მიხედვით, ჰყოლიათ არა მეფე, არამედ მამასახლისი (11, 15, 16, 20, 22), რომელიც ყოფილა არა უბრალო, არამედ უფროსი თავის საგვარეულოში „გვარის უფროსი", „სახლთუფროსი" (ტერმინი "სახლი" ჩვენ გვხვდება „მოქცევაი ქართლისაი"-ში საქართველოს სახელმწიფოს არიან-ქართველთა მეფის ძის მიერ). მამასახლისი იყო „ქვეყნის უფროსიც" – „მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა (ქ. ც., ტ. I, გვ. 11) მამასახლისს უნდა მიმართონ მნიშვნელოვანი ამბების შესახებ, თავის მხრივ ის აუწყებს „ყოველთა ქართველთა" და გამოიკვლევს მათ თვალსაზრისს (ქ. ც., ტ. I, გვ.15) ქართლში შემოსული უცხოელები მოვალენი არიან მამასახლისს მიმართონ (იქვე გვ. 15) ქართული წყაროს „მამასახლისი" უნდა იყოს ის, რომელსაც სტრაბონი უწოდებს „უფროსი ნათესაობისა და ასაკის მიხედვით" და სტრაბონის დროს უკვე მეფედ ირჩევდნენ. („უფალთა" ანუ „I ხარისხის ადამიანების" წრიდან). მაშასადამე ფარნავაზი ვითარცა ძმისწული სამარ მამასახლისისა იყო თავის გვარში, ანუ „უფალთა წრეში" უფროსი ნათესაობის მიხედვით, ხოლო ამ „უფროსთა" შორის ის ასაკითაც „უხუცესი"იყო, თუმცა კი ახალგაზრდა, რადგანაც ჩანს მასზე უფრო ასაკოვანნი შემოსულ მტრებს დაუხოცავთ, როგორც მათ მოკლეს მამასახლისი სამარი. აქედან გამომდინარე ფარნავაზი „პირველი ხარისხის ადამიანთა" შორის (როგორც მათ უწოდებს სტრაბონი) უპირატესია. ამავე „უფალთა" წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ქუჯიც, ამითაა გამოწვეული მისი სიტყვები – „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩემი და მე ვარ მონა შენი" (ქ. ც., 5, გვ. 22) სტრაბონმა ფაქტიურად აგვიხსნა ამ სიტყვების მნიშვნელობა. ქუჯი და ფარნავაზი იბერიის ერთი წრის (ერთი საგვარეულოს) ადამიანები არიან. ამ წრის წესების შესაბამისად ფარნავაზის მიმართ, ვითარცა გვარში ნათესაობის ხარისხით უპირატესისა, ქუჯს თავისი მოვალეობანი აქვს. იბერიისა და კოლხეთის უმაღლესი და სამეფო წრეების ერთი წარმომავლობისა და ნათესაობის შესახებ ჩვენ ცნობებს გვაწვდიან სხვა ბერძენ-ლათინი ისტორიკოსებიც. ტაციტუსისა და სტრაბონის მიხედვით იბერები და იბერიის მეფეები წარმოშობით თესალიელები არიან, რომელნიც დასახლდნენ კოლხეთში, ხოლო თესალიელები მედეა კოლხელის ძის თეტალოსის სახელის მიხედვით არიან სახელდებულნი. თეტალოსი-თესალიის ეპონიმია. „თეტალოსი, რომელიც დედის მიერ მოკვლას გადაურჩა... იასონის სამშობლო იოლკოსში მივიდა, აქ მემკვიდრეობის შესაბამისად. სამეფო ხელისუფლება მიიღო და ქვეშევრდომებს საკუთარი სახელის მიხედვით თეტალელები უწოდა (დიოდოსე სტილელი „ისტორიული ბიბლიოთეკა" I, 55, 2, წიგნში – ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, III, 1976, გვ.49)

თავის მხრივ თესალიის ისტორიული მოსახლეობა პელაზგური იყო – ისინი ტროას ომამდე გადასახლებულან ალპებსა და აპენინის მთებს შორის ძვ. წ. 387 წ. მათ შეებრძოლნენ გალები და გარეკეს. აქ მათ ტირენელები ერქვათ (იქვე, გვ. 71).

ტაციტუსის მიხედვით იბერებსა და კოლხებს ერთი სამეფო დინასტია ჰყავთ

იასონისაგან დაფუძნებული, საერთოდ იბერიელები კოლხებში არიან წარმოშობილნი. მას შემდეგ, რაც იასონი მეორეჯერ ჩამოვიდა კოლხეთში, რომელიც იმჟამად გაუკაცრიელებული იყო. აქ ის გამეფდა და საფუძველი დაუდო იბერიელ ხალხს. ტაციტუსი წერს – „იბერები და ალბანელები ამბობენ, რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ (უმეფო) კოლხეთში" (ტაციტუსი, ანალიები, XI, 3, 4, წიგნიდან ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, 1973, გვ. 55).

ტაციტუსის ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ანტიკურ-რომაული სამყარო მათ თანამედროვე კოლხებს და იბერებს ერთი წარმოშობის, ერთ ეთნიკურ მთლიანობად მოიაზრებდა. ასევე სტრაბონიც, როცა ის მაგალითად კოლხეთში დიოსკურიის მახლობლად მცხოვრებ სვანებზე საუბრობს იბერიას იხსენებს, მიაჩნია, რომ მთელი ამ არიალის მოსახლეობას „აგრეთვე ზოგიერთები უწოდებენ იბერიელებს – დასავლეთის მსგავსად, ოქროს ქვიშის გამო, რომელიც ორივე ქვეყანაშია (სტრაბონი, Xი, 2-19) ასეთი მაგალითი მრავალია, როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან აიგივებენ ან ანათესავებენ წარმოშობის თუ სხვა თვისებათა გამო. აქედან გამომდინარე, ქართველ მემატიანეთა მსგავსი თვალსაზრისის ასახვა ისტორიული ფაქტი უნდა იყოს. ქუჯი ერისთავისა და ფარნავაზ მეფის ურთიერთმიმართება მათი „I წრის ადამიანების" საგვარეულოს წევრობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ცხადია ჩვენი დამოკიდებულება

**23.05.05.**

## მიტროპოლიტ ანანიას მისასალმებელი სიტყვა თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავზე

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

თქვენო აღმატებულებავ ბატონო რექტორო, ბატონებო და ქალბატონებო

ხუთმა წელმა განვლო თეოლოგიის კათედრის დაარსებიდან, მართალია ეს არაა დიდი დრო, მაგრამ ჩვენი კათედრის მეგობრებმა – პროფესორ-მასწავლებლებმა და ასევე ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს თარიღი, რადგანაც მიაჩნიათ, რომ კათედრის დაარსება გარკვეულწილად მნიშვნელოვანი მომენტი იყო. მათ მიერ გამოთვლილ იქნა, რომ ხუთი წლის მანძილზე კათედრის მიერ თეოლოგიის საფუძვების ლექციების კურსი მოისმინა 30 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შთამბეჭდავი რიცხვი. მართლაც თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს, XXI ს. დასაწყისში ჩვენი საზოგადოება გარკვეულწილად ჯერ კიდევ იმყოფებოდა ათეისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ამ ვითარებაში თეოლოგიის კათედრას ფუნქციური დატვირთვაც მიენიჭა.

მისი უწმიდესობის კურთხევით კათედრის პედაგოგ-მასწავლებლებად მოწვეული იქნა საქართველოს გამორჩეული მოღვაწეები და სასულიერო პირები, მათ დაეკისრათ ღვთისმეტყველების საფუძვლები გაეცნოთ ახალგაზრდებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თბილისელების გარდა აგრეთვე სწავლობს რეგიონებისა და მთიანი რაიონების მკვიდრი მრავალი სტუდენტი, რომელთაც იქამდე ათეისტური რეჟიმის გამო, არავითარი შეხება და ურთიერთობა არ ჰქონიათ სასულიერო

პირებთან, ხოლო მასმედია და ტელევიზია პირიქით ათეული წლების მანძილზე სასულიერო პირებს წარმოაჩენდნენ ვითარცა არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ადამიანებს, ასეთ ფონზე თეოლოგიის ლექციებმა იქამდე შეუვსებელი ნიში დაიკავა. ამ ლექციების დროს საულიერო პირებთან პირადი კონტაქტების მეშვეობით სტუდენტები დარწმუნდნენ, რომ ისინი არან მათთვის მზრუნველი და მათი მოყვარული ნამდვილი სულიერი მამები. ამასთანავე ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ და ერთმანეთისათვის შეედარებინათ ერთი მხრივ მასმედიის ზნეობრივი ნიჰილიზმის დამამკვიდრებელი მასალები და მეორე მხრივ სულიერი მამის მიერ ნაჩვენები, ღვთის მცნებებზე დაყრდნობილი ზნეობრივი გზა. ამით მათ მიეცათ არჩევანის გაკეთების საშუალება. „გზა ორია", ნაბრძანებია 12 მოციქულის სწავლაში, რომელსაც ასევე დიდაქე ეწოდება, „გზა ორია – ერთი კეთილისა და ერთი ბოროტისა, მე მოგიწოდებ, ბრძანებს მოციქულის პირით უფალი – აირჩიე კეთილი", ამიტომაც ვფიქრობ ის, რომ თეოლოგიის კათედრამ სტუდენტებს საშუალება მისცა არჩევანისა და აგრეთვე რომ 30 ათასზე მეტ სტუდენტს საშუალება მიეცა პირადი კონტაქტი დაემყარებინა ჭეშმარიტების მასწავლებლებთან ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტია. მათ შორის მრავალი ეკლესიური გახდა, მიიღო მადლი აღსარებისა და ზიარებისა.

*თეოლოგიის საგნობრივი ჯგუფის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი, ვითარცა საქართველოს მოქალაქეს, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში ისტორიული, რელიგიური და კულტურული რეალობების გათვალისწინებით, მიაწოდოს მას ცოდნა და ინფორმაცია, ამასთანავე დაეხმაროს, რათა გამოიმუშავოს ისეთი უნარ - ჩვევები, რომელიც მოამზადებს მას (სტუდენტს) აქტიური მოქალაქეობისთვის პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს წინაშე, რათა შეიცნოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, გამოიმუშავოს პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი და სხვა კულტურების (მათი წარმომადგენლების) მიმართ, ამასთანავე განუვითარდეს, გაუღრმავდეს, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ღირსება და სამართლიანობა.*

*თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ლექტორი იცავს სტუდენტის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას და არ ერევა სტუდენტის უფლებაში, რომ ნებაყოფლობით აირჩიოს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა; შესაბამისად, შეუძლებელია ლექტორს დაეკისროს ისეთი ვალდებულება, რომლითაც ის შელახავს სხვათა უფლებას. დაუშვებელია რელიგიური პროზელიტიზმის მიზნებისათვის გამოყენება, მაგრამ, ამასთანავე, ლექტორი მოვალეა ისაუბროს სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეიმეცნონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების მნიშვნელობა.*

*ლექტორი თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება და რწმენის თავისუფლება.*

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით (№ 01-16-01/13399.17.08.2006) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" (მე-3, მე-8, მე-13, მე-18 მუხლები) „და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგე-*

*ბის მემორანდუმი", რომელიც გაფორმდა 2005 წლის 22 იანვარს, რომლის თანახმადაც ამ მემორანდუმის პირველი „ბ" მუხლის შესაბამისად შემუშავებული არის თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის ერთი ნაწილის სახელმძღვანელოები და პროგრამა.*

*თეოლოგიის დარგთაგან უძველესი ხანიდანვე საქართველოში გამორჩეულად შეისწავლებოდა საისტორიო ღვთისმეტყველება, თუმცა არც მისი ეგზეგეტიკური, სისტემატური და პრაქტიკული ნაწილები იყო უყურადღებოდ დატოვებული.*

*საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია სწავლობდა ქრისტიანულ საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების - პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენდა.*

*საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ვითარცა საისტორიო საღვთის-მეტყველო ნაწილის შესწავლის ძირითადი მიზანია შეცნობა ჭეშმარიტებისა, ვითარცა თავისუფლების (პიროვნული, ეროვნული, საეკლესიო და სხვ.) საფუძველისა.*

*მაცხოვარი ბრძანებს: „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ" (იოანე, 8, 32).*

*წმინდა მამები კი აღნიშნავდნენ: „თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან" (III მსოფლიო კრების მერვე კანონი, „დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 267).*

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინების შემდეგ ქართველთა ევროპულ ოჯახში საბოლოოდ დასამკვიდრებლად უთუოდ უნდა გავამრავლოთ უდიდესი სიმდიდრე ქართველი ერისა – გავაძლიეროთ უდიდესი ეროვნული საგანძური – ქრისტიანობა. ევროპა ძირითადად ქრისტიან ერთა კავშირი არის, ამ კავშირის ბუნებრივი წევრი არის საქართველო უკვე 2000 წელია წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდგომ. იმედი გვაქვს თეოლოგიის კათედრა მისი უწმიდესობის ლოცვით ერის ამ სიმდიდრეს კიდევ უფრო გაამრავლებს.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას ვწირავთ მის უწმიდესობას თეოლოგიის კათედრის კურთხევისათვის, იმედი გვაქვს ღვთის დიდი მოწყალებითა და მისი უწმიდესობის ლოცვით თეოლოგიის კათედრა იქცევა მნიშვნელოვან სასულიერო და კულტურულ ცენტრად. უღრმესად ვმადლობთ ათეულობით პროფესორ-მასწავლებლებსა და მოღვაწეებს, რომელთაც მართლაც თავდადებულად იშრომეს თეოლოგიის კათედრის დასაარსებლად და მის გასაძლიერებლად. უღრმესად გმადლობთ და გლოცავთ მისი უწმიდესობის ლოცვით.

**14 თებერვალი 2007 წ.**

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა 2007 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში ილია II-ის ინტრონიზაციის 30-ე წლისთავზე მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,
თქვენო ყოვლადუწმიდესობავ,
**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**
თქვენო უნეტარესობავ,
მაღალყოვლადსამღვდელო მეუფენო,
მამანო, ძმანო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო,

მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმიდესობამ ამ 30 წლის წინ, ჩაიბარა უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ თუ რა წარმატებებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ ათასწლეულს, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები – „ვითარცა ორბისა განახლდა სიჭაბუკე მისი“, ის ფრთებს ისწორებს, რათა ბუდიდან აფრინდეს და მიწიდან ზეცამდე სულიერად აღამაღლოს ქართველი ერი.

ერთ ძველ, საუკუნეთა წინანდელ ხელნაწერში, ჩვენი ეკლესიის დამაარსებელი შედარებულია არწივს და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, თქვენ, თქვენო უწმიდესობავ გაგიშლიათ არწივის ფრთები და თქვენს ფრთეთა ქვეშე იკრებთ სრულიად საქართველოს ერს, ყველა მართლმადიდებელს განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, ყველა მოქალაქეს, დიდსა თუ მცირეს, ქვეყნის მმართველებს, პიროფლიან სოფლის მუშაკებს, რომელთა ლოცვა ახლოს არის უფრო უფალთან, თქვენ იკრებთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, სამშობლოს მცველ ჯარისკაცებს, ახალ თაობას, იმედსა და მომავალს ერის.

თქვენ ჭეშმარიტად ბრძანდებით მამა სამშობლოისა.

დღევანდელ დღეს, შეუძლებელია არ გავიხსენოთ წარსული, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები – „ვიგონებდი ადრინდელ დღეებს, გარდასულ წლებს“ (ფსალ. 76(77)), ანდა „ჩავუკვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და შენს საქმეებზე ვისაუბრებ“ (იქვე).

თქვენი ყოველდღიური საქმით და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი, არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეთიკისა. ყველა ჩვენგანმა მცირედან დიდამდე ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით – წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა?

რამდენი ახალი ეკლესია, მონასტერი და საეპისკოპოსო შემატეთ უფლის სამწყსოს, რამდენი წინაპართა მიერ წამოწყებული, მაგრამ ამჟამად დავიწყებული საქმე განაახლეთ, რამდენი სიკეთის მიზეზად იქცა თქვენი სიტყვა და ზრახვა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას ანუ სრულიად საქართველოს მრავალი დიდი წინაპარი ჰყავდა, როცა ვათვალიერებთ მათ მატიანეებს და ვადარებთ თქვენს მაგალითს, ჩვენს თვალწინ ამომზეურდება წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ცხოვრება. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა თქვენი სულიერი წინაპარი, მასზე ბრძანებს მემატიანე – „დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელი, ადვილად წარმართა“, ჩვენი ერი ელის, რომ გაკეთებულის გარდა

თქვენ კიდევ მრავალს შეძლებთ, მაგრამ გაკეთებული, მართლაც უდიდესი საქმეები, რომელიც თქვენ აღასრულეთ, გარედან შეხედვით ადვილად, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რაოდენი თქვენი დიდი შრომა დასჭირდა მათ წარმართვას, ჭეშმარიტად ღვთის გარეშე შეუძლებელთ.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად თქვენ გაქვთ მტკიცე ხელი, რომლის მორიდებით 30 წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი, თქვენი მორიდებით და კრძალვით ვერავინ იკდრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეული კირიონ I-ის კათალიკოსობის დროს, 1400 წლის წინ, აშენდა ჯვრის წმიდა მონასტერი VII ს. დასაწყისში, ჩვენი ქვეყნის სპარსთა მიერ მფლობელობისას. იმ ეპოქაში მონოფიზიტებმა ისიც კი შეძლეს, რომ ჩვენი მრევლის ერთი ნაწილის ეკლესიებში ღვთისმსახურება სომხურ ენაზე დანერგეს დამპყრობელთა მხარდაჭერით. ქართული ენის დასაცავად ხმა აიმაღლა კირიონ I-მა. მართალია, პირადად მას ძვირად დაუჯდა, მაგრამ მან შეძლო და აღუდგინა ქართველ ერს ქვემო ქართლში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, კირიონის მსგავსად დღესდღეობით ქართული ენის დაცვა, თქვენო უწმიდესობავ, თქვენი ზრუნვის საგანია. მისი უფლებები მსგავსადვე შეიბღალა XIX-XX სს-ში რუსული იმპერიის წიაღში, თქვენ კვლავ უბრუნებთ ქართულ ენას თავის ნამდვილ სამეცნიერო სახელს, ადგილსა და ღირსებას. თქვენი დიდი წინაპრის მსგავსად იცავთ ენას, რომელსაც თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მფარველობდა წმიდა ილარიონ ქართველისა და წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების მიხედვით. ჩვენ ეს ასევე ვიცით ასურელ მამათა ცხოვრებიდან, როცა მათ, მოციქულთა მსგავსად სულიწმიდის მიერ, ერთ წამში „წამისყოფით ზეციდან შეისწავლეს“ ქართული ენა. კირიონის ჟამის მსგავსად დღესაც ესაჭიროება ქართულ ენას დაცვა და მფარველობა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის კათალიკოს კორიონის მიერ აგებული ჯვრის მონასტრის 1400 წლისთავზე, რომლის მშენებლობა IV ს-ში რევ მეფის დროს დაიწყო VII ს. დასაწყისში დამთავრდა, ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ კირიონის სიტყვებს „რჯული იერუსალიმიდან გვაქვს“ გამოთქმულს მონოფიზიტებთან კამათისას, კათალიკოსი ამით ბრძანებდა, რომ მართლმადიდებლობა თვით მოციქულთაგან გვაქვს მიღებული. იერუსალიმი იმჟამად ქართველთა რელიგიური კერა იყო, რადგანაც იერუსალიმში არსებული ათეულობით ქართული ეკლესიიდან და მონასტრიდან იღებდა საქართველო სულიერ ძალას. სამწუხაროდ, იერუსალიმის სიწმიდეები ბოლო საუკუნეებში დაკარგა ქართულმა ეკლესიამ, მაგრამ კირიონის მსგავსად, ჩვენმა უწმიდესმა პატრიარქმა აქაც გადადგა პირველი ნაბიჯები და ჩასახა იმედი, რომ არა მხოლოდ იერუსალიმსა და ათონის წმიდა მთაზე, არამედ სინას მთაზეც ქართული ეკლესია აღიდგენს წარსულის დიდებას და ლოცვით მომავალს.

მართლაც, თქვენი პატრიარქობის პირველ წლებში, სინას მთაზე თქვენი ლოცვა წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს უდიდესი მადლი – ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო – სწორედ თქვენი პატრიარქობის ჟამს მიმადლა უფალმა ქართველ ერს. ასევე თქვენი ლოცვით და შრომით დაგვირგვინდა თითქმის თანაფარდი – ავტოკეფალური მოძრაობა.

თქვენი ბუნებითი საქმე სიყრმიდანვე იყო ლოცვა და თქვენ ქართველ მორწმუნე ერს აჩუქეთ შვიდგზის ლოცვის ჩვევა, რომ დღეში შვიდჯერ ადიდონ უფალი, ამ საყოველთაო ლოცვამ ააღორძინა სარწმუნოება, ხელახლა მოაქცია აჭარა და სრულიად საქართველო.

ჩვენ ამჟამად ვდგავართ ადგილზე, სადაც მეფე მირიანის ბაღი იყო გაშლილი, აქ წმიდა ნინომ იხილა ბაბილო-მაღლარი ვენახი, რომლის ნაყოფი იყო ფრიადი, ფურცელნი მშვენიერნი, მისი ტოტები ქვეყნის კიდემდე იყო გადაშლილი, ხოლო რტოებში ივანებდნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მხრიდან მოფრენილი ცის ფრინველები, ასევე დღევანდელ დღეს თქვენს გარშემო შემოკრებილია ქვეყნიური ანგელოზები – მსოფლიო პატრიარქი და მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, პატიოსანი მამები, ერი და ბერი.

თქვენი ღონიერი წინამძღოლობით მჯერა თქვენ აფხაზეთშიც – ივერიის პატრიარქების უძველეს ბიჭვინთის კათედრაზე დადგებით და ილოცებთ ერთობლივი საქართველოსათვის, ბიჭვინთიდან, სადაც უფალ ღმერთს 1000 წლის მანძილზე ქართული ენით უფალს ადიდებდნენ მწირველი მამები.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი შესთხოვს უფალ ღმერთს თქვენს ხანგრძლივ მრავალჟამიერ სიცოცხლეს. მადლიერი სამწყსო, სამწყსო იმ ეკლესიისა, რომელიც 30 წლის წინ ჰპოვეთ სიმდაბლედ შთასული და თქვენი მძლავრი მარჯვენით კი აღამაღლეთ უფლის შეწევნით,

ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე,

ამინ.

14.10.07.

## მიტროპოლიტ ანანიას მისალოცი სიტყვა ილიაობის დღესასწაულზე, 2008

თქვენო უნეტარესობავ,

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

დღეს წმიდა ეკლესია იხსენიებს დიდ წინასწარმეტყველ ილიას, რომლის მადლი ქრისტეშობამდე საუკუნეთა წინ ეფინებოდა ისრაელის მიწას, ამ მადლის მტვირთველად იბერიაც იქცა. მისი წმიდა ხალენით, რომელიც ამ წმიდა ტაძარშია დავანებული.

უფლისმიერი მადლის მატარებლობა არ შეუწყვეტია ივერიას ათასწლეულთა მანძილზე, ამის ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნევთ სიყვარულის საოცარ გამოხატულებას ქართველი ერისა თვისი პატრიარქის მიმართ. მორწმუნეთათვის დღეს ილიაობა, ანუ საქართველოს უწმიდესი პატრიარქის ანგელოზის დღე. ურთულესი ათეისტური რეჟიმის შემდეგ, შეიძლება ითქვას ხალხმა დაკარგა მხურვალე სარწმუნოებრივი სიყვარული, მის გულში დაისადგურა გულგრილობამ და ნიჰილიზმმა, სწორედ ასეთ დროს უფალმა ერს უბოძა მოციქულთასწორის ძალით შემოსილი პატრიარქი, რომლის სითბომ და სიყვარულმა კვლავ აღანთო გულთა მხურვალება, სასოება მაცხოვრის მიმართ, აღორძინდა ქრისტიანული სული. ესაა თვალნათელი ფაქტი და მის უდიდეს მნიშვნელობას ყველა გრძნობს, ამიტომაც დღეს ეპარქიებიდან და რაიონებიდან მოისწრაფიან მოხუცები და ახალგაზრდები, დიდი და მცირე, რათა პირადად მიულოცონ უწმიდესს ანგელოზის დღე, შეეხონ და პირადად მიიღონ მისგან მადლი. ოჯახებში დღეს უთუოდ საზეიმოდ ადღეგრძელებენ და ილოცებენ საქართველოს უწმიდესი პატრიარქისათვის. საქარველოს წმიდა სინოდის სახელით მე ბედნიერი ვარ მივულოცო მის

უწმიდესობასა და უნეტარესობას ანგელოზის დღე და შევთხოვ უფალს მის მრავალჟამიერ დღეგრძელობას.

ამ დღეებში ჩვენს ქვეყანას ლოცავს ალექსანდრიის ყოვლადუნეტარესი პატრიარქი, რომელიც XIII მოციქულად იწოდება, საქართველოში საისტორიო კვლევების თანახმად იმყოფებოდნენ წმიდა მოციქულები ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი. ამიტომაც საქართველოს ეკლესიას სამოციქულოს უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები. მოციქულებრივი დიდი ღვაწლის გამგრძელებელია ყოვლადუნეტარესი თეოდორე, რომელიც ასევე ლოცულობს ჩვენი ქვეყნისათვის და მას ჩვენ ყველანი სიყვარულით მივესალმებით.

მინდა ვისარგებლო ამ დიდებული მომენტით და მოგახსენებთ თქვენო უწმიდესობავ, რომ მანგლის-წალკის ეპარქიის სოფლებიდან დღეს საგანგებოდ ჩამოვიდა მრევლი თქვენგან კურთხევის მისაღებად, ყველა სოფლიდან, მათ წარმომადგენელს სურვილი აქვს გადმოგცეთ საგანგებო მოსაკითხი მანგლის-წალკის ეპარქიის სახელით, მდაბლად ვითხოვ თქვენს კურთხევას.

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის „უფლის კვართის ორდენით“ დაჯილდოებისას

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

დღევანდელ დღეს განსაკუთრებული რუდუნებით ელოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები. ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავრებს, წმიდა მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, და მათი სახით სრულიად საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, სურვილი აქვთ დღეს აღისრულონ დიდი ხნის ოცნება, გამოხატონ განსაკუთრებული სიყვარული, შვილური მოკრძალება თქვენს მიმართ, თქვენი წმიდა ნახევარსაუკუნოვანი დაუცხრომელი მოღვაწეობის მიმართ და მოგიძღვნან თქვენს შრომასთან შედარებით მართალია მცირე, მაგრამ გულწრფელი ჯილდო, რომელსაც ეწოდება „წმიდა კვართის ორდენი“.

წმიდა სინოდის წევრების თვალსაზრისით „კვართის ორდენი“ არის და იქნება საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის ყველაზე უფრო საპატიო ჯილდო, განსაკუთრებული ღვაწლისა და წარჩინების ნიშანი, რომლითაც დღემდე არავინ დაჯილდოვებულა.

ჩვენი წმიდა მღვდელმთავრები დიდხანს მსჯელობდნენ მისი სახელდების შესახებ, და ბოლოს გადაწყდა მისთვის „წმიდა კვართის ორდენის“ წოდება. მართლაც, საქართველოს უდიდესი და უპირველესი სიწმიდე, გონებამიუწვდომელი საგანძური არის წმიდა კვართი ჩვენი უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, რომელიც ღვთის მოწყალებით საუკუნოდ მოებარა ჩვენს ქვეყანას და დაკრძალულია ამ წმიდა ტაძარში. წმიდა კვართს, I საუკუნეში,

თავისი ხელით შეეხო საქართველოს მეფე ადერკი, რითაც კურთხევა მიიღო მან და საქართველოს მმართველმა სამეფო დინასტიამ, უფლის წმიდა კვართზე დაეფუძნა სამოციქულო საყდარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისა, უფლის კვართს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო წმიდა ნინომ, ქართველთა განმანათლებელმა, რადგანაც კვართი ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის მთლიანობისა, მუდმივი სიქადული ჩვენი ქვეყნისა. კვართი არ გაუყვიათ, არ დაუნაწილებიათ, რადგანაც მას მამისაგან მაღლით ერთიანობა ჰქონდა მიცემული. კვართის მთლიანობა მოასწავებს მისი მცველი ქვეყნისა და ერის ერთიანობასა და მთლიანობას. კვართის საიდუმლოთი უფალმა ერთიანობაზე მიგვანიშნა.

თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს ერთიანობას, მისი ერისა და ეკლესიის მთლიანობას მიუძღვენით თქვენი ხანგრძლივი 30-წლიანი საპატრიარქო მმართველობის წლები, იქამდე კი სამღვდელმთავრო მოღვაწეობისა, ამიტომაც ორდენისათვის „წმიდა კვართის“ სახელდება გადაწყდა.

მე ბედნიერი ვარ გავახმოვანო წმიდა სინოდის განჩინება აღნიშნულთან დაკავშირებით:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ყოვლადწმიდაო სამებაო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, დიდება შენდა!

იშვებენ ერნი და განსცხრების ეკლესია სრულიად საქართველოისა და იხარებენ წმიდათა ბრძენთა კრებულნი, რამეთუ მოგვმადლე მწყემსი კეთილი, კლდე სარწმუნოებისა და პირი ქრისტესი, მცველი კვართისა საუფლოისა, რომელმან, ვითარცა ოდესმე დიდმან ანდრია და წმიდამან ნინო, შეგვკრიბნა განბნეულნი ცხოვარნი შენნი და მოგვგვარა შენ, ღმერთსა მაღალსა და მართალსა, ოხითა ღვთისმშობელისაითა, რაითა ვიყოთ სამწყსო შენი და შენ იყო ღმერთი ჩვენი! ამინ!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დაწესდა უმაღლესი საეკლესიო ჯილდო „უფლის კვართის ორდენი“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატრიარქო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით, უღმრთოებასა შინა დანთქმისა წინაშე მყოფი ერის ღმრთისაკენ შემობრუნებისა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაში მისი გამთლიანებისათვის წმიდა სინოდმა განაჩინა – **დაჯილდოვდეს „უფლის კვართის ორდენით“ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.** საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი“.

**14.10.2008**

# მიტროპოლიტ ანანიას მისალოცი სიტყვა პატრიარქის აღსაყდრების 31-ე წლისთავის იუბილეზე

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

შვილნი საქართველოს წმიდა ეკლესიისა, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, თქვენი აღსაყდრების სასიხარულო დღეს პირად დღესასწაულად თვლიან.

თქვენ მუდამ ბრძანდებით მშვიდობისა და სამართლის, იმედისა და წყალობის ნავთსაყუდელი, საყრდენი სავანე ქართველთა მტკივანი გულებისათვის, როგორც იოანე მახარებლისათვის იყო მკერდი უფლისა, რომელზეც ისვენებდა.

აგვისტოს შემაშფოთებელი თვის შემდეგ, რაც საქართველოს ჩამოგლიჯეს თავისი ნაწილები, რაც წმიდა მეფის თამარის მიერ აგებული სოფელი თამარაშენი აღიგავა პირისაგან მიწისა და სხვა ათასწლოვანი სოფლებიდან განდევნეს ხალხი, ჩვენში დაისადგურა ეგოგვარმა უიმედობამ, მაგრამ სულმნათი აკაკი ბრძანებს – „გმირს წინა უძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი“. თქვენი ლოცვით გვაქვს მოლოდინი საქართველოს მომავალი დიდებისა, თქვენი ღვაწლი გვაფიქრებინებს, რომ ივერიის გაბრწყინების წინა სიძნელეთა ხანა წარსულს ჩაბარდება. უფალი მოწყალეა ჩვენი ერისა, ამის მარწმუნებელი მაგალითი ბრძანდებით პირადად თქვენ, რომელმაც აგვისტოს მწარე დღეებში შეიმოსეთ ახოვანება, დადეთ სული და თავი, მტრის ბომბდამშენებისა და არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოინახულეთ ნიქოზის ეპარქიის შეშინებული მოსახლეობა და ამით საქართველოს ხალხი დააიმედეთ.

თქვენს მიერ აღორძინებულმა საქართველოს ეკლესიამ იმ დღეებში აჩვენა თავისი ძალა – მრავალთა მიერ მიტოვებული მოქალაქეების, ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და უძლურების დამხმარე იყო თქვენს მიერ გამხნევებული სამღვდელოება, ამით მათ აღასრულეს თავისი ვალი წინაშე ღვთისა.

სასუფევლის კარის გასაღები მოყვასისათვის თავდადებაა. დღევანდელ საცისკრო სახარებაში ნაბრძანებია იგავი კეთილი მწყემსის შესახებ – „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის“ (იო, 10, 11), ხოლო სასყიდლით დადგინებული – მოსული მგლის დანახვისას ტოვებს ცხვარს და გარბის, მგელი კი იტაცებს და ფანტავს მათ.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა გამარჯვებათა წინ, პირველ რიგში, გამოაწრთო სულები თავისი ჯარისკაცებისა. სიმხნევე, სიმამაცე, პატრიოტიზმი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგა მათ. პეტრიწონის მონასტრის ბერების ტიპიკონშიც კია ნაბრძანები – „ქართველნი ვართ მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი“. საქართველოს ეკლესიის მამები, მსახურნი უფლისა ანუ სიყვარულისა, წარსულის ძნელბედობათა ჟამს, როგორც ამბობდნენ, კვდებოდნენ არა საკუთარ სარეცელზე, არამედ დაუზოგავად ღვრიდნენ სისხლს მოყვასის გადასარჩენად, თუმცა, თვითონ საქართველოს მტრების მახვილით იღუპებოდნენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ ომებისა და სისხლისღვრის გარეშე, ქართველი მამები და დედები, თქვენი ლოცვით, უფრო მეტი ერთგულებით აღასრულებენ თავიანთ საუფლო ვალს, მოყვასისა და ერის გადარჩენისათვის.

ჩვენი ერის დასამშვიდებლად, საყოველთაო მშიდობისა და იმედის დასანერგადაა გადადგმული თქვენი ყოველი ნაბიჯი უფლის გზაზე. ამ ბოლო დღეებში ეს კარგად გამოჩნდა. მშვიდობისმყოფელებს ლოცავს მაცხოვარი,

როცა ბრძანებს – „მშვიდობასა ჩემსა მოგცემთ თქვენ“.

„რაკი სარწმუნოებით გამართლებული ვართ, მშვიდობა გვაქვს ღვთის მიმართ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“ (რომ, 5, 1) – ბრძანებს პავლე მოციქული. იქვეა ნაბრძანები „გასაჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება – სიმტკიცეს, სიმტკიცე – სასოებას“ (რომ, 5, 3-4). სასოება კი ღვთის სიყვარულს გვინერგავს.

ჩვენ ვმადლობთ უფალს ყველაფრისათვის, ვმადლობთ იმ უდიდესი წყალობისათვის, რომელიც უბოძა ქართველ ერს თავისი პატრიარქის სახით, რომლის აღსაყდრების დღე ეროვნული დღესასწაულია.

თქვენო უწმიდესობავ, უფალმა ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე, ამინ.

**25 დეკემბერი, 2008 წელი**

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა სვეტიცხოვლის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე

თქვენო აღმატებულებავ,
თქვენო ყოვლადუწმიდესობავ,
**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**
ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მამანო, ბატონებო

სრულიად საქართველოს ერი ამ დღეებში სიხარულით ეგებება მეათესე წლისთავს ტაძრისა, რომლის წიაღშიც განისვენებს განძი მსოფლიო ქრისტიანობისა – კვართი უფლისა. ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა მელქისედეკმა ინება სარკინოზთა შემოსევებით შებღალული სვეტიცხოვლის განახლება. იმჟამად იდგა რთული პერიოდი. თბილისი ჯერ კიდევ არაბი ამირების ხელში იყო, ხოლო საქართველო რამდენიმე სამეფოდ დაშლილი. მაგრამ იგრძნობოდა, რომ იბადებოდა ახალი კურთხეული ჟამი. საფუძველი ეყრებოდა საქართველოს აღდგომასა და განახლებას. იყო კიდეც წინასწარმეტყველება, რომ ქრისტეშობიდან მეათასე წელს უნდა დაწყებულიყო აღორძინება ივერიისა.

იმჟამად ძველი დიდებული ივერია, ვითარცა არწივი ფრთებს ისწორებდა და ელოდა პატრიარქის კურთხევას, რათა ახალი ძლიერებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ოქროს ხანისათვის, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქისათვის. მართლაც, ეს კურთხევა აღასრულა მელქისედეკ კათალიკოსმა ვახტანგ გორგასლის მიერ ნაგები სვეტიცხოვლის განახლებით.

წმიდა მელქისედეკი თავის „მოსახსენებელში მცხეთის საყდრისადმი“ წერს – „შევამკე ყოველივე სამკაულითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო

სტოათა მოქმნითა და ზედადაბურვითა“. მას გასაკუთრებულად ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით მოუჭედია ტაძარში მდგომი, უფლის კვართზე დაფუძნებული სვეტი, რადგანაც კვართი უფლისა ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ერის მთლიანობისა, მუდმივი სიქადული ჩვენი ქვეყნისა. ამ კვართს მამისაგან მადლით მთლიანობა ჰქონდა მიცემული – „იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად“ (იოანე, 19, 23-24), ამიტომაც მისი დანაწევრება არ შეიძლებოდა, ის დასაცავად მიებარა ქართველ ხალხს. მისი მთლიანობა აპირობებდა ეკლესიისა და ერის ერთობას.

სვეტიცხოველი, ვითარცა უფლის ნათელი სვეტი, მუდამ უნათებდა ქართველ ხალხს გზას ღვთისაკენ და მუდამ იყო ნიშანსვეტი ერის სარწმუნოებრივი გულმხურვალებისა, ღვთისადმი თავგანწირვისა, გული ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერებისა. ათასწლეულის მანძილზე საქართველოს წმიდა ეკლესიასთან კავშირში ცხოვრობდა ქართველი ერი და მტკიცედ იცავდა წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას. I-II საუკუნეებში ქრისტიანობის მიღებით ქართველმა ერმა წარმოაჩინა, რომ საქართველო მუდამ იყო ნაწილი ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციისა. გაქრისტიანების შემდგომ ის გაემიჯნა წარმართულ აღმოსავლეთს და დაუკავშირდა ქრისტიანულ დასავლეთს. ამასთანავე, მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვისა. საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ფაქტობრივად წარმოადგენდა ევროპულ-ქრისტიანული სივრცის აღმოსავლეთის ბასტიონს, რომელსაც ამის გამო საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ აღმოსავლეთის არაქრისტიანი იმპერიები. იმჟამად საქართველოს დაცვა – ევროპული ცივილიზაციის დაცვასაც ნიშნავდა, რადგანაც ის იყო მისი ერთ-ერთი ფაქტორი, მისი სასაზღვრო ჯებირი.

ქართველმა ხალხმა ქრისტიანული ცივილიზაცია გაამდიდრა საკუთარი კულტურით, რომლის საფუძველი იყო ქართული ენა და დამწერლობა. IV-V საუკუნეებში იყო საცდური იმისა, რომ იმჟამად საერთაშორისო ბერძნული და ლათინური ენები ქცეულიყო ქართველთა საეკლესიო და კულტურის ენად, მაგრამ სახელმწიფო მესვეურთა და IV-V საუკუნეების ქართველ პირველმთარგმნელთა დიდი ღვაწლით მალევე ითარგმნა ქართულად წმიდა წერილი. საქართველოს ყოველ კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოსა თუ კლარჯეთში. ქართული ენა კვლავ დარჩა კულტურის სარწმუნოების, ადმინისტრაციისა და ურთიერთობის ენად ისევე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეების საქართველოში ფარნავაზ მეფის შემდგომ. უფრო მეტიც, ახალი უკვე ქართულენოვანი საეკლესიო კულტურა გადაიქცა ქვეყნის გაერთიანების მძლავრ საშუალებად.

X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის გაძლიერების შემდგომ, კვლავ დადგა საკითხი ევროპული ცივილიზაციის უფრო მაღალი დონის ათვისებისა ბერძნული ენის მეშვეობით. მიიჩნეოდა რომ, ბერძნული ენა გადაიქცა საერთაშორისო ცივილიზაციისა და გლობალიზაციის ენად ბიზანტიურ სამყაროში და მისი ცოდნის გარეშე ვერავინ ეზიარებოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ქართველმა წმიდა მამებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს და სხვა გზა აირჩიეს. მათ არ მოუწოდეს ქართველობას, რომ ყველას შეესწავლა უცხო ბერძნული ენა, არამედ ივერონსა თუ სხვა კერებში თვითონ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ამის შედეგად საერთაშორისო ცივილიზაციას ქართველობა დაეწაფა მშობლიური ენით. მსოფლიო ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეობით გაითავისა ქართველთა თაობებმა. ასეთი მიდგომა სამაგალითო უნდა იყოს ჩვენ-

თვისაც, რადგანაც ამჟამად კვლავ ისმის კითხვა თუ რომელი ენის მეშვეობით უნდა ვეზიაროთ მსოფლიო ცივილიზაციის თანამედროვე დონეს.

მელქისედეკ კათალიკოსი საქართველოს იმჟამინდელ მეფეს ბაგრატ III-ს თავის გამზრდელად მოიხსენიებს. მემატიანე წერს – „ბაგრატ III-მ დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთითგან ვიდრე გურგანამდე“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 38). მიზეზი იმისა, რომ ბაგრატ III-მ, XI საუკუნის დასაწყისში, შეძლო გაეერთიანებინა საქართველოს სახელმწიფოში ვრცელი მიწა-წყალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, მიზეზი ამისა იყო მოსახლეობის ერთგვაროვნება – ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობის უმეტესობას ქართველობა წარმოადგენდა ერთი ენით, ერთი კულტურით, ერთი ტრადიციებითა და ერთი ეკლესიით (ეს მომენტი ასისახა კიდეც შემდგომ XVIII საუკუნეში შედგენილ ე.წ „ერთობის ტრაქტატში ივერიელ მეფე-მთავართა შორის“).

საქართველოს საპატრიარქო აერთიანებდა მთელი კავკასიის მართლმადიდებლურ მოსახლეობას, ყირიმის კაფას ნახევარკუნძულიდან ვიდრე ვანის ტბამდე. საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები, კერძოდ, იქ შეიქმნა კიდეც „ხუნძეთის საკათალიკოსო“ (დაღესტანში) საქართველოს საპატრიარქოს შემადგენლობაში. ბაგრატ III-ის პაპამ დედის მხრიდან, მეფე გიორგიმ, მონაწილეობა მიიღო ალანიის ეპარქიის ჩამოყალიბებაში, როგორც ეს მისადმი მიწერილ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებიდანაც ჩანს. ალანიის ეპარქია საბოლოოდ საქართველოს საპატრიარქოში გაერთიანდა. სოტეროპოლში მჯდომი ალანიის ბოლო მიტროპოლიტი ქვემო ივერიის ქართველ კათალიკოსს ექვემდებარებოდა. ბაგრატ III-მ აღაშენა ბედიის საკათედრო ტაძარი და საქართველოს პატრიარქების მეორე რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო. აქ „ქვემო იბერიის“ ანუ დასავლეთ საქართველოს სამიტროპოლიტო ერთეულის – აფხაზეთის საკათალიკოსოს მწყემსმთავრები უფალს 1000 წელი ადიდებდნენ ქართული ენით, ვიდრე ადიღე-ჩერქეზული ტომების ჩამოსახლებამდე.

აღმოსავლეთით საქართველოს საპატრიარქოს თავისი მრევლი თითქმის კასპიის ზღვამდე გააჩნდა. ამის შესახებ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენელიც მიუთითებდა, რომ წმიდა ნინომ თავისი ადვილად გასაგები ქართული ენით იქადაგა „კლარჯეთიდან ვიდრე მასქუთებამდე“. მასქუთების ტომი კასპიის ზღვასთან ცხოვრობდა.

გელასი კესარიელის ცნობით კი წმიდა ნინომ იქადაგა იბერთა და ლაზთა შორის. ლაზეთის ქვეშ აქ იგულისხმება ტრაპეზუნტის რეგიონის ჭანეთ-ქალდეას მოსახლეობა. ჭანები, ანუ ქალდეველები (ე.ი. ქართუელები) – წმიდა ნინოს მოქცეულად მიიჩნეოდა, მათ ქვეყანას შემდგომ ლაზისტანი უწოდეს. მის მოსახლეობას მუდამ ეჭირა თვალი საქართველოსაკენ.

სამხრეთით საქართველოს საპატრიარქოს საზღვრები თითქმის ვანის ტბამდე აღწევდა – აქ იყო მისი საეპისკოპოსოები ქ. ვალაშკერტში, ასევე ანისსა და დვინში.

თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოძიებული ცნობით, წმიდა ანდრია მოციქულმა საქართველოში ქადაგების დროს, მიაღწია მცხეთამდე და მყინვარწვერამდე. მცხეთის იმ გორიდან, სადაც ამჟამად ჯვრის მონასტერი დგას, მას დაულოცავს მის წინ მტკვარ-არაგვის ვაკეზე გაშლილი საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა. აქ ამ ადგილას წმიდა ანდრია მოციქულის ტახტზე დაეფუძნა კიდეც საქართველოს ეკლესიის პატრიარქთა კათედრა. ამ ტახტიდან, IV საუკუნიდან დღემდე, 140 საჭეთმპყრობელი ლოცავ-

და საქართველოს. ხოლო 141-ეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც თავისი ლოცვებით ათეიზმისაგან დაღდასმულ ხალხში მოციქულებრივი ღვაწლით კვლავ ჩანერგა წმიდა სარწუნოება. ერის სიმრავლე დაუბრუნა ეკლესიის წიაღს. თავისი სიტყვითა და საქმით გააერთიანა საქართველო, მოგვცა ახალი ტრაქტატი „ღვთისმშობლის წილხვედრ სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობისა“, 2009 წელს. რომელიც სიხარულით მიიღო მთელმა ერმა. ჩვენ ვევედრებით უფალ ღმერთს მის ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლესა და დღეგრძელობას.

საბოლოოდ, როგორც სვანეთის ლატალის ხევის ტაძრის ხატზეა მიწერილი, ჩვენც შევევედროთ უფალს – „ღმერთო ადიდე ერთობილი საქართველო, ამინ“.

**12.10.2010**

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა - ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულზე

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,
**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**
ბატონო ელჩებო, ქალბატონებო და ბატონებო

საქართველოს წმიდა ეკლესია ზეიმობს თავისი ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულს.

რუსეთის იმპერიამ XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ გააუქმა 1500 წლოვანი ეკლესიის ავტოკეფალია. რასაც არ შეურიგდა ქართველი ერი და 1917 წლის 25 მარტს თავდადებული ღვაწლის შედეგად ის აღდგენილი იქნა.

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია იყო უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ქართველი ერის საუკეთესო შვილებისა და რომ არ ჰქონოდა საქართველოს წმიდა ეკლესიას ავტოკეფალია, დღეს არ გვექნებოდა ისეთი საამაყო ეროვნული ღირებულებები, როგორიცაა საკუთარი უძველესი ქრისტიანული მწერლობა, ლიტერატურა, ქართულენოვანი ღვთისმსახურება. ქართულ ენაზე თარგმნილი წმიდა წერილი IV–V საუკუნეებიდან, უნიკალური ხელოვნება, ფერწერა, მუსიკა თუ არქიტექტურა.

საქართველოს წმიდა ეკლესიამ იმთავითვე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოში, რადგანაც მას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ეზრუნა ხალხის დასაცველად, მის მოსაფრთხილებლად, მისთვის ნიშნეული იყო ზრუნვა ტვირთმძიმეთა, უპოვართა, მაშვრალთა, გაჭირვებულთა, უსახსროთა, უბინაოთა თუ უმიწა-

წყლოთა მიმართ, ტყვეების დასახსნელად, პატიმრების, ავადმყოფთა ნუგეშინისცემა. აღზრდა ობოლთა და ოჯახების შენახვა და მზრუნველობა.

საზოგადოდ, ქრისტიანობა წარმოადგენდა სარწმუნოებას რომაულ-ბიზანტიური იმპერიისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაცია. ქართველი ერი ამ სარწმუნოების მეშვეობით, გადაიქცა ერთ-ერთ ნაწილად ევროპული სივრცისა, და მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთის მიმართულებით მისი დაცვისა. ქართველი ხალხი კავკასიაში იყო ერთადერთი ერი, რომელსაც XI ს-ის შემდეგ ერთდროულად გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო და ქრისტიანული სარწმუნოება, რის გამოც საქართველო ფაქტობრივად იყო ევროპულ-ქრისტიანული სივრცის დამცველი და მისი აღმოსავლეთის ბასტიონი, რომელსაც მუდამ უტევდნენ არაქრისტიანული აღმოსავლეთის იმპერიები. საქართველოს დაცვა – ევროპული ცივილიზაციის დაცვასაც ნიშნავდა, რადგანაც ის, მისი ერთ-ერთი ფორპოსტი, მისი სასაზღვრო ჯებირი იყო.

ქრისტიანული მსოფლიოს დამცველად რომ წარმოედგინათ ქართველ მეფეებს თავიანთი თავი, კარგად ჩანს V ს-ის დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, სადაც ის აცხადებს, რომ მისი ბრძოლები მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას იერუსალიმისა და ყველა ქრისტიანი ერის უსაფრთხოება. ვახტანგ გორგასალმა დატოვა ანდერძი, რომლის აღსრულება საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდა ქართველთა ლტოლვას ევროპული სივრცისაკენ. კერძოდ, მისი ანდერძი იყო „ნუ მიატოვებთ ბერძენთა სიყვარულს“, ბერძნების ქვეშ აქ იგულისხმება ბიზანტიურ-ევროპული ქრისტიანული სივრცე. ასე, რომ ქართველობა არა მარტო მიიჩნევდა თავის თავს ევროპული სივრცის ნაწილად, არამედ საკუთარი სისხლით და თავდადებული ბრძოლით საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას.

მცხეთის მიდამოებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვის სტელა ბერძნული და ლათინური წარწერებით. მასში ნათქვამია, რომ სტელა არმაზის ციხის გალავანთან აღიმართა რომის იმპერატორების ვესპასიანეს და დომიციანეს სახელით, ნიშნად იბერიასა და რომის იმპერიას შორის მეგობრული ურთიერთობისა. წარწერაში, რომელიც შედგენილია I ს-ის 70-იან წლებში, იბერიის მეფე მითრიდატეს ეწოდება „კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობარი“. ფაქტი, რომ რომის იმპერია, იმჟამინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფო, თავის მეგობრად მიიჩნევდა იბერიას, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ამას უკვალოდ არ ჩაუვლია, არა თუ უკვალოდ, არამედ ამ მეგობრობამ განადიდა და განაბრწყინა იმჟამინდელი საქართველო. გაიზარდა მისი საზღვრები, იბერთა მეფემ თავისი გავლენა განავრცო, გაძლიერებულმა მისმა არმიამ, მემატიანეთა ცნობით, რამდენჯერმე დაამარცხა პართიის ჯარი. საქართველოში I-II სს-ში გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, არქეოლოგიური მონაპოვრები აჩვენებს იმპორტული მასალის სიუხვეს. ისტორიკოსთა დასკვნით რომის იმპერიასთან მეგობრობის დროს I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, ამიტომაც რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები თავიანთ თხზულებებში ხალისით უთმობდნენ ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას.

არანაკლები სიდიადე მოიპოვა საქართველომ ათასი წლის შემდეგ, XII ს-ის დასაწყისში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს. იმჟამად, თურქ-სელჯუკებისა და ეგვიპტელების გავლენის ქვეშ მოექცა პალესტინის წმიდა ადგილები. თურქ-სელჯუკები, რომელ-

თაც ბიზანტია დაამარცხეს უთუოდ საქართველოს საბოლოო დამარცხება-საც შეძლებდნენ. ამ დროს საქართ-ველოს ესაჭიროებოდა ისეთი დამხმარე ძალა, რომელიც შეძლებდა თურქ-სელჯუკების ყურადღების გადატანას საქართველოდან სხვა მიმართულებით. მართლაც, – „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღვთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძ-ლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 325-326). მაშასადამე, საქართველოს აღორძინების დასაწყისად მიიჩნევა დაახლოებით 1099 წელს ქართულ-ევროპული სამხედრო კოალიციის შექ-მნა, რომელმაც შეძლო თურქ-სელჯუ-კების საბრძოლო მიმართულების გადა-ტანა საქართველოდან უფრო სამხ-რეთით პალესტინისა და მცირე აზიის-აკენ, მემატიანის სიტყვით. მუსულმან-თაგან გათავისუფლდა იერუსალიმი, წარმოიქმნა ქრისტიანული სამეფო იერუსალიმისა, რომლის მეფეც თვი-თონ ჩამოსულა საქართველოში დავით აღმაშენებელთან მოსალაპარაკებლად. დიდგორის სახელოვან ომშიც ჯვარო-სანთა მონაწილეობას დიდი მნიშვნე-ლობა ჰქონდა.

აქედან ჩანს, რომ საქართველოს სა-ხელმწიფოებრივი გაძლიერების ვრცე-ლი ეპოქები ეფუძნებოდა მეგობრობასა და მჭიდრო ურთიერთობას ევროპულ ქვეყნებთან.

საქართველოს ერის თავისთავადო-ბის საყრდენი ათასწლეულთა მანძილ-ზე იყო და ამჟამადაც არის მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. სიყვარული ამ ეროვნული სარწმუნოების მიმართ ვერ დაჩრდილა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამ XIX ს-ის დასაწყისში. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ კარგად აღწერს, ნაბიჯ-ნაბიჯ, კეთილმეგობრობის ნიღ-ბით, თუ როგორ აუქმებდა რუსეთის იმპერია საქართველოს სახელმწიფოებ-რიობასა და ძირს უთხრიდა მისი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკე-ფალიას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყანა მსგავსად ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერ-ძნეთისა, კვლავ დაუბრუნდება მის მშობლიურ ევროპულ სივრცეს, რომ-ლის ნაწილად მიაჩნდა მას თავისი თავი ათასწლეულთა მანძილზე.

ქრისტიანული კულტურის განვრ-ცობა ევროპაში გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი ეტაპი იყო. ეს კულ-ტურა მთლიანად მიიღო ქართველმა ერმა, მაგრამ გარდაქმნა ის საკუთარი ეროვნული კულტურის ქურაში და შედეგად აღმოცენდა ეროვნულ-ქართული ქრისტიანული კულტურა, რაც ქართველი ერის თავისთავადობის, მისი იდენტობის საფუძველი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდნენ თაობები ქართველი სასულიერო მამებისა, მათ შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ათონის ივერთა მონასტრის სასულიერო კერა, რომელმაც შეძლო უვრცელესი ბერძნული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გადმოღება თავისი ერისათვის.

ათონელი მამების დროს X-XI სს-ში საერთაშორისო ცივილიზაციის და გლობალიზაციის ენა ბიზანტიურ სამყაროში იყო ბერძნული, დასავლეთ ევროპაში კი ლათინური. მათი ცოდნის გარეშე თითქოსდა ვერავინ ეზიარე-ბოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ათონელმა ქართველმა მამებმა სხვა გზა აირჩიეს, მათ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ბერძნულენოვანი ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეო-ბით გაათავისებინეს ქართველთა თაო-ბებს. ამჟამადაც გლობალიზაციის ახალი ტალღის ეპოქაში, ქართველმა ერმა თანამედროვე ცივილიზაციის

მიღწევები უნდა მიიღოს და გაითავისოს არა რომელიმე საერთაშორისო ენის, არამედ ეროვნული ქართული ენისა და დამწერლობის საშუალებით. და ამიტომ საჭიროა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აღიჭურვოს ქართული შრიფტით, დაინერგოს საყოველთაო საკომპიუტერო თუ სატელევიზიო ქართულენოვნება და გლობალიზაციის ტალღა მივიღოთ ეროვნული იდენტობის სრული შენარჩუნებით.

**ევროპულ ქვეყანებში - სახელმწიფო ენა არის სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია-ინტეგრაციის, კონფლიქტების დარეგულირების, მისი თავიდან არიდების საშუალება. სამოქალაქო ერთიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენის გავრცელების შედეგად მიიღწევა.**

XIX საუკუნემდე, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა იცოდა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა, ისინი შესანიშნავად ფლობდნენ ქართულს, ასევე ოსების, მუსულმანების და აფხაზების განათლებული ფენები და საზოგადოდ ხალხი. უფრო მეტიც, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა მთელი კავკასიისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა იყო. მაგრამ საქართველოში ორ საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, XXI საუკუნეში, როგორც ითქვა ქართული ენა - ნაკლებად იცის საქართველოში მცხოვრებმა ზოგიერთმა ჯგუფმა. რუსეთის იმპერიამ საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელ ქართული ენას ჩამოართვა ეს ფუნქცია და მის ნაცვლად ერთა შორის ურთიერთობის საშუალებად დანერგა რუსული ენა. ქართულ ენას აღარ ასწავლიდნენ საქართველოს რეგიონებში, ის მხოლოდ ქართველთა ჯგუფის ენად იქცა. ევროპული მიდგომა ამ საკითხისადმი გვავალდებულებს – **სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით ქვეყნის ერთგულ და შემოქმედ მოქალაქეებად გავაერთიანოთ ყველა ეთნოსი, სახელმწიფო ენის საშუალებით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევა, მოსახლეობის ინტეგრაცია, ეთნოგაუცხოების დაძლევა.**

**კონფლიქტების ერთ-ერთი წყარო არის გაუცხოება, როცა ეთნიკურმა ჯგუფმა, იმის გამო, რომ არ ფლობს სახელმწიფო ენას, არ იცის დომინანტი ერის მიზნები, მისწრაფებები, ის გაუცხოებულია, და უცოდინარობის გამო უნდობლობითაა გამსჭვალული, ამ დროს შეუძლებელია სამოქალაქო მთლიანობის მიღწევა.**

**საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია ერთიანი კულტურით - ეს ჩვენი თაობის ვალდებულებაა.**

ენის მსგავსად საერთო ქართული კულტურა აერთიანებდა მთელ საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ყოველ კუთხეში ათასწლეულთა მანძილზე მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა თუ ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ქართული კულტურა ყოველ კუთხეს აერთიანებდა, ის იყო საერთო კულტურა.

**ძველ საქართველოში არასოდეს შექმნილა კუთხური, ლოკალური კულტურა.**

**ძველ საქართველოში არავის უთარგმნია წმიდა წერილი კუთხურ დიალექტებზე - რადგანაც მთელ ერს ერთი კულტურა და ერთიანი ეროვნული შემეცნება გააჩნდა.**

საქართველოს წმიდა ეკლესია დაარსეს თვით იესო ქრისტეს წმიდა მოციქულებმა, მათ მიერ დანერგილი წმიდა ანუ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვა შეძლო საქართველოს ეკლესიამ. დღეს მისი დღესასწაულია, კიდევ ერთხელ ვულოცავთ მის უწმიდესობას და უნეტარესობას, ამ დიდ დღესასწაულს, ვულოცავთ მთელ ჩვენს ქვეყანასა და ერს, მრავალს დაესწარით ღმერთმა დაგლოცოთ, ამინ.

**25.III.2012**

## ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢ ᲐᲜᲐᲜᲘᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ 10 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

დღეს დიდი სიხარულია ტექნიკურ უნივერსიტეტში, მოწიწებით მოგესალმებათ ათასობით ახალგაზრდა და პედაგოგი.

ჩვენ ვმადლობთ უფალ ღმერთს მადლისათვის, რომელიც თქვენი სახით მიენიჭა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას.

უფლის განსაკუთრებული მოწყალებაა ის, რომ საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში, როცა ირღვეოდა საბჭოთა იმპერია და იბადებოდა ახალი საქართველოს სახელმწიფო, მოგავლინათ უფალმა. ამ პროცესებს თან ახლდა დიდი ეროვნული ტკივილები. ერს ჰქონდა მრავალი არჩევანი, მრავალი გზა, მაგრამ არ იცოდა მათგან რომელი აერჩია. სწორედ ამ ურთულეს ეპოქაში უფალმა ღმერთმა მოგანდოთ ყოფილიყავით წინამძღვარი და ჩირაღდანი ეროვნული და სულიერი გადარჩენისა, ამიტომაც ამჟამად, როცა ეს სირთულეები უკვე გარკვეულწილად გადალახულია და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, ერი უდიდეს სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავს თქვენს მიმართ.

საქართველოს წმიდა ეკლესია, წმიდა ილია მართლის თქმით, მუდამ პატრონობდა ჩვენს ერს, ამიტომაც ყველა მტერი და მომხდური უპირველეს ყოვლისა ებრძოდა და აუძლურებდა მას. საბჭოთა ათეისტურმა სისტემამ განსაკუთრებით დააუძლურა ჩვენი დედა ეკლესია. პირადად ვარ მოწმე ამისა. უკვე 33-ე წელი დაიწყო, რაც თქვენმა უწმიდესობამ მე ეპისკოპოსად მაკურთხა. საკუთარი თვალით ვნახე თუ თქვენ თქვენი მიზანმიმართული და გმირული შრომით, როგორ ამოიყვანეთ დავიწყების ჯურღმულიდან წმიდა ეკლესია აიყვანეთ იმ სიმაღლეზე აღიარებისა და დიდებისა, რომლის მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ საეკლესიო საქმეთა გარდა ახალი სული ჩაუდგით და მიმართულება მიეცით ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მრავალ დარგს, მათ შორის უნდა გამოვყოთ ისტორიოგრაფია.

საისტორიო მეცნიერება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო საბჭოთა კავშირში, რადგანაც ის ემსახურებოდა იმპერიულ და ათეისტურ იდეოლოგიას, გათიშე და იბატონეს პოლიტიკას. ამიტომაც საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა საქართველოს ისტორია. თქვენ მრავალჯერ შეეხეთ ამ საკითხს თქვენ ეპისტოლეებსა და ქადაგებებში. თქვენ აღვნიშნავთ, რადგანაც ქართული ისტორიოგრაფია აღარაა იმპერიულ დაქვემდებარებაში და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, დროა კვლავ აღორძინდეს ქართული შესაბამისი ისტორიოგრაფია და ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდეს საისტორიო კვლევათა საქმე. მე პირადად ვარ მოწმე იმისა, თუ არა თქვენი წინასწარგანჭვრეტა, ამ დღეებშიც კი უდიდესი საფრთხე ელოდა ჩვენს საეკლესიო მთლიანობას. მაგრამ თქვენმა ვიზიტმა კონსტანტინოპოლში აგვარიდა ამას.

კერძოდ, ათეისტურ ეპოქაში XX ს. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა არასწორი თეორია. თითქოსდა დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე IV-IX სს. იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ ამის შემდეგ X-ს-დან ქართულმა ეკლესიამ გააუქმა რა აქ ბერძნული საეპისკოპოსოები თვითონ გაბატონდა, დაარსა ქართული კათედრები მოახდინა მოსახლეობის ქართიზაცია. ეს ყალბი თეორია არ ეყრდნო-

ბოდა არავითარ წყაროს, რადგანაც ე.წ. ნოტიციებში მოხსენიებული ლაზიკის სამიტროპოლიტოს კათედრები (ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა) ლოკალიზდებიან არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქალდეა-ლაზიკაში, გუმუშხანე-სუმელას რეგიონში, ტრაპეზუნტის სამხრეთით. ამის მიუხედავად თეორია ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის (კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შეჭრის) შესახებ გაბატონდა და ასახულია ყველა სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაში. ის ამჟამად ვრცელდება უცხოეთშიც, მასზე დაყრდნობით საეკლესიო სეპარატისტები აფხაზეთსა და სხვაგან ავრცელებენ არასწორ საისტორიო ცნობებს მსოფლიოსა და კონსტანტინოპოლში.

აი, აქ გამოჩნდა თქვენი უდიდესი წინასწარჭვრეტა, თქვენ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, 1990 წელს შეძელით და ავტოკეფალია აღიარებინეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. რომ ეს უდიდესი მოვლენა იყო, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დღეებში. თუ არა ავტოკეფალია, რომლის გამოც კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, ამჟამად აღნიშნული საბჭოთა თეორიების გამოყენებით სეპარატისტებს შეუძლიათ აფხაზეთში მათი „სამართლებრივი“ მიწვევა. მათ ამჟამად აკავებთ თქვენს მიერ მოპოვებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, როგორც ითქვა კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, მათ შორის აფხაზეთზე. ეს დოკუმენტი თქვენ 1990 წელს მოიპოვეთ, კონფლიქტის დაწყებამდე 2-3 წლით ადრე და ამისათვის ვმადლობთ უფალს.

ამ და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვა საკითხების კვლევას სტუდენტების აღზრდასთან ერთად დიდ დროს უთმობს ტექნიკურ უნივერსიტეტში თქვენი კურთხევით არსებული თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ის უკვე მე-12 წლისთავს ითვლის. ამ სიკეთისათვის განსაკუთრებულად ვმადლობთ და ვლოცავთ მის აღმატებულებას ბატონ რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს. ჩვენს ცენტრს ეამაყება, რომ თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ მისი მამა, ყველა ქართველის საამაყო მეცნიერი ივერი ფრანგიშვილი. მისი მითითებები ჩვენ მრავალგზის გამოგვადგა. ჩვენი ცენტრის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომელნიც საქართველოს გამოჩენილი სასულიერო პირები არიან, თეოლოგიის საფუძვლები შეასწავლეს, ამ 12 წლის მანძილზე 40-50000 სტუდენტს.

მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენს ცენტრში ძველი ქართული წყაროების გარდა საგანგებოდ შევისწავლეთ და წიგნების სახით გამოვეცით ძველი ავტორები და წყაროები, ესენია – სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, ფლავიუს არიანე, შევისწავლეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები ანუ ნოტიციები, სხვა წყაროები, მათ შორის სომხურიც და საგანგებოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არც ერთი წყარო არ მიუთითებს დასავლეთ საქართველოში ოდესმე ბერძნული კათედრების არსებობას, ხოლო წყაროებში ნახსენები ლაზიკის კათედრები, როგორც აღინიშნა, მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიულ ქართულ რეგიონში, რომელსაც ერქვა ქალდეა-ლაზიკა. მისი, ტრაპეზუნტის სამხრეთით, ამჟამინდელ გუმუშხანე-სუმელას რეგიონში მდებარეობის შესახებ წერდა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დიდი მეცნიერი ნ. ადონცი.

საქართველოს ეკლესიის საკითხებს ეხება კონფერენცია, რომელიც დღეს ტარდება.

უდიდესი მადლობა თქვენო უწმიდესობავ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის.

**14.06.2013 წ.**

**მის უწმიდესობას და უნეტარესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს**

**მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველის, საქართველოს საპატრიაქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის**

**მოხსენებითი ბარათი**

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,** ვითხოვ კურთხევასა და შენდობას ამ ბარათის მოწერისათვის.

საქმე შეეხება ჩვენი წმიდა ეკლესიისა და ერის მთლიანობისათვის საშიშ საისტორიოგრაფიო-იდეოლოგიურ მიმართულებას. მიმაჩნია, რომ ამის არ მოხსენება და დაფარვა დიდი დანაშაული იქნებოდა ჩემი მხრიდან. ამ თემის ირგვლივ მე ინტენსიურად ვმუშაობ და დამიგროვდა მრავალი ფაქტობრივი მასალა.

მოგახსნებთ ჩვენი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებულ თვალსაზრისს:

ამჟამინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიხედვით –

1) დასავლეთ საქართველო 500 წლის მანძილზე IV-IX საუკუნეებში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და ის თითქოს, მხოლოდ X საუკუნიდან დაიქვემდებარა ქართულმა ეკლესიამ. შესაბამისად, თითქოსდა, მხოლოდ X საუკუნიდან გავრცელდა დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და კულტურა, მოხდა იქაური მოსახლეობის „ქართიზაცია“ ანუ „გაქართველება“ (ეს მოსაზრება ასახულია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“).

2) აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთის რეგიონის დიდი ნაწილი (მათ შორის ბოდბე, გურჯაანი, დავით გარეჯას მონსტრები და სხვა) თითქოსდა, თავდაპირველად შედიოდა ალბანეთში, ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში და მხოლოდ წმიდა ნინოს დროს, თანამედროვე ავტორების სიტყვით, „პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ“ გააქართველა ეს ალბანური ქვეყანა (ე.ი. კახეთის დიდი ნაწილი). გადააქცია ქართული ეკლესიის ნაწილად და გააქართველა ეს მხარე (ეს მოსაზრება ასახულია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ შესაბამის რუკაზე, რომელიც თან ერთვის ამ წერილს).

3) მიიჩნევა, რომ სამხრეთ საქართველო – მათ შორის ქვემო ქართლი, ტაო და კლარჯეთი თავდაპირველად დასახლებული იყო სომხური მოსახლეობით, რომელსაც, თითქოსდა, ქართულმა ეკლესიამ მიაღებინა ქალკედონიტური აღმსარებლობა და ამით მოახდინა ამ ეთნიკური სომხების „გაქართველება“. ამ მოსაზრებას ავითარებდნენ ჩვენი ერის თანამედროვე ფილოლოგ-ისტორიკოსებიც კი.

4) მიიჩნევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თავდაპირველად დასახლებული იყო ჩეჩნურ-ვაინახური ტომებით, რომელნიც ეკლესიამ „გააქართველა“ („ქართიზაციის“ შესახებ მოსაზრება ქართულ ენციკლოპედიაშიცაა ასახული).

მაშასადამე, თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიხედვით, თავდაპირველად არსებობდა მცირე ზომის „ქართლის ეკლესია“, რომელიც თანდათან შეიჭრა უცხო იურისდიქციებში და შედეგად: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ალბანეთისა და სომხეთის საკათალიკოსოებს ჩამოაჭრა რეგიონები.

ეს მოსაზრება ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში და საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული სახე მიიღო საბჭოთა ეპოქაში.

ამჟამად, მიიჩნევა, რომ ესაა უეჭველი სამეცნიერო ჭეშმარიტება და მის შესაბამისადაა დაწერილი უკლებლივ ყველა სამეცნიერო-სასწავლო სახელმძღვანელო. ეს მოსაზრება ასახულია ენციკლოპედიებშიც (მაგალითად „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“, ასევე, „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“).

ამჟამადაც, რაც საგანგაშოა, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით (ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ) იწერება ეკლესიის სახელითა და ეკლესიის ეგიდით ოფიციალურად გამოცემული წიგნები (მათ შორის ინგლისურენოვანიც). როგორც ვთქვით, ესაა ახალი, XX საუკუნის თვალსაზრისი.

იქამდე, უძველესი ხანიდან XIX-XX საუკუნემდე ჩვენი საეკლესიო და ეროვნული ისტორიოგრაფია, მემატიანეები, ჩვენი ეკლესიის წმიდა მამები საუკუნეთა მანძილზე ავითარებდნენ სულ სხვა შეხედულებებს, რაც კარგადაა ასახული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში, რომელიც წერს – წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“ („დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ. 546), ხოლო წმიდა ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (იქვე, გვ. 545).

ჩვენი ეკლესიის წმიდა მამების მიერ საუკუნეთა მანძილზე მიიჩნეოდა, რომ ისტორიული საქართველოს მოსახლეობა, ანუ მთელი ქართველი ერი მოაქცია წმიდა ნინომ, ამიტომაც მას ტროპარი „ქართველთა განმანათლებელს“, ხოლო კონდაკი „ქართველი ერის წინამძღვარს“ უწოდებს – IV საუკუნიდანვე დასავლეთ საქართველო იყო მცხეთის იურისდიქციაში, ისევე, როგორც მთელი ქართული მიწა-წყალი ისტორიულ საქართველოში.

ამჟამად, აფხაზი საეკლესიო სეპარატისტები (რომლის იდეოლოგის მღვდელმონაზონ ნ. დბარის წიგნიც თან ახლავს ამ წერილს), აღნიშნულ თეორიას ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ, საფუძვლად უდებენ თავიანთ სეპარატისტულ საეკლესიო თეორიებს და რის დასასაბუთებლადაც იყენებენ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილ ქართველი ავტორების სტატიებსაც, მათ გარდა სხვა რეგიონალური საეკლესიო სეპარატისტებიც, თუ არას ვიტყვით აზერბაიჯანელი მხარის პრეტენზიების შესახებ დავით-გარეჯისა და საინგილოს ეკლესია-მონასტრების მიმართ და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, რათა ეს სეპარატიზმი კიდევ უფრო არ გამწვავდეს და არ მიიღოს სერიოზული სახე, რათა ჩვენმა ახალმა ისტორიკოსებმა თვით საეკლესიო გამომცემლობების მეშვეობით არ გაავრცელონ ეს ანტიეკლესიური თეორია, ალბათ, კარგი იქნებოდა თუ წმიდა სინოდი თქვენი უწმიდესობის კურთხევით მიიღებდა ისეთ დადგენილებას, როგორიც იქნა მიღებული ქართული ენის მიმართ. მისსივე იდენტურად იქნებ მიგვეღო ასეთი სახის დადგენილება:

წმიდა სინოდი ადგენს –

*რუის-ურბნისის კრების წმიდა მამების ცნობით ისტორიული საქართველოს ყველა კუთხე დაარსებისთანავე იმყოფებოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, განსაკუთრებით კი წმიდა ნინოსა და მეფე მირიანის დროიდან, რაც ჩვენი ეკლესია გადაიქცა ეროვნულ ეკლესიად, „ძეგლისწერაში“ ნათქვამია – წმიდა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545-546). ამიტომაც ეწოდება წმიდა ნინოს მის ტროპარში „ქართველთა განმანათ-*

*ლებელი“, ხოლო კონდაკში „ქართველი ერის წინამძღოლი“.*

*ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს „საქართველოს ეკლესიის წმიდა მამებს, ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერებსა და მთელ ქართველ ერს XIX საუკუნემდე შესისხლხორცებული ჰქონდათ შემეცნება, რომ წმიდა ანდრია და წმიდა ნინო ყოველთა ქართველთა საერთო მოციქულნი და განმანათლებელნი იყვნენ, საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებელნი“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. III, გვ. 340).*

*XX საუკუნეში, ათეიზმის ეპოქაში, შეიცვალა და გაყალბდა საისტორიო შეხედულება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ, ისე წარმოადგინეს, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეებში, 500 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში და ასევე სხვა ზოგიერთი ისტორიული რეგიონიც.*

*დაუშვებელია ისტორიის გაყალბება, დასავლეთ საქართველოსა და სხვა რეგიონების უცხო საპატრიარქოთა იურისდიქციაში წარმოდგენა, რომელსაც საფუძველი დაედო XX საუკუნეში (ათეიზმის ეპოქაში), ერის გათიშვისა და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მიზნით.*

**ვითხოვ თქვენს კურთხევას**

## მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესი ილია II-ის ეპისკოპოსად კურთხევის 50-ე წლისთავზე

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**
ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მამანო და ძმანო

საქართველოს ეკლესია აღნიშნავს 50-ე წლისთავს მისი უწმიდესობის ეპისკოპოსად კურთხევისა.

50 წლის წინ, 1963 წლის 26 აგვისტოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II-ისა და წმიდა სინოდის მიერ არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად. ამ კურთხეული დღის შემდეგ განვლო ნახევარმა საუკუნემ, საქართველოს ეკლესიის დიადმა ეპოქამ, რომლითაც ჩვენ ყველანი ამჟამად ვხარობთ, მაგრამ სულ სხვა ვითარება იყო 50 წლის წინ. XX საუკუნის 60-იანი წლები იყო ათეიზმის აღზევების პერიოდი. კიდევ უფრო გაგრძელდა საბჭოთა სისტემის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ნიკიტა ხრუშჩოვმა რუსეთში დახურა ომის შემდეგ გახსნილი 5 სემინარია, სასულიერო სასწავლებლები, დაიკეტა დიდი ტანჯვის შემდეგ გახსნილი და ახლად ნაკურთხი ეკლესიები, უფრო მძიმე იყო მდგომარეობა საქართველოს ეკლესიაში. გადასახლებიდან ახალი დაბრუნებული ეფრემ II, რომელიც ის-ის იყო საპატრიარქო ტახტზე ავიდა, უმძიმეს ზეწოლას განიცდიდა, საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მას უიმედობის გრძნობაც კი დაეუფლებოდა, თუ არა ჭეშმარიტად ღვთისმშობლის მიერ ბოძებული საჩუქარი – უკვე ხალხისა და ეკლესიის მიერ შეყვარებული, იმედისმომცემი ახალგაზრდა ღვთისმსახური ილია შიოლაშვილი, რომელიც ჩანდა, როგორც მზე ღამის წყვდიადში. გახარებული იყო წმიდა სინოდის მხცოვანი წევრები, სიხარულს განსაკუთრებით გამოხატავდა

უწმიდესი პატრიარქი ეფრემ II, რომელსაც პატივს სცემდა მთელი მართლმადიდებლური სამყარო.

1963 წლის 26 აგვისტო, თქვენი ეპისკოპოსად კურთხევის დღე იყო შემობრუნების დასაწყისი, დიადი მომენტი ათასწლოვანი ეკლესიის ისტორიისათვის, თუ არა აღნიშნული მადლი შეუძლებელი იქნებოდა იმავე წელსვე მცხეთაში სღვთისმეტყველო კურსების – იგივე სემინარიის დაარსება, რომლის პარალელურად მთელს საბჭოთა იმპერიაში, როგორც ითქვა – მოქმედი სემინარები იხურებოდა. შემოქმედის ეპარქიაში დანიშვნის შემდეგ ეპისკოპოსი ილია იქცა საყრდენად პატრიარქ ეფრემისა, რომელმაც ეპისკოპოს ილიას შემოქმედთან ერთად ბათუმიც ჩააბარა. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია – თვით მოციქულ ანდრიას ნაკვალევზე აღმოცენებული უძველესი ეპარქია, დაკნინებული იყო XVII საუკუნის შემდეგ მაჰმადიანობის გავრცელების გამო. თქვენი გამწესება აჭარაში დიდ მაზანს ისახავდა. ის ტრაგედია, რაც განიცადა სამხრეთ საქართველომ, როცა მესხეთსა და აჭარაში ათასწლოვანი ქრისტიანული სარწმუნოება დაითრგუნა იყო ღია ჭრილობა საქართველოს წმიდა ეკლესიისათვის, რადგანაც ამ პროცესის შედეგად ათასობით სული დაიღუპა, მათ ცათა სასუფეველი დაკარგეს, გარდა ამისა საქართველოს კულტურამ დაკარგა მისი ყველაზე შემოქმედი ნაწილი. ისლამის მოძალების შემდეგ აქ აღარ შექმნილა ეროვნული, უმაღლეს მწვერვალებამდე აზიდული არქიტექტურა, მწერლობა, მუსიკა თუ მხატვრობა. ერთ დროს საფუძველი საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერისა, ახლა დასუსტებული იყო. ამ ღია ჭრილობის მალამოდ ჩანდა 30 წლის გასაოცარი ღვთისმსახური, ენერგიული, მხნე, მიზანმიმართული, შავი თმითა და წვერით დამშვენებული ახალგაზრდა ეპისკოპოსი, საღვთო მადლის მატარებელი, რომლის ქადაგება, ზრდილობა და მზრუნველობის უნარი იზიდავდა უამრავ ადამიანს.

მართლაც აჭარის დაიწყო ილია II ის მიერ განხორციელებული უდიდესი საქმეები, საოცარი და ენით აუღწერელი ღვაწლი, რომლის აღნუსხვასაც ესაჭიროება თაობები.

აჭარის მაგალითზე ჩანს, რომ თქვენი, როგორც იერარქის 50 წლიანი მოღვაწეობა – სამოციქულოა. თქვენ ხელახლა მოაქციეთ ათეიზმით დაკნინებული ერი, რომელიც იქცა ღვთისმორწმუნედ. ოჯახები, რომელთაც იქამდე არც კი გაეგონათ ეპისკოპოსისა და პატრიარქის სახელი – დღეს თქვენს სიტყვას შენატრის და თქვენს პორტრეტებს სასოებით ინახავს. თქვენ მათ აღმოუჩინეთ უფალი ღმერთი, მათ გულებში დანერგეთ სარწმუნოება, სიყვარული ღვთისა და მამულისა.

აჭარაში 50 წლოვანი სამოციქულო ღვაწლის შეჯამება იყო თქვენი კიდევ ერთხელ 2013 წლის ზაფხულში აჭარაში ჩაბრძანება. ჩვენი თვალით ვნახეთ, რომ ქუჩები და მოედნები მაღალმთიან აჭარაში აივსო ახალგაზრდებითა და მოხუცებით, ქალებითა და ვაჟებით, ხოლო ეროვნულ ქრისტიანულ სარწმუნოებაში დაბრუნებული და მსურველი ათასობით იყო. საქართველო ხარობდა და ხარობს შეცვლილი ახალი რეალობით, თქვენს მიერ ღვთის სადიდებლად აღსრულებული საქმეებით.

მოციქულთასწორ წმიდა ნინოს ცხოვრებაში ნახსენებია, რომ სვეტიცხოველი და შესაბამისად საქართველო, ის ადგილია, სადაც არასოდეს დაცხრება ღვთის დიდება. თქვენ, ჩვენო უნეტარესობავ, თქვენი მოციქულებრივი ღვაწლით შეძელით ის, რომ თქვენი სახელის ხსენება ყოველ ადამიანს ღვთის სადიდებლად აღძრავს. უფალი ღმერთი, რომელსაც თქვენ მარადის ადიდებთ, საბოლოოდ განადიდებს თქვენს ქართველ ერს.

საქართველოს წმიდა ეკლესია, მისი წმიდა სინოდი, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღესასწაულს, ღმერთმა ინებოს თქვენი ხანგრძლივი დღეგრძელობა, ამინ.

**მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 2016 წლის ილიაობის მისალოცი სიტყვა უწმიდეს პატრიარქს**

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,**

ყოვლადსამღვდელნო მღვდელმთავარნო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო,

დღეს დიდი დღეა, კურთხეული დღეა, დიდი წინასწარმეტყველის ილია თეზბიტელისა და ჩვენი დიდი მამის ილია მართლის ხსენებაა,

უმთავრესი წყარო დღევანდელი საერთო-სახალხო სიხარულისა არის ანგელოზის დღე ჩვენი უწმიდესი პატრიარქისა, იმ პატრიარქისა რომელმაც დიდი სიყვარულით აღანთო ქართველი ხალხისა და საქართველოს ყოველი მოქალაქის – მოყვასის გული.

ჩემი მღვდელმთავრობის 35 წლის მანძილზე მოწმე ვარ ვფიქრობ იშვიათი ფაქტისა თუ როგორ უყვარს და უზომო პატივს მიაგებს უწმიდეს პატრიარქ ილია მეორეს ყოველი ადამიანი, ვისაც კი მასთან რაიმე კონტაქტი ჰქონია, ვისაც მისი საოცარი ქადაგებისათვის ანდა მისი მადლიანი საუბრისათვის მოუსმენია.

ასეა ახლაც, როცა ქართველმა ერმა აღადგინა თავისი ქვეყნის – საქართველოს დამოუკიდებლობა, და ასვე იყო ათეისტური რეჟიმის დროს, როცა ჩვენს ერს არ ჰქონდა დამოუკიდებლობა.

ძალზე მძიმე იყო ათეიზმის ეპოქა, ცხადია ყველაზე მძიმე იყო იმ ეკლესიის მეთაურისათვის, რომელსაც დევნიდა ათეისტური რეჟიმი,

აი აქ, სიონის წმიდა ტაძარში, პირადად მახსოვს წირვები საქართველოს უწმიდესი პატრიაქისა ეფრემ მეორესი, ასევე წირვები უწმიდესი პატრიარქისა დავით მეხუთესი, სტუდენტობის წლებში ვისმენდი მათ ქადაგებებს, მახსოვს იმჟამად ლიტურგიაზე ეკლესიაში მდგომი ადამიანების რიცხვი ძალზე მცირე იყო, არ აჭარბებდა 20-25-ს.

მაგრამ სრულიად შეიცვალა ვითარება მას შემდეგ, რაც საპატრიარქო ტახტზე აბრძანდა ილია მეორე, სიონი ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს, თუმცა კვლავ იყო ათეიზმის ეპოქა.

იმჟამინდელი რეჟიმი შეაშფოთა სიონში ხალხის სიმრავლემ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მათი ღონისძიებების შემდეგ მრევლი შემცირდებოდა, გაატარეს კიდეც მათთვის შესაბამისი მეთოდებით გარკვეული ქმედებები, მაგრამ პირიქით, ხალხი იცავდა და გვერდით ედგა თავის საყვარელ პატრიარქს.

ეს დევნის დრო სამართლიანად შეადარეს მზიან ღამეს, ეს იყო ღამე, რომელსაც ანათებდა – მზე – უწმიდესი პატრიარქი ილია მეორე.

ჩვენ ვმადლობთ უფალს, ვმადლობთ ყოვლადწმიდა დედა-ღვთისმშობელს, საქართველოს პატრონს, რომელმაც მოგვივლინა თავისი უხვი წყალობის სახით ჩვენი უწმიდესი პატრიარქი.

პატრიარქი რომლის დროსაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი – მისი ლოცვით, როცა საქართველოს ეკლესიამ მიიღო სრული ავტოკეფალია – მისი დაუღალავი შრომით, როცა კრიტიკულად დამცრობილი ეპარქიათა რიცხვი დაიზარდა – მისი სიბრძნით გაწვრთნილი გონებით.

მისი გონების ნათლით გაბრწყინებული საქმეების ჩამოთვლას ასევე დიდი მწიგნობარი ესაჭიროება, რაც ყველაზე მთავარია – ის თავის დიდ სიყვარულს უნაწილებს ყველას, მილიონებს, თავის მრავალათას ნათულს და არანათლულს, დიდსა და მცირეს და მისი სიყვარულის საგანძური ამით არ მცირდება, არამედ უფრო იზრდება, რადგანაც ის უყვარს უფალს, უყვარს თვით სიყვარულს, ის გამორჩეულია ყოველ მხრივ.

აქამდე საქართველოს ეკლესიას 140 კათალიკოს-პატრიარქი და მეთაური ჰყავდა, ზოგს უფალმა ღმერთმა მიმედლა ხანგრძლივი მესაჭეობა ეკლესიისა,

მათ შორის წელთა ხანგრძლივობის მხხივაც პირველობს ჩვენი უწმიდესი პატრიარქი, ვევედრებით უფალს მის ხანგრძლივ სიცოცხლეს,

დღეს ასევე წმიდა ილია მართლის დღეა, – მახსოვს წმიდა სინოდის ის სხდომა, რომელიც აქვე, სიონის ეზოში მდგარ ძველ საპატრიარქოში ჩატარდა, როცა ჩვენმა უწმიდესმა ატრიარქმა ისაუბრა ილია ჭავჭავაძის, ვითარცა საქართველოს მართალი და წმიდა მამის შესახებ,

ის ცრემლს არ მალავდა და წმიდა სინოდმაც მას მხარი დაუჭირა – საქართველის წმინდათა ცაზე კიდევ ერთი წმინდანი გაბრწყინდა, კონსოლიდაცია და გამთლიანება ქართველი – იმჟამად დაშლილ-დანაწევრებული ერისა – იყო ილია ჭავჭავაძის მთავარი მიზანი, მისი დიადი გზა გააგრძელა, სულიერად ერის გამთლიანება შეძლო ჩვენმა უწმიდესმა პატრიარქმა. წმიდა ილია მართალს ქართველი ერის წარმატების მთავარ საშუალებად მიცანდა განათლება, ამჟამადაც საქართველოს წმიდა ეკლესია თავის ბოლო, უკანასკნელ სახსრებს ხარჯავს ახალგაზრდა თაობის განათლებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების დაარსებით, დიდი იაკობ გოგებაშვილის წიგნებით – ქართველი ერი წარმატების ახალ საფეხურზე აიყვანა, უწმიდესი პატრიარქის ილია მეორის ლოცვით ამ წლებში საქართველოს ეკლესიამ დაარსა მრავალი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი – უნივერსიტეტები, აქ გაზრდილი ახალი თაობა საქართველოს დიდების ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

დღეს წმიდა ილია თეზბიტელის დღეა, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს წმიდა სინოდი ლოცულობს, ევედრება უფალ ღმერთს, თქვენს ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, წმიდა ილია თეზბიტელის მადლით და მეოხებით.

იდღეგრძელეთ თქვენო უწმიდესობავ, რათა თქვენი ლოცვით გამრავლდეს ქართველი ერი და თქვენი სამწყსო, მრავალჟამიერ, ამინ.

**2.08.2016, ილიაობა, სიონის ტაძარი**

**მარიამ დედოფალი – „მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ"**

*ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი*
*დარეჯან ცუცქირიძე*

სტატიის სათაურში გამოტანილი სტრიქონი ბერ ეგნატაშვილს ეკუთვნის. უფრო ვრცელი დახასიათებით, იმავე ავტორის თვალსაზრისი ასეთია: „და დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თვალითა. და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველი საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ" [1]. ბერი ეგნატაშვილის თხზულების ეს მცირე ამონარიდიც კი კმარა მარიამ დედოფლის პიროვნების დასახასიათებლად, მისი როგორც პოლიტიკური ფიგურისა და განსაკუთრებით კი საეკლესიო მოღვაწის წარმოსაჩენად.

მარიამ დედოფლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ქართული და უცხოენოვანი (სპარსული, იტალიური, ფრანგული) სხვადასხვა ხასიათის წერილობითი წყაროებისა და ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მანუჩარ დადიანისა და თამარ ჯაყელის ასული, ლევან II დადიანის და, ჯერ სიმონ გურიელის, ხოლო შემდეგ ქართლის გამაჰმადიანებული მეფეების როსტომისა და ვახტანგ V - ის თამაცხედრე, მარიამ დადიანი, საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩნდება, როდესაც ორ სამთავრო-საგვარეულოს შორის ურთიერთობა მარიამ დადიანისა და სიმონ გურიელის ქორწინებით გაფორმდა. მისი პოზიცია და როლი XVII საუკუნის გურია-სამეგრელოს სამთავროების პოლიტიკურ ცხოვრებაში გურიის სამთავროს კარზე მომხდარი ტრაგიკული ფაქტის შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც მისმა მეუღლემ სამთავროს ტახტის ხელთჩაგდების მიზნით, საკუთარი მამა, მამია გურიელი, სიცოცხლეს გამოასალმა. განსაკუთრებით საყურადღებო კი ისაა, რომ გურიის მთავრად ლევან მეორე დადიანის თაოსნობით და, როგორც ჩანს, მარიამის ხელშეწყობით, მაინცდამაინც მარიამის ძმა (დედის მხრიდან) ქაიხოსრო დაინიშნა. ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით: „შეიპყრა სჳმონ გურიელი და დასწვა თუალები და გამოართუა დაჲ თჳსი მარიამ. და დასუა გურიელად ქაიხოსრო, გურიელის სახლისკაცი. და ესე ქაიხოსრო გურიელი იყო მარიამ დედოფლის დედით ძმა" [1]. მიგვაჩნია, რომ აღწერილ სიტუაციაში მარიამის მოქმედება როგორც ზნეობის, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. იგი მამის მკვლელ მეუღლესთან განქორწინდა, მცირეწლოვან ვაჟთან, ოტიასთან ერთად სამეგრელოში დაბრუნდა და ფაქტობრივად, გურია კვლავ სამეგრელოს პოლიტიკურ ორბიტაში დარჩა. აქვე დავძენთ, რომ მარიამის ზნეობრივი პორტრეტის წარმოსადგენად ჟან შარდენის ერთი ცნობაცაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, ჟან შარდენი გვამცნობს: „დედოფლის პირველი ქმარი, გურიის მთავარი, ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ძალზე მოხუცია და მოტეხილი. იგი საქართველოში ცხოვრობს. დედოფალმა მას ერთ-ერთი სეფექალი მისცა, რათა ნუგეში ეცა მისი დაკარგვის გამო და საარსებო სახსრებიც გაუჩინა, თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ, მეტად მცირე, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ კიდევ იჩენდა სინაზეს; რამდენიმე წლის წინათ, იმერეთის საზღვარზე ყოფნის დროს, დედოფალმა იგი

თავისთან მიიწვია და რვა დღე დაიტოვა. ამის გამო შაჰნავაზ-ხანმა იეჭვიანა“ [2. 314]. ძნელი სათქმელია ჟან შარდენის მიერ აღწერილი ეპიზოდი რამდენად შეესაბამება რეალურ ვითარებას, თუმცა თუ მარიამ დედოფლის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ განვლილ გზას გავითვალისწინებთ, ვერ გამოვრიცხავთ, რომ „ბრმა, ღატაკ, საბრალო“ მოხუცთან შეხვედრის ფაქტს მართლაც ჰქონოდა ადგილი.

მარიამ დადიანის პოლიტიკური როლი განსაკუთრებით ორი გამაჰმადიანებული მეფის თანამეცხედრეობის წლებში გამოჩნდა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართლის გამაჰმადიანებულ მეფეებზე ორივე ქორწინებას სრულიად გამოკვეთილი პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა.

XVII საუკუნეში საქართველოში მყოფი თეატინელთა ორდენის წარმომადგენელი იტალიელი მისიონერები გამაჰმადიანებული ქართველი მეფის როსტომისა და მარიამ დადიანის შეუღლების შესახებ რამდენიმე ცნობას გვთავაზობენ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის „რელაციის“ თანახმად: „სამეგრელოს მთავარი დღეს ყველაზე ძლიერია, რადგან მან დაიმორჩილა და თავის მოხარკედ აქცია ბაში-აჩუკისა და გურიის მთავარი. მიუხედავად იმისა, რომ გურიის მთავარი მას ნათესავად ერგება, მან ის დაატყვევა, ეწეოდა მის წინააღმდეგ ომს, ჩამოართვა სამთავრო, თვალები დასთხარა, ხოლო მისი მეუღლე, თავისი და, იძულებით შერთო როსტომს, ქართლის ხანს, რომელიც ქრისტიანი იყო, მაგრამ [ქრისტეს სჯულს] განუდგა, ახლა დამოკიდებულია სპარსეთის მეფეზე და მას ემორჩილება“ [3. 11]. დონ არქანჯელო ლამბერტის, ნეაპოლელი მისიონერის ცნობით კი: „თეიმურაზი თავისი სახელმწიფოდან გააძევეს, ხოლო მის სამეფოს როსტომ-ხანი, ანუ როგორც კიდევ მას უწოდებენ კოსსა მირიკი [ჩოსსა ირიც] დაეუფლა. ამ სამეფოში უკეთ განმტკიცების მიზნით, ის მეზობელ მთავრებთან დამოყვრებას შეეცადა. ამის გამო მან სამეგრელოში – ძველად კოლხეთში – ოდიშის მთავართან ელჩები გაგზავნა, რათა მას ცოლად თავის და მიეცა. მისი თხოვნა უმალვე დაკმაყოფილდა და მთავარმა თავისი ელჩები გაგზავნა, რათა ხსენებულ როსტომ ხანთან ქორწინების [საკითხი] განეხილათ“ [4. 9]. დაქორწინებასთან დაკავშირებულ დონ არქანჯელო ლამბერტის ცნობას გარკვეულწილად, 1626 წლიდან ქართლში მცხოვრები პიეტრო დონ ავიტაბილეც ადასტურებს: „ახალი მეფე ჯერ ქართლში არ იყო ჩასული [იგულისხმება როსტომი, ნ.ხ. დ.ც] რომ უკვე დადიანის, ანუ ოდიშის (მთავრის) დაზე დაქორწინებას ცდილობდა“. და დესპანს დესპანზე აგზავნიდა [5. 27]. მარიამ დადიანისა და როსტომ მეფის დაქორწინებას აშკარა პოლიტიკური მოტივაცია რომ ჰქონდა და მარიამ დედოფალი ამ პროცესში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული იყო, ამას ვახუშტი ბატონიშვილი სავსებით ადასტურებს: „ხოლო ჟამთა ამათ მოუკუდა როსტომ მეფეს ცოლი პირველი და დაემზახლა ლევან დადიანსა, და ამან მოსცა დაჲ თჳსი მარიამ. ესე ჰყო რამეთუ ვინაჲთგან ბატონის თეიმურაზის მოყუარე იყო გიორგი მეფე იმერთა, და დადიანი და მეფე იმერთა მტეროდენ. ამისთჳს დადიანს დაემოყურა და ვინაჲთგან არა ჰქონდათ გზა, სთხოვა როსტომ მეფემან გზა უსუფს, ახალციხის ფაშასა. მან სიხარულით მოსცა და მივიდა როსტომ კაკა ხიდსა ზედა ფერსათიდამ, და დადიანიცა მოსრულ იყო მუნ კაკას ჴიდსა; მოსცა დაჲ თჳსი და წარმოიყვანა როსტომ მარიამ და მოვიდა ტფილისს და ჰქმნა ქორწილი მუნ დიდ-დიდებული ქ“სა ჩ“ქლჱ, ქარ. ტ“კვ. კუალად ამითი მოაკლო თეიმურაზს ძალი დადიანისაგან.

ხოლო ამათი მოქმედი როსტომი მოვიდოდა გორს, ცხირეთს, ტფილისს, სომხითს და მარადის იშუებდა და იხარებდა“ [6. 440-441]. საყურადღებო ისიცაა, რომ ბერი ეგნატაშვილიც მარიამისა და როსტომის დაქორწინების წინაისტორიას სამეგრელოს, იმერეთის, ქართლისა და კახეთის პირველ პირთა პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში განიხილავს და ამასთანავე, როსტომის, ლევანისა და მარიამის შეხვედრის ეპიზოდს კაკას ხიდთან ახალი დეტალებით ავსებს [1]. ყურადღებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც იმსახურებს. როსტომ მეფესთან მარიამ დედოფალმა თავისივე დაჟინებული მოთხოვნით, ქრისტიანული წესით იქორწინა. ამ რიტუალის აღსრულებისათვის, ჯერ კიდევ ბავშვობაში გამაჰმადიანებულმა როსტომმა შაჰს ნებართვა გამოსთხოვა, უფრო მეტიც, ქორწინების წინ მოინათლა კიდეც. ზემოთ ხსენებული ავიტაბილეს ცნობით: „მეფეს თავი დაბანეს “ [5. 13]. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, დონ პიეტრო ავიტაბილეს შემდეგი ცნობაცაა საყურადღებო „მეფე (როსტომი–ნ.ხ.) არასოდეს დადის ეკლესიაში, არც ერთ მარხვას არ ინახავს და ეს ყოველდღე გრძელდება. მაჰმადიანებს უცხადებს (რომ) იგი მაჰმადიანია და თავის ცოლთან კი (მარიამ დედოფალთან – ნ. ხ.) პირჯვარს იწერს [5.34]

მიუხედავად იმისა, რომ როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ V-ზე მარიამ დედოფლის დაქორწინების შესახებ ქართულმა და უცხოურმა წყაროებმა (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ჟან შარდენი, პარიზის ქრონიკის ავტორი) ნიუანსურად განსხვავებული ცნობები შემოგვინახეს, ამ შემთხვევაშიც მარიამ დედოფლის პოლიტიკური მოტივაცია ნათელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, რომელიც, ძირითადად, დოკუმენტურ და წერილობით წყაროებს ეფუძნება, როგორც როსტომ ხანის, ასვე ვახტანგ V-ის თანამეცხედრეობისას მარიამ დედოფალი სახელმწიფო მართვაში სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. დ. ჟღენტის მართებული შენიშვნით: „მარიამის უფლებები სცილდება სხვა ქართველ დედოფალთა ტრადიციულ უფლებებს და ზოგჯერ მეფის იურისდიქციასაც კი უტოლდება“ [7. 103]. მართლაც ირკვევა, რომ 1634 წელს დედოფალი მეფისაგან დამოუკიდებლად ათარხნებს თბილელსა და სათბილელოს „ჩვენ, დედოფალმან პატრონმა მარიამ ესე წყალობის და თარხნობის წიგნი გიბოძეთ, თქუენ, ქალაქ სიონთა ღ(მრ)თისმშობლის ყმათ, ასრე რომ ამას წინათაც ხელმწიფეთაგან თარხანი იყუენით, ახლა თბილელი და სათბილელო ყმა პირის სანახავად მოგუართეს, აწე ჩუენცა გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, რომე არაფერი არა სანეფო და არა სათათრო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს“ [7. 103]. იმავე დ. ჟღენტის მიერ მოძიებული მასალების მოწმობით, 1640, 1649, 1555 წლებში მარიამ დედოფალი საკმაოდ აქტიურ სახელმწიფო მოღვაწეობას ეწევა. 7 წლიანი ვადით სახელმწიფო გადასახადებისაგან ათავისუფლებს მოსახლეებს; ამტკიცებს ჯერ კიდევ 1619 წელს სიმონ მეფის მიერ მანგლელი მთავარეპისკოპოსისათვის, ათანასე ტატიშვილისთვის მიცემულ ბოგანო გლეხების წყალობის წიგნს. მეფისაგან დამოუკიდებლად უბრუნებს სიონს ლევან მეფის მიერ შეწირულ კისისხევს; კისისხევის მოურავობას უწყალობებს ავალ ავალიშვილს [7, 103]. ასევე საყურადღებო ისცაა, რომ მეფის სიცოცხლეშივე და შემდგომაც მარიამ დედოფალი, როგორც ჩანს, როსტომის ე.წ. საგარეო კომპრომისულ პოლიტიკაში“ საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, მისივე სიტყვებით: „როსტომის დროსაც ყაენის

საქმესა და ერთგულობას მე მკითხავდა და ახლაც მოველი, რომე ჩემი უკითხავი აღარა იქნას რა“ [7.106]. ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პოზიციაზე დგას იგი ვახტანგ V-ზე დაქორწინების შემდგომაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მისი სიტყვები იმსახურებს საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ არა მხოლოდ შაჰის, არამედ დედოფლის ნება-სურვილიც იყო ვახტანგ V-ზე ქორწინება [8. 23], სხვა შემთხვევაში: „ხელმწიფე გაგვიწყრებოდა და და ქვეყნის აშლასა და აოხრებას უფრო ბევრი ცოდვა და დასამარცხი საქმე მოსდევდაო“ [7.108].

ზემოაღნიშნულთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას მარიამ დედოფლის უმდიდრესი სულიერი სამყაროც იმსახურებს.

ამჯერად მხოლოდ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გამოვყოფთ, რომლებიც მარიამ დედოფლის საეკლესიო მოღვაწეობასთან და მის სულიერ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

XX ს-ის 80-იან წლებში გ. ჟორჟოლიანმა ქართულ და ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებში, ასევე ქართულ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობები მოიძია საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის დამოკიდებულების პირუთვნელი სურათის დასადგენად. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტის ჩვენებით, 1650 წელს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით ელისე თბილელს სიონის ეკლესიის „გუმბათი და სამხროები“ განუახლებია და „ყოვლისა საეკლესიო სამკაულითა“ გაუმართავს. იმავე წელს, მეფე-დედოფალს მცხეთის სვეტიცხოვლის ჩამოქცეული გუმბათი „შეუმკიათ“, აღუდგენიათ „დაქცეული წმინდა მონასტერი ალავერდისა“, ქრისტეფორე კათოლიკოსის მონაწილეობით თბილისში „თემურლენგისაგან შემუსვრილი“ კვირაცხოვლის საყდარი განუახლებიათ, ერთაწმინდაში წმ. ესტატეს ტაბარი არა მხოლოდ შეუკეთებიათ, არამედ მოუხატავთ კიდეც. მათვე 1651 წელს დავით გარეჯის უდაბნოში არაერთი დანგრეული შენობის აღდგენაზე უზრუნვიათ, თეძმისპირას კი, „საყდარნი და მონასტერნი აღუშენებიათ“ [9, 55].

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, მარიამ დედოფლის სახელს უკავშირდება „შემუსვრილი“ ბოლნისის ტაძრის განახლება-აღდგენა: „ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი, რომელი აღაშენა კ“თ მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა პ“თ დედოფალმან მარიამ“ [6, 311]. იგივე ავტორი მარიამ დედოფლის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ კიდევ ორ ცნობას გვაწვდის. კალაზე საუბრისას ისტორიკოსი აღნიშნავს: „არს კუალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და აწ ცარიელი, და სხუანი გუმბათიანნი არიან. გ“ უპყრავთ სომეხთა. უგუმბათო აღაშენა კარის საყდ|რად პ“თ დედოფალმან მარიამ [6, 336], ხოლო გორისა და „ლიახვის ზეითისა“ აღწერისას დასძენს: „აღაშენა ეკლესია ესე (იგულისხმება რუისის ეკლესია - ნ. ხ.) ო“ვ მეფემან ალექსანდრემ შემდგომად კუალად განაახლა და შეამკო პ“თ დედოფალმან მარიამ“ [6, 373-374].

მარიამ დედოფალი არც საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ, წმინდა მიწაზე, განლაგებულ ეკლესია-მონასტრებს აკლებდა ყურადღებას და მზრუნველობას. ირკვევა, რომ მეფე-დედოფალი ქართული სულიერი კულტურის ამ კერებს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა.

1950 წლით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად, მარიამ დედოფლის თხოვნისა და როსტომ მეფის ბრძა-

ნების შედეგად, სოფელი დირბი გაუთარხნებიათ და მისთვის „საიერუსალიმოდ“ 6000 თეთრის გაღება დაუკისრებიათ [9, 55-56], ხოლო ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, მარიამ დედოფალს იერუსალიმში თავისი გარდაცვლილი შვილის, ოტია ბატონიშვილის ქონების ნაწილი გაუგზავნია [10, 91].

1645 წელს როსტომ მეფესა და მარიამ დედოფალს ოტია ბატონიშვილის სულის მოსახსენიებლად სოფ. დარბაზი სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის შეუწირავთ. ამ სოფელში მცხოვრები გლეხები კი, სახელმწიფო გამოსაღებისაგან („სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობის“ გარდა) გაუთავისუფლებიათ. მატერიალური დახმარება სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის ამ აქტით არ ამოწურულა. მარიამს ოტია ბატონიშვილის ქონების ნაწილი, „საყდართა და მონასტერთა სახით ასევე სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს. 1647 წელს მისთვისვე უბოძებია არაგვის პირას მდებარე სოფ. ღურაო. ასევე გულუხვი ყოფილა მეფე-დედოფალი სიონის ტაძრის მიმართაც. 1650 წელს მარიამ დედოფალსა და როსტომ მეფეს „ჟამთა ვითარებისაგან“ მოშლილი და დაქცეული სიონის ტაძარი არა მხოლოდ „მეორედ აღუშენებიათ“, არამედ მისთვის შესაწირად იქვე მდებარე ქარვასლის შემოსავლიდან ასი მარჩილის გადახდა დაუდგენიათ. სიონის ეკლესიისთვის გადაუცია მარიამ დედოფალს იმერეთში თეიმურაზის გახიზვნის შემდეგ „ნასისხლად დადებული“ სოფელი კისისხევიც, რომელიც მეფეს „სახასოდ დაუჭერია“. 1648 წლის საბუთის მიხედვით, მეფე-დედოფალსა შუამთის „მსახლობელთა ბაჟი და დამღა“ ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავთ და ა. შ.

საეკლესიო მოღვაწეობას მარიამ დედოფალი ვახტანგ V-ზე დაქორწინების შემდეგაც აქტიურად განაგრძობდა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების აღმავლობას ბერი ეგნატაშვილი მაინცდამაინც ვახტანგ V-ს, მისი ვაჟებისა და განსაკუთრებით, მარიამ დედოფლის სახელებს მიაწერს. ბერი ეგნატაშვილის მოწმობით, შაჰნავაზის მეფობის დროს „წმინდანი ეკლესიანი ზეშტა აღმატებულ-ყო შესაწირავითა აგარაკთა და ყოველთა სამკაულთა მიერ განაშუენებული“... „ყოველნივე ესნი ეკლესიათანი“ გამრავლებული, საქართველოს ეკლესიები მარიამ დედოფლის მეირ შემკული „შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა“ [1].

საქართველოს ეკლესიაზე, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მარიამ დედოფლის ზრუნვა სხვა ცნობებითაც მოწმდება. ირკვევა, რომ დადიანის ასული დიდ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო ხელნაწერების უცხოთაგან გამოხსნას, განახლებას, გადაწერას, აკინძვას, ყდაში ჩასმას, გალამაზებას, მათთვის საიმედო თავშესაფრის მოძებნას. ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის მოამაგეს, მარიამ დედოფალს, „ტყვეობიდან“ რამდენიმე უძვირფასესი ხელნაწერი გამოუხსნია. ესენია: პარხალის მრავალთავი (A N95), სვეტიცხოვლის ჰიმნი (A N84), ტბეთის ორთხთავი (Q N929). მასვე განუახლებია პარხალს მრავალთავი (A N95), ს. ჭალის გულანი (H N936). მისი თაოსნობითვე შეუკრავთ მეტაფრასი და სხვა. პარხალის მრავალთავის ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „ჩვენ, ხელმწიფემან პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდან გამოვიხსენ და განვაახლე დაშლილი და წამხდარი“. XII საუკუნით დათარიღებული ტბეთის სახარებაზე კი, მარიამ დედოფლის შემდეგ ანდერძ-მინაწერს ვადასტურებთ: „პირო ღთისაო, სახარებაო/მომიხსენე დედოფალთ-დედოფალი დადიანის ასული

მარიამ/ამ სოფელს მადღეგრძელე, მეორედ მოსვლას გამომიხსენ, რამეთუ აგარიანო ჴელიდამ გამოგიხსენ წამჴდარი და ნაწერწაშლილი და ახლად დავაწერინე“ სადღეისოდ მარიამ დედოფლის ანალოგიური არაერთი ანდერძ-მინაწერია ცნობილი. აქვე იმასაც დავძენთ, რომ პარხალის ოთხთავის ხელნაწერი მარიამისავე ბრძანებით, ტყავის ყდაში ჩაუსვამთ და უმაღლესი ხარისხის პერგამენტზე გადაუწერიათ, რომლის დასამზადებლად 329 ხბოს ტყავი გამოუყენებიათ. აღნიშნული ხელნაწერი კალიგრაფიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს [11, 43,73-74, 90 და შმდ].

მარიამ დედოფლის სულიერი სამყაროს წარმოსადგენად 1634 წლით დათარიღებული მისი მზითვის წიგნიც გვეხმარება, სადაც წმინდანების ხატების მოხსენიებასთან ერთად, ქართლის მომავალი დედოფლის კუთვნილი საეკლესიო და საერო ლიტერატურული ძეგლების ჩამონათვალსაც ვხვდებით. ამ დოკუმენტის თანახმად, მისთვის მზითვად დაუტანებიათ: „...მცველად და მფარველად ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთის მშობლისა, მძიმედ და ლამაზად მოჭრილი ოქროთა, შიგან ზის – თავსა დიდი პატიოსანი ბადახშანი ლალი, კიდევ მისი უმცროსი კარგი ორი ლალი და სამი სხვა ლალი, დიდრონი ობოლი მარგალიტი ოცდაოთხი, მას ქვეშეთ მარგალიტი ასოცდაშვიდმეტი და ნიშაური ფირუზი ოცდაორი და სხვა თვალი კიდევ ოცდარვა.

მეორე კიდევ მოჭედილი ოქროთა ხატი ყოვლად წმინდისა ყელსაკიდი ჯაჭვითა

კიდევ ორი ყ[ოვლა]დ წ[მიდის] ხატი
ერთი... საუფლო ხატი.
ერთი დავითნი
ერთი ჟამნი
ერთი დაუჯდომელი საკითხავი წიგნი
მეორე ყოვლად წმინდის სავედრებელი წიგნი...
გარეშეს წიგნისაგან
ერთი როსტომიანი
და ერთი ვეფხისტყაოსანი“ (12, 9).

მარიამ დედოფალზე საუბრისას შემდეგიცაა საყურადღებო: ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თავს დატეხილი უბედურების დროს, როდესაც მას ერთ-ერთი შვილი ოტია ბატონიშვილი ხელიდან გამოეცალა, თვალცრემლიანი თმებდაგლეჯილი, ლოყებდაკაწრული, გასისხლიანებული, ძაძებით შემოსილი მშიერ-მწყურვალე, მიწაზე მჯდომარე დედოფალი 12 დღის მანძილზე მთავარ ჭირისუფლად რჩებოდა: სამძიმარს თავად ღებულობდა. ჟამთა სვლას შვილის გარდაცვალებით მიყენებული ტკივილი ვერ გაუნელებია. იმავე ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობით, მარიამ დედოფალი შემდგომი ოცი წლის მანძილზე მარხულობდა (ხორცს არ გაკარებია) და შავი სამოსი არ გაუხდია [13, 103-104].

წინამდებარე მცირე ნარკვევი მარიამ დედოფლის მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის გახსენებას ისახავს მიზნად. საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქრისტიანობის დიდი ქომაგის, ქართველი ხალხის საგანძურის „ქართლის ცხოვრების“ უძვირფასესი ნუსხის (S N30) შემქმნელის პიროვნებას პატივი არა მხოლოდ ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა მიაგეს, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გადამწერებმაც, რომლებიც ღმერთს დედოფლის კურთხევასა და დღეგრძელობას შესთხოვდნენ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ანდერძ-მინაწერებში ხშირად ვხვდებით სიტყვებს: „ღ“თო აკურთხე დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან ესე წიგნნი“, „ღმერთო აკურთხე დედოფალი მარიამ დღესა შინა სიგრძისა მისისათა ამინ“, „დედოფალს მარიამს შეუნდოს ღმერთმან დღეგრძელობითა ამინ“, „ღმერთო აკურთხე დედოფალი მარიამ დღეგ-

რძელობითა“, „ღ“თო დაიცევ მარიამ ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა ამინ“, „ღ“თო წარმართე დედოფალი მარ[ი]ამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან ესე წიგნნი. ამ სოფელს დღენი განუგრძელე, და მას [სა]უკუნოს ქალწულთა თანა დაამკჳდრე“, „ღ“თო და საშინელო სუეტო ცხოველო! დაიცვე და წარმართე ორსავე ცხოვრებასა დედოფალი მარიამ“.

მარიამ დედოფლის სახელმა საუკუნეებს გაუძლო. მისი საერო და სულიერი ცხოვრება დღესაც მისაბაძ მაგალითად რჩება.

**ლიტერატურა**

1. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, https://sites.google.com/site/tskharoebi/home/akhalikartlistskhovreba-beriegnatashvili-gagrdzeleba
2. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975
3. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა, თბ., 2014
4. დონ არქანჯელო ლამბერტი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა, თბ., 2015
5. დონ პიეტრო ავიტაბილე, წერილები საქართველოზე, იტალიურიდან თარგმნა ბ. გიორგაძემ, თბ., 1997
6. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
7. დ. ჟღენტი, ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში, ჟურნალი მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1985
8. ა. ტუღუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992
9. გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50–იან წლებში (ქართლი, კახეთი) თბ., 1987
10. საისტორიო მოამბე, II, ტფილისი, 1925
11. ი. ქაფიაშვილი, ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები, თბ.,1994.
12. მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), ტექსტი მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. იაშვილმა, თბ., 1974
13. Парсадан Горгиджанидзе, История Грузии, Перевод Р.К. Кикнадзе и В.С. Путуридзе, иследование и указатели Р.К. Кикнадзе, Тбилиси, 1990

## XVIII საუკუნის ხელნაწერი A 1443 „კრება ფლორენციისა“
(აღწერილობა)

*დეკანოზი იაკობ (ბექა) უშიკიშვილი*

ქართული ისტორიული წყაროები საკმაოდ მწირია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შესახებ. ამათგან ყველაზე ადრეულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“-ს უძველეს ხელნაწერთა აშიაზე მინაწერი. მეორე წყარო გახლავთ ფსევდო დოროთეს ქრონიკა რომლის მეორე ნაწილშიც მოცემულია კრების ისტორია. ეს მეორე ნაწილი არჩილ მეფემ რუსულიდან თარგმნა ქართულად რუსეთში ცხოვრების პერიოდში. რუსული ტექსტის დედანი ქართული მინაწერებით ინახება მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო მუზეუმში. ამ ნაწილის ქართულ თარგმანს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიაკვლია და გამოსაცემად ამზადებს პროფესორი მიხეილ ქავთარია. მესამე წყარო გახლავთ იოანე ბატონიშვილის კალმასობა, სადაც შედარებით ვრცლადაა გადმოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია A 1443 ხელნაწერი „კრება ფლორენციისა,“ ჩვენი მიზანია ეს ხელნაწერი სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის ნაცნობი გავხადოთ. (ამ ხელნაწერის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თსუ დოქტორანტმა ოქროპირ ჯიქურმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ)

ხელნაწერი A 1443 დათარიღებულია XVIII საუკუნით. მისი ტექნიკური აღწერილობა შემდეგია: 16 ფურცელი; 22.5 X17; ქაღალდი; უყდო; მხედრული ორ სვეტად, სავარაუდოდ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (გიორგი თუ ალექსი) მესხიშვილის ხელით 14v-16v დაუწერელია. „ფლორენციის კრების“ ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი, რომლის ქვემო არეზე დახელოვნებული კალიგრაფის ხელით, დიდი ზომის მხედრული ასოებით, ქართულად, წარწერილია: „კრება ფლორენციისა“ სათაურის გვერდზე ასევე მოცემულია შვიდი მსოფლიო კრების სქემა; თანმიმდევრობითაა აღნიშნული ბიზანტიის რომელი იმპერატორის დროს, რომელი პაპისა და რომელი პატრიარქის, რომელ ქალაქში და რომელი „წვალების“ გამო მოხდა ესა თუ ის კრება, დამსწრე მამებისა და და კრების მიერ მიღებული კანონების რიცხვი 1r; უშუალოდ ფლორენციის კრების შესახებ თხრობა გადმოცემულია 2r-10r; 10v, I სვეტი წარმოადგენს ეკლესიის მამათა წინასწარმეტყველებას ისლამის შემუსვრის შესახებ. 11r-14r– ტექსტის აღმწერის მიერ ნათქვამია, რომ ეს ტექსტი „ქრისტეს ვნებათა“ დაწვრილებით აღწერას წარმოადგენს, მაგრამ ტექსტის დეტალურად წაკითხვის შემდეგ შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ეს გახლავთ ლიტურგიკული ტექსტი ვნების შაბათის საკითხავი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 1954: 530–532).

### A 1443 ხელნაწერის გადამწერის ვინაობა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევარმა, ფილოლოგიის დოქტორმა ია გაჩეჩილაძემ ალექსი-მესხიშვილთა გვარის წარმომადგენელთა შესახებ 2011 წელს გამოსცა მონოგრაფია სადაც A 1443 ხელნაწერის გადამწერად XVIII საუკუნის ცნობილ მწიგნობარ–კალიგრაფ დეკანოზ ალექსი მესხიშვილს ასახელებს. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 1954). როგორც იოანე ბატონიშვილი მოიხსენიებს: „ალექსი, დეკანოზი ანჩისხატისა, ესე

იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონი კათალიკოსისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერნი მისნი. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა" (კალმასობა ტ II 1980: 200).

ალექსი მესხიშვილის მამა – გრიგოლ მესხიშვილი სამეფო კარის მხატვარი იყო. ამან განაპირობა მისი ოჯახის ახლო ურთიერთობები სამეფო ოჯახთან, ალექსი და იესე მეფის ვაჟი – თეიმურაზი (შემდგომში კათალიკოსი ანტონ პირველი) ეს სიახლოვე და ურთიერთსიყვარული მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვათ. ალექსიმ წერა გადაწერა საკმაოდ ადრე დაიწყო, ამას მოწმობს ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერი: „მეუფეო იესო ქრისტე, შეიწყალე მამა ჩემი გრიგოლ მხატვარი და დედა ჩემი თამარ და მათი ძე დიაკონი ალექსი. დავწერე მე წლისა იე(15)" [S-2715, გვ. 401] გადაწერა მას საკმაოდ ახალგაზრდას დაუწყია, რადგან 15 წლის ასაკში უკვე გაწაფული ხელი ჰქონდა (ი.გაჩეჩილაძე 2011:40).

XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში ალექსი სვეტიცხოვლის დეკანოზია, ხოლო 50-იანი წლებიდან უკვე ანჩისხატის ტაძარში მოღვაწეობს. დეკანოზმა ალექსიმ მეტად რთული გზა განვლო. მას ბრალი დასდეს სამეფო განძის მითვისებაში: „რამეთუ ამას მრავალი განძი მეფეთა აქვს და სხვაცა მრავალი სიტყუა დაარწმუნეს უსჯულოთა და განუკითხავად სიკუდილსა მიმცეს" დარდის განსაქარვებლად მას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის გადაწერა დაუწყია: „ფიქრითა და ნაღვლითა სრულ იქმნა ლექსიკონი ესე. რომელი დედანში ეწერა, მეც ის დავწერე, რომელიცა იხილოთ ამა წიგნსა გინა კეთილ, გინა ბოროტ, მე არცერთში შუა ვარ. ორივ, დასაწუნი, გინა მოსაწონი, დედნისა არის, მე გადმოწერის მეტში არას შუა ვარ. ამისათვის დავშვერ, რამეთუ ნაღვლისაგან მწარე უდებებაშემქმნის და უდებებისგანმაქარვებლად ესე მოვიგონე..." (ი. გაჩეჩილაძე 2011:41).

1756 წელს, როდესაც ანტონ კათალიკოსი საქართველოდან გააძევეს, ალექსი მესხიშვილიც შეურაცხყვეს, მაგრამ მათი სიახლოვე არ შეწყვეტილა. კათალიკოსი მას ხშირად სწერდა მოსაკითხ წერილებს: „ჩუენ ქურუმად მათ მიერ შერაცხილნი განვიდევნებოდით და შენცა ჩვენთანა ზიარ ვნებისა ჩვენისა იქმნებოდი.. მაუწყენ განცდილისა და ვნებულისა ცხოვრებისა შენისა ჰამბავნი... ჩემს სულიერს დას შენს მეუღლეს და შენს შვილს გიორგის ლოცუა-კურთხევით მოვიკითხავ" (ი. გაჩეჩილაძე 2011:42) დეკანოზი ალექსი მესხიშვილი და ანტონ კათალიკოსი, გარდა დიდი მეგობრობისა, შემოქმედებითაც იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთანორივემ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ სადღესასწაულო საგალობლების შედგენის საქმეს. როგორც ცნობილია „თთუენის" რედაქციების სხვადასხვაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოში XVIII საუკუნეში. ქართული „თთუენი" სლავურ-რუსულთან მიმართებით სწორედ დეკანოზმა ალექსი მესხიშვილმა და ანტონ კათალიკოსმა გამართეს.

დეკანოზი ალექსი მესხიშვილი საქართველოში მძლავრი კალიგრაფიული სკოლის „ალექსი-მესხიშვილთა" ფუძემდებელია. მისი ნაწერები გამოირჩევიან მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალურობით, წერის თავისებური მანერით. მის მიერ გადაწერილ ხელნაწერს „კრება ფლორენციისა" არ აქვს გადამწერის ანდერძი, მაგრამ მიუხედავად ამისა მკვლევარს მისმა წერის მანერამ და სხვა ხელნაწერთა

პალეოგრაფიულმა შეჯერებამ, ასევე მასზე გაკეთებულმა მინაწერმა (არქიმანდრიტი ტარასი ალექსი-მესხიშვილი წერს: „არხიმანდრიტისა ტარასისა, პაპიჩემის ნაწერი მე მეკუთვნის“ ტარასი ალექსი მესხიშვილის ვაჟის – სოლომონის შვილია) მისცა საშუალება A 1443 ხელნაწერის „კრება ფლორენციისა“ გადამწერად დეკანოზი ალექსი მესხიშვილი დაესახელებინა.

## A 1443 ხელნაწერის „კრება ფლორენციისა“

მოკლე მიმოხილვა

ჩვენს მიერ განსახილველი წაყრო, გარდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების პერიპეტიებისა ასევე შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციებს როგორც მსოფლიო ასევე ქართული ისტორიის შესახებ. ჩვენ შევეცდებით ეს მნიშვნელოვანი ცნობები რიგითობით წარმოვადგინოთ წყაროდან.

1. საკითხი გახლავთ ოსმალეთის სულთნის მიერ თესალონიკის აღებისა. არც ბიზანტიური და არც სხვა წყაროებში არ არის გადმოცემული თესალონიკის აღების ის ვერსია რომელსაც ეს წყარო გადმოგვცემს. თესალონიკის აღების შემდეგ ავტორს ჩამოთვლილი აქვს ქვეყნები რომელიც სულთან მურადმა აიღო, ამ ქვეყნების ჩამონათვალშია ივერიაც, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, პირველი დიდი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში განახორციელა სულთანმა სელიმმა 1510 წელს, ქრონოლოგიური რიგი არასწორად აქვს მითითებული წყაროს მთარგმნელს.

2r: „იჯდა სულთანი ანდრეანოპოლსა და იოანე პალეოლოღო – კონსტანტინოპოლსა: ........ წარვიდა სულთან მურად თესალონიკესა და დაიპყრა წელსა ქრისტეს განხორციელებითგან ათას ოთხას ორმოცსა წელსა: ამოსწყვიტა მრავალნი ქრისტიანენი ვინაითგან არა ენებათ თაყვანისცემა მისი, ხოლო მცველთა ფრანგთა ვერა ცნეს მოსვლა სულთნისა. მალვით ხარვიდენ, ხოლო თესალონიკელნი მრავალსა მას ხელოვნებდეს, არამედ უქმ იქმნა და მას ჟამსა ვერ აიღეს არამედ სხვანი ქალაქნი აიღო და მიიქცა ანდრიანეპოლსა, იყვნეს წელნი ადამს აქეთ ექვსი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი. არა იყო შემძლებელ სულთანი აღებად თესალონიკესა, არამედ ისმინეთ თუ ვითარ აიღო, რამეთუ მდინარესა რომელსა სმიდნენ იგი გამოუღო სულთანმან, რომელიცა კვალად შემოადგა და მრავალსა საფასესა უქადებდა და მონასტერსა ვალანდეოსასაგან მოეწერა წიგნი ვითარმედ, უფალმან ღირს გვყოს თაყვანისცემად შენდა რათა კონსტანტინეპოლიცა დაგეპყრას, და მემცნეს ესე მონასტისა ბერთა. უკეთუ გნებავს აღება თესალონიკესა წყალმომდინარე სასმელი ჩუენი მიგვიღე და აღიღებ ქალაქსა, ესმა რა ესე სულთანსა განიხარა ფრიად და მოსწყვიდა წყალი, ესე არა უწყოდენ თესალონიკელთა, თუმცა მონაზონნი ამას იქმოდენ არამედ მოუთმენელსა მისგან წყურვალსა მისცეს ქალაქი და აღაოხრა მრავალ, რამეთუ არა ნებითა მომეცით არამედ ძალითა აღვიღე რამეთუ მონასტერსა არა რა ავნეს, არამედ მცველნი დაუდგინეს და დარჩა სახელი მონასტრისა ვიდრე დღეინდელ დღემდე მონასტერ ჩემისა და კვალად პატივისცა მონასტერთაგანთა და არა რა სახელმწიფელოდასდვა მათ ვიდრე დღეინდელად დღემდე და დაიპყრა მრავალი დასავლეთისაკენ, სერბია, ბულღარიაცოდვათა ჩვენთაგან აღიღოივერიაცა.“

2. წყარო „კრება ფლორენციისა“ გადმოგვცემს ორ მეტად მნიშვნელოვან ცნობას ბიზანტიის ისტორიიდან: პირველი ცნობა გვამცნობს რომ რომის პაპი ნიკოლოზი ჩამოვიდა რომიდან კონსტანტინეპოლში, მაგრამ არ შეუშვა იმპერატორმა ქალაქში, ხოლო მეორე ცნობა გვამცნობს, რომ კონსტანტინეპოლში არ შეშვების შემდეგ ათონის მთას ესტუმრა და მისმა მცველებმა იარაღით მოახდინეს ანგარიშსწორება ბერ-მონაზვნების.

10r „რამეთუ პაპამან ევგენიოს რომელმან ქმნა კრება იგი აღსრულებულ იყო: და დამჯდარიყო პაპად ნიკოლაოზ: და ვითა ცნეს ესე ვითარმედ კოსტანტინეპოლის ეკლესია არა სარწმუნო არიან კრებისა ფლორენციისასა: შთაჯდა ხომალდთა და მიიწია კოსტანტინეპოლსა. პირსა უკადრისსა: და წარუგზავნა მეფე და მთავართა რათა ნება სცენ შესვლად კოსტანტინეპოლედ დიდსა ეკლესიასა. ამისათვის რათა აწი იწყონ კრებად თუცა ფლორენციიას კრებასა აკლდა: ამათ არა ინებეს ესე: და არცა ხილვა იწადეს: ვინაითგან პაპმან ესე შეურაცხებით გაყრა იხილა: შეაჩვენა: და აღდგა კატარღით და წარვიდა:“

10r „მიიწია პაპა მთაწმიდას მონასტერსა ვათოპეტსა: და წინამძღვარი არა ინებებდა ხილვასა და პატივსა მისსა: და დაიპყრეს წინამძღვარი და მონაზონნი და სატანჯველნი მიუპყრო: და ზოგნიცა აღსრულდნენ: და მონასტერს შინა იავარყო ცხოვრება მათი: და მუნით მიიწია წმიდად ლავრად და წირა: სადაცა არა პატივსცეს მრავალი ბოროტი მოაწია: აღდგა მთაწმიდით და მიიწია რომს:“

3. წყაროს წარმომავლობაზე ქართულ მეცნიერებაში არსებობდა მოსაზრება რომ ეს წყარო ბერძნულენოვანია, ჩვენის მხრივ ვფიქრობთ, რომ ეს წყარო ბერძნულენოვანია და კერძოდ კი ათონის მთიდან (სავარაუდოდ ვატოპედის მონასტრიდან) არის, ამ აზრს წყაროს დასაწყისში და წყაროს დასასრულ მოყვანილი დეტალური თხრობა ათონის მთაზე, ასევე ვატოპედის მონასტერზე გვაძლევს ამ აზრის გამოთქმის საშუალებას.

2r. „მანოველ კეისარს ესვნეს ძენი და უმრწმესსა ძესა მისსა, ანდრონიკეს უბოძა საზრდო მისთვის – და დაყოფასა მისსა თესალონიკეს, შეემთხვა სნეულება ფრიად და უძლურება, ინება, რათა მიჰყიდოს თესალონიკე ვენედიკს და თვით წარვიდეს მთაწმინდას და ყო ეგრეცა. რამეთუ მიჰყიდა თესალონიკე ვენედიკს ვიდრე ორმოცდა ათი ათას დრაჰკანად, ამისა შემდგომად საფასისა მისგან ზოგი რომელიმე განაბნინა მეგობართა თვისთა თანა და ზოგიცა წარიღო მთაწმინდასა, მიიწია მონასტერსა ვატოპედს და იქმნა მონაზონ და სახელ იდვაანტონი მონაზონი. შეისყიდა მეტოქი ერთი მიწა და იგიცა მასვე მონასტერსა შესწირა რომელიცა დღესაცა არს და სხვასაც მრავალსა შესწირავდა: ბარძიმი ერთი შესწირა იასპისა ძვირფასისა რომელ წამალ არს ეშმაკეულებისა და სხვა ბარძიმი ძვირფასისა შესწირა ბროლისა ოქროქანდაკებული და კრეტსაბმელი ძვირფასისა, და არწივი ოქრონამკობი და სხვა მრავალი და ფარდა ყოვლად წმინდისა აკათისტო მოწერილი და სხვანი ეკლესიისა სახმარნი მრავალნი:“

10r „მიიწია პაპა მთაწმიდას მონასტერსა ვათოპეტსა:“

ამ სტატიაში შევეცადეთ წყაროს ის ადგილები გაგვეხადა ცნობილი რომლითაც განსხვავდება ეს წყარო სხვა წყაროებისგან, ეს მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა და თითოეულ საკითხზე დეტალურ კვლევას საჭიროებს.

**SUMMARY**

**GEORGIAN SOURCE OF "COUNCIL OF FLORENCE" OF 18TH CENTURY.**

**Jakob Ushikishvili**

Our article is about Georgian manuscript of the 18th century which is kept in the collection of National Manuscript Centre of Georgia, with number A1443 and which is the translation of Greek language source of the history of Council ofFerara- Florence(1438-1439) Its name is " Council of Florence".This manuscript is rewritten most probably in the middle of the 18th century by famous callegrapher Archpriest AleksiMeskhishvili. After studding the source we suppose that this source is from Holy Mount Athos, particularly from Monastery of Vatopedi.

**ლიტერატურა**

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.IV, თბ 1954 წელი.
2. ია გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი (მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი-მესხიშვილები) თბ 2011 წელი
3. კალმასობა, ტ II, თბ 1980 წელი
გამოყენებული წყარო „კრება ფლორენციისა" ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A კოლექცია, ხელნაწერი N1443. XVIII საუკუნე.

# მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი

მანანა ქუთათელაძე





ახალი ტაძრის აშენება დიდი საქმეა, მაგრამ ძველის აღდგენა უფრო დიდი და საპატიოა. ძველი ტაძრის განახლებისათვის ადამიანს და მის ოჯახს დალოცავს ღმერთი, ტაძრის წმინდანი, ყველა ის სასულიერო პირი, ვისაც აქ უმოღვაწნია, ყველა ის ადამიანი, ვისაც ამ ტაძარში სინანულის ცრემლი დაუღვრია და ღვთის სადიდებელი ლოცვა აღუვლენია.



საქართველოში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ალგეთის მარცხენა მხარეს მდებარეობს დაბა მანგლისი, რომლის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ მანგლისი ადრეანტიკურ ხანაში მნიშვნელოვანი დასახლება იყო.

შემდგომ საუკუნეებში მის დაწინაურებას ხელი შეუწყო აქ გამავალმა გზამ, რომელიც შიდა ქართლს სამხრეთ საქართველოსთან, სომხეთთან და ბიზანტიასთან აკავშირებდა. ყალიბდება ადმინისტრაციული ერთეული - მანგლისის ხევი, რომლის ცენტრსაც ქალაქი მანგლისი წარმოადგენდა.

ხალხურმა გადმოცემამ შემოინახა მანგლისის სახელის წარმოშობის ორი ვერსია

•პირველი გადმოცემის თანახმად მანგლისთან მყოფ სოფელ კველთაში მანგლებს - ნამგლებს ამზადებნდნენ, რის გამოც ახლოს მყოფ დასახლებას მანგლისი დაარქვეს.

•მეორე გადმოცემის თანახმად ადგილს მანგლისი ბიზანტიელი ხუროთმოძღვრის - მანგლისის სიონის მშენებლის - ვინმე მანგლის საპატივსაცემოდ დაარქვეს.

IV საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულმა ქართლის მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ ელჩები გაგზავნეს კონსტანტინეპოლში იმპერატორ კონსტანტინე დიდთან და სთხოვეს ეპისკოპოსის და მღვდლების გამოგზავნა მეფის ოჯახის და ქართველი ხალხის მოსანათლად.



წმინდა ნინო. მ.საბინინის ნახატი.



წმიდა მოციქულთასწორი მეფე მირიანის და ნანა დედოფალის ხატი.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით ქართლში ჩამოდიან „ წმინდა პატრიარხი ანტიოქიისა ევსტატი და იოანე ეპისკოპოსი, წარმოვლენილნი დიდისა კონსტანტინეს მიერ, ხელსა ქვეშე წმიდისა ნინოსსა ნათელსცემდეს ერთა ივერიისათა, მეფესა მირიანს, სახლეულებათა მთავართა და მხედრობათა მეფისა მირიანისთა, ყოველსა ასაკსა მამათა და დედათა, ყრმათა და მოხუცებულთა, ჭაბუკთა და ჩჩვილთა, მაღალთა და მდაბალთა. იტყოდა პატრიარხი ევსტატი: ნათელს იღებენ მონანი და მხევანი ესე ღუთისანი, ერნი გიორგიისანი სახელითა მამისათა ამინ, ძისათა ამინ და სულისა-წმინდისათა ამინ.“

პლატონ იოსელიანი ათონის მთაზე დაცულ სიგელზე დაყრდნობით ადასტურებს ბატონიშვილ თეიმურაზის ცნობას და წერს, რომ ქართლში ჩამოდიან კონსტანტინე დიდის გამოგზავნილი ანტიოქიის პატრიარქი ესტატე, იოანე ეპისკოპოსი და კონსტანტინეპოლში მძევლად მყოფი ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ბაქარი.



**ევსტათი ანტიოქიელი** საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. ანტიოქიის პატრიარქი 323-330 წლებში. გამოდიოდა არიანელობის წინააღმდეგ. ეკუთვნის პოლემიკური თხზულებები „ორიგენეს წინააღმდეგ“, „მელქისედეკის შესახებ“, იოსებ ფლავიუსის ნაშრომის კომენტარები. ქართულად თარგმნილია მისი „ჰომილია ლაზარეს, მარიამისა და მართასათვის.“



**მანგლისის ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.**

მათ გაქრისტიანებულ მირიან მეფეს კოსტანტინეპოლიდან საჩუქრები ჩამოუტანეს „და მოუწერა მირიანს კონსტანტინე მეფემან წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ღმრთისა მადლობისა. და წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისა, და მის თანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის-ცემისა“.

ანტიოქიის პატრიარქის ესტატეს და იოანე ეპისკოპოსის მცხეთაში ჩამოსვლისთანავე მოინათლნენ მირიან III, ნანა დედოფალი და მთელი მათი სახლეულობა. შემდეგ მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან ქართლის მთელი მოსახლეობა გაქრისტიანდა.

სამეფო ოჯახის ნათლობის შემდეგ, ანტიოქიის პატრიარქმა ესტატემ ივერიის პირველ ეპისკოპოსად იოანე აკურთხა და ქართლი დატოვა. იოანე ეპისკოპოსმა და წმინდა ნინომ ქართლის სამეფოს სხვადსხვა კუთხეში ჯვრები აღმართეს.



**წმინდა იოანე მთავარეპისკოპოსი** - ქართლის პირველი ეპისკოპოსი 326 წ. IV საუკუნის 40-იანი წლების ჩათვლით. იგი მირიან მეფეს მიუვლენია ბოდბეში დასნეულებული წმინდა ნინოს მოსაკითხად და მცხეთაში წამოსაყვანად, მაგრამ წმინდა ნინომ წასვლაზე უარი განუცხადა და წმინდა მამისგან მიიღო ზიარება სიკვდილის წინ და „წარიღო ესე საგზლად საუკუნოდ”. 2014 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მთავარეპისკოპოსი იოანე I წმინდანად შერაცხა.



**„მაშინ კეისარსა კოსტანტინეს** რომელ ჰყვა მძევალი, ძე მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოგზავნა იგი მეფემან კოსტანტინე ნიჭითა დიდითა, და მოუწერა ესრეთ: „მე, კოსტანტინე მეფე, თვით-მპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუენული და მერმე გამოხსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერე შენდა ღმრთივ-განბრძნობილისა და ჩემთანა-ვე ახალ-ნერგისა, მორწმუნისა მეფისა მირიანისსა. იყავნ შენ თანა მშვიდობა და სიხარული! ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიქმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე, ძე ღმრთისა, პირველ ჟამთა შობილი, რომელი განკაცნა ხსნისათვის ჩუენისა, და ჯუარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენდა წინა-მძღურად, გულითა მოსავთა მისთა, და შუა-მდგომელობითა ღმრთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა ძმებრივ. და შვილი შენი შენდა-ვე მიმინიჭებიეს, იხილე და განიხარე; და ღმრთისაგან მოვლინებული ანგელოზი მშვიდობისა იყავნ შენ თანა მარადის; განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა“.

მოვიდა ბაქარ, ძე მეფისა მირიანისი, და მოციქული კოსტანტინე მეფისა მცხეთას. აღივსნეს სიხარულითა მირიან მეფე და ნანა დედოფალი, და მადლობდეს ღმერთსა, ნიჭთა სრულთა მომცემელსა. მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა.”

ქართლის ცხოვრება.




**წმიდა დიდი მეფენის, მოციქულთასწორნი კონსტანტინეს და ელენეს ხატი**

სამეფო ოჯახის ნათლობისა და ჯვრების აღმართვის შემდგომ მირიან მეფე კვლავ აგზავნის ელჩობას იმპერატორ კონსტანტინე დიდთან, „ქვისმთლელთა და კირით-ხუროთა“ სათხოვნელად ეკლესიების ასაშენებლად. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით მირიანმა ელჩად იოანე I ქართლის ეპისკოპოსი წარგზავნა.

იმპერატორმა კონსტანტინემ და დედოფალმა ელენემ ქართლში დაბრუნებულ ელჩობას ივერიის პირველ ქრისტიან მეფეს ხუროთმოძღვრებთან ერთად წმინდა რელიქვიები გამოუგზავნა „ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელზედა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვნეს უფლისანი, და სამჭუალნი“ და ეკლესიების ასაშენებლად „განძი დიდძალი“.

კონსტანტინოპოლიდან მობრუნებულმა იოანე ეპისკოპოსმა მცხეთაში მისვლამდე გზად ეკლესიები ააგო. პირველი ეკლესია ერგუშეთს ააგო და კონსტანტინეს გამოტანებული რელიქვიების ნაწილი ამ ეკლესიაში დატოვა.

ერგუშეთიდან წამოსული იოანე I „...მოვიდა მანგლისს“, რომელიც ლეონტი მროველის ცნობით, IV საუკუნის I ნახევარში ქალაქია და თბილისთან, უჯარმასთან, ბოლნისთან და რუსთავთან ერთად ქართლის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა.

ეპისკოპოსმა იოანემ მანგლისში „იწყო ეკლესიასა შენება და დაუტევნა ფიცარი იგი უფლისანი და სამჭუალნი უფლისა“. მანგლისის პირველი ტაძარი წმინდა ჯვრის სახელზე აკურთხეს, რადგან აგებისთანავე მასში დაბრძანებულ იქნა ძელიცხოველის - წმინდა ჯვრის ნაწილი.



**ტაძრის თავდაპირველი, V ს. გეგმა. რესტავრაცია. მ.დვალის ნახაზი.**





**ერუშეთი** - ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, ახლანდელი თურქეთის საზღვრებში. ქართლის სამეფოს უძველესი ადმინისტრაციული დანაწილებით, ერუშეთი არტაანთან ერთად წუნდის საერისთავოში შედიოდა. ძველი ქართული ტრადიცის თანახმად, საქართველოში პირველი ქრისტიანული ტაძარი ერუშეთში IV ს. ააგეს. ვახტანგ გორგასალმა აქ საეპისკოპოსო კათედრა დააარსა. XVI საუკუნიდან ერუშეთი სამხრეთ საქართველო სხვა პროვინციებთან ერთად ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების და ბერლინის კონგრესის თანახმად, ერუშეთი რუსეთის იმპერიას გადაეცა, შემდგომში მას კვლავ ოსმალეთი დაეუფლა. XX საუკუნის დასაწყისში მიკვლეულ იქნა ადრინდელი ფეოდალური ხანის სასახლის და სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, სადაც შეინიშნებოდა მომდევნო პერიოდების ფრესკათა ნაკვალევი.

**პირველი ქრისტიანული ტაძრები** საქართველოში იმდენად მცირე ზომისანი იყვნენ, რომ შიგ სალოცავად მხოლოდ მღვდლები შედიოდნენ, მრევლი კი გარეთ ლოცულობდა - „მღვდელნი ხოლო შევიდოდეს მას შინა გალობად და ერი პირისპირ მდგომარე ილოცვიდაო“.



**არსენ ბერი** — XI საუკუნის II ნახევრის და XII საუკუნის I ნახევრის საქართველოს საეკლესიო მოღვაწე, მწერალი. დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი.

მოღვაწეობდა შიომღვიმის ლავრაში. ლავრის აშენება-განახლება არსენ ბერის ზედამხედნელობით მოხდა. მასვე დაუდგენია ლავრისათვის სამონასტრო წესი და განგება.

არსენ ბერის კალამს ეკუთვნის დავით აღმაშენებლის ხოტბა “მეფესა დავითს მონაზონი არსენი”.

მასვე მიეწერება რუისურბნისის კრების ძეგლისწერისა და დავით აღმაშენებლის ორი ანდერძის შედგენა, ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია, ანდრია კრეტელის დიდი კანონის თარგმანი. ზოგიერთი მკვლევარი არსენ ბერს არსენ იყალთოელად მიიჩნევს.

**წმინდა არსენ იყალთოელის ხატი, რომელსაც აიგივებენ არსენ ბერთან**

გ.ჩუბინაშვილი წერს „მანგლისის ეკლესია უძღვნეს ცხოველმყოფელ ჯვარს და მისი ამაღლების-აღმოჩენის ხსოვნას, საიდანაც გვგონია, წარმოდგა მისი სახელი „მანგლისის ჯვარი“.

IV საუკუნიდან მოყოლებული მანგლისი ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

მანგლისში, IV საუკუნეში ეკლესიის აგებას ადასტურებს X საუკუნის ისტორიკოსი არსენ კათოლიკოსი თავის ნაშრომში „ცხოვრება წმიდა ნინოსი“ - მირიან მეფემ „შემოიკრიბნა ქვითხურონი და გალატოზნი და კუალად უბრძანა საძირკუელი ეკლესიისა მანგლისს“.

ვახუშტი ბაგრატიონი მანგლისის შესახებ გადმოგვცემს: მდინარე ალგეთისა და მჟვის ხევის შესართავს „ქუეით არს მანგლისი, ეკლესია გუმბათიანი, აღაშენა დიდმა კონსტანტინემ მირიან მეფის ჟამს და დაასუენა აქა ფერხის ფიცარი უფლისა;“

V საუკუნეში ვახტანგ გორგასლმა მანგლისში საეპისკოპოსო დააარსა და ეკლესია მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრად გადააქცია. მის მიერ დაარსებულ 12 საეპისკოპოსოთა შორის მანგლისი მეოთხე ადგილს იკავებს.

V საუკუნის II ნახევარში “მანგლისში, ძველი IV საუკუნის პატარა ეკლესიის მაგივრად ახალი გუმბათიანი ტაძარი აუგიათ. როდის მოხდა მანგლისში ტაძრის მეორედ აშენება, ამის შესახებ ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ შემონახულა.

„XI საუკუნის დასაწყისში ახლად აგებული ტაძარი ძირითადათ შეიცვალა, მაგრამ დარჩენილი ნაწილები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ მეორედ აგებული ტაძარი საკმაოდ დიდი ზომის, ტეტრაკონქის ტიპის ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენდა მანგლისის ტაძარი თავის პირვანდელი სახით, შინაგანი სივრცის გადაწყვეტისადმი მიდგომით, ძველი გავაზისა და სუხბეჩის, ე.ი. წმინდა ტეტრაკონქთა წრეში ექცევა მანგლისის ტაძარი ძველი გავაზის და სუხბეჩის ძეგლებისგან განსხვავდებოდა მხოლოდ თავისი გარეთა ხედით, აქ ტეტრაკონქი გარედან რვაწახნაგაში იყო მოქცეული.” – წერს მალაქია დვალი.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის - ტეტრაკონქის ტაძრებს შორის მანგლისი უადრესი ნიმუშია. ტაძრის სავარაუდო ზომები იყო სიგრძე 14.5 მეტრი და სიგანე 13 მეტრი. როგორი იყო ვახტანგ გორგასლის დროს აგებული ტეტრაკონქის ფასადები უცნობია, რადგან შემდგომი გადაკეთებისას გეგმარებით ცვლილებებთან ერთად ფასადები თავიდან მოაპირკეთეს და ჩუქურთმებით შეამკეს.

მემატიანეს ცნობით, 506 წლის დვინის კრების მონაწილე 24 ქართველ ეპისკოპოსთა შორის, მანგლელი ეპისკოპოსი – „ელაგეს ეპისკოპოს მანგლეაც“ რიგით მეცხრეა.

VI საუკუნეში მანგლისის ტაძარი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ მის მოსალოცად საქართველოს საზღვრებს გარედან დადიოდნენ. განსაკუთრებით ბევრი მომლოცველი კავკასიის ალბანეთიდან და სომხეთიდან დადიოდა. 607 წელს ქართულ და სომხურ ეკლესიათა განხეთქილების შემდეგ, სომეხთა კათოლიკოსმა აბრაამმა სპეციალური ეპისტოლე გამოსცა, რომლითაც ბრძანა, რომ სომხები „მცხეთის და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნენ“.



**ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესია** აგებულია IV საუკუნეში. ეკლესიის შენობა გეგმით ტეტრაკონქია ეკლესიას მოგვიანებით მიაშენეს გარშემოსასვლელი, რომელიც, როგორც ჩანს, მთელ ტეტრაკონქს ეკვროდა, მაგრამ შემდეგ დაზიანდა და ნაწილობრივ დაინგრა. 1850 წ. ძველი გავაზის ეკლესია აღადგინეს და საფუძვლიანად შეაკეთეს. სამხრეთ ფასადზე, გარშემოსასვლელის კარების თავზე, მოთავსებულია წითელი ქვის ფილა წარწერით, რომელშიც ნათქვამია, რომ 1852 წ., თავადმა ივანე ამილახვარმა აღაშენა და დაასახლა ძველადვე განთქმული სოფელი გავაზი და განაახლა ტაძარი.

**ვახტანგ I გორგასალი (დაახლ. 434502.)** - ქართლის (იბერიის) მეფე, მირდატ VIII-ის ძე. ”გორგასალი” სპარსულად – მგლისთავი, იმიტომ შეარქვეს, რომ მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული. იგი შესანიშნავი სარდალი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო, იბრძოდა ქართლიდან ირანელთა განდევნისათვის. ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა და ახალი საეპისკოპოსოები შექმნა. მან დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა. ვახტანგი ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მცხეთაში, მის მიერ აგებულ საკათოლიკოსო ტაძარში. XIს. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი, რომელშიც ერთი საფლავი ახლაც გორგასლისეულადაა მიჩნეული.



**წმინდა ვახტანგ გორგასლის ხატი**



მანგლისის ტაძარის დასავლეთ ფასადი.
გ.ნადირაძის ნახატი.



**ფლავიუს ჰერაკლე ავგუსტუსი** (575-641) ბიზანტიის იმპერატორი, მართავდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. 614 წელს გაძლიერებულმა ირანელებმა იერუსალიმი აიღეს. შაჰმა გაიტაცა ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი ევნო. ჰერაკლე კეისარმა დახმარებისთვის ეკლესიას მიმართა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ეკლესიიდან საგანძური გამოიტანა და გადასცა ჰერაკლეს. მან ეკლესიისგან მიღებული განძით შეკრიბა ჯარი და ირანელების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. ჰერაკლემ ირანიდან ჩამოიტანა იქ გატაცებული ჯვარი და 629 წელს დიდი ზარზეიმით თვითონ ჩაასვენა იერუსალიმში.

VII საუკუნეში, 627-628 წლებში მანგლისი ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს შემოსევის დროს აოხრებულა და აქ

დაცული სიწმინდეებიც გაუტაცებიათ. ჯუანშერი „ქართლის ცხოვრებაში“ მოგვითხრობს „...მაშინ ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამჭუალნი უფ-ლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რო-მელნი მოცემულ იყვნენ კონსტანტი-ნესგან მირიანისდა“. ეს მეტად დიდი დანაკარგი იყო ქართული ქრისტიანობი-სათვის.

650 წლიდან ქართლში იწყება არაბ-თა ბატონობის პერიოდი. ქართლის დასაპყრობად გამოლაშქრებულ ჰაბიბ იბნ მასლამას სტეფანოზ ერისმთავარმა საზღვართან შეაგება ელჩი ძღვნით და მორჩილება აღუთქვა. არაბები ქართ-ლში შემოვიდნენ, მასლამამ მიღებული ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა და ქვეყანას „დაცვის სიგელი“ მისცა, რომლის თანახმად არაბები ხელუხლებლად ტოვებდნენ მოსახლეო-ბის სარწმუნოებას.

არაბთა დაპყრობის შემდეგ მანგლი-სის ხევი, ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი, თბილისის საამიროს შემად-გენლობაში მოექცა. ამ ახალმა პოლი-ტიკურმა ერთეულმა გაზარდა ალგეთის ხეობაზე გამავალი სავაჭრო გზების მნიშვნელობა, რადგან თბილისში თავს იყრიდნენ მრავალი ქვეყნის ვაჭრები. თბილისის საამიროს ტერიტორია დრო-თა განმავლობაში ცვლილებებს განიც-დიდა, თანდათან იზღუდებოდა, მიწებს კარგავდა. არაბთა “დაცვის სიგელის” თანახმად, მანგლისი კვლავ რჩება ქართლის ერთ-ერთ ცენტრად.

X საუკუნის დამდეგიდან თბილისის ამირას მხოლოდ ქვემო ქართლი შემორჩა. მალე მათ ქვემო ქართლის დიდი ნაწილიც დაკარგეს და მხოლოდ მანგლისის ხევი, სამშვილდის ქვეყანა და თბილისის გარშემო მდებარე ტერიტორიაღა ემორჩილებოდათ.

ასე გაგრძელდა IX საუკუნის ბოლო-მდე, სანამ თრიალეთის მხარეს ბაღვა-შები არ დაეპატრონენ: „და შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“. კლდეკარის ერისთავმა ლიპარტ I-მა მანგლისიდან განდევნა არაბები.

მას შემდეგ, რაც საქართველოს გაე-რთიანებისთვის ბრძოლა წარმატებით დასრულდა და ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა ეს აღმავლობა საეკლესიო ცხოვრება-შიც აირეკლა. ამ პერიოდში შენდება ოშკი, ხახული, ბაგრატი, სვეტიცხოვე-ლი, ალავერდი და სხვა დიდი ტაძრები.

XI საუკუნის I მეოთხედში, მანგლისი ბაღვაშებს ეჭირათ, როგორც ჩანს ამ პერიოდში საქართველოს მეფე გიორგი I და ბაღვაშებს შორის ურთიერთობა გამწვავებული არ იყო, თუმცა იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ ბაღვაშებმა ტაძრის აღშენებაში მონაწილეობა მიიღეს არ არსებობს.

მანგლისის ტაძრის სამხრეთ შესასვ-ლელის თაღზე მოთავსებული წარწე-რის თანახმად, რომელიც თ. ბარნა-ველის მიერ იქნა წაკითხული „ქ.სრულ იქმნა ესე სტოა მეფობასა ღმრთივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა {თვითმყრობელისასა}“, მხოლოდ მეფე გიორგია მოხსენიებული.

თუმცა, ლიპარტ ერისთავი მოხსე-ნიებულია ამავე პერიოდის სამ ტყავის წიგნში - მათეს და იოანეს სახარების თარგმანში, რომელიც დაცული იყო გელათში.

•პირველ წიგნზე ლიპარიტ ერის-თავთა ერისთვის წარწერაა „დაიწერა წ-ი ესე წიგნი მანგლისს: ბრძანებითა ჩემითა: საყოფელსა ძლევა შემოსილისა. ძელსა ცხოვრებისასა ქრონიკონი იყოჳ სიზ (1047 წელი)“.

•მეორე წიგნზე „დაიწერა წ-ა წიგნი ბრძანებითა ჩემითა დიდებულსა საყ-დარსა მანგლის საყოფელსა ძლევა შემოსილისა ძელისა ცხოვრებისასა“ (1048წ.).


ალავერდი


სვეტიცხოველი


გელათი


იშხანი


ხახული



**ბაღვაშების აგებული კაცხის მაცხოვრის შობის ტაძარი, XI ს.**

**ბაღვაშები,** მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო IX-XIII საუკუნეების საქართველოში, არგვეთის ძველი მფლობელები. IX საუკუნის 70-იან წლებში გვარის უფროსი წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში დავით I-ის ვასალობაში შევიდა, მიიღო მისგან მამულები თრიალეთში და შექმნა ძლიერი კლდეკარის საერისთავო. საგვარეულოს არსებობის მთელ მანძილზე ისინი ოპოზიციაში ედგნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს, XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენლის დავით IV აღმაშენებლის დროის პოლიტიკური მოღვაწის, რატი IV-ის გარდაცვალების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სამუდამოდ მოუღო ბოლო კლდეკარის საერისთაოს.

**გიორგი I** - ერთიანი საქართველოს მეფე 1014-1027 წლებში - ბაგრატ III-ის ძე. გიორგი I-ის გამეფების დროისათვის, გაძლიერების გზაზე დამდგარი საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო კავკასიაში პოზიციების განმტკიცება და სრული სუვერენიტეტის მოპოვება. ამ მიზნის განხორციელებაში საქართველოს ხელს უშლის ბიზანტია. გიორგი I 1014-1018 წლებში სამხრეთ ტაოში შეიჭრა და დაიკავა, რასაც მოჰყვა ბიზანტია-საქართველოს ომი. 1021 წელს ბასილი II ურიცხვი ლაშქრით მოულოდნელად საქართველოში შემოიჭრა. 1023 წელს გიორგი I იძულებული გახდა ზავის მძიმე პირობებს დათანხმებოდა და ტახტის მემკვიდრე ბაგრატი სამი წლით მძევლად გაეგზავნა კონსტანტინოპოლში. გიორგი მეფე იყო პირველი, ვინც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. ქართული წყარო „მატიანე ქართლისა“ მას შემდეგნაირად ახასიათებს: „სავსე ყოვლითა სიკეთითა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა, და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“ იყო იგი „უშიში ვითარცა უხორცო“. მისი მეფობისას ფართო სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. ამის ყველაზე ბრწყინვალე მაგალითია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მცხეთაში. 1027 წელს მეფე გიორგი I მოულოდნელად თრიალეთს 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ქუთაისის ბაგრატის ტაძარში.



**ბასილი II-ის და გიორგი I-ის ბრძოლა.**
**ჩანახატი XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე სკილიცას წიგნიდან „ისტორიის მიმოხილვა“.**

მანგლისის სიონის ტაძარი, სამრეკლო და გალავანი..
დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.





მანგლისის სიონის ტაძარი
სამხრეთ აღმოსავლეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო

1020 წლიდან ტაძრის არქიტექტურა რადიკალურად შეიცვალა. ტაძრის აღმოსავლეთ მხარემ წინ წაიწია. საკურთხეველს აქეთ-იქიდან მიემატა სამკვეთლო და სადიაკვნე. ტაძარს ახალი გუმბათი დაადგეს. ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ წახნაგებში მოთავსებული ღრმა ნიშები გარედან მიშენებული კედლებით დაფარეს. ყველა წახნაგი დამოუკიდებელი ფრონტონით შეამკეს.

შენობა მდიდრულად მორთეს იმ დროისათვის დამახასიათებელი ქვაზე კვეთილი ჩუქურთმით. მის ფასადებზე ამოკვეთეს სხვადასხვა ხასიათის წარწერები. ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატეს. ძველი პატარა ტაძრის გაფართოებით ხუროთმოძღვარმა შექმნა სრულიად ახალი დიდებული ტაძარი.

X-XI საუკუნეებში ტაძრის აუცილებელ ელემენტად იქცა ტაძრის შესასვლელის კარიბჭით შემკობა. მანგლისის ტაძრის მთავარ სამხრეთ ფასადზე ტაძრის აგების თანადროულად, 1020 წელს სამხრეთ აფსიდში გაჭრეს კარი და თაღოვანი სამხრეთ კარიბჭე მიაშენეს. იგი წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. ასეთი ნაგებობა მარტო კარისბჭე აღარ არის, მას სხვა მოვალეობაც ეკისრებოდა, იგი ხშირად საძვალეს, ეგვტერს წარმოადგენდა და ტაძარში მოსული მომლოცველებისთვის თავშესაფარსაც წარმოადგენდა.

გარედან კარიბჭეში და კარიბჭიდან ეკლესიაში შესასვლელები ერთ ხაზეა განლაგებული. მდიდრულად მოჩუქურთმებული სამხრეთ კარიბჭე გარედან სამ ნაწილადაა დაყოფილი, მის ორივე მხარეს ამოყვანილია სამმაგ დეკორატიულ ნახევარსვეტზე დაფუძნებული თაღები და შემკულია რამდენიმე სახის ჩუქურთმით. კარიბჭე ვარსკვლავისებრი თორმეტი სხივისგან შედგენილი კამარითაა გადახურული. მის შიგნით დარჩენილია XI საუკუნის პირველი მეოთხედის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები.

ეს კარიბჭე XIX საუკუნეში შეაკეთეს, რაზეც მიუთითებს როგორც რუსული წარწერა რესტავრაციის შესახებ, აგრეთვე გადაწყობილი ქვებით შექმნილი ერთგვარი სიჭრელე.



მანგლისის სიონის სამხრეთ კარიბჭე.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.



მანგლისის სიონის სამხრეთ კარიბჭე.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო და 2016წ. ფოტო



მანგლისის სიონი ჩრდილო-დასავლეთიდან.
დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.



მანგლისის სიონის დასავლეთ კარიბჭე.
დ.გრიმის ჩანახატი, 1864 წ.

მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარის დასავლეთი კარიბჭე აიგო იმავე ეპოქაში როდესაც ტაძარი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, რასაც ადასტურებს კარაბინერთა პოლკის შტაბთან იმ დროისათვის ახლად აგებული ეკლესიის მახლობლად საქართველოს სიძველეთა მკვლევარის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ ნაპოვნი მანგლისის ტაძრიდან წაღებული წარწერიანი ქვა - „ქ. დიდება შენდა ღმერთო ...აკურთხეს თვესა თებერვალ მთვარისა პირველ დღესა ქორონიკონსა სმზ“ (1027წ.).

მანგლისის ტაძრის მკვლევარის მალაქია დვალის ვარაუდით ეს ქვა მანგლისის ტაძრის დასავლეთის კარიბჭიდანაა წაღებული, რომელიც ტაძარის აგებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიაშენეს და წარწერაც მინაშენის აგების წელს გვაუწყებს.

მანგლისის ტაძრის დასავლეთ კარიბჭეს კვადრატული გეგმა აქვს. კვადრატი ნახევარსფეროთია გადახურული. ნახევარსფეროს შემკვრელ ცენტრალურ ქვაზე ამოკვეთილია პატარა ჯვარი.

კარიბჭეს ორი შესასვლელი აქვს – დასავლეთიდან, რომელიც ფართო მაღალ თაღქვეშ გადის და სამხრეთით – ვიწრო და დაბალი, არქიტავრით გადახურული, რომელიც ფასადის ცენტრიდან აღმოსავლეთითაა გაწეული.

ტაძრის დასავლეთ კარიბჭის სვეტებზე მოთავსებული იყო ასომთავრული წარწერები, რომლებიც რბილ მოყვითალო ქვებში იყო გამოჭრილი. მათი წაკითხვა XX საუკუნის დასაწყისში უკვე შეუძლებელი იყო. კარიბჭის შიგნით, ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებულია ქვაზე ამოკვეთილი XIX საუკუნის რემონტის დროინდელი რუსული წარწერა.

დასავლეთ კარიბჭე ჩუქურთმით გაცილებით უფრო მდიდრულადაა შემკული ვიდრე თვითონ ტაძარი.

XI საუკუნიდან მოყოლებული ქართულ მართლმადიდებლური ტაძრების კარიბჭეები შენობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდრულად შემკულ ელემენტს წარმოადგენდნენ.



**მანგლისის დასავლეთ კარიბჭე.**



**მანგლისის სიონის დასავლეთ კარიბჭე. დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.**



მთლიანი ტაძრის მასის დომინანტია უზარმაზარი თორმეტწახნაგა გუმბათი, რომელიც წითელი კრამიტით არის გადახურული. ყელში ჩუქურთმებით შემკული ექვსი სარკმელია გაჭრილი.

გუმბათის ყელი, რომელმაც ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. გუმბათის ყელი გარედან თორმეტწახნაგაა. ყოველი წახნაგი სამმაგი ლილვითაა დაფარული და ზემოდან თორმეტი თაღია გადაყვანილი. გუმბათის ყელში ექვსი სარკმელია გაჭრილი (თითო წახნაგის გამოტოვებით). სარკმლებს ფართო დეკორატიული საპირე შემოუყვება. მოჩუქურთმებულია შვეული ლილვების ბაზისები და კაპიტელები.



მანგლისის ტაძარზე ორნამენტის რამდენიმე სახეა, რომელიც XI საუკუნის I ნახევრის ძეგლებზე გვხვდება.

ყველაზე მდიდრულად მანგლისის ტაძრის გუმბათის ყელია მორთული, ეს ორნამენტები გამოირჩევა თავისი ღრმა რელიეფით და მაღალოსტატური შესრულებითაც. გუმბათის კარნიზებზე ფოთლებით შექმნილი ორნამენტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულია საქართველოში. ტაძრის სარკმლის საპირეების ორნამენტები არსად არ მეორდება.



ჩრდილოეთი ფასადი, რომელიც ფერდობისკენაა მიმართული ორნამენტტულ მორთულობას სრულიად მოკლებულია. ქართულ ტაძრებში მთავარი ყურადღება სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადებს ექცეოდა.


30.
15354 Манглисъ. Западная стѣна и куполъ храма 306.










GEORGIAN NATIONAL MUSEUM
18125. Манглисъ. Деталь Южной и Восточной стѣны. 603.


GEORGIAN NATIONAL MUSEUM
18133. Манглисъ. Деталь окна и барельефъ на Восточной стѣнѣ. 611.





ისტორიული საბუთების მიხედვით, შემდეგ საუკუნეებში მანგლისის ტაძარი, რომელიც თავიდან ჯვრის სახელზე იყო აგებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე უკურთხებიათ. როდის მოხდა ეს და რა მიზეზით იყო გამოწვეული ტაძრის მეორედ კურთხევა და სახელის შეცვლა არ ვიცით, ვინაიდან XI საუკუნიდან XV საუკუნემდე ისტორიულ საბუთებში მანგლისის ტაძარზე ცნობები არ გვხვდება.

შუა საუკუნეებში მანგლისი და მანგლისის ხევი მჭიდროდ დასახლებული სამეფო მამულია, რასაც კარგად მოწმობს ამ ხანის უამრავი ნასოფლარი და მატერიალური კულტურის ძეგლი. სწორედ აქაა საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენციები: კოჯორი, ტაბახმელა და გუდარეხი.

1027 წელს გარდაიცვალა მანგლისის ტაძრის აღმშენებელი საქართველოს მეფე გიორგი I. მის ადგილს იკავებს მისი ვაჟი ბაგრატ IV. ბიზნტიის იმპერატორმა რომანოზ III-მ, მარიამ დედოფლის ინიციატივით 10 წლის ბაგრატ IV-ს ცოლად მიათხოვა თავისი ძმის ბასილის ასული ელენე და მიანიჭა კურაპალატობის პატივი - „და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათვის, დაუწერნა ოქრობეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთვის ელენე დედოფალი.“

1032 წელს ელენე არგიროზმა და ბაგრატ IV-მ ჯვარი დაიწერეს ბანაში, იქვე მოხდა ბაგრატის კორონაცია. ეს პოლიტიკური კავშირი ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ დედოფალი ელენე ერთ წელიწადში გარდაიცვალა ქუთაისში.

ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით ელენემ საქართველოში ჩამოიტანა „იესოს ერთ-ერთი წმინდა ლურსმანი, ოკონას ხატი და სხვა ძვირფასეულობა“. საქართველოში მას გამოჰყვა არაერთი ბიზანტიელი მხატვარი. დედოფალმა ელენემ შესწირა დიდი სიმდიდრე გორდის მონასტერს.

XIII საუკუნის დასაწყისში, ელენე დედოფლის მიერ დაბრუნებული უფლის სამჭვალისისთვის, მეფე რუსუდანის ვაჟს, დავით VI ნარინს გაუმზადებია ჩასაბრძანებელი – ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს მიტრა, რომელიც მანგლელი ეპისკოპოსისთვის შეუწირავს.

უფლის სამსჭვალი და მიტრა თბილისის სიონის ტაძარში იქნა გადატანილი. 1682 წელს ვახტანგ V-ის ვაჟი, მეფე არჩილ რუსეთში პეტრე I-თან გაემგზავრა. მან სიონის ტაძრიდან უფლის სამჭვალისი და მისთვის დამზადებული მიტრა გაიტანა. სიწმინდეები მოსკოვის მიძინების ეკლესიაში დააბრძანეს, ამ ფაქტს ადასტურებს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის დავალებით 1849 წელს გამოცემული ალბომი „Древности Российского государства“, რომელშიც განთავსებულია აკადემიკოს თ.სოლნცევის მიერ შესრულებული ლურსმნის და მიტრის ფერადი ნახატი და განმარტებითი ტექსტი.

მ. დვალის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოდან მეფე არჩილის მიერ გატანილი ქრისტეს სამჭვალისი 1970-იან წლებში გამოფენილი იყო მოსკოვის კრემლის „ორუჟეინაია პალატაში“, აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით მიტრაც აქ იყო დაცული.

XV საუკუნიდან ალგეთის ხეობა „საბარათიანოს“ შემადგენლობაშია. ამ პერიოდის სიგელებში მანგლისის ტაძარი ჯვრის სახელთან ერთად, ღვთისმშობლის სახელითაც მოიხსენიება. ცნობილი პირველი ისტორიული საბუთი, სადაც მანგლისის ტაძარი ახალი სახელით გვხვდება, მეფე ალექსანდრე I მიერ 1441 წელს გაცემული სიგელია.

XVI საუკუნის საბუთებში მანგლისის ტაძარი ორივე სახელით იხსენიება - „წიგნი და სიგელი მოგართვით თქუენ პატიოსანსა და ყოვლად-სანატრელსა მანგლისისა ღუთისმშობელისა და ძელისა ცხოველისმყოფელისა“ (1715წ. მეფე იასეს სიგელი)





ფრესკა ოშკის ტაძარში, რომელზეც სავარაუდოდ ასახულია ბაგრატისა და ელენეს ჯვრისწერა, რომელიც ბანაში ჩატარდა.

**ბაგრატ IV** (1018-1072), საქართველოს მეფე 1027-იდან, გიორგი I-ისა და დედოფალ მარიამის უფროსი შვილი. ბაგრატ IV-ის და მისი სამეფო კარის უმთავრესი ამოცანა იყო სახელმწიფოს დაცვა ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკი დამპყრობლებისაგან, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა წინააღმდეგობის დაძლევა და საქართველოს ერთიანი სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება. ბაგრატ IV-მ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევა. მის დროს მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბაგრატ IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს, მისი მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმიდელი. ბაგრატ IV გარდაიცვალა ქართლში. ანდერძის თანახმად დაასაფლავეს ჭყონდიდში.



სამჭვალისი და მიტრა.
თ. სოლნცევის ნახატი.



დავით VI ნარინი,
გელათის ფრესკა.

**„სიონი“** ქართულ იკონოგრაფიაში ღვთისმშობლის მიძინების თემას უკავშირდება – ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ეკლესია „სიონად“ იწოდება.

**დავით VI ნარინი** (1225-1293), საქართველოს მეფე 1245-1293 წწ., რუსუდან მეფის ძე. დაახლოებით 1230 წელს, დავითი დედამ თანამოსაყდრედ დასვა. დაახლოებით 1242-1243 წწ. მონღოლთა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტახტის მემკვიდრე ოქროს ურდოში მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნა. ტახტის მემკვიდრე მონღოლეთში რამდენიმე წელიწადს ჩარჩა. 1246 წ. ყარაყორუმში ჩავიდა ტახტის ახალი მემკვიდრე დავით გიორგილაშას ძე. ყაენმა საცილობელი საკითხი მონღოლური სამართლის მიხედვით გადაწყვიტა: დავით გიორგის ძე, როგორც უფროსი, უფროს (მონღოლურად „ულუ“) მეფედ, ხოლო დავით რუსუდანის ძე უმცროს (მონღოლურად „ნარინი“) მეფედ დაამტკიცა. დავით VI-ისა და დავით VII-ის დროიდან საქართველო ფაქტობრივად სამ პოლიტიკურ ერთეულად - აღმოსავლეთ საქართველო, სამცხე და დასავლეთ საქართველოდ იყო დაყოფილი.



წარწერა გალავნის აღმოსავლეთ კარის თავზე - “ქ. ღ თო შეიწყალე ამისა ამშენებელი. მანგლელი ეფისკოპოს არსენ ოსტატი. თებერ გ ქ კს ტნე” 1667 წელი.

გამუდმებული ომების შედეგად მდინარე ალგეთის ხეობა თანდათან გაუკაცრიელდა, მანგლისმაც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა მანგლელი ეპისკოპოსი კიდევ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. სოფელ გუდარეხის XIII საუკუნის II ნახევარში აგებული ტაძრის წარწერაშია აღნიშნული, რომ ეკლესია მანგლელმა ეპისკოპოსმა ევდემონმა აკურთხა.

სავარაუდოდ მანგლისმა დამოუკიდებლობა XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის შემოსევების დროს დაკარგა, რომელიც საქართველოს პირველად 1386 წელს შემოესია.

მანგლისის საეპისკოპოსო გაუქმდა და ის თბილისის საეპისკოპოსოს შეუერთდა, რის შემდეგადაც თბილისის და მანგლისის გაერთიანებული სამწყოს ეპისკოპოსი მანგლელ-თბილელად იწოდებოდა. პირველი მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი, რომელიც 1434 და 1437 წლების ისტორიულ საბუთებში მოიხსენიება არის ეპისკოპოსი იოანე II.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო საბოლოოდ დაიყო ცალ-ცალკე სამეფო-სამთავროებად. მანგლისის ტაძარი შემოსეულმა მტერმა რამდენიმეჯერ აიკლო და გაძარცვა.

1667 წელს მანგლელ ეპისკოპოსს არსენს ძეგლზე აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია, რომლის შესახებ მოგვითხრობს მანგლისის ტაძრის გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერა.

მანგლელმა ეპისკოპოსმა არსენმა მანგლისის მოსახლეობის და ტაძრის დაცვის მიზნით მას მაღალი, საბრძოლო ბილიკებით გაწყობილი გალავანი და მის კუთხეებში მრგვალი, მაღალი, საომარი ოთხი ბასტიონი ააგო, ხოლო შემოსასვლელ კარიბჭეზე კოშკი დადგა. ამავე დროს დაზიანებული ტაძარიც შეაკეთეს და ქვითა და აგურით ნაშენი კანკელი დადგეს.

მანგლელ ეპისკოპოს არსენს სამხრეთ კარიბჭის გარეთ პატარა ეკლესია აუგია. მტერთა შემოსევის გამო ღამე გალავანი იკეტებოდა და ტაძარში მოსულ მომლოცველებს დღის და ღამის ნებისმიერ დროს შეეძლოთ ამ პატარა ტაძარში ელოცათ. XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ რემონტს ეს ტაძარი შეეწირა და დღეს ამ სალოცავის არავითარი ნიშანი არ არსებობს.



XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც შეწყდა მტერთა შემოსევები მანგლისის კათედრალი ისევ მდიდარი და მრავალი მამულების მფლობელია, ხოლო მანგლელი ეპისკოპოსი მეფის კარზე გავლენიანი პირია.

1696 წელს, როდესაც გიორგი XI ირანის შაჰს აჯანყების შემდეგ დამორჩილდა და „ყანდაარს“ ეახლა, მეფეს ამ მძიმე მისიის შესრულების დროს თან ახლდა „მანგლელი მთავარეპისკოპოსი დოპლენჯიშვილი არსენ“. 1715 წელს მეფე იესე ტაძრისათვის მირთმეულ სიგელში ღვთისმშობლის ეკლესიას - მეფეთა სასიქადულო ტაძარად მოიხსენიებს.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერიდანაც ჩანს, რომ XVIII საუკუნეში მანგლისის ეპისკოპოსი საკმაოდ მოზრდილი რაიონის მწყემსი ყოფილა - „მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“.

ამ პერიოდში მანგლისის საეპისკოპოსოს მამულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ჰქონია - ზემო და ქვემო ბოლნისში, ჯავახეთში და სხვა. როგორც 1706 საბუთიდან ირკვევა, მანგლელი ამ დროს იმდენადაა გაძლიერებული, რომ თბილელს სამეუსოს დარბაისლის ნიშანზე და საწირავზე ეცილება. მანგლელი ეპისკოპოსი მეფის კარზე მიღებული და გავლენიანი პიროვნებაა, ხოლო ტაძარი ამ დროს მეფეთა, დედოფალთა და კათოლიკოსთა გამორჩეული სამლოცველო ადგილია.

XVIII საუკუნეში მანგლისი ლეკებმა გაძარცვეს, ეკლესია და თვით მანგლისი მოსახლეობის მიერ მიტოვებულ იქნა. ლეკიანობის მიერ მანგლისიდან აყრილი მოსახლეობა კახეთში, სიღნაღის მიდამოებში დასახლდა.

როდის შეწყდა მანგლისის ტაძარში წირვა-ლოცვა და ძველი ქალაქი მოსახლეობამ ზუსტად არაა ცნობილი, როგორც ჩანს, ეს რამდენიმეჯერ მომხდარა. როდესაც ქვეყანა ოდნავ წყნარდებოდა მანგლისის მოსახლეობა კვლავ უბრუნდებოდა საცხოვრებელ სახლებს და მანგლისის ტაძარში ახლდებოდა ღვთისმსახურება.



**გიორგი XI** (1651-1709) – ქართლის მეფე 1676-1688წწ. და 1703-1709წწ. ვახტანგ V-ს ძე. მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით. გიორგი XI ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში. 1688წ. გიორგი XI აჯანყება ირანელების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. შაჰმა გიორგი XI ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე ერეკლე I დასვა 1688 წელს. შაჰ-ჰუსეინმა გადაწყვიტა შერიგებოდა გიორგი XI-ს, რათა მისი სამხედრო ცოდნა და ქართველთა ჯარი ავღანელთა წინააღმდეგ გამოეყენებინა. თავის მხრივ, გიორგი XI-ს სურდა ტახტი დაებრუნებინა და გაეგრძელებინა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამიტომ იგი დათანხმდა წინადადებას და 1696წ. ისპაჰანში გაემგზავრა. შაჰმა გიორგი XI კვლავ დაამტკიცა ქართლის მეფედ და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გიორგი XI-მ აჯანყებულები მალე დაიმორჩილა, მაგრამ ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს.

**იესე, ალიყული-ხანი** (1680-1727), ქართლის მეფე 1714-1716, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა. 1705-1714 წწ. ირანში შაჰის სამსახურში იყო. იესეს მუსლიმანური სახელი ალიყული-ხანი ეწოდა. 1714 წ. შაჰმა ქართლის მეფედ იესე დაამტკიცა. 1716 წ. ქართლის მეფობა ვახტანგმა მიიღო, იესე თელავს გაიხიზნა, მაგრამ შეიპყრეს და გადასცეს ბაქარს, რომელიც ქართლს განაგებდა. 1721 წ. ვახტანგ VI-მ იესე გაათავისუფლა, დაუბრუნა წართმეული ქონება. 1724 წ. იესე შეურიგდა დამპყრობლებს,

კვლავ გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. თუმცა ოსმალებმა ქართლის გამგებლობა იესეს მისცეს, ფაქტობრივი მმართველი ოსმალთა ფაშა იყო. იესე მტერთან ერთად ებრძოდა ვახტანგ VI-სა და ბაქარს.



**ვახუშტი ბატონიშვილი** (1696-1770) - ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის შვილი. თბილისში მცხოვრებმა კათოლიკე-მისიონერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბატონიშვილის სწავლა-აღზრდის საქმეში. ქართულის გარდა, ვახუშტიმ იცოდა მრავალი უცხო ენა, მათ შორის: ლათინური, ფრანგული, ბერძნული, თურქული, რუსული, სომხური. 1724წ. ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრებისას მას თან გაჰყვა ვახუშტიც. ემიგრაციაში მან რუსულიდან თარგმნა სამეცნიერო-სასწავლო წიგნები, აღადგინა მოსკოვში ქართული სტამბა, ქართულად გადმოთარგმნა „მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, მონაწილეობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შექმნაში. ვახუშტი, ასევე, მონაწილეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. რუსეთშივე მან გამოსცა საქართველოს გეოგრაფიული დახასიათება „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“. ვახუშტი სამშობლოში ველარ დაბრუნდა. იგი გარდაიცვალა მოსკოვში 1770წ. და დარკძალეს იქვე დონის მონასტერში.



**ერეკლე II** (1720 - 1798) - 1744-1762წწ, კახეთის, 1762-1798წწ. ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე. 1744წ. თეიმურაზ II ქართლში გამეფდა, ერეკლე II კი - კახეთში. ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლეს. თეიმურაზ II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ერეკლე II-მ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სახელმწიფოში. ერეკლე II ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავდა მრეწველობის და კულტურის განვითარებისათვის, რის შედეგადაც გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები, სამთო მადნო წარმოება. მანვე განაახლა ზარაფხანა, დააარსა სემინარიები. მეფის ირგვლივ შემოიკრიბა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა დასი, გახშირდა წიგნების ბეჭდვა. XVIIIს. 80-იანი წლებიდან ერეკლე II-ის სამეფო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს, გაფორმდა 1783წ. რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა. ხალხმა მას „პატარა კახი“ უწოდა. ერეკლე II დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.

მეფე ერეკლე II-ის ძალისხმევით XVIII საუკუნის პირველ მესამედში, მანგლისში შეწყვეტილი ცხოვრება აღორძინდა. 1784 წელს მეფე ერეკლეს მიერ გაცემული ბრძანების თანახმად სიმონ მაღალაშვილს დაევალა მტკვრის ორივე ნაპირზე დასახლებული მანგლისის ეკლესიის გლეხები გადაასახლოს მანგლისის მახლობლად, სადაც ახალი სოფელი არსდება.

1794 წლის ბრძანებით მეფე ერეკლე დავით ორბელიანს ავალებს მოძებნოს ყველგან მანგლისის ეკლესიის გლეხები და გადაასახლოს უკან. აგრეთვე, გაარკვიოს ვინ დაიკავა მანგლისის ეკლესიის მიწები და უკან დაუბრუნოს ეკლესიას. ამავე წელს მეფე ერეკლე ნაიბ დავით აბაშიშვილს უბრძანებს, რომ მან იზრუნოს, რათა მანგლისის გლეხები სათანადოდ ემსახურონ ტაძარს, გადაუხადონ ყველა სავალდებულო გადასახადი და არავის არ მისცეს უფლება, რათა უმიზეზოდ შეაწუხონ ეკლესიის გლეხები.

მეფე ერეკლეს ზრუნვას ბოლო მოუღო 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის დამანგრეველმა შემოსევამ. მანგლისის მხარე მთლიანად დააცარიელა.



მანგლისის ტაძრის სამხრეთ ფასადი. გ.ნადირაძის ნახატი.



მანგლისი. ფოტო 1891 წ.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში რუსეთის არმიის ჯარის ნაწილები შემოდიან. 1823 წელს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ალექსი ერმოლოვმა კარაბინერთა მე-7 პოლკის მეთაურს ნიკოლოზ მურავიოვს უბრძანა მოეძებნა შესაფერისი ადგილი წალკასა და თბილისს შუა სამხედრო ქალაქის ასაშენებლად.

ამ მიზნით 1824 წლიდან ძველი მანგლისის ტერიტორიაზე დაბანაკდა რუსეთის იმპერიის მე-7 კარაბინერთა პოლკი, რომელსაც 1827 წელს მე-15 ლაიბ-გრენადერთა ერივანის მისი იმპერატორული უდიდებულესობის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის გრენადელთა პოლკი ეწოდა. ეს პოლკი მანგლისში, 1824-1914 წლებში, 90 წელი იყო დისლოცირებული.



**ნიკოლოზ მურავიოვი** (1794–1866) – კავკასიის მეფისნაცვალი 1854-1856 წწ. და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი. მისმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება წარმოშვა ხელქვეითებში, რითაც კარგად ისარგებლა მისმა უშუალო კონურენტმა, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უახლოესმა მეგობარმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ და მეფისნაცვლის გადაყენებას მიაღწია.



**ალექსი ერმოლოვი** (1777-1861) რუსი გენერალი, ბოროდინოს ბრძოლის გმირი, საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში. ალექსი ერმოლოვმა უარყო თავის წინამორბედთაგან დამკვიდრებული კავკასიის ადგილობრივ ხელისუფალთა მოქრთამვა-მოსყიდვის მეთოდი და იარაღის ძალით შეუდგა დასახული მიზნის შესრულებას. მან ერთი მეორის მიყოლებით გააუქმა სახანოები და დაიწყო ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად. იგი მიხეილ ვორონცოვს სწერდა - „ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება, ...უდიდესი გმირობაა საჭირო, იღწვოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატია მისთვის და კიდევ მზად არის უღალატოს.“ ალექსი ერმოლოვმა სისხლში ჩაახშო იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება. მისი თერთმეტწლიანი მოღვაწეობა კავკასიაში სამხედრო წარმოებით შემოიფარგლებოდა. იგი სამსახურიდან გადაყენებულ იქნა ნიკოლოზ I-ის მიერ დეკაბრისტებისადმი თანაგრძნობის გამო.



მანგლისი. შტაბ-ბინა კოშკებით. ფოტო 1891 წ.



ამ პოლკში მსახურობდნენ ქართველი მხედართმთავრები, რომლებმაც თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით თავისი წვლილი შეიტანეს სახელოვანი პოლკის ისტორიაში – გენერალ-ლეიტენანტი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, ალექსი ქავთარაძე, გენერალ-მაიორი გიორგი თარხან-მოურავი (თარხნიშვილი), პოლკოვნიკები: გრიგოლ დადიანი 1828-1830 წლებში პოლკის მეთაური, მოსე გურამიშვილი და მრავალი სხვა ქართველი სამხედრო პირი.



**ივანე მუხრანბატონი** (1812-1895), მსხვილი ქართველი მემამულე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1848წ. დაინიშნა ერევნის პოლკის მეთაურად. 1881წ. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ არჩეული იყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად-მარშლად. 1876წ. მუხრანბატონმა საფრანგეთიდან გამოიწვია სპეციალისტები და მუხრანში ააგო ღვინის ქარხანა. მუხრანბატონის ღვინომ მოსკოვის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო – სახელმწიფო გერბი, ხოლო პარიზში ოქროს მედალი დაიმსახურა. თავად მუხრანბატონს კი საფრანგეთის მმართველობამ უმაღლესი ჯილდო უბოძა.

**ივანე ანდრონიკაშვილი** (1798-1868) გენერალი, ტფილისის სამხედრო გუბერნატორი, სამოქალაქო ნაწილის მმართველი. იგი დაიბადა თავად მალხაზ ანდრონიკაშვილისა და მარიამ ბაგრატიონის ოჯახში. დედამისი მარიამი ერეკლე II-ის შვილიშვილი და იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის დისშვილი იყო. ივანე იზრდებოდა დედის ოჯახში, იმერეთში. 1810წ, როდესაც იმერეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა, ივანე და დედამისი ვორონჟეს „გაგზავნეს", ხოლო 1812წ. პეტროგრადში გადაიყვანეს. აქვე იყო იმერეთის დედოფალი მარიამი, რომელმაც ივანეს აღზრდა იკისრა. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. თავი გამოიჩინა ელიზავეტოპოლის, ჯევან-ბულახის, სარდარაბადის, ერევნის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841წ. მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. დაჯილდოებული იყო მრავალი საბრძოლო ორდენით.



**ალექსი ქავთარაძე** (1820-1907) – ინფანტერიის გენერალი, გამოჩენილი მხედართმთავარი, სამუდამოდ შეტანილია ლეიბგრენადერთა ერევნის მე-13 პოლკის სიებში. გენერალი ქავთარაძე რუსეთის არმიის მამაც მეომართა რიცხვს ეკუთვნოდა. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა რუსული იარაღის დიდებისათვის და სამშობლოს დასაცავად. მისი სიცოცხლე არაერთხელ ყოფილა განსაცდელში. იგი მონაწილეობდა 8 სამხედრო ლაშქრობაში. მთელი თავისი სახელოვანი სამხედრო ცხოვრება მან თითქმის კავკასიაში განვლო. იგი განსაკუთრებული სიმპათიით სიყვარულითა და პატივისცემით

სარგებლობდა არა მარტო სამხედროთა შორის, არამედ საზოგადოებაშიც, რომელშიც მას უხდებოდა ყოფნა, ჰქონდა მასთან კონტაქტი და ურთიერთობა



**გრიგოლ დადიანი** (1814-1902) პოეტი, სამხედრო პირი. 1854წ. მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა გრენადერთა დივიზიის I ბრიგადის მეთაურად. იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. რუსეთ-ოსმალეთის ომში მონაწილეობისათვის მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1880 წელს სამხედრო სამსახურის 50 წლისთავზე – გენერალ-ადიუტანტის წოდება. გრიგოლ დადიანს ეკუთვნის ისტორიული პოემა „რუხის ბრძოლა", პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსები და სხვა. მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა.



**გიორგი თარხან-მოურავი** (თარხან-მოურავოვი) გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალური შტაბის მთავარი სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი, ქართული საადგილმამულო ბანკის დირექტორი, -მომრიგებელი.







მანგლისი,
ლაზარეთის მოწყალების დები.
ფოტო XIX ს. ბოლო.

1824 წელს, როგორც კი გადაწყდა მანგლისში გრენადერთა პოლკის დაბანაკება დაიწყო სამხედრო ქალაქის მშენებლობა. პოლკის შემადგენლობიდან დაკომპლექტდა სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებისა და ხელოსნების ჯგუფი, რომლებსაც სათავეში მაღალი სამხედო ჩინის ოფიცრები ჩაუდგნენ.



პორუჩიკი რუტკოვსკის მიერ შედგენილი რუკა.

პირველ რიგში დაიწყო მანგლისი-თბილისის გზის აღდგენითი სამუშაოები. სამხედრო დასახლებაში აიგო ყაზარმები ჯარისკაცებისთვის, სახლები ოფიცრებისათვის, პოლკის შტაბბინის შენობები. გაიყვანეს სასმელი წყალი.

1824 წლის დეკემბერში, მას შემდეგ რაც მთავარი სამუშაოები დასრულდა, დმანისში დაბანაკებული გრენადერთა პოლკი მანგლისის უძველესი ტაძრის მიდამოებში დაბანაკდა.







პოლკთან არსებულმა „ცოლიანმა ასეულებმა“ მდინარე ალგეთის მახლობლად, მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე დაიწყეს სახლების მშენებლობა. უცოლო ჯარისკაცებს დაქორწინების უფლება მისცეს და ამ მიზნით რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან რუსი ქალიშვილების ჩამოყვანა დაიწყეს.

მანგლისში და მის მიმდებარედ გარდა სამხედრო ნაგებობებისა იგებოდა კერძო სახლებიც. რუსეთის ხელისუფლებამ პოლკის მეთაურთა შემადგენლობას და ზემდეგებს მიწის ნაკვეთები დაურიგა სამოსახლოდ. მათ ასევე ეძლეოდათ შეღავათიანი და გრძალვადიანი სესხიც. არასამხედრო პირებს ეკრძალებოდათ შიგ მანგლისში სახლების მშენებლობა. მანგლისში დასახლებულ სამხედრო პირებს უფლება ქონდათ სახელმწიფოს ხარჯზე რუსეთიდან ჩამოეყვანათ მშობლები და ახლობლები.




1852-1859 წლებში აიგო ფურშტატის ასეულის ყაზარმა, პოლკის მეთაურთა სახლი, პოლკის ლაბორატორია, დენთის სარდაფი. გაყვანილ იქნა გზატკეცილი ცენტრალური მოედნის გარშემო, ფიჭვნარის პარკში აშენდა პავილიონი.



მანგლისის სამხედრო დასახლებაში პრაპორშიკ ჩუკოვის პროექტით აიგო ლაზარეთის ორსართულიანი შენობა, რომელიც გათვლილი იყო 60 საწოლზე. ლაზარეთის შენობას ჰქონდა ორი ფლიგელი. ერთში განთავსდა აფთიაქი და ფელშრების და მოწყალების დების საცხოვრებელი ოთახები. მეორე ფლიგელში განთავსდა სამლოცველო, სამზარეულო, სამრეცხაო, აბანო, საკუჭნაო და საყინულე.

ოტო სიმონსონის პროექტით მანგლისში ოფიცერთა კლუბის ლამაზი შენობა აიგო. დასრულებული შენობის საზეიმო კურთხევა მოხდა 1871 წელს, რომელსაც დაესწრო საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მაღალი რანგის ხელმძღვანელები, პოლკის მეთაურები, ოფიცრები და ჯარისკაცები. მოეწყო დიდი მეჯლისი და ფეიერვერკი.

დროთა განმავლობაში მანგლისი რუსეთის არმიის ერთ-ერთ სამხედრო ცენტრად გადაიქცა. ქართველი მოსახლეობისგან დაცლილი მანგლისი რუსმა, სომეხმა და ბერძენმა მოსახლეობამ დაიკავა.

რუსეთის იმპერიის გრენადერთა სახელოვანი პოლკის დასათვალიერებლად ხშირად ჩამოდიოდნენ მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური პირები.



ალექსანდრე II გრენადერთა პოლკის დათვალიერებისას, მანგლისთან ახლოს. 1871 წ.

**1888 წლის შემოდგომაზე,** საქართველოს ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, იმპერატრიცა მარია მათი ვაჟები ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზი და დიდი თავადი გიორგი. გრენადერთა პოლკის სახელით იმპერატორს საჩუქრად მიართვეს უძველესი ხმალი, რომელიც პოლკის კაპიტანს თავად სიმიონ სიმონის ძე ვაჩნაძეს მემკვიდრეობით მამისგან, სიმონ ვაჩნაძისგან ერგო.

1830-იან წლებში უფროს სიმონ ვაჩნაძეს ეს საგვარეულო ხმალი სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა, ბრძოლაში მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის აჩუქა. ოლკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სპეციალისტებმა ხმალს ექსპერტიზა ჩაუტარეს ჩაუტარეს, რომლის დროსაც დაადგინეს, რომ “ხმლის პირის ისტორია ჯვაროსნული ომების პერიოდიდან იწყება, შესაძლოა უფრო ადრეც”. ამის შემდეგ ხმალი პეტერბურგში ძმები ვილგელმ და გუსტავ შაფების იარაღის ფაბრიკაში გადააგზავნეს მოსავარაყებლად. ხმლის პირი უცვლელად დატოვეს, ოქროთი და ვერცხლით გაეწყო ხმლის სახელური და ქარქაში. დეპუტაციამ ხმალი რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე III-ს მიართვა, “ამის შემდეგ ეს ხმალი გახდა იმპერატორის ჩვეულებრივი ფორმის იარაღად”.






**რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III დადიანების საგვარეულო ხმლით.**






**მანგლისის წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს მშენებარე ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XIX ს. ბოლო.**

1870-იან წლებში გადაწყდა მანგლისის ცენტრში აგებულიყო სამხედრო ეკლესია.

ახალი ქვის სამხედრო ეკლესიის პროექტის შედგენა დაევალა არქიტექტორ მ.ა.ბელოვს. რუსეთის არმიის მხედართავარის მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით მანგლისის ცენტრში 1873 წლის 29 ივნისს, პოლკის

დღესასწაულის დღეს და წმინდათა პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს ტაძრის საძირკველი გაიჭრა.

მშენებლობისთვის მოწვეულ იქნა ინჟინერი კაპიტანი ეგოროვი, მის დამხმარეებად თურქეთის მოქალაქეები მშენებლები ათანასე სახტაროვი და თეოდორე ევგენიევი.

სამხედრო ეკლესიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა პოლკის უფროსი პოპოვი, რომელიც ამავე ეკლესიაში იყო დაკრძალული.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ეკლესიის მშენებლობას 10 000 მანეთი შესწირა.

სამხედრო ეკლესიის ასაშენებლას მანგლისის ახლომახლო მდებარე უძველესი ქართული ეკლესიის ნანგრევებიდან მოჰქონდათ ქვები, ხშირ შემთხვევაში ჩუქურთმიანი და წარწერიანი. მანგლისის ტაძრიდანაც მრავლად გაზიდეს არა მარტო სუფთად ნათალი მოპირკეთების, არამედ ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვებიც. თანხების უქონლობის გამო მანგლისის სამხედრო ეკლესიის მშენებლობა დროებით შეჩერდა.

**მანგლისის პლაცი, რიგითი გ.სიდორენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი.**




**ღია ბარათი, XX ს. დასაწყისი.**

რუსული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ხუთგუმბათიანი ქვის ეკლესიის მშენებლობა დასრულდა 1897 წელს. ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს წმინდათა პეტრესა და პავლეს სახელზე.

ეკლესია გათვლილი იყო 900 მლოცველზე. ტაძარში დაბრძანებული იყო პოლკის წმინდათა პეტრეს და პავლეს ხატი დაწერილი 1811 წელს, ღვთისმშობლის ხარების ხატი დაწერილი 1786 წელს და 1763 წელს გამოცემული წმინდა სახარება. ტაძარში მსახურობდა ერთი მღვდელი და ფუნქციონირებდა სამრევლო სკოლა.

1907 წელს აიგო ეკლესიის სამრეკლო.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ხელისუფლებამ ტაძარი ააფეთქა და მის ადგილზე საბჭოთა არმიის ოფიცერთა ოჯახების კოტეჯები ააშენეს.

დედით მანგლისელი, ეროვნებით ლატვიელი ტომას საკალაუსკას-ადამაშვილის დაფინანსებით ძველი სამხედრო ტაძარის ადგილზე დაიწყო წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ახალი ეკლესიის მშენებლობა. ტაძრის მშენებლობაში მთელი მანგლისია ჩართული.



მანგლისი, წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესია. დ.ერმაკოვის ფოტო, XX ს. დასაწყისი



მანგლისში რუსეთის გრენადელთა პოლკის დადგომიდან ღვთისმშობლის მიძინების უძველეს ეკლესიას მხოლოდ 30 წლის შემდეგ "მიექცა ყურადღება". 1849 წელს მანგლისში დასასვენებლად ჩამოსულმა საქართველოს ექზარხოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი), მოინახულა ძლიერ დაზიანებული და მიტოვებული მანგლისის ტაძარი, რომელშიც თათარი მწყემსები უამინდობის დროს ცხვარს აყენებდნენ და შუა ცეცხლს ანთებდნენ, რის გამოც ტაძრის კედლები, ორნამენტები და ფრესკები ჭვარტლით იფარებოდა.

საქართველოს ექზარხოსის ისიდორეს (ნიკოლსკი) დავალებით ტაძარი გაწმინდეს და შესასვლელი კარი დაკიდეს. 1850 წელს მანგლისის ტაძარი დაათვალიერა კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა, რომელმაც გაიღო შეწირულობა და ბრძანა ტაძრის აღდგენა. მანგლისის ტაძრის აღდგენისთვის დაიწყო შემოწირულობების შეგროვება პოლკის ოფიცრებისგან და დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურეებისაგან.

შეგროვებული თანხებით გაწმინდეს მცენარეული საფარით დაფარული ტაძრის სახურავი და აღადგინეს. შეაკეთეს და გადახურეს სამხრეთი კარიბჭე.

კათედრალური ტაძრის შეკეთებას ეკლესიის სადიაკვნოს შესასვლელის თავზე ჩადგმული რუსული წარწერა გვამცნობს - „Храм сей сооружен в лето после Рождества Христова в 1020 г. востановлен в 1857 г. в благополучное царствование всероссийского Государя Имератоа Александра II-го, при Наместнике Кавказском и Главноначальствующем кн. А.И. Барятинском, при Высокопреосвященном Метрополите Экзархе Грузии Исидоре, ревностным содействием Леиб-Гренадерского Эриванского Его Величества полка, в командование полковника Де-Саже, аритектором того-же полка Чулковым."



**ისიდორე** (1799-1892) - ერისკაცობაში იაკობ ნიკოლსკი, რუსი მწერალი, ბიბლიის თარგმნის ერთ-ერთი მოქმედი მონაწილე. დაიბადა ტულაში, სასულიერო პირის ოჯახში, განათლებაც ტულის სასულიერო სემინარიაში მიიღო, სადაც სწავლის დამთავრების შემდეგ დატოვეს სამუშაოდ. მას მინიჭებული ჰქონდა დოქტორის წოდება. 1844-1856 წლამდე იგი საქართველოს ეგზარქოსის ფუნქციებს ასრულებდა. მან 13 წელი იმსახურა საქართველოში, რისთვისაც 1845წ. მიიღო წმინდა ვლადიმერის ორდენი, ხოლო 1850წ. ბრილიანტის ჯვარი. 1856წ. მას მიენიჭა მიტროპოლიტის წოდება.



**მიხეილ ვორონცოვი** (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, 1844-1854წწ. კავკასიაში მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი იყო. კავკასიაში იგი ემსახურებოდა ამ მხარის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, რასაც ძალზედ მოქნილად, მეთოდურად, კულტურული ღონისძიებებით აკეთებდა. მის დროს აღდგა ქართული თეატრი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში და სხვა. ვორონცოვი სხვა მოხელეებისაგან გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, განათლებითა და გარკვეული ლიბერალიზმით.





1858 წელს ტაძრის გუმბათზე აღმართეს ჯვარი. ამავე წელს პოლკის სადურგლო სახელოსნოში გაკეთდა კაკლის ხის „იკონოსტასი“, რომელიც მთლიანად მოაოქროვეს და ხატებით შეამკეს.

ფინანსების უკმარისობის გამო მოგვიანებით მოხერხდა დასავლეთი კარიბჭის და გალავნის აღდგენა, სამრეკლოს აგება და ეზოს კეთილმოწყობა.

1862 წელს აღდგენილი მანგლისის საკათედრო ტაძარი საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ნიკოლსკი) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე საზეიმოდ აკურთხა. ურთხევას ესწრებოდა სამხედრო პოლკის მთლიანი შემადგენლობა, ადგილობრივი მაცხოვრებლები და სტუმრები. ტაძარში ღვთისმსახურებას რუსი მღვდელი ატარებდა რუსულ ენაზე.

ამავე წელს მანგლისის ძველი ეკლესია საქართველოს ეგზარქის ნებართვით მიეწერა პოლკის შტაბს და გადაკეთდა სამხედრო ეკლესიად, ეკლესიის ქტიტორად დაინიშნა პორუჩიკი სლივიცკი, მას გადაეცა ეკლესიის წიგნები და მშენებლობის შემდეგ დარჩენილი თანხები.

სამუშაოს აწარმოებდნენ რესტავრაციისათვის მოუმზადებელი ხელოსნები, ამის მიზეზია საფასადო ქვის უსისტემოდ გადათლა, წარწერებისა და ორნამენტაციის ნაწილის განადგურება და ფასადებზე შეუსაბამო ელემენტების დამატება. ბევრი რამ დაზიანდა ან საერთოდ დაიკარგა. მხარვრობა გუმბათის გარდა ჩამოფხიკეს და გადაათეთრეს. ფასადები მორთეს ქართული საეკლესიო არქიტექტურისთვის სრულიად უცხო ორნამენტებითა და რელიეფებით. ზოგიერთ ადგილებში ტაძარს მთლიანად შეუცვალეს გარეთა პერანგი.

ტაძრის აღდგენისათვის საჭირო ფულის ნაწილი ნასესხები იქნა მანგლისის წმინდათა პეტრეს და პავლეს სამხედრო ეკლესიიდან. ტაძრის აღდგენის შემდეგ ის 22 წლის განმავლობაში პოლკის გამგებლობაში სედიოდა და თავისი შემოსავლიდან ისტუმრებდა პოლკის ეკლესიის ვალს. ამ თანხის



სრულად დაბრუნება ტაძარმა მხოლოდ 1884 წელს შეძლო.





**მანგლისის ტაძრის გუმბათის კამარის მოხატულობის სქემა და ჯვრის დეტალი.**

ტაძრის გუმბათში შემორჩენილია XI საუკუნის I მეოთხედის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. XIX საუკუნეში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად XI საუკუნის მოხატულობიდან, რომელიც მთელ ტაძარს მოიცავდა, მხოლოდ გუმბათში არსებული ფრესკები შემორჩა.

გუმბათის კამარაში მოთავსებულია ჯვრის ამაღლების გრანდიოზული კომპოზიცია. ცის ფონზე მფრინავ ოთხ ანგელოზს ხელთ უპყრიათ ტოლმკლავებიანი ჯვარი. ანგელოზთა და ჯვრის გამოსახულება მთლიანად ავსებს სფეროს. ანგელოზები განლაგებულნი არიან აღმოსავლეთით და დასავლეთით წყვილ-წყვილად. ანგელოზებიდან მხოლოდ ერთმა გსმოსახულებამ მოაღწია დაუზიანებლად, დანარჩენი სამი კი მეტნაკლებად დაზიანებულია. ყველა ანგელოზს მრგლოვანი დიდი ასოებით თავ-თავისი სახელი აწერია. მათგან ამჟამად მხოლოდ ერთი ანგელოზის სახელი ირჩევა, მას მარჯვენა ფრთასა და ფეხს შორის და მარცხენა ფრთის ქვეშ აქვს წარწერა - რაფიელი.



**გუმბათის კამარის მოხატულობა, ანგელოზი რაფიელი**



**მანგლისის ტაძრის გუმბათის ყელის მოხატულობის სქემა.**

გუმბათი მხატვარმა ორ ხაჭილად გაყო ყელი და სფერო. მათ შორის მან ფართო ლენტი გაატარა ორ პარალელურ ხაზს შორის მოთავსებული გეომეტრიული წნულით და მის ზევით და ქვევით ერთმანეთზე დამოუკიდებელი მხატვრული კომპოზიციები შექმნა.

ქვევითა კომპოზიცია აგებულია გუმ ბათის ყელის არქიტექტურის გათვალისწინებით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელი მთლიანად, ზევით აწეული მარჯვენა ხელით მაკურთხებლის პოზაში, ტახტზე მჯდომ იესო ქრისტეს გამოსახულებას უკავია.

ქრისტეს მარჯვნივ მისკენ მიმართული ღვთისმშობელი დგას, მარცხნივ - იოანე ნათლისმცემელი – ტრადიციული „ვედრების“ კომპოზიცია (ცენტრში მაცხოვარი, მარცხნივ და მარჯვნივ ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი).

ქრისტეს მარჯვნივ გამოსახული ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის გვერდით წმინდა დავით წინასწარმეტყველი დგას. მარცხნივ კი, წმინდა იოანე ნათლისმცემელი და წმინდა ესაია წინასწარმეტყველი.



**გუმბათის ყელის მოხატულობა, დავით წინასწარმეტყველი.**



დანარჩენ სარკმლებს შორის წმინდანების ორ-ორი ფიგურაა:

•წმინდა წინასწარმეტყველები იერემია და ეზეკიელი;

•წმინდა წინასწარმეტყველები იონა და დანიელი;

•წმინდა წინასწარმეტყველები ოსე და ამოსი;

წმინდანებს ხელში გრაგნილები უჭირავთ, რომელზედაც ასომთავრული წარწერებია. ფიგურები უზარმაზარია და ისინი მთლიანად ავსებენ სივრცეს.



მანგლისის ტაძრის გუმბათის მოხატულობების სქემები.

სფეროშივე გუმბათის ყელის და სფეროს გამყოფ ლენტის თავზე სამხრეთით, დახატულია ლომზე მჯდომი ჭაბუკის გამოსახულება, რომელსაც ხელში დიდი ავსებული ყანწი უჭირავს. ლომი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიემართება. მსგავსი გამოსახულებაა გელათში და იშხანში.

ლომზე მჯდომი ჭაბუკის გამოსახულება საუკუნეების განმავლობაში დავის საგანს წარმოადგენდა. ზოგი მკვლევარი ამ ფრესკაზე გამოსახულ ჭაბუკს წმინდა გიორგის გამოსახულებად თვლიდა (ი.სლივიცკი, ა. უმანეცი).

ზოგი მკვლევარი კი, ჭაბუკს მუჰამედის გამოსახულებად თვლის. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ მანგლისის ეკლესია „არასოდეს შემუსვრილ არს. სამხრით გუმბათსა შინა მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან, მის გამო მაჰმადიანთა არა შეუმუსრავთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“.



ს. სლივიცკიც ეთანხმება ვახუშტის აზრს „ნამდვილად ტაძრის გუმბათზე ჩანს მუჰამედის გამოსახულება“. გუმბათზე გამოსახულ ლომს მაჰმადიანები სპარსეთის დროშებზე ასახულ ემბლემას – ლომს უკავშირებდნენ.

შ. ამირანაშვილის აზრით ლომზე მჯდომი მამაკაცი მზის გამოსახულებას წარმოადგენს. გ. ჩუბინაშვილს მითითებული აქვს „მედალიონი ცხოველის გამოსახულებით“.

მანგლისის ფრესკები შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ძეგლია.

1953 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დავალებით მანგლისის გუმბათში შემორჩენილი ფრესკების ნაწილის პირები გადაიღო მხატვარმა ტატიანა შევიაკოვამ, პირები ხელოვნების მუზეუმში ინახება. 1959 შესრულდა ტაძრის ფრესკების გაწმენდა და გამაგრება, ეს სამუშაო მხატვარ-რესტავრატორ შ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შესრულდა.



**მანგლისის ტაძრის გუმბათის მოხატულობა, მზის პერსონიფიკაცია.**



მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაბრძანებულია მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის სასწაულთმოქმედი უძველესი ხატი.

XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო მანგლისის მოსახლეობა აიყარა მშობლიური მიწებიდან და კახეთში გაიხიზნა, ტაძარმაც შეწყვიტა ფუნქციონირება. მანგლისის ეპისკოპოსი წმიდა იოანე მანგლელი ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა, სადაც მრავალი ტაძარი აღაშენა და საქართველოს ამწიოკებელი ლეკთა ტომების მოქცევას შეეცადა.

მას თან ჰქონდა ხატი – მანგლისის ღვთისმშობელი. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს, წმიდანს ხშირად ეცხადებოდა, რომ ხატი მანგლისში დაბრუნებას ითხოვდა.

1751 წელს, ოთხმოც წელს გადაცილებული წმინდა იოანე ყიზლარში აღესრულა იგი თავისსავე აგებულ ჯვართამაღლების მონასტერში დარკძალეს, რადგან გზის სიძნელის გამო ნეშტის წამოსვენება საქართველოში ვერ მოხერხდა.

გადმოცემის თანახმად, ერთი წლის შემდეგ, წმინდა მღვდელმთავარი იოანე მანგლელი იმპერატრიცა ელისაბედს გამოსცხადებია და უთხოვია, სამშობლოში გაეგზავნათ. მაშინ წმინდანის ძმას, ჰუსართა პოლკის გადამდგარ პორუჩიკს თავად ნიკოლოზ სააკაძეს, ნება დართეს, წმინდანის მირონმდინარე ნეშტი საქართველოში გადმოესვენებინა. წმინდა სინოდის კურთხევითა და თეიმურაზ II-ის ბრძანებით, ცხედარი სიონის ტაძარში დაკრძალეს, „მრავლითა ლამპრებითა და ლიტანიობითა პატივ-სცეს. ირგვლივ ღმრთისმშობლის სალხინებელისა აღუშენეს ლუსკუმა კეთილი“.

მანგლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, წმინდანის ნეშტთან ერთად ჩამოაბრძანეს საქართველოში და მის საფლავთან, თბილისის სიონის ტაძარში დააბრძანეს.

1990-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სიონის ტაძრიდან მანგლისის მირონმდინარე ხატი ხელით წააბრძანეს მანგლისის ტაძარში.

მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე ანანიას ლოცვა-კურთხევით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი მთელ ეპარქიაში შემოატარეს.







„ერთ-ერთ ტაძარში, სადაც მანგლისის ღვთისმშობელი დავაბრძანეთ და პარაკლისს ვიხდიდით, ძველ წიგნებში მინანქარში გაკეთებული ოქროს ჯვარი აღმოვაჩინეთ. მეუფემ მასზე წარწერის წაკითხვაც შეძლო: „ნაწილი წმიდისა ძელისა ცხოველისა“ – ასე ეწერა ჯვარს უკანა მხრიდან და როგორც მეუფე ანანიამ აღნიშნა, ამ ჯვარში ჩაბრძანებულია სწორედ იმ ძელი ცხოველის ნაწილი, რომელზეც უფალი ჯვარს აცვეს.

ჩვენ სწორედ მანგლისის ღვთისმშობლის ხატმა გვაპოვნინა ეს სიწმინდე. ის უფალმა დაიფარა და უვნებელი აღმოვაჩინეთ, რადგან ამ ტაძარში ბევრი ადამიანი შედიოდა და კომუნისტების დროც, ალბათ, ბევრჯერაც გადაქექეს. ურწმუნოთათვის ის მატერიალური თვალსაზრისითაც შეიძლება საინტერესო ყოფილიყო, რადგან ოქროსია. სიმბოლურიცაა, რომ ტაძარში თავიდანვე ინახებოდა უფლის სამსჭვალი, წმიდა ჯვრის ნაწილები და უკანასკნელ პერიოდში უფალმა კიდევ ერთი სიწმინდე გამოაჩინა.“ – ამბობს ჟურნალ „ამბიონისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მანგლისის სიონის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი.



ტაძარში, ასევე, იმყოფება ხატი, რომელიც გაშავებულია ძალიან, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მასზე ღვთისმშობელი და მაცხოვარია გამოსახული. ზუსტად რომელი საუკუნისაა ხატი, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მაგრამ ხატზე ასეთი ასომთავრული წარწერა იკითხება: „ღვთისმშობლის ვედრების ხატი, პირველი საუკუნისა“.

„მანგლისის ეკლესიის უამრავი ხატი მთლიანად XIX საუკუნეს ეკუთვნის და რუსული წარმოშობისაა. მათგან მხოლოდ ორი ხატი უნდა იყოს ძველი -

•ქრისტე წელს ზევით, ნახატი ხეზე, ჩასმული მოოქროვილ ხის ჩარჩოში. ხატის ზომაა 90*75 სმ.

•იოანე ნათლისმცემელი ფრთებით, წელს ზევით, ნახატი 25 მმ. სისქის ფიცარზე. ხატის ზომებია 96*75 სმ. ხატს ჩარჩო არა აქვს, იგი ძლიერ არის დაზიანებული.“ - მელაქია დვალი



„ტაძარს მაღალი გალავანი უვლის გარს, რომელიც უწესო ოთხკუთხა მოყვანილობის მოედანს ქმნის. ალავნის ჩრდილოეთ კედელი უფრო მოკლეა სამხრეთისაზე, შესაბამისად აღმოსავლეთისა – დასავლეთისაზე.“ – წერს მ. დვალი.

დღეისთვის გალავანის ოთხი კოშკიდან მხოლოდ სამია შემორჩენილი. 1861 წელს გალავანზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდგარი კოშკი ისე ძლიერ იყო დაზიანებული, რომ მისი აღდგენა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და სრულიად მოშალეს.

კოშკები გალავანზე ბევრად დიდი სიმაღლისანი იყვნენ და სავარაუდოდ შიგნით რამოდენიმე სართული იქნებოდა.

გალავანს ემჩნევა მრავალ შეკეთებათა კვალი. ყველაზე კარგად გალავნის აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი. მისი სიმაღლე 3 მეტრს აჭარბებს, სისქე კი ზევითა ნაწილში ერთ მეტრს აღწევს. კედელი გაწყობილია საბრძოლო ბილიკებით და სათოფურებით.

გალავანი ნაგებია ფლეთილი ქვით. შიგადაშიგ კედლის წყობაში დიდი კვადრებიც ურევია. გვხვდება ტაძრის ორმანენტიანი ქვებიც, რომლებიც სავარაუდოდ XIX საუკუნეში გალავნის შეკეთების დროს ჩადგეს.




მანგლისის ტაძარი. ღია ბარათი, XIX ს. ბოლო.






მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გალავანს სამი შესასვლელი კარი ქონდა. ამჟამად მხოლოდ ორი კარია დარჩენილი – სამხრეთ და აღმოსავლეთ კედელში, ხოლო გალავანის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარი ამოშენებულია.

გალავნის სამხრეთ კედელში გაჭრილი კარი მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ცენტრალურ შესასვლელს წარმოადგენს. ამ განიერ ჭიშკრს სამრეკლო ადგას, რომელიც არსენ ეპისკოპოსის დროს აგებული ორსართულიანი ძლიერ დაზიანებული ოთხკუთხა კოშკის ადგილზე ააგეს.

დღევანდელი სამრეკლო 1862 წელსაა აგებული, რასაც ადასტურებს მის სამხრეთ ფასადზე თაღის ზემოდ ჩადგმული ქვაზე ამოკვეთილი რუსული წარწერა - „Колокольня сооружена в 1862 г. под руководством подпоручика Пономарева...“.

სამრეკლო გეგმაში სწორკუთხედია და ორსართულიანი. თაღის ქვეშ ალაყაფის კარებია მოთავსებული, მის თავზე კი ექვსკუთხა, აგურით ნაგები ფანჩატურია მოწყობილი. ზემოთ ასვლა შესაძლებელია ძალიან ვიწრო კიბით, რომელიც აღმოსავლეთ კედლის სისქეშია დაყოლებული. სამრეკლოს ხუთწახნაგა პირამიდული სახურავის თავზე ჯვარია აღმართული.








გალავანის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი კარი ფეხით მოსიარულებისათვისაა განკუთვნილი



ტაძრის გალავნის შიგნით მრავლად ყოფილა სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო ნაგებობები, რომლის ნაშთებიც XIX საუკუნეში ძეგლის რემონტის დროს გაუტანიათ და მის ადგილზე ლამაზი ეზო გაუშენებიათ. ე. მაკეევი წერს - „Двор усеян развалинами жилищ, по преданию, занятыми некогда монахами".

ტაძრის სამხრეთით, ერთი მთლიანი მასიური ქვის ბაზისზე აღმართულია ტოლმკლავებიანი ალგეთის მუქი რუხი ქვის ჯვარი. გადმოცემის თანახმად ამ ჯვრის ქვეშ დაფლულია წმინდა თეოდორე კველთელის წმინდა ნაწილები.

ამიტომ ჯვარს საკურნებელი ძალა აქვს.

ეზოში კანდელებისთვის საჭირო ზეთის სახდელი სასწაულმოქმედი უძველესი ქვა დევს, მის წინაშე ლოცულობენ ხერხემალ დაავადებული მომლოცველები, რომლებიც ინკურნებიან.



**წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი** - კველთელი (†1609), 1609 წლის დასაწყისში ოსმალეთი ახალციხიდან შემოესია საქართველოს. ამ დროს მეფობდა ახალგაზრდა ლუარსაბ II. ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა. ოსმალებმა გადაწყვიტეს შეეპყრათ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ. მტერი მოულოდნელად მოადგა მანგლისს, ღვთისმშობლის ეკლესია დარბევას სასწაულებრივად გადაურჩა. მემატიანე წერს „ესევითარმა ღრუბელმა ზრქელმა და ნისლმა დაფარა იგი, ვიდრეღა პირისპირ მისა ჩავლეს ესოდენმა სიმრავლემან მეომართამან და ეკლესია იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“. მანგლისთან ახლოს, სოფელ კველთაში ოსმალებმა მღვდელი თევდორე შეიპყრეს და ციხისკენ გზის ჩვენება მოსთხოვეს. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ და მამა თევდორეს „თავი წარკვეთეს“. თევდორეს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. წმიდა მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.





**ვახტანგ I გორგასლი. (V ს.) ფრესკა სვეტიცხოვლში.**



**ლეონ I თრაკიელი აღმოსავლეთ რომის იმპერატორი (401-474)**

ვახტანგ გორგასლის თხოვნით, ბიზანტიელი იმპერატორის ლეონის მიერ გამოგზავნილი 12 ეპისკოპოსიდან ქართლის მეფემ ერთი მანგლისის საეპისკოპოსოში გაამწესა, რომელსაც დაევალა მთელი ალგეთის ხეობის მწყემსვა.

მანგლელი ეპისკოპოსებიდან ცნობილია:

•ანტონ (თულასძე) მანგლელი, იხსენიება 1040-იან წლებში, შემდგომში თბილელი ეპისკოპოსი. პ. იოსელიანი მას მოიხსენიებს, როგორც „მანგლელყოფილს“.

•დოროთე მანგლელი, მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეების მიჯნზე, თამარ მეფის დროს.

•თეოდორე მანგლელი – იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სვეტზე რომელზეც შოთა რუსთველია გამოსახული, აღბეჭდილია სამი მღვდელმთავარი - გრიგოლ დარნდელი, თეოდორე მანგლელი და ნიკიფორე ჩოლოყაშვილი.

XIII ს. დათარიღებულ დოკუმენტში „კურთხევა მირონისა“, დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს 35 მღვდელმთავრის რიგითობა დარბაზობის დროს „განგება დარბაზობისა – რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამ წესითა დასხდენ...“, მათ შორის მანგლისის მღვდელმთავარი მეთექვსმეტეა

„...შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ერუშნელსა ქუემოთ

•იოსებ მანგლელი - XIIIს. IIნახ., მოხსენიებულია გუდარეხის მონასტრის წარწერაში.

•ანთიმოზ მანგლელი - XV ს. დასაწყისი, მოკლეს თემურლენგის შემოსევის დროს 1402 წ.

•იოსები (აბაშიშვილი) - XVს. დასაწყისიდან, იხსენიება 1402 წ. გუჯარში, საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდის დროს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ მანგლელ იოსებ აბაშიშვილისადმი.



**გუდარეხის ტაძარი და საქართველოში უძველესი გუდარეხის სამრეკლო. XIII**

წერილობითი წყაროების მიხედვით, XV საუკუნის 20-იანი წლებიდან „თბილელის" წოდებას ემატება „მანგლელი" და დედაქალქის ეპისკოპოსი მოიხსენიება როგორც „მანგლელ-ტფილელი". თ.ბერიძის აზრით „მანგლელ-თბილელის ერთ სამწყოდ, ეპარქიად გაერთიანება დროდადრო ხდებოდა, მაგრამ ეს უნდა განპირობებული ყოფილიყო გარეშე მტერთა სისტემატიური (ჯეჰენ შაჰის 1440 წ., უზუნ ჰასანი – 1476-1477 წწ., შაჰ ისმაილი – 1521-1522 წწ., შაჰ თამაზი 1541-1554 წწ.) გამანადგურებელი შემოსევებით, რასაც უნდა მოჰყოლოდა მანგლელის ეპარქიის გაუქმება და დაცლა თბილისისა და მანგლისის სამწყესოების განცალკევების, დამოუკიდებლად არსებობის დროს იწყებოდა თბილელსა და მანგლელს შორის სამწყსოებზე უფლება-მოვალეობების გარკვევა და დადგენა."

•იოანე II მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი 1427-1435 წწ. მოღვაწეობდა საქართველოს მეფე ალექსანდრესა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ შიოს დროს. მოხსნიებულია სიგელში, რომლის ტექსტი დაწერილია ალექსანდრე I დიდის ბრძანებით 1440-1441 წწ. და ეხება თემურლენგისათვის მალის ანუ ხარკის არ გადახდას. 1441 წ. სიგელში უკვე იხსენიება როგორც — „თბილელ-მანგლელი იოვანე". 1441 წ. სიგელში მიწერილია — „მოძღუარი თბილელ-მანგლელი იოვანე". 1427-1435 წწ. შედგენილ საბუთებში. „ერთგულების წიგნი" გვაუწყებს რომ: „...ესე წიგნი გკადრეთ ...თქუენ, წმიდისა მეუფეს ...ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს მე, მანგლელ-თბილელ მთავარეპისკოპოზმან იოანე, მას ჟამსა ოდეს გამიწყერ და ომფორი წამიღე და მერმე კიდევ მიბოძე. და მე ესე საერთგულო წიგნი მოგახსენე: ვიყუნეთ დღეს და დღესითგან წაღმა თქუენნი ერთგულნი და ერთგულად მლოცველი მოსამსახურენი მტერთა ზედა მტერნი და მოყუარეთა ზედა მოყუარენი. ვისა გაუწყრეთ და შეაჩუენოთ, ჩუენცა შევაჩუენოთ და უჯუარო ვყუნეთ; და ვიცა თქუენ სწყალობდეთ, ჩუენცა მათნი მლოცველნი ვიყვნეთ." იოანე მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი გრიგოლი ქართულ დელეგაციასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ 1438-1439 წლების ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში – მ. ვაჩნაძე.



**საქართველოს მეფე ალექსანდრე I. (1390-1445) ფრესკა ნაბახტევის ეკლესიაში**



ქართლის მეფე სიმონ I.
(1537-1611)

•გრიგოლ II მანგლელ-ტფილელი ეპისკოპოსი 1442 წ.
•იოანე III მანგლელ-თბილელი მთავარ-ეპისკოპოსი – მოხსენიებულია 1440-1462 წლების წყალობის წიგნში დაწერილი ქორეპისკოპოს დანიელ ნექისძისადმი.
•იოანე IV (ბარათაშვილი) მანგლელ-ტფილელი მოხსენიებულია 1541 წელის დოკუმენტში.
•ქრისტოფორე მანგლელი - იხსენიება 1615 წლის წყალობის წიგნში.
•ათანასე (ტატიშვილი) მანგლელი - 1619 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეფე სიმონმა უწყალობა მან-გლელობა, მამული სამრევლოთი. 1646 წელს მანგლელ ათანასეს დედოფალმა უწყალობა ყმა-მამული.
•ნიკოლოზ მანგლელი – მოხსენიებუ-ლია 1652 და 1653 წლების ნასყიდო-ბების წიგნებში.
•იოსებ (აბაშიშვილი) მანგლელი - იხსენიება 1702-1735 წლების დოკუმენ-ტებში.
•არსენ მანგლელი (1638-1679) – მოხსე-ნიებულია მანგლისის ტაძარის 1667 წლის ქტიტორულ წარწერაში. მან-გლელი არსენის გვარის შესახებ ორი ვერსია არსებობს - მკვლევართა ნაწი-ლი მას ბარათაშვილ-გერმანოზიშვი-ლის გვარს მიაკუთვნებს. თ.გოგოლაძე ჩატარებული კვლევის საფუძველზე ადგენს, რომ “არსენ მანგლელი იყო არა გერმანოზიშვილთა, არამედ აბა-შიშვილთა ფეოდალი სახლის წარმო-მადგენელი. სახელდობრ, იგი იყო XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოს სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილის ვაჟი, სახელად ქაი-ხოსრო, რომელმაც 1660-1664 წლებში უარი თქვა სასულიერო ცხოვრებაზე და მღვდელ-მონაზონობიდან (არსენად წოდებული) კვლავ სასულიერო ცხოვრებას დაუბრუნდა, რის სანაც-ვლოდაც მან ქართლის კათალიკოსს უბოძა მამული. იგი კვლავ დაუბრუნდა სასულიერო ცხოვრებას 1664 წლის შემდეგ, უფრო მეტიც, იგი მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავარი გახდა. მის



მანგლელობის ქრონოლოგიას 1664-1667-1671 წლებით განვსაზღვრავთ.”
•გაბრიელ (ჯავახიშვილი) მანგლელი - მოხსენიებულია 1672 და 1673 წლების ნასყიდობის წიგნებში. გაბრიელი მანგლელად დომენტი III აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა 1671 წელს. დომენტი III-ს ერთგულების წიგნს უწერს ჯავა-ხიშვილი მანგლელი გაბრიელ: „თქუენ მიერი (ეპისკოპოსად) კურთხევა მოვ-იღეთ ჩემზედა... ვიყუნეთ თქუენნი ერთგულნი და.. მორჩილნი“.

"ეპისკოპოსების ასეთი ცვლა კათედრაზე, ისე როგორც ამას ადგილი აქვს კათალიკოსების ცვლისა და მეფეების ტახტის მაძიებლობის შემთხვევაში, ხშირად დაკავშირებულია ფეოდალურ საქართველოში შინაკლასობრივ ბრძოლასთან. ცალკეული ფეოდალური დაჯგუფებების ბრძოლა ასახული იყო მეფეების, კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების ცვლაში" – წერს გ.ჯანდიერი.

•გაბრიელ (ჯავახიშვილი) მანგლელი - იხსენიება 1686-1699 წლების სხვადასხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებში მანგლელ ეპისკოპოსად ისევ გაბრიელ ჯავახიშვილი იხსენიება.



•ევდემოზი (რატიშვილი) მანგლელი - "ქსნის ერისთავის სახლის ძე, რომელიც პირველად იყო ურბნელი, მერე მანგლელი და შემდეგ მთავარეპისკოპოსი ქართლისა." გარეჯის ერთ-ერთ ხელნაწერში მოხსენიებულია „ევდემოზ ყოფილი ეფთვიმეოზ". მეფე გიორგი XI-სთან ძლიერ დაახლოებული პირი, 1678 წელს მეფე გიორგიმ მას შესწირა სოფელი მეთრევანა. ამავე წელს ევდემოზი სხვებთან ერთად მონაწილეობდა ციციშვილების გაყრაში. 1682 წელს მანგლელი ევდემოზი დამწერი და მოწმეა მეფე გიორგის მიერ მანგლისის ეკლესიისათვის მიცემული ყმა-მამულების შეწირულობის წიგნისა. 1683 წელს მეფემ განუახლა შეწირულობა. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ყანჩაეთის ჟამ-გულანში ჩართულია კინკლოსი, რომელიც შეიცავს ისტორიულ მინაწერებს XV საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის II ნახევრამდე. ხელნაწერის დამკვეთია ევდემოზ რატიშვილი – "ყოვლად წმიდისა ძისა, ღვთის მვედრ[ებ]ლი, უნდო და უღირსი, ყოველთა კაცთა უნარჩეველესი. სახითა ბერი, ხოლო საქმითა არაღირსი, ბერი ცოდვილი. მანგლელი ევდემოზ, მამკობელი წიგნისა ამის." ევდემოზს გულანი შეუწირავს ქსნის ხეობაში, სოფელ ყანჩაეთის ახლოს მდებარე კაბენის ღვთისმშობლის მონასტრისათვის, რომელიც რატიშვილთა საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. როგორც ხელნაწერიდან ჩანს, ევდემონი ძალზე განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული. მასვე უნდა ეკუთვნოდეს ლამაზი კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული სასულიერო ხასიათის ლექსები. ანდერძებსა და მინაწერებში ის მოიხსენება, როგორც „ტკბილ სიტყვითა, მშვიდ გულითა". იგი იყო თანამოღვაწე მარიამ დედოფლისა ურბნისის ტაძრის აღდგენისას, ავტორი სასულიერო ლექსებისა. ვდემოზმა სიცოცხლის ბოლო წლები გარეჯში გაატარა.



**ყანჩაეთის კაბენის წმინდა გიორგის მონასტერი. IX ს.**

•ნიკოლოზ (ბარათაშვილი-გოსტაშაბიშვილი) მანგლელი - მოიხსენიება 1669 წლიდან და მისი მოღვაწეობა გადადის XVIII საუკუნეში.

•იოანე (იოსებ ქაიხოსროს ძე ჯავახიშვილი) მანგლელი - (1651-1730) – 1697-1700 წლებში ურბნელი ეპისკოპოსი, შემდგომ მანგლელი და ბოლოს ტფილელი ეპისკოპოსი. ერეკლე I-ის მეფობაში, რომელმაც იოანეს ძმიშვილი ხარჭად მიიყვანა სასახლეში.
•ნიკოლოზ (პაპუნას ძე გოსტაბაშვილი) მანგლელი (1653-1716) – მისი მანგლელობის პერიოდი უცნობია.
•არსენ II (დოლენჯიშვილი-დოპლენჯიშვილი) - მოხსენიებულია 1715 და 1724 წლის აქტებში; როდესაც გიორგი XI ირანის შაჰს აჯანყების შემდეგ დამორჩილდა და 1696 წელს „ყანდაარს“ ეახლა, მეფეს ამ მძიმე მისიის შესრულების დროს თან ახლდა „მანგლელი მთავარეპისკოპოსი დოპლენჯიშვილი არსენ“.
•წმინდა იოანე II მანგლელი (იოსებ სააკაძე) - ბავშვობიდანვე გარეჯის უდაბნოში აღიზარდა, აქ ისწავლა მან მონაზვნური ცხოვრება. ძმებისაგან სათნოებით გამორჩეული იოვანე მალე მღდელ-მონაზვნად აკურთხეს. 1717 წელს მანგლისის კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად. ოსმალებისაგან მანგლისის კათედრის დანგრევის შემდეგ იოვანე კახეთში, ხირსის მონასტერში გადავიდა სამოღვაწეოდ. 1724 წელს წმიდა იოანე დარუბანდში წავიდა, ხის ეკლესია ააშენა და დაღესტანში ქადაგება დაიწყო. მას თან ახლდა თერთმეტი სასულიერო პირი. წმიდა მამამ ღვთისმშობლის შობისა და წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძრები ააგო. 1737 წელს იოვანემ თავისი მოწაფეები დარესტანში დატოვა, თვითონ კი ასტრახანში გადავიდა. აქ მან ააგო წმიდა იოვანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რომელიც 1746 წელს რუსთა მთავრობამ მონასტრად გადააკეთა. ყიზლარში ქართველების დახმარებით ეკლესია ააგო და გახსნა სკოლა მქადაგებელთა მოსამზადებლად. იოვანე ყიზლარში აღესრულა 1751 წელს ოთხმოცდახუთი წლის ასაკში და დაკრძალეს თავისსავე აგებულ მონასტერში. შემდგომ, თეიმურაზ მეფის ბრძანებით, წმიდა იოვანეს მირონმდინარე ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და თბილისის სიონის ტაძარში დაკრძალეს.



ერეკლე I, ქართლის მეფე



წმინდა იოანე მანგლელის ხატი.




იოანე ბაგრატიონი

•არსენ II (დოლენჯიშვილი) მანგლელი - იხსენიება1721 წლის შეწირულების წიგნში და გუჯარში, მიცემული იოსებ მანგლელ სააკაძის მიერ მანგლისის ღმრთისმშობლის ტაძრისადმი, სადაც მანგლელი დაწვრილებით აღწერს აბაშიშვილებთან მანგლისის მამულებზე ატეხილ დავის ამბებს, ხოლო ბოლოს აღნიშნავს, რომ ამ დავის შემდეგ მან დათმო მანგლელობა და ეს საპატიო სახელო „ მეფემაცა (ვახტანგ VI) და დედოფალმაც დოლენჯიშვილს არსენს უბოძა, უწინაც იმას ეჭირა, მე, რომ მომცეს და ისევ იმას მიუთვალე პ(ა)ტიოსანი ტაძარი დ(ამბადე)ბლისა ღ(მრთ)ისმშობელისა“. ამ საბუთში მკაფიოდ არის ხაზგასმული ის, რომ სანამ იოსებ სააკაძე მანგლელი გახდებოდა, ამ სასულიერო წოდებას ატარებდა არსენ დოლენჯიშვილი, რომლისთვისაც სამეფო კარს იოსებ სააკაძის შემდეგ კვლავ დაუბრუნებიათ აღნიშნული წოდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ გურამ ჯანდიერის მიერ შემოთავაზებულ ფარსადანსა და თაყაშვილების დავის გარიგები საბუთის თარიღს – 1661-1688 წლებს, უფრო მეტიც, ჩვენ ამ საბუთს ქრონოლოგიას 1661-1688 წლებით ნაცვლად, XVIII საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრავთ. ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული იოსებ მანგლელობის წლები და იგი 1717-1721 წლებით თარიღდება” (შაორშაძე).

• იოსები (აბაშიშვილი) მანგლელი – ეპარქიას მართავდა 1725 წლამდე

•იოსებ (ავთანდილის ძე ბარათაშვილი) მანგლელი – მოხსენიებულია 1702 და 1735 წლების დოკუმენტებში.

•მანგლელი ეპისკოპოსი - რომლის სახელიც ჩვენთვის უცნობია, ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტის მიხედვით 1762 წელს, როდესაც გარდაიცვალა რუსეთის მონარქი ეკატერინე II ქართველი სასულიერო პირები იმყოფებოდნენ მეფის კარზე. მიმდინარე მოვლენებს აღწერს მეფის კარზე მყოფი უცნობი ეპისკოპოსი - “ჩვენ უცხოელმა ქართველმა ეპისკოპოსებმა მივულოცეთ და ხელზე ვემთხვიეთ ელისაბედ I-ს და მის ვაჟს.” ბარათში ავტორი ახსენებს მასთან ერთად მყოფ ალავერდელ და მანგლელ ეპისკოპოსებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II აზრით წერილის ავტორი იყო წილკანის ეპისკოპოსი ქრისტოფორე ქობულაშვილი, რომელიც იოანე ბატონიშვილს გაყვა რუსეთში.

•ნიკოლოზ მანგლელი - საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ს ჩამოსვლისთანავე, მან და მეფე ერეკლემ 1764 წლის 2-18 ოქტომბერს მოიწვიეს საეკლესიო კრება. კრებას დაესწრნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი კირილე, ეპისკოპოსი ბესარიონი, ტფილელი ქრისტეფორე, მროველი გერმანე, ნინოწმიდელი საბა, მანგლელი ნიკოლოზი, რუსთველი იოსები (იმ დრომდე კათალიკოსი).

•იოსებ (კორკოტაშვილი) მანგლელი (†1779 წ.)

•არსენ III (ბაგრატიონი) მანგლელ-წილკნელ-თბილელი (†1812 წ.) - “1802 წელს თბილისში შეკრებილმა აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის

მონარქს თხოვნით „რათა გვაქუნდეს თავის თავსდა ხარისხთა შინა ყოფთა იგივე პატივი და ყ-დ სამღუდელოთა მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა თანა ყოვლისა როსიისა, მართალ მსაჯულებითა მისის დიდებულების იმპერატორებისათა, ეკლესიათა, და ყოველთა სამღვდელოთა წესთ ჩუენთა იგივე კანონი. იგივე დაცვა, და იგივე პატივი, თვითარ იგი სცხოვრობენ მოწყალებითა მისის დიდებულების იმპერატორისათა როსიისა ბინა ყ-დ სამღუდელონი და არხიმანდრიტნი“. ამ მოთხოვნას სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერდა „მდაბალი მიტროპოლიტი, ტფილისისა და ეფისკოპოზი მანგლისისა და ბოლნისისა ბაგრატოვანი არსენი“. ამ თხოვნის საპასუხოდ არსენი 1810 წელს „მოკვეთილ“ იქნა სიონის კათედრიდან და რუსეთში განამწესეს, სადაც გარდაიცვალა 1812 წელს. არსენ II იყო ბოლო თბილელი. 1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. არსენ თბილელი (გ. 30 ნოემბერი, 1812) ქართლ-კახეთის სამეფოს საეკლესიო მოღვაწე ბაგრატიონთა გვარისა, ნიქოზის ეპისკოპოსი, შემდეგ უკანასკნელი თბილელი (თბილისის მიტროპოლიტი), აბდულა-ბეგის ძე. იხსენიება ნაიბაძის გვარითაც, რადგან მამამისი ერთდროს ქართლის ნაიბი (გამგე) იყო. ახალგაზრდა დაქვრივდა და ბერად აღიკვეცა. მისი ძმის დავითისა და უახლოესი ნათესავის პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იძულებული გახდა იმერეთში გადახვეწილიყო. დიდხანს მოღვაწეობდა კაცხის მონასტერში, შემდეგ ნიქოზის ეპისკოპოსად დანიშნეს. კრწანისის ბრძოლის (1795) შემდეგ ერეკლე II-ის უკმაყოფილების მიუხედავად, ანტონ II-ის წარდგინებით თბილელად დაადგინეს. 1810 რუსეთის მმართველობასთან კონფლიქტის გამო გადააყენეს ეპისკოპოსობიდან.

•ათიკოს მანგლელი ეპისკოპოსი.



**ანტონ I.**
**ნახატი, XVIII ს.**

მომდევნო წლებში ინიშნებოდა მანგლელი ეპისკოპოსები, მაგრამ ლეკიანების გამო ისინი ვერ ახრეხებდნენ უშუალოდ მანგლისის ეპარქიაში მოღვაწეობას.

•კალისტრატე (ცინცაძე) (1866-1952) - 1927 წლიდან მანგლელი ეპისკოპოსი - მეცნიერი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია. 1893 წელს მღვდლად ეკურთხა. იგი აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“. აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1932 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის VI კრებაზე იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

•ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) (1873-1932) მანგლელ-ურბნელი ეპისკოპოსი – საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ გელათის საეკლესიო კრებაზე მკაცრად გააპროტესტა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიღებული 1921 წლის 15 აპრილის დადგენილება და მოითხოვა მისი გაუქმება, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სინდისის თავისუფლების დეკრეტს. საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. ასეთ რთულ ვითარებაში დაიწყო თავისი სამღვდელმთავრო მოვალეობის შესრულება ეპისკოპოსმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, რომელიც 1922 წლის 18 მარტს დეკანოზი ქრისტეფორე, საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ ხელდასხმულ იქნა ჯერ მანგლისის, ხოლო შემდეგ ურბნისის ეპისკოპოსად. 1922 წელს დააპატიმრეს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველად მანგლელ-ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე დანიშნა. კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას გარდაცვალების შემდეგ 1927 წელს IV საეკლესიო კრებაზე იმ დროს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი კათოლიკოსად აირჩიეს



**კალისტრატე**
**საქართველოს კათოლიკოს**
**პატრიარქი**



**ქრისტეფორე III**
**საქართველოს კათოლიკოს**
**პატრიარქი**

•გიორგი (ღონღაძე) (1894-1882) - 1974 წლის 13 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით VI-ის ლოცვა კურთხევით ხელდასხმულ იქნა მანგლისის ეპისკოპოსად. 1955 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმსახური, სადაც აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში; 1978 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 1980 წელს დაინიშნა წილკნის მიტროპოლიტად.

•თადეოზი (იორამაშვილი) (1946-2015) მანგლელი მთავარეპისკოპოსი - 1979 წ. აკურთხეს წილკნის ეპისკოპოსად, 1982 წ. კი აგარაკ-წალკის ეპარქია ჩაბარდა. 1984-1993 წლებში მანგლელი მთავარეპისკოპოსი. 1995 წ. ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი. 1995-2003 წლებში ბოლნისისა და დმანისის ეპარქიას ედგა სათავეში. 2003 წ. ბოლნისის მთავარეპისკოპოსი. 2005 წლიდან კი თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. 2010 წელს ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი. მიტროპოლიტი თადეოზი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2015 წ. გარდაიცვალა.



მეუფე ანანია (ჯაფარიძე) და
მიტროპოლიტი გიორგი (დონღაძე)



მეუფე თადეოზი
(1946-2015)



მეუფე იობი

•იობი (აქიაშვილი) მანგლელი ეპისკოპოსი – 1988 წ. დაინიშნა მარტყოფის მონასტრის წინამძღვრად. 1989 წ. აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, ამავე წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაყვანილი იქნა აჭარაში. 1990 წ. აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1992 წ. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით გამორჩეულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად. 1992 წ. გადაიყვანეს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში მმართველად და პატრიარქის ბრძანებით დაინიშნა ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად. 1996 წ. დაინიშნა ურბნისისა და რუისის ეპარქიის მმართველად, იმავდროულად ინიშნება კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1996 წ. აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, ხოლო 2000 წ. მიტროპოლიტის ხარისხში.



• ანანია (თენგიზ ჯაფარიძე) (დ.1949წ.) მანგლელი მიტროპოლიტი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, ქართული უნივერსიტეტის ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. 1979 წ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1979წ. დაინიშნა თბილისის წმიდა სამების ძველი ტაძრის წინამძღვრად. 1980 წ. მღვდელ-მონაზონი ანანია დაინიშნა ალავერდის მონასტრის წინამძღვრად. 1980 წ. მიენიჭა იღუმენის წოდება, ხოლო 1981 წ. არქიმანდრიტის წოდება. 1981 წ. უწმიდესმა პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძარში აკურთხა ეპისკოპოსად და დაადგინა ნიკორწმიდის ეპარქიის მმართველად. 1981 წ. ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველად დადგენილი იქნა ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. უფლის შემწეობით მეუფე ანანიამ 70-წლიანი უქმობის შემდეგ აკურთხა და აამოქმედა საფარას, ვარძიის, ზარზმას, უდეს, ვალეს, ხვილიშას, აბასთუმნისა და სხვა ეკლესიები. მისი უწმიდესობის კურთხევით ამოქმედდა მონასტრებიც. ეპისკოპოსმა ანანიამ 1990 წ. დააარსა ახალციხის სასულიერო სასწავლებელი სემინარია, რომელიც ამავე დროს იყო საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. 1992 წ. მეუფე ანანიას მიენიჭა მთავარ-ეპისკოპოსის წოდება და დანიშნულ იქნა მანგლისის ეპარქიის მმართველად, რომელიც იმჟამად მხოლოდ თეთრიწყაროს რაიონს მოიცავდა. მალევე მისმა უწმიდესობამ გააფართოვა ეპარქია და მას დაუმატა წალკის რაიონი და ჩამოყალიბდა მანგლისისა და წალკის ეპარქია, რომლის მმართველადაც დაინიშნა მეუფე ანანია. 2001 წ. მთავარეპიკოსპოსი ანანია აღვლენილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. წმიდა სინოდმა 2013 წელს მეუფე ანანიას სამღვდელმოძღვრო ეპარქიას უწოდა მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია. 2001 წ. მეუფე ანანიამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დააარსა თეოლოგიის კათედრა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს სრული პროფესორის წოდებით. მეუფე ანანიას მღვდელმთავრობისას მანგლისისა და წალკის ეპარქიაში 1993 წლიდან ამოქმედდა და აშენდა მრავალი ეკლესია და მონასტერი. მათ შორის ასურეთის, თეთრიწყაროს, ალგეთის, ენაგეთის, წყლულეთის, კოდის, მარაბდის, წინწყაროს, ფარცხისის, ჭივჭავის, ირაგას, ბეშთაშენის, ჯინისის, ბარეთის და სხვა ეკლესიები. ამოქმედდა მონასტრები: გუდარეხი, ბედიანი, ფიტარეთი, ბერთა, სამება (გუნიაკალა) და სხვა. წალკის რაიონში რამდენიმე დიდი მონასტრის ამოქმედებამ, იქამდე გაუქმებული ეკლესიებისა და ახალი სამღვდელო პირების კურთხევამ მყარი საფუძველი შექმნა იმისათვის, რათა აღდგენილიყო XVII-XX საუკუნეებში გაუქმებული, წინა საუკუნეებში ისტო-

რიულად არსებული წალკის ეპარქია. 2001 წლის 15 ნოემბერს მთავარეპისკოპოსი ანანია აღვლენილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მიტროპოლიტმა ანანიამ დაწერა და გამოსცა მრავალი წიგნი, გამოკვლევა და პუბლიცისტური წერილები. მიტროპოლიტმა დალოცა წალკის მოწესეები და სასულიერო პირები, რათა ერთგულად დამორჩილებოდნენ წალკელ ეპისკოპოსს. წმიდა სინოდმა 2013 წელს მეუფე ანანიას სამღვდელმთავრო ეპარქიას უწოდა მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია.

**მეუფე ანანია დაჯილდოვებულია:**

•2013 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

•2007 წლის 25 დეკემბერს, მისმა უწმიდესობამ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი წმ. გიორგის ოქროს ორდენით.

•მეუფე ანანია დაჯილდოვებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმიდა მარკოზის ორდენით, აგრეთვე ეკლესიის ჯილდოებით.

•2009 წლის 18 აგვისტოს მიტროპოლიტი ანანია დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით.

•2005 წელს მიტროპოლიტი ანანია გახდა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.

## თბილისის ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია

*მანანა ქუთათელაძე*

საქართველოს დედაქალაქი თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქალაქია.

თბილისმა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო საუკუნეთა მანძილზე რთული ისტორიული გზა განვლო. VI საუკუნის დასაწყისში სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს, მეფობა გააუქმეს და თბილისი გადააქციეს სპარსეთის უმაღლესი მოხელის - მარზპანის ადგილსამყოფლად, საიდანაც იგი მთელ ქართლს მართავდა. თბილისში სპარსელების მომრავლებასთან ერთად გაძლიერდა ცეცხლთაყვანისმცემლობა.

საქართველოსთვის ასეთ მძიმე პერიოდში, VI საუკუნის I ნახევარში, ანტიოქიის ეკლესიიდან ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად ქართლში ცამეტი ასურელი მამა შემოვიდა.

ასურელ მამათა შორის ერთ-ერთმა, მამა დავითმა სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია. თავის მოწაფესთან, ბერ ლუკიანესთან ერთად ქალაქის დასავლეთით მთის ფერდობზე მდებარე ქვაბულში დასახლდა და პატარა სამლოცველო მოაწყო. მამა დავითი ქრისტიანულ სარწმუნოების საქადაგებლად თბილისში, დედათა მონასტერში ჩამოდიოდა, რომელიც დღევანდელი ქვაშვეთის ტაძრის მახლობლად მდებარეობდა.

ქრისტიანობის მტრები ხედავდნენ, რომ მამა დავითი ხალხში დიდ სიყვარულს იხვეჭდა და ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობდნენ შეებღალათ მისი სახელი. მათ მოისყიდეს ფეხმძიმე ქალი, რომელმაც მორიგი ქადაგების დროს სახალხოდ დასდო ბრალიმამა დავითს სიძვის ცოდვაში.

თქმულება გადმოგვცემს, რომ მამა დავითმა აიღო თავისი კვერთხი, შეახო იგი ორსულის მუცელს და ხმამაღლა იკითხა - ვინ არის შენი მამა? ყველასთვის მოულოდნელად ქალის მუცლიდან მოისმა ხმა - მამა მჭედელიაო.

თქმულების ერთი ვერსიით, იქ მყოფმა ადამიანებმა ცილისმწამებელი ქალი ქვებით ჩაქოლეს და იქვე დატოვეს - ქვათა შუა. აქედან წარმოიშვა სახელწოდება „ქვათაშუეთი“, ანუ „ქაშუეთი“.

მეორე ვერსიით - მძიმე ცოდვის გამო ცილისმწამებელ დედაკაცს ღვთის რისხვამ უწია და ბავშვის ნაცვლად ქვა შვა. აქედან მიღებულა სახელი „ქვაშვეთი“.

ამ ამბის შემდეგ მამა დავითმა მალევე დატოვა თბილისი და თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გაემართა გარეჯის მრავალმთის უდაბნო ადგილას, სადაც სამუდამო თავშესაფარი ჰპოვა.




**•ასურელი წმიდა მამები** - ცამეტი სირიელი მოღვაწე, მათ სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება, ინტენსიური მისიონერული საქმიანობა, მძლავრი კულტურული კერების შექმნა, ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მწერლობის აღმოცენება, ბერმონაზვნური ცხოვრებისა და განდეგილობის დამკვიდრება. ასურელ წმინდა მამათა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებას. ასურეთიდან მათ შემოიტანეს ცოდნა და სათავე დაუდეს ქართული ფრესკისა და საეკლესიო ხატწერის დიდ ტრადიციას.



მამა დავით გარეჯელის ხატი.
მ.საბინინის ნახატი, XIX ს. ბოლო.

•წმინდა მამა დავით გარეჯელი თბილისიდან წასვლის შემდეგ თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში ბუნებრივ პატარა მღვიმეში დასახლდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელსაც დავითის ლავრა ეწოდება. დავითგარეჯის მონასტერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული კულტურის ისტორიაში. აქ დიდი მშენებლობა წარმოებდა, იხატებოდა ფრესკები და ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა იყო გაშლილი. დავითგარეჯში მრავალი ასეული გამოქვაბული სენაკი, ეკლესია, სამლოცველო და სატრაპეზოა. ბევრი მათგანის კედლებმა შემოგვინახა მნიშვნელოვანი ძველი ფრესკები. ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ ღირსი მამა დავით გარეჯელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი დაადგინა. წმინდა მამა დავით გარეჯელი თავისსავე დაარსებულ მონასტერში გარდაიცვალა, იგი მოწაფეებმა იმავე სენაკში დაკრძალეს, სადაც მრავალი წელი გაატარა.



წმინდა მამა დავითის საფლავი

•მამა დავით გარეჯელის ქვაბულის მიმდებარედ, მთაწმინდის მთაზე პატარა ეკლესია ააგეს, რომლის შესახებ მატიანეს ზუსტი ცნობები არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა, რომელიც ათონის ივერთა მონასტერს ექვემდებარებოდა. X საუკუნეში ამ ეკლესიასთან მონასტერი დაარსდა. 1810 წელს თბილისელთა შემოწირულობებით აიგო ახალი ტაძარი „სახელსა ზედა ღირსისა მამისა დავით გარეჯელისასა“. 1857 წელს მრევლის გაზრდის გამო გადაწყდა ძველი ტაძრის ნაცვლად უფრო დიდი ზომის ტაძარი აეშენებინათ. ახალი ტაძრის მშენებლობა 1859 წელს დაიწყეს. დღევანდელი მამა დავით გარეჯელის ტაძარი 1871 წელს აკურთხეს. ტაძრის მახლობლად მდებარეობს მამა დავით გარეჯელის სენაკი და საკურნებელი თვისებების მქონე წყარო. საუკუნეების განმავლობაში, ყოველ წელიწადს წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს თბილისში მამადავითობა აღინიშნება - იგი თბილისელთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია.

თბილისის გარეთუბანში არსებული დედათა მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესია დღევანდელი ქვაშვეთის ტაძრის სამხრეთით მდებარეობდა, რომლის ახლოს დედათა სენაკები იყო განთავსებული. ეკლესია წარმოადგენდა „ჩვეულებრივი ქართული სოფ-

ლის ეკლესიის ტიპისა“ რიყის ქვით ნაგებ ოთხკუთხა შენობას, ორი შესასვლელი კარი ჰქონდა – სამხრეთით და დასავლეთით. ეკლესიის სატრაპეზო მთლიანი ქვის ყოფილა, იატაკიც ქვით იყო დაგებული. ეკლესიის შენობაში ასიოდე მლოცველი ეტეოდა.



**ბოლნისის სიონი. აგებული V საუკუნეში**

XVIII საუკუნის დასაწყისში დედათა მონასტრის ეკლესია უკვე ველარ იტევდა მრევლს და მისი წინამძღვრის დეკანოზ ფილიპე მაკარიძე-არჯევანიძის ლოცვა-კურთხევით და მისი სულიერი შვილის, დიდი ქართველი თავადის გივი ამილახვრის მატერიალური ხელშეწყობით დედათა მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით ახალი ეკლესიის აგება გადაწყდა. ქრისტეფორე ტფილელის 1753 წლის სიგელის მიხედვით ვიგებთ, რომ „ამილახორმა გივმა თავის სადღეგრძელოდ და სასულიეროდ დიდის გულსმოდგინებითა და საფასეთა წარგებითა დაშვრა და შენი წმინდა ეკლესია საძირკვლით ახლად აღაშენა, გალავანი შემოავლო, განავრცელა და შეამკო“.

ეკლესია მთლიანად ქართული კვადრატული აგურით იყო ნაგები, კედლებში სიმაგრისთვის ჩადგმული იყო ოთხკუთხედად გათლილი მუხის მორები. იატაკი ქვის ჰქონდა, გადახურვა – კრამიტის. ტრაპეზი მთლიანი ქვისგან იყო გამოთლილი, ხოლო კანკელი ხისგან იყო დამზადებული, ხატები - ტილოზე ზეთის საღებავებით დაწერილი. ტაძარში ორი შესასვლელი კარი იყო, ერთი - დასავლეთ ნახევარწრის შუაში და მეორე – იქ, სადაც ეს წრე უერთდებოდა სამხრეთის ნახევარწრეს.

გივი ამილახვარმა ტაძარს ორი ზარი შეწირა ერთნაირი წარწერით: „ქ. შემოგწირეთ ზარი ესე მთავარმოწამეს გიორგის ქაშოეთისასა ამირახორმან გივიმან სულისა ჩუენისა სახსრათ ქრისტეს აქეთ ჩღნგ (1753).“

ქვაშვეთის ტაძრის ყელის ძირსა და სახურავს შორის განთავსებული იყო გვირაბ-გალერეა, რომელშიც სინათლე ტაძრის დიდი სარკმელების ზემოთ ოთხივე მხარეს გაჭრილი პატარა სარკმელებიდან შედიოდა. ეს გალერეა, რომელიც გარს უვლიდა გუმბათის ყელის ძირს, ომიანობის დროს თავშესაფრის როლს ასრულებდა, ხოლო მშვიდობიანობის დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მომლოცველებს იფარებდა. კალისტრატე ცინცაძე წერს - „ქვაშვეთს, ქართვე-

•IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ეკლესიების მშენებლობა იწყება. ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობა – ბაზილიკა და ცენტრალური – მრგვალი, მრავალწახნაგა, ჯვრისებრი შენობა. დღემდეა შემორჩენილიადრე შუასაუკუნეებში აგებული ამ ტიპის რამდენიმე ეკლესია - ძველი შუამთა და ნეკრესი კახეთში, ბოლნისის სიონი ქვემო ქართლში, ურბნისი ქართლში და ანჩისხატი თბილისში.

**•დეკანოზი ფილიპე მაკარიძე-არჯევანიძე** იმერეთიდან გადმოსული აზნაურის, დედათა მონასტრის წინამძღვრის დეკანოზ პეტრე მაკარიძის ვაჟი იყო. მან მამის დანატოვარი და საკუთარი ქონება მთლიანად წმინდა გიორგის ახალი ეკლესიის მშენებლობას მოახმარა. ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ფილიპეს არასდროს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროსაც კი არ მიუტოვებია ტაძარი. დეკანოზი ფილიპე 1808 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია დღევანდელი ქაშვეთის ტაძრის წმინდა მარინეს ეკლესიის საკურთხეველში.

ლების გარდა, დიდის მოკრძალებით ლოცულობენ რუსები, სომხები და აისორები, მართლმადიდებლები და არამართლმადიდებლები. არაქრისტიან-თა შორის ქვაშვეთში ხშირად დადიან სალოცავად მაჰმადიანები, არაიშვია-თად ებრაელებიც.“ გალერეა-გვირაბის ჭერი ისეთ სიმაღლეზე იყო გაკე-თებული, რომ ადამიანს თავისუფლად გაევლო, ამის გამო ტაძრის სახურავს თითქმის არ ჰქონდა დაქანება, „რაც კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა მნახველზე“.

გივი ამილახვარის მიერ ციხე-კოშ-კად აშენებულ ეკლესიას კედლებში დატანებული ჰქონდა სამალავი და სათოფურები.

გივი ამილახვარმა ქვაშვეთის წმინ-და გიორგის ახალ ტაძარს „გალავანი შემოავლო, განავრცელა“, გალავანში ჩადგა ოთხი კოშკი. ოტო სიმონსონის ჩანახატის მიხედვით, სამხრეთ-აღმო-სავლეთი კოშკი, ყოფილა ორსართუ-ლიანი და რვაკუთხედი ფორმის, ხოლო დანარჩენი სამი - მრგვალი ფორმისა.

•ქვაშვეთის ტაძრის პირველი სართულის შესასვლელი კარის აღმოსავლეთ კედელში ჩადგმულია გივი ამილახვარის დროინდელი ტაძრიდან გადმოტანილი მარმარილოს ფი-ლა ქტიტორული წარწერით. „ჩვენ ამირა-ხორმან გივიმან ძემან ანდუყაფარ ამირა-ხორისამ და თანამეცხედრემან ჩვენმან ორ-ბელის ძის ასულმან ზანგუამ აღვაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლით შემოსილისა მთა-ვარმოწამის გიორგისა ზღუდითა, ბურჯით და სახლით. ვინც იხილვებდეთ შენდობასა ბრძანებდეთ, აღეგო მეფობასა კეთილმსახუ-რის გვირგვინოსანის თეიმურაზისა და ძისა მისისა კეთილმსახურის მეფისა ირაკლისა, ხოლო მამამთავრობასა ანტონი დავითიანი-სა, განხორციელებისაგან სიტყვისა ღვთი-სასა ჩლნგ“ (1753 წელსა).



•**გივი ამილახვარი** (1989-1757) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე, მან აღადგინა თბილისის ბეთლემის ეკლესია, შიომღვიმის ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარი, შეაკეთა სვეტიცხოვლის ტაძარი, 1727წ. სიონის ტაძარი მეჩეთად გადაკეთებისგან გადაარჩინა. ამ დიდი დამსახურებისათვის მიტროპოლიტმა დომენტიმ „განაწესა ყოველწლიურად, ახალკვირის წინა დღის შაბათს, ჟამის წირვა სიონის საკათედრო ტაძარში გივი ამილახორისა და მისი შთამომავლობის ლოცვით მოსახსე-ნიებლად“. 1995წ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II-მ ეს წესი აღადგინა.



•**გივი ამილახვარის** მიერ აგებული ტაძარი ადრინდელ ქრისტია-ნულ არქიტექტურაში გავრცელებული ტეტ-რაკონქის სტრუქტუ-რის მქონე გუმბა-თიანი ნაგებობა იყო. „იგი იყო აგებული ჯვარის სახედ, ჯვა-რის ბოლოების მომრ-გვალებით... ცენტრა-ლურ კვადრატზე აღ-მართული იყო თორ-მეტსარკმლიანი ყელი, რომელზედაც ეყრ-დნობოდა გუმბათი... ამილახორი გივის მიერ აშენებული ტაძარი შექმნილია პირ-ველსახედ... აბელ ანდრონიკაშვილის მიერ აგებული ქოდალოს ღვთაების ეკლესიისა.“ – წერს კალისტრატე ცინცაძე.

გივი ამილახვრის მიერ აშენებული ტაძარი თავის სამალავებით, სათოფურებით, ზღუდითა და ოთხი კოშკით მტერთა თავდასხმის დროს კარგად გამაგრებულ დასაყრდენს წარმოადგენდა.

გივი ამილახვარმა ტაძრის გალავანში „თავის სადგომად“ საკუთარი სახლიც ააშენა. ეს სახლი „მტკიცედ“ იყო დაკავშირებული გალავნის რვაკუთხედ კოშკთან და იმდენად დიდი და კეთილმოწყობილი იყო, რომ იმ დროისათვის ერთ-ერთ საუკეთესო სახლად მიიჩნეოდა. მასში ხშირად აბინავებდნენ თბილისში ჩამოსულ საპატიო სტუმრებს.

გივი ამილახვარმა ორი კოშკი ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ფილიპეს გადასცა. სხვადასხვა დროს კოშკებში სასულიერო და მაღალი წრის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, მათ შორის საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქალიშვილი, ბატონიშვილი სოფიო.

ქვაშვეთის ეკლესიის კურთხევიდან ერთი წლის შემდეგ, 1754 წელს სამოცდაათ წელს გადაცილებული გივი ამილახვარი თბილისში, ტაძრის გალავანში მდებარე საკუთარ სახლში გარდაიცვალა. იგი საგვარეულო საძვალეში, სამთავისის ეკლესიაში დაკრძალეს.

ქვაშვეთზე ზრუნვა მრევლთან და დეკანოზ ფილიპესან ერთად გივის ძმისშვილმა დავით ამილახვარმა განაგრძო. 1755 წელს მათ ტაძრის კედლები ნიკოლოზ აბხაზს მოახატინეს.

ამავე პერიოდში დედათა მონასტრის წმინდა გიორგის ძველი ეკლესია განაგრძობდა თავის არსებობას ახლის გვერდით.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ თბილისი ახლად წარმოქმნილი გუბერნიის ცენტრი გახდა. 1811 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი საეგზარქოსოს უფლებით რუსეთის ეკლესიის სინოდს დაუქვემდებარა. ამავე წელს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II იძულებით რუსეთში გადაასახლეს. ქვაშვეთის ტაძარში აიკრძალა ქართული ღვთისმსახურება.

თბილისსა და ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე უპირველესი საეკლესიო იერარქიის ფუნქცია რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრს არქიეპისკოპოს ვარლამ ერისთავს დაეკისრა.



**•ვარლამ ერისთავი** (1763-1830), ქსნის ერისთავის დავითის ძე, საქართველოს პირველი და ერთადერთი ქართველი ეგზარქოსი 1811-1814 წწ. კავკასიაში რუსეთის ხელისუფალთა დავალებით მან აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა შეადგინა. იგი გახდა ჯერ საქართველოს ეგზარქოსი და მიტროპოლიტი, შემდეგ, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის დაარსებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი. 1817 წ. ვარლამი რუსეთში გაიწვიეს. მან რუსულად გამოაქვეყნა ქართული ენის მოკლე გრამატიკა, მოსკოვში გამართა ქართული სტამბა და დაბეჭდა „სადღესასწაულო“, „განმარტება სახარებისა“, წერდა ლექსებსაც.



**•ანტონ II,** ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1762-1827) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ვაჟიშვილი. იგი ახალგაზრდობაშივე აღიკვეცა ბერად. 1788 წელს არჩეულ იქნა მცხეთის მთავარეპისკოპოსად ქართლისა და კახეთის კათოლიკოსის კათედრაზე. 1811 წელს ანტონ II საქართველოდან იძულებით პეტერბურგში გაიწვიეს. 1827 წლის 21 დეკემბერს 66 წლის ასაკში ანტონ II ნიჟეგოროდში გარდაიცვალა. იგი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებით შეირაცხა წმინდანად მრავალვნებულ ანტონ II-ის სახელით. მისი ხსენების დღეა 3 იანვარი.



ქვაშვეთის ტაძარი და გალავანი აღმოსავლეთიდან. ო.სიმონსონის ჩანახატი, 1869 წ.

ახლად წარმოქმნილი გუბერნიის დედაქალაქის თბილისის ტერიტორია XVII საუკუნეში აგებული ზღუდის გარეთ, გარეუთუბნის ტერიტორიისკენ გაიზარდა. თბილისის ამ ნაწილში აიგო რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენცია, ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობები და მდიდარი მოხელეების კერძო სახლები.

1810 წლიდან ქვაშვეთის „პატრონობა“ კავკასიის მთავარსარდალმა გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა ითავა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს წერდა - „რუსეთში არსებული დებულებით, იქ, სადაც ბინა აქვს ჯარის სარდალს ან გენერელ-გუბერნატორს, უეჭველად უნდა საკუთარი ეკლესიაც იყოს ღვთისმსახურების შესასრულებლად. ეს წესი მე აქაც შემოვიღე და ავირჩიე ქვაშვეთის ეკლესია.“

აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარმმართებელს „კვირა-უქმე დღეებში ღვთისმსახურება შეასრულოს რუსის მღვდელმა, სადაგ დღეებში კი ქართველებმა, დიდმარხვაში ერთ კვირას ღვთისმსახურება სრულდებოდეს რუსულად, მეორეში-ქართულად.“ ალექსანდრე ტორმასოვი დათანხმდა პატრიარქის წინადადებას.



•**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲢᲝᲠᲛᲐᲡᲝᲕᲘ** – საქართველოს მთავარმმართებელი 1809-1811 წლებში მისი მთავარმმართებლობის დროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა იმერეთი, გურია და აფხაზეთი. 1811 წელს ტორმასოვმა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გადაასახლა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტი გააუქმა. 1810 წელს ახალციხეზე განხორციელებული წარუმატებელი იერიშის და შავი ჭირის გამო საქართველოში მდგომარეობა დაიძაბა. ტორმასოვმა გადადგომა ამჯობინა.



•კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით თბილისის გარეთუბანში, თავად ორბელიანების ვრცელ ბაღში 1802 წელს აიგო. რუსეთის მთავარმმართებლის სასახლის შენობა შემდგომ პერიოდებში საფუძვლიანად გადაკეთდა. მის გარშემო გაშენდა ბაღი ხეივნებით, ფანჩატურით, აიგო შადრევნებიანი აუზი. სასახლის წინ მოეწყო ნიკოლოზის მოედანი. დღეს ამ შენობაში საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეა განთავსებული.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე დაწყების შემდეგ რუს სამღვდელოებასა და ძმებს წინამძღვარ დეკანოზ პეტრე და მღვდელ პავლე არჯევანიძეებს შორის კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა. მთავარსარდალ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს აღარ აკმაყოფილებდა ადრე მიღწეული შეთანხმება ქვაშვეთის ეკლესიაში ქართველი და რუსი სამღვდელოების ერთდროულად მსახურების შესახებ. გენერალს ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების გაუქმება სურდა, რაზეც ძმებმა არჯევანიძეებმა პროტესტი გამოთქვეს და საპასუხოდ რუსულ ენაზე ღვთისმსახურების შეწყვეტა მოითხოვეს. მთავარსარდალი წერდა: „მე ვეცადე კონფლიქტი მომეგვარებინა და დეკანოზ პეტრეს და მღვდელ პავლესათვის ქვაშვეთის ეკლესიაში რუსი მოძღვრის მსახურების დაწყების შემდეგ შემცირებული შემოსავალი ფულადი კომპენსაციით ამენაზღაურებინა. როგორც ირკვევა, ქვაშვეთის მოძღვრებს ამაზე უარი განუცხადებიათ და ეკლესიაში რუსულ ენაზე ღვთისმსახურების შეწყვეტა მოუთხოვიათ ...ქვაშვეთის ეკლესიაში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე შეწყვეტა არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ეკლესია ჩემს სახლთან ახლოსაა.“

1810 წლის ნოემბერში ხერსონის პოლკის მღვდელმა „პეტრე რუსმა“ ძმები არჯევანიძეები ქვაშვეთის ტაძარში აღარ შეუშვა.

ამ კონფლიქტის შემდეგ დაიწყო ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის გადაკეთება და „დანიშნულების შესაფერისად“ მოწყობა.

•ვარლამ ერისთავმა, 1816 წელს ქვაშვეთის სამხრეთ კარს მიაშენა კარიბჭე, რომლის ქტიტორული წარწერა დღევანდელი ტაძრის ქვემო ეკლესიის კარიბჭის მარჯვენა კედელშია ჩადგმული – „სადიდებლად ღვთისა, დროსა სრდ როსიის იმპერატორის ალექსანდრე პირველისა და ექსარხოსობას საქართველოს და იმერეთის სამღუდელოთა ზედა მცხეთის მიტროპოლიტის და თბილისის ვარლამ ქსნის ერისთავის დავითის ძისასა აღშენდა კარიბჭე ესე წელსა ქესით ჩყივ ქორონიკონსა ფდ.“

• **დეკანოზი პეტრე ფილიპეს ძე არჯევანიძე** (1744-1824) მოღვაწეობდა ქართველ მეფეთა სასახლის კარზე და იყო ბატონიშვილების მოძღვარი. 1816 წელს გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც ასრულებდა ღვთისმსახურებას სამეფო კარის ეკლესიებში. მან რუსეთში ყოფნის დროს მოსკოვში ინახულა საქართველოს დედოფალი მარიამი და უფლისწულები, ხოლო ნოვგოროდში იმერეთის დედოფალი. მისი სულიერი შვილი იყო მამია გურიელი და მისი მეუღლე სოფიო წულუკიძე. 1820 წელს დეკანოზი პეტრე დაბრუნდა საქართველოში. იგი გარდაიცვალა 1824 წელს 80 წლის ასაკში, დაკრძალულია ქვაშვეთის ტაძრის წმინდა მარინეს ეკლესიაში.

ვარლამ ერისთავის მიერ ახლად აგებული ტაძრის სამხრეთ კარიბჭიდან მხოლოდ მთავარსარდალი და მისი გარემოცვა შედიოდა, ხოლო დასავლეთ კარიდან „უბრალო“ ხალხი.

რუსეთის ხელისუფლებამ ტაძრის კედლებში ახალი სარკმლების გამოჭრა დაიწყო, რათა სამხედრო პირების ეპოლეტები და მაღალი საზოგადოების ბრილიანტები კარგად განათებულიყო და გამოჩენილიყო. ხელისუფლებას არც რუსი მღვდელთმსახურები ჩამორჩნენ, მათ საკურთხეველში დიდი ზომის სარკმელი გამოჭრეს.

ქვაშვეთის ეკლესიის „გასამხედროების“ შემდეგ, 1810 წლიდან ტაძარში გალობას იწყებს „სალდათებისგან“ და სახელმწიფო დაწესებულებების დაბალჩინოსანი მოხელეებისგან შემდგარი რუსული გუნდი, რომლისთვისაც ტაძრის დასავლეთ მკლავში „ხორო“, ანუ სპეციალური აივანი გაკეთდა. ამისთვის სამრეკლოზე და სამალავში ასასვლელ კიბეზე გაიჭრა დიდი ზომის კარი.

ნიკოლოზ აბხაზის მიერ მოხატული კედლები და გუმბათი, 1817-1818 წლებში უცნობ მხატვარს ახლად მოახატინეს. მხატვრობა შინაარსით მდიდარი, მაგრამ ხელოვნების თვალსაზრი-

სით დაბალი ხარისხის იყო. XIX საუკუნის ბოლოსათვის ტაძრის მხატვრობა იმდენად დაზიანდა, რომ მისი გადარჩენისთვის შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ დაასკვნა „...არა ღირს განახლებადო“.

გივი ამილახვრის მიერ აგებული ქვაშვეთის ტაძრის გალავანი 1832 წლისათვის საკმაოდ დაზიანებული იყო. მისი ნაწილი ტაძრის დეკანოზმა პეტრე არდაზიანმა შეაკეთებინა, ხოლო დარჩენილი ნაწილის შესაკეთებლად შუამდგომლობით მიმართა სასულიერო მთავრობას.

1846 წელს ტაძრის კრამიტის სახურავი თუნუქის სახურავით შეცვალეს, ხოლო აგურის ფილაქანი – ქვის კრამიტით. ტაძარს შემოავლეს საკმაოდ მტკიცე და მაღალი „ცოკოლი“. შეიძინეს დიდი შანდლები და ჩამოასხმევინეს 25-ფუთიანი ზარი, გუმბათის ყელს გამოუცვალეს სარკმლები. ტაძარში დაკიდეს ახალი ჭაღი.



1837 წელს საქართველოში პირველად ჩამოდის რუსეთის მონარქი, იმპერატორი ნიკოლოზ I. იგი ქვაშვეთის ეკლესიაში წირვას უნდა დასწრებოდა და სპეციალურად ამისთვის სასწრაფოდ დაიწყეს გალავნის შეკეთება, ნაწილი აგურით და გაჯით, ხოლო ნაწილი წვრილად დახერხილი, შეღებილი ფიცრის ბადურით განაახლეს.

ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში, გივი ამილახვრის სახლის გარდა, სხვადასხვა ნაგებობები შენდებოდა. 1839 წელს ტაძრის მღვდელმა თომა გრიგორიევმა ააგო სახლი, რომელიც მოგვიანებით ქვაშვეთის ეკლესიას შესწირა. ტაძრის ეზოში, გარდა ექვსი საცხოვრებელი სახლისა, აშენდა თორნე, დუქანი და ფარდული.

1848 წელს ტაძარში დაიდგა საიმპერატორო აკადემიის ხელოვანის ადრიანე კოზმინ-მალახოვის მიერ მოსკოვში შეკვეთით შესრულებული, ქართული ეკლესიისათვის სავსებით უცხო, „შვიდიარუსიანი რუსული კანკელი, რომელიც ძალზედ აბნელებდა საკურთხეველს და სრულებით არ უდგებოდა ტაძარს“.

ოქროთი მოვარაყებულ და სხვადასხვა ფიგურებით მორთული კანკელის

- პირველ რიგში მოთავსებული იყო ქართველი წმინდანების ხატები;
- თორმეტი საუფლო დღესასწაული;
- მესამეში-მოციქულები;
- მეოთხეში-წინასწარმეტყველები;
- მეხუთეში-წარღვნის შემდგომნი მამამთავარნი;
- მეექვსეში-წარღვნის უწინარესნი;

- მეშვიდეში-ექვსბოლოიანი ჯვარცმა წინამდგომარე ღვთისმშობელითა და იოანე ღვთისმეტყველით.

რუსული შაბლონიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა აღსავლის კარების ზემოთ „საიდუმლო სერობის“ მაგიერ მოთავსებული ღვთისმშობლის მიერ წმინდა ნინოსთვის ვაზის გადაცემის ხატი. ეს კანკელი მოხსნეს 1904 წელს და გადასცეს ნორიოს მთავარანგელოზის ეკლესიას.

XIX საუკუნეში რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ უძველეს ქართულ ტაძრებში „რუსული შვიდიარუსიანი“ ტიპიური კანკელი დააყენა, მათ შორის მცხეთის სვეტიცხოველშიც.
სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელი. დ. ერმაკოვის ფოტო, XXს. დასაწყისი.

რუსულმა ადმინისტრაციამ ქვაშვეთის ეკლესიის სამხრეთით მდებარე ძველი ყაბახის ტერიტორიაზე მოაწყო სამხედრო წრთვნები და საკმაოდ ვრცელი ადგილი გადააქცია სამხედრო სწავლების მოედნად, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის პატივსაცემად „ალექსანდრეს პლაცი“ უწოდეს.

1856 წელს თბილისში ჩამოვიდა კავკასიის ახალი მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი, რომლის გადაწყვეტილებით ქვაშვეთის ტაძრის მიმდებარე ფერდობზე დაიგეგმა საზოგადოებრივი ბაღის მშენებლობა.

დედათა მონასტრის წმინდა გიორგის უძველესი ეკლესიის ნაშთები დაშალეს და ეზო მოასწორეს. ბაღის მშენებლობას შეეწირა ტაძრის გალავანი კოშკებით და ქვაშვეთის უძველესი სასაფლაო, რომელიც გადატანილ იქნა ვერაზე - თბილისის მაშინდელ გარეუბანში.

ოტო სიმონსონის მიერ დაპროექტებული ბაღი, რომელიც პრივილეგირებული მოსახლეობის სასეირნო ადგილს წარმოადგენდა, საზეიმოდ გაიხსნა 1865 წელს და იმპერატორ ალექსანდრე II-ის სახელი შეუნარჩუნდა –„ალექსანდრეს ბაღი“. თბილისში ვიზიტის დროს რუსეთის იმპერატორმა ამ ბაღის ტერიტორიაზე ხის ერთი ნერგი დარგო.





**ალექსანდრე ბარიატინსკი** (1815 -1875) - რუსი ფელდმარშალი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 1856 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი. 1862 წელს კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატიანსკი გადადგა. ამის მიზეზი თავისი ადიუტანტის დავიდოვის მეუღლე ელისაბედ ორბელიანი იყო, რომელიც საზღვარგარეთ მკურნალობის დროს შეუყვარდა. მათი სიყვარულის ამბავი გახმაურდა. ბარიატინსკისა და მის ადიუტანტს შორის დუელი შედგა, უვნებლად გადარჩენილმა მეფისნაცვალმა ცოლად შეირთო ელისაბედ ორბელიანი. ამ რომანტიულ-ფათერაკიანი თავგადასავლის შემდეგ ბარიატინსკი კავკასიაში ვეღარ დაბრუნდა.

ქვაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე უძველესი სასაფლაო მდებარეობდა. თბილისის კომენდანტმა დახურა სასაფლაო და იგი იმ დროისათვის ქალაქის გარეუბანში - დღევანდელ ვერის პარკის ტერიტორიაზე გადაიტანა, სადაც 1847 წელს აგებული წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მდებარეობდა. ეკლესიის შენობა წარმოადგენდა უსვეტებო ორფერდიან დარბაზს მომრგვალებული საკურთხევლით. საბჭოთა პერიოდში, 1926 წელს სასაფლაო დაიხურა, ხოლო, 1933 წელს ტფილისის საბჭოს განკარგულებით ვერის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი დაანგრიეს და ამ ტერიტორიაზე ვერის საზოგადოებრივი ბაღი გააშენეს.

1846 წელს ქვაშვეთის ეკლესიის გვერდით მდგარი ზარბაზნიდან სროლებით გამოწვეულმა ვიბრაციამ, 1870-იანი წლებიდან დაუგეგმავად ამოჭრილმა კარებმა და სარკმლებმა დროთა განმავლობაში ქვაშვეთის ტაძრის კედლების დაბზარვა და დახეთქვა გამოიწვია.

1878 წელს ტაძრის ავარიულ შენობას პირველი რემონტი ჩაუტარდა, ბზარები შეილესა და ზეთის საღებავით შეიღება. ამან დიდი შედეგი არ გამოიღო, შენობა ავარიულ მდგომარეობაში დარჩა, რის გამოც 1880-იანი წლების დასაწყისში წირვა-ლოცვა შეწყდა.

ქვაშვეთის ტაძრის ავარიული შენობის გადარჩენის მიზნით შეიქმნა კომიტეტი, რომელმაც რუსეთის სინოდს მიმართა თხოვნით ტაძრის რემონტისთვის საქართველოს ეკლესიის ხაზინიდან სესხის გამოყოფის შესახებ. საქართველოს ეკლესიის ხაზინა, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის სინოდს ეკუთვნოდა, ხოლო თანხა ფიზიკურად პეტერბურგის სახელმწიფო ბანკში ინახებოდა.

რუსეთის სინოდმა სესხის გაცემაზე უარი განაცხადა, რის შემდეგ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თვითონ ეზრუნა ტაძრის გადარჩენისთვის. მათ მოიწვიეს ავტორიტეტული პირებისგან შემდგარი კომისია, რათა კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ ტაძრის შენობის მდგომარეობა. არქიტექტორებმა კარლოს მაევსკიმ და ოტო სიმონსონმა სინოდის კანტორის არქიტექტორ-ინჟინერ ალექსანდრე ჩიჟევსკისთან ერთად დადეს დასკვნა, რომ „ტაძარი არც ისე საშიშარ მდგომარეობაშია, რომ წირვა-ლოცვისათვის დაკეტილი იყოსო, მაგრამ შეკეთებას კი საჭიროებსო“.

1884 წელს ეგზარქოსმა მთავარმმართებელთან შეთანხმებით ქვაშვეთის ტაძარში წირვა-ლოცვის განახლება ბრძანა. ცხრა წლის შემდეგ 1893 წელს ტაძრის ავარიული შენობა რკინის სალტებით შეკრეს.



1883 წლის მარტში, როდესაც ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გრიგოლ ორბელიანს, ქართველ რომანტიკოს პოეტს და სამხედრო მოღვაწეს კრძალავდნენ, ტაძარში არ მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა. „საფლავის გათხრის დროს კი შიშობდნენ, ვაი თუ ტაძარი თავზე დაგვენგრესო.“

ოტო იაკობ სიმონსონი (1829-1914) - ხუროთმოძღვარი, თბილისში დამკვიდრებული არქიტექტორი. დაიბადა დრეზდენის სინაგოგის მცველის ოჯახში. განათლება მიიღო დრეზდენის სამხატვრო აკადემიაში. გარკვეულ ხანს იგი გერმანელ არქიტექტორ გოთფრიდ ზემპერის სახელოსნოში მუშაობდა. ახალგაზრდა სიმონსონმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის სინაგოგის მშენებლობაში. იგი თბილისში ჩამოვიდა 1858წელს. მისი პროექტებით თბილისში მრავალი შენობა აშენდა, მათ შორის თბილისის სასამართლო პალატის, საოლქო სასამართლოს ყოფილი შენობები და თბილისის ობსერვატორიის მთავარი შენობა. მას თბილისში მრავალი კერძო და შემოსავლიანი სახლი აქვს აგებული.



საჯვარე და სამრეკლო

1888 წელს, დეკანოზ დავით ჭარელაშვილის წინამძღვრობის პერიოდში ქვაშვეთის ტაძრის გალავნის დასავლეთ კედელში, ეკლესიის ალაყაფის კარების გვერდით, აიგო წმინდა ვლადიმერის საჯვარე - რუსეთის მიერ ქრისტიანობის მიღებიდან 900 წლისთავის აღსანიშნავად. სამლოცველოში დაბრძანებული იყო წმინდა ვლადიმერის ხატი.

ამავე პერიოდში, ეკლესიის ალაყაფის კარზე ერთმანეთის გვერდით სამი კამარა დააშენეს, სადაც სამრეკლო უნდა გაემართათ, მაგრამ სამრეკლოში ზარები ვერ დაკიდეს, ვინაიდან მათი ერთდროულად რეკვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

• 1801 წლიდან თბილისში ბინას იდებენ როგორც რუსეთის მაღალი ჩინის სამხედრო პირები, ისე რუსული სამხედრო ნაწილები. ქვაშვეთის ტაძრის „გასამხედროების“ პარალელურად ალექსანდრეს ბაღში შენდება ორი ტაძარი რუსი სამხედრო პირებისათვის. **წმინდა ნიკოლოზის ტაძარი** აიგო 1848 წელს და იგი გათვლილი იყო მაღალი ჩინის სამხედრო პირებისათვის.



**წმინდა ალექსანდრე ნეველის სამლოცველო**, აიგო 1880-იან წლებში და მისი მრევლი შედგებოდა ტფილისის გარნიზონის დაბალი სამხედრო ჩინოსნებისაგან



**წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარი** ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მიეკუთვნებოდა ეკლესიების იმ პომპეზურ ოფიციალურ სტილს, რომელიც იმდროინდელ რუსეთში „ბერძნულ-ბიზანტიური სტილის“ სახელითხელისუფლების ხელშეწყობით ინერგებოდა. წმინდა ალექსანდრე ნეველის რუსული სამხედრო ტაძარი საბჭოთა პერიოდში დაანგრიეს. დღეს ტაძრის ადგილას საქართველოს პარლამენტის შენობა დგას.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის სრული დაპყრობის აღსანიშნავად ქვაშვეთის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს, ღუბინის მოედანზე 1871 წელს დაიწყო დიდი სამხედრო ტაძრის მშენებლობა. 1897 წელს დასრულებული ტაძარი წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელზე აკურთხეს.

წმინდა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის კურთხევის შემდეგ ქვაშვეთის ტაძარი ქართველ მრევლს დაუბრუნდა და წმინდა გიორგის ეკლესიაში იოსებ მონადირაშვილის ლოტბარობით, კაცებისა და ქალების ხმებისაგან შემდგარი „ქართული გალობის მოყვარულთა“ გუნდმა დაიწყო გალობა.




**იოსებ გიორგის ძე მონადირაშვილი** - სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული და ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, მუსიკათმცოდნე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ქვაშვეთის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა 1897-1906 წლებში. მომდევნო პერიოდში მგალობლების გუნდის ხელმძღვანელები იყვნენ ნიკოლოზ ბარამიძე და გიორგი ზალიკანიანი.

1897 წელს ქვაშვეთის ეკლესიაში განწესებულ იქნა ახალი წინამძღვარი დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე, „გამიტაცა აზრმა, უსათუოდ ახალი ეკლესია აშენებულიყო“, წერს მამა მარკოზი. მეფის რუსეთის ხელისუფლების პერიოდში ადვილი არ იყო, თუნდაც ძლიერ დაზიანებული, ეკლესიის დაშლა და ახალი ქართული მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის დაწყება.

მამა მარკოზმა თავისი მოხერხებულობით შეძლო გივი ამილახვრის შთამომავალ გენერალ იოანე (ივანე) ამილახვრისგან თანხმობის მიღება იმ პირობით, რომ „ახალი ეკლესია იქნება აშენებული სამთავისის ეკლესიის გეგმით, რომელიც ამილახვრის მამაპაპის აშენებულია“.

ახალი ტაძრის პროექტის შესრულება დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის ინიციატივით ხუროთმოძღვარ ლეოპოლდ ბილფელდს დაევალა. არქიტექტორების კომისიამ ახალი ტაძრის გეგმა და საჭირო საბუთები შეადგინა და ეგზარქოს ფლაბიანეს (გოროდეცკი) წარუდგინა.

მარკოზ ტყემალაძემ დაიყოლია საქართველოს ეგზარქოსი ფლაბიანე (გოროდეცკი) მშენებლობისთვის საჭირო თანხა სესხად აეღოთ რუსეთის ეკლესიის სინოდისგან, თუმცა მოულოდნელად ვითარება შეიცვალა – ეგზარქოსი ფლაბიანე საქართველოდან გადაიყვანეს, მაგრამ დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ ფარ-ხმალი არ დაყარა, ისარგებლა თბილისში რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის სამეურნეო ნაწილის დირექტორის ჩამოსვლით, რომელიც დახმარებას დაპირდა.

1902 წელს დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე სიონის ტაძრის დეკანოზად გადაიყვანეს, ხოლო ქვაშვეთის ტაძრის ახალ წინამძღვრად მამა ესტატე ელიევი (ელიაშვილი) დაინიშნა. საქართველოს ახალ ეგზარქოსმა ალექსი I-მა (ოპოცკი) დაიწუნა ქვაშვეთის ახალი ეკლესიის გეგმა.



**მარკოზ ტყემალაძე** (1858-1936) – პროტოპრესვიტერი, პუბლიცისტი. მან განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ტფილისის სემინარიაში და კიევის აკადემიაში. 1897-1902 წლებში იყო ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი. 1916 წელს დაჯილდოებული იქნა მიტრით, ხოლო 1932 წელს აყვანილ იქნა პროტოპრესვიტერის ხარისხში. 1935 წელს მას დასტამბული აქვს ქადაგებათა კრებული. ჯანმრთელობის გაუარესების გამო თავი გაანება სამსახურს. გარდაიცვალა 1936 წელს, დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში.



**ესტატე პლატონის ძე ელიევი – ელიაშვილი** (1845-1918) - ტფილისის სემინარიის კურსდამთავრებული. 1866 წელს აკურთხეს მღვდლად. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა თბილისის ეკლესიებში. 1902 წელს გადმოყვანილ იქნა ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრად. 1903 წელს ხელდასმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად და ეწოდა ექვთიმე. 1906 წელს გადაყვანილ იქნა რუსეთში, ბალახნინის ეპისკოპოსად. 1909 წელს დაინიშნა მოსკოვის ზაიკონოსპასკის მონასტრის წინამძღვრად. გარდაიცვალა მოსკოვში 1918 წელს.



**ივანე (იოანე) გივის ძე ამილახვარი** (1829-1905) - სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი, არაერთი ბრძოლის მონაწილე, სადაც არაჩვეულებრივი სამხედრო ნიჭით და სიმამაცით გამოირჩეოდა, რუსეთის იმპერატორებთან დაახლოებული პირი. ივანე ამილახვარი ზრუნავდა ქართული სიძველეების განახლება-რესტავრაციაზე და ამ საქმისათვის არ ზოგავდა არც დროსა და ენერგიას, არც სახსრებს. მისი განახლებულია სამთავისის ტაძარი, გორიჯვრის ციხე და ეკლესია, მის მიერაა აშენებული წმინდა მარინეს ეკლესია სოფელ ქვემო ჭალაში და სხვა. ივანე ამილახვარი დაკრძალულია ქვაშვეთის ტაძარში.

ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) ლეოპოლდ ბილფელდის გეგმის ნაცვლად რამდენიმე ათეული „ხახვის თავის მსგავსი“ გუმბათიანი და „ხოროებიანი“ ეკლესიის გეგმა წარუდგინა ტაძრის კომიტეტს. გენერალმა ივანე ამილახვარმა გააპროტესტა ეგზარქოსის წინადადება - „...ჩვენ სამთავისის გეგმა ავირჩიეთ, როგორც ჩვენ მამა-პაპათა გამომუშავებული და გადმოცემული“. ეგზარქოსი იძულებული გახდა აღეძრა შუამდგომლობა ახალი ტაძრის გეგმის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

1903 წელს ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვრად დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე განაწესეს.

ქვაშვეთის ტაძრის კომიტეტის გადაწყვეტილებით ძველი ეკლესიის დანგრევამდე დღევანდელი სამხრეთ ალაყაფის კარების დასავლეთით ერთ წელიწადში დროებითი ტაძარი აიგო.

ეკლესია წარმოადგენდა დიდ დარბაზს, რომელშიც დაიდგა ახალი კანკელი, გადმოაბრძანეს ეკლესიის სიწმინდეები და ხატები. გარკვეული ნივთები ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის კალისტრატე ცინცაძის ინიციატივით და ეგზარქოსის ნებართვით გადასცეს ქართლ-კახეთის ეკლესიებს: ძველი ტაძრის კანკელი - ნორიოს მთავარანგელოზის ეკლესიას, ხოლო ქვაშვეთის გუმბათის ჯვარი თბილისის კარის წმინდა გიორგის ეკლესიაზე დაიდგა.

დროებითი ეკლესიის კურთხევის შემდეგ დაიწყო ქვაშვეთის ძველი ეკლესიის დაშლა.



**კალისტრატე** (1866-1952) - მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ერისკაცობაში კალისტრატე ცინცაძე, მეცნიერი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია. 1893 წელს მღვდლად ეკურთხა. იგი აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“. აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მამულების გამგე კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ამილახვარი, ტაძრის გეგმა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ლეოპოლდ ბილფელდს დაევალა.

კომიტეტმა ტაძრის მშენებლად მოიწვია იტალიელი ტექნიკოსი ანჟელო ანდრეოლეტი, რომელმაც თავის მხრივ ხუროთმოძღვრად ედუარდ ანდრეოლეტი დანიშნა. ტაძრის მშენებლობის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დააკისრეს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს.



**ლეოპოლდ ბილფელდი** - თბილისელი არქიტექტორი, ეროვნებით გერმანელი. მიღებული ჰქონდა რუსეთის ქვეშევრდომობა, სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1860-იან წლებში მუშაობდა კავკასიის საფოსტო ოლქის, შემდეგ კი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად. ლეოპოლდ ბილფელდი იყო რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და კავკასიის საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1897 წელს დააპროექტა მიხეილის საავადმყოფოს შენობა. მისივე პროექტითაა აგებული „ვეტცელის“ სასტუმროს შენობა. აშენებული აქვს ბევრი საცხოვრებელი სახლი თბილისში, მათ არქიტექტურაში ლეოპოლდ ბილფელდი რენესანსულ-ბაროკოული ეკლექტიზმის ფარგლებში რჩება, ყველა მისი შენობა მაღალი პროფესიონალიზმით არის აღბეჭდილი.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის დღევანდელი ეკლესიის საძირკვლის ამოღება 1904 წელს დაიწყო. საყრდენის ძებნამ მიწის გათხრა საკმაოდ ღრმად მოითხოვა, რამაც პროექტის შეცვლა გამოიწვია.
მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორსართულიანი შენობა აგებულიყო, რომელშიც ორი ეკლესია განთავსდებოდა.



**სამთავისის ტაძრის** ადგილას პირველი ტაძარი ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში ააგო, ახლანდელი ტაძრის შენობა კი, 1030 წლით თარიღდება. XV საუკუნეში, სამთავისი მეფე გიორგი VIII-მ უბოძა იოთამ ზედგენიძეს, რომლის შთამომავლები ამილახვრებად იწერებიან. სამთავისის ტაძრის ფასადებიდან საყურადღებოა აღმოსავლეთ ფასადი, რომელიც განსაკუთრებითაა შემკული და მცირე შეკეთების მიუხედავად, თითქმის პირვანდელი სახითაა მოღწეული. ინტერიერის კედლის მხატვრობა შემორჩენილია მხოლოდ გუმბათსა და საკურთხეველში. ტაძრის ჩრდილოეთით, გალავნის შუა წელზე მდებარეობს სამსართულიანი, აგურით ნაშენი სამრეკლო.

ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობდა 1904-1910 წლებში. პირველ სართულზე მდებარე ეკლესია 1909 წლის 1 აპრილს სულიწმიდის სახელობაზე აკურთხა ეპისკოპოსმა გრიგოლ ვახნინმა, ამ ეკლესიაში დროებითი ეკლესიიდან გადმოიტანეს კანკელი, ტრაპეზი და იქ დაცული სხვა სიწმინდეები, ხოლო, დროებითი ტაძარი დაშალეს.
კალისტრატე ცინცაძის ცნობით, 1919 წელს ქვაშვეთის ქვემო ეკლესიაში დადგმული კანკელი გადაეცა სოფელ ოძისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას, ხოლო მის ნაცვლად დაიდგა „სასახლის მოშლილი ეკლესიის კანკელი, რომლის კორპუსიცა და ხატებიც დამზადებულია მხატვრის გრიგოლ გაგარინის მიერ. კორპუსი გაკეთებულია ქართული ხელოვნების ნაშთთა მიხედვით ალებასტრისაგან: ალაგ-ალაგ მოვარაყებულია, ალაგ-ალაგ კი მუქი საღებავით არის შეღებილი“.
ამ ცნობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს კანკელი გადმოტანილია მეფისნაცვლის სასახლის წმინდა ალექსანდრე ნეველის კარის ეკლესიიდან, რადგან, 1919 წელს თბილისში შემორჩენილი იყო მხოლოდ მეფისნაცვლის სასახლე, რომელშიც 1917-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ დაიდო ბინა.
1945 წელს ჩატარებული რემონტის შემდეგ ქვაშვეთის ტაძრის ქვედა სართულზე მდებარე სულიწმინდის ეკლესია წმინდა მთავარმოწამე მარინეს სახელზე აკურთხეს.

**გრიგოლ გაგარინი** (1810-1893) - რუსი მხატვარი და ფერმწერი, რუსული არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კარის ობერ-გოფ-მეისტერი, სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1848 წელს გაგარინი რამდენიმე წლით დასახლდა თბილისში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მან მოხატა თბილისის სიონის ტაძარი და თავიდან ააშენა დაზიანებული კანკელი. მოხატა თბილისის საოპერო თეატრის დარბაზი და ფოიე. ქართულ თეატრში გააფორმა სპექტაკლები, ხატავდა პეიზაჟებს, XIX საუკუნის თბილისის ხედებს, საყოფაცხოვრებო სცენებს, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ქართველთა ტიპებს და სხვა.





1910 წლის 31 ოქტომბერს ქვაშვეთის წმინდა გიორგის დასრულებული ტაძარი საზეიმოდ აკურთხა ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიაევი) ეპისკოპოსების დავით და გრიგოლ კაჭახიძეების მონაწილეობით.

ამ დღეს ზაქარია ფალიაშვილმა გიმნაზიისა და ფილარმონიის მომღერლებისაგან შემდგარი 25-კაციანი გუნდი გამოიყვანა და ეკლესიის დასავლეთი მხარე დაიკავა. „ეკლესიაში მოვიდა საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის რუსული გუნდიც. ეგზარქოსმა მოსთხოვა ზაქარიას ადგილის გათავისუფლება თავისი გუნდისათვის. ზაქარია ფალიაშვილმა არასგზით არ დაუთმო და თავის გუნდს ფეხი არ მოაცვლევინა, თვითონაც ბოლომდე ლოტბარობდა. უნაყოფო უსიამოვნებისა და შეჯახების შემდგომ ეგზარქოსის გუნდი იძულებული გახდა სხვა ადგილი მოეძებნა. ისინი რუსულად გალობდნენ, ზაქარიას გუნდი კი ქართულად“. ფილარმონიული საზოგადოების გუნდი ქვაშვეთის ტაძარში 1910-1917 წლებში გალობდა.

**ზაქარია ფალიაშვილი** (1871-1933) – კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი. მუსიკოსები იყვნენ ფალიაშვილის მამა, ოთხი ძმა და ერთი და. თავდაპირველი მუსიკალური განათლება უფროსი ძმის ხელმძღვანელობით მიიღო ქუთაისში. სწავლობდა ფორტეპიანოსა და ორღანზე დაკვრას წმინდა მარიამის მიძინების კათოლიკურ ეკლესიაში, მღეროდა ეკლესიის გუნდში. 1887 წელს ზაქარია და მისი ძმა ივანე თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ივანე თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში ორღანზე უკრავდა, ხოლო ზაქარია გალობდა. შემდეგ ძმები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლადო აღნიაშვილის გუნდში გალობდნენ. 1891 წელს ზაქარია თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა, სადაც სწავლის დროს ჩამოაყალიბა გუნდი, მოამზადა და დროდადრო კონცერტებსაც მართავდა. 1896 წელს დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერა და დამუშავება. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის კონსერვატორიაში. იგი იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ზედა სართულის ჰენრიჰ ჰრინევსკის ესკიზებით შექმნილი სამხრეთი შესასვლელი ბრინჯაოს კარი, რომელიც ჩეხი მოქანდაკის ა.ო. ნოვა-

კის სახელოსნოში ბ. ლებედამ ჩამოას- ხა, შემკულია დიდმოწამე გიორგის და მოციქულთასწორი ნინოს ზედნაჭედი ხატებით.

ამ სამუშაოებისთვის თანხა გაიღეს დავით სარაჯიშვილმა და ეკატერინე ფორაქიშვილმა. კარს მათი სახელების აღმნიშვნელი ქართული ინციალები “დ” და “ე” ამშვენებს.



**დავით სარაჯიშვილი** (1848-1911) – საზოგადო მოღვაწე, მრეწველი და ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი. სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია “ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის”, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან. იგი დიდ თანხებს ხარჯავდა ეკლესიების მშენებლობასა და რესტავრაციაზე. მისი სახსრებით აშენდა თბილისში ქვაშვეთის ეკლესია, რესტავრაცია ჩაუტარდა სვეტიცხოველს, მცხეთის დედათა მონასტერს, იკორთის, მარტყოფის, თბილისის სამების, მთაწმინდის, კალოუბნისა და კიდევ სხვა ეკლესიებს. ქვეყნისათვის ყველა მნიშვნელოვან წამოწყებაში დავითს გვერდით ედგა მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი **(1862-1916).** 1911 წელს დავით სარაჯიშვილი დიდუბის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. მისი დაკრძალვის დღეს თბილისში დაიკეტა ყველა მაღაზია, დუქანი, გადაიდო ყველა სპექტაკლი, ასე გამოხატა დედაქალაქმა ამ ადამიანის მიმართ მადლიერება. პროცესიას წინ ამქართა ბაირაღები და ხატებით შემკობილი ვერცხლის გვირგვინები მიუძღოდა. 1916 წელს დავითის გვერდით მისი მეუღლე, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე ეკატერინე ფორაქიშვილი დაკრძალეს. 1938 წელს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით დიდუბის პანთეონიდან „არასასურველი“ მიცვალებულების გადასვენება დაიწყეს. ამ სიის სათავეში დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე მოხვდა. ორმა ადამიანმა ნიკა ტარსაიძემ და ადამ ფორაქიშვილმა ითავეს ნეშთების გადასვენება ვაკის სასაფლაოზე, მაგრამ ამისათვის საჭირო თანხა არ გააჩნდათ. დავითს საფლავში ბრილიანტისთვლიანი ოქროს დიდი ბეჭედი ჩააყოლეს, რომელსაც იგი მუდამ ატარებდა, მათ გადაწყვიტეს გაეხსნათ სარკოფაგი, აელოთ ბეჭედი და მოეხდინათ ცოლ-ქმრის გადასვენება. ფული საანტიკვარო მაღაზიის მფლობელს ესესხნენ. ამ თანხით დავითი და ეკატერინე ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს. საღამოს კი, პირობის თანახმად, საანტიკვაროს მფლობელს ფულის მაგივრად ბეჭედი მიუტანეს. 1995 წელს სარაჯიშვილის მოწაფეებისა და მისი ღვაწლის თაყვანისმცემელთა მცდელობით ბიზნესმენის ელგუჯა ბუბუტეიშვილის ინიციატივით - დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილი ვაკის სასაფლაოდან გადმოასვენეს და ქვაშვეთის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიის სამხრეთი შესასვლელი კარი და ტაძრის დასავლეთი ალაყაფის კარი შეასრულა ფ.ი. ჰაუფმა.

ქვაშვეთის ტაძრის მეორე სართულის იატაკი მოზაიკისაა, რომელიც ანჟელო ანდრეოლეტის ესკიზის მიხედვითაა დაგებული, რაზეც სამხრეთი შესასვლელი კარის წინ ჩადგმული ფირფიტა მიგვანიშნებს.

ქვაზე კვეთილი ორნამენტები არქიტექტორ ედუარდ ანდრეოლეტის ესკიზების მიხედვით შეასრულეს ცნობილმა ქვისმთლელმა ოსტატებმა ნეოფიტე, ლავრენტი და ნიკო აგლაძეებმა. მშენე-

ბლობის დროს გამოყენებული იყო ალგეთის ქვა, ძეგამის თეთრი ქვა, იტალიური მარმარილო. ტაძრის ჩუქურთმების ნიმუშები გადმოღებულია საქართველოს სხვადასხვა ეკლესიებიდან.

**ნეოფიტე დიმიტრის ძე აგლაძე** (1874-1956) - ქვის მხატვრულად დამუშავების ოსტატი. 1887წ. სწავლობდა თბილისში იტალიელი ოსტატის ანდრეოლეტის სახელოსნოში. 1912წ. გახსნა საკუთარი სახელოსნო, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა ვლადიმერ, ნიკო და ლავრენტი აგლაძეებთან ერთად. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის და სხვა არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ გაფორმებაში, შეაკეთა სვეტიცხოვლის კარნიზები და ქვის სახურავი. ხელი შეუწყო ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმის გაცოცხლებას თანამედროვე ეროვნულ არქიტექტურაში.

**ლავრენტი ალექსის ძე აგლაძე** (1884–1958) - ქვის მხატვრულად დამუშავების ოსტატი. სწავლობდა ბაქოში იტალიელ ოსტატ ფრანზის სახელოსნოში. მუშაობდა ნეოფიტე აგლაძის სახელოსნოში. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის სასტუმრო „მაჟესტიკის“, თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგურის, კინოთეატრ „რუსთაველის“, ეროვნული სტადიონის მხატვრულ გაფორმებაში.

**ნიკოლოზ დიმიტრის ძე აგლაძე** (1884–1955) - ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატი. სწავლობდა თბილისში იტალიელი ოსტატის ანდრეოლეტის სახელოსნოში. მუშაობდა უფროს ძმებთან ერთად. შეისწავლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნიმუშები, დაეუფლა ქვის მხატვრულად დამუშავების პროფესიას. მონაწილეობდა კულტურის ძეგლებისა და თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობათა შეკეთება-აღდგენასა და მშენებლობაში.



თბილისის ქვაშვეთის ეკლესიის შემკობაში მონაწილეობა მიიღო **ანა (ანეტა) ერისთავ-ამილახვარმა**, გენერალ-ლეიტენანტის ივანე ამილახვარის მეუღლემ, რომელმაც ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის დიდი სარკმელი შეამკობინა ჩუქურთმითა და შესანიშნავი ჯვრით, რომელიც უცვლელად არის გადმოტანილი სამთავისის ტაძრიდან.



**ნინო ივანეს ასულმა ამილახვარმა** და მისმა მეუღლემ გენერალ-მაიორმა **ნიკოლოზ თუმანიშვილმა** შეამკობინეს ქვაშვეთის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის ჩრდილოეთი ნიში და სარკმელი.



**მართა ივანეს ასულმა ამილახვარმა-თურქიამ** ქვაშვეთის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის სამხრეთი ნიში და სარკმელი შეამკობინა

**ნიკოლოზ და ანტონ არჯევანიძეებმა** ქვაშვეთის ტაძრის ჩრდილოეთი ფასადი როზეტით, ჯვრით და სამი შუა სარკმელი თამასებით შეამკობინეს.



**გიორგი ბაქრაძემ, სოლომონ გულისაშვილმა, ელისაბედ ვორონცოვა-დაშკოვამ და ბარბარე ლორთქიფანიძემ** შეამკობინეს ქვაშვეთის ტაძრის თითო სარკმლის თამასებით სამხრეთ ფასადზე.



**გიორგი არჯევანიძემ და მარიამ არჯევანიძე-ფედოტოვამ** ქვაშვეთის ტაძრის ჩრდილოეთი ფასადის ორი სარკმლის თამასებით შეამკობინეს.



**მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანმა** ქვაშვეთის ტაძრის შუა სარკმელის თამასები და სამხრეთ მალის როზეტი შეამკობინა.

**გიორგი კუნდუროვმა** ქვაშვეთის ტაძარს გუმბათის ჯვარი შესწირა. 1984 წელს ელდარ კვერნაძის დაფინანსებით მოხდა გუმბათზე აღმართული ჯვრის მოოქროვება, რაც მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა პერიოდში „გასაიდუმლოებულად" მოხდა ოქროს ფურცლების შეძენა, გუმბათზე ასასვლელად დამზადდა ორი სპეციალური კიბე. ყველაზე რთული კი, ისეთი ოსტატის მოძებნა იყო, რომელიც ასეთ სიმაღლეზე შეძლებდა ჯვრის მოოქროვებას. ამ სამუშაოების ჩასატარებლად იქნა არჩეული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საქმე და დიდი რისკის ფასად შეძლო გუმბათზე აღმართული ჯვრის მოოქროვება.
ქვაშვეთის ტაძრის სამხრეთი კარის თავზე მოთავსებულია რუსეთის არმიის გენერალ–მაიორის **ვასილ გურიელის** შეწირული და ი.ანდრეოლეტის მიერ შესრულებული წმინდა გიორგის ჭედური ხატი.

ტაძრის არქიტექტურული თავისებურებაა კანკელის არატრადიციული მდებარეობა - კანკელი გამართულია არა წინა სვეტებს შუა, არამედ მათ უკან, რათა მეტი ადგილი დათმობოდა მლოცველებს.

გივი ივანეს ძე ამილახვარმა და მისმა მეუღლემ ანა კუზნეცოვამ ეკლესიას ედუარდ ანდრეოლეტის ნახატის მიხედვით დამზადებული მარმარილოს კანკელი შესწირეს.

კანკელი შემოსილია დაჩუქურთმებული თეთრი მარმარილოს ხალებიანი ფიქალით და იტალიური მარმარილოს სვეტებით.

კანკელის ზემოთ აღმართულია თეთრი მარმარილოს ქართული ჯვარი, ხოლო ჯვრის ქვემოთ დაბრძანებულია საიდუმლო სერობის ხატი, რომლის ორივე მხარეს მოთავსებულია მარმარილოზე ამოჭრილი ანგელოზები სამწერობლებით ხელში.

ტაძრის კანკელი, ტრაპეზი, სამკვეთლო, ამბიონი, ძველი ხატების კიოტები, ემბაზი და კანკელის წინ, ამბიონზე ორი დიდი შანდალი იტალიური მარმარილოსია.



**გივი ივანეს ძე ამილახვარი,** გენერალ-მაიორი, რუსეთ-იაპონიის და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე, დაღესტნის ცხენოსანთა მე-2 პოლკის მეთაური, 1921 წლიდან წავიდა ემიგრაციაში მეუღლესთან ანა გრიგოლის ასული კუზნეცოვასთან ერთად. ცხოვრობდა ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა.

საკურთხევლისა და სამკვეთლოს ოთხივე კარი კაკლისაა და დამზადებულია გ.ი. ბერძენიშვილის სახელოსნოში.

აღსავლის კარის ზემო ნაწილში ჩასმულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარება – მარცხენა ფრთაზე გამოსახულია მთავარანგელოზი გაბრიელი – „მარჯვენის ზეაპყრობით ქალწული მარიამის მიმართ, რომელიც ზის მთავარანგელოზის პირდაპირ სავარძელში, ძაფს ართავს და თან კითხულობს საწიგნობელზე მდებარე ისაია წინასწარმეტყველის წიგნის მეშვიდე თავის მეთოთხმეტე მუხლსა, „აჰა ქალწული მიუდგეს...“.

აღსავლის კარის ქვემო ნაწილზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მახარებლები „მათდამი მიკუთვნილი ემბლემებით -

- მათე ათვალიერებს სახარების ახლად დაწერილ სტრიქონებს;
- ლუკა და მარკოზი განაგრძობენ წერას;
- იოანე ღრმად ჩაფიქრებული შესცქერის ზეცას“.

აღსავლის კარის მარცხნივ გამოსახულია ლაჟვარდოვან ცაში თეთრ ღრუბლებს შორის მდგომარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყრმით ხელში და დიდმოწამე გიორგი მარჯვენაში ფარით და მარცხენაში შუბით ხელში.

აღსავლის კარის მარჯვნივ მოთავსებულია ტილოზე დახატული ლაჟვარდოვან ცაში თეთრ ღრუბლებს შორის მდგომარე მაცხოვარის ხატი. მაცხოვრის ხატის გვერდით დაბრძანებულია წმინდა ნინოს ხატი. მას ხელები გადაჯვარედინებული აქვს, მარჯვენაში უპყრია თმით შეკრული ვაზის ჯვარი, მარცხენაში გაშლილი გრაგნილი.

კანკელის ჩრდილოეთ და სამხრეთ კარებზე მოთავსებულია მთავარანგელოზ გაბრიელისა და მთავარანგელოზ მიქაელის ხატები.



**ჰენრიკ ჰრინევსკი** დაიბადა 1869წელს ქუთაისში. იგი საქართველოში მცხოვრები პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი იყო. განათლება მიიღო საფრანგეთში, ფლორენციასა და გერმანიაში. დიდია მისი დამსახურება ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების აზომვასა და ნატურიდან ჩანახატების შესრულებაში. 1912წელს. მან მოხატა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობის ინტერიერი. ჰ. ჰრინევსკი არჩეულ იქნა პროფესორად და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. იგი მოგზაურობდა საქართველოში, იხატავდა ძეგლებს. ჰ. ჰრინევსკი 1937წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

1910 წელს ნაკურთხი ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის მოხატვა მხოლოდ II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წლიდან გახდა შესაძლებელი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ ეს საქმე მხატვარ ლადო გუდიაშვილს მიანდო, ხოლო ტაძრის მოხატვის საქმის ხელმძღვანელობა მან ეპისკოპოსს დიმიტრი ლაზარიშვილს დაავალა.

ლადო გუდიაშვილმა გამოიყენა მცენარეული საღებავების ძველი რეცეპტები. დაიწყო ურთულესი ესკიზების და ჩანახატების კეთება, მთელი დღეები თავდავიწყებით შრომობდა მაღალი თაღის ჭერქვეშ.

მხატვარმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დახატა ქართველი ქალის სახით, მთელი ფორმებით, სილამაზით, ღვთისმშობლის გვერდით დახატა საქართველოს სიმბოლო - ბროწეულის ხე, „როგორც ფრესკებში, ისე დაზგურ პორტრეტებში თითქმის ყველა მხატვარი, დიდიც და პატარაც, ღვთისმშობელს მუდამ ახალგაზრდას და სათნოს ხატავდა... მე გადავწყვიტე ღვთისმშობელი წამომეყვანა ჩვენსკენ, მიწისკენ. უფრო დღევანდელი სახე მომეცა მისთვის, ამ სახით ასეთმა გადაწყვეტამ მაშინ, როგორც მოველოდი, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. უარი ვთქვი ზეთის საღებავებზე, ვხატავდი ენკაუსტიკის ურთულესი წესით - ცხელი, ადუღებული ფერებით. მაგრამ ფერადი ფხვნილები არ იშოვებოდა, ძებნა-ძებნით მივაკვლიეთ მღებავებს... ხარაჩოებზე ცხრა თვე ჰაერში ვიყავი გაყენებული, სისხლი მდიოდა ხოლმე ცხვირიდან.“ - წერდა ლადო გუდიაშვილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მხატვარს ბრალად საბჭოთა იდეოლოგიის ღალატი და ღვთის სიყვარული წაუყენა, იგი გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან, დაითხოვეს თბილისის სამხატვრო აკადემიიდან და აუკრძალეს პედაგოგიური საქმიანობა.

საკურთხევლის ძირითადი ფართობი ცხრა თვეში მოიხატა. სხვადასხვა წინააღმდეგობების გამო ტაძრის მოხატვა ვერ დასრულდა, რასაც დაემატა 1952 წელს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს გარდაცვალება.

მრავალი წლის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ისევ ლადო გუდიაშვილს შესთავაზა ქვაშვეთის ეკლესიის მოხატვა, მაგრამ მხატვარი უკვე 80 წელს იყო მიღწეული და ვეღარ შეძლო მხატვრობის დასრულება.



**ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზარიშვილი** - 1897წ. იწყებს ღვთისმსახურებას ქვაშვეთის ეკლესიაში დიაკვნად. მუშაობდა საქართველოს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად და ხაზინადარად. 1919 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1932წ. ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარია. 1943 წ. დიმიტრი ლაზარიშვილი ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად და ასევე დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1947 წ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია ქვაშვეთის ეკლესიაში.



**ლადო (ვლადიმერ) გუდიაშვილი** (1896-1980) - ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი. 1916 წელს სხვა მოღვაწეებთან ერთად დააარსა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. 1917 წელს მონაწილეობდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ექსპედიციაში - გაეცნო ქართულ ძეგლებს, იღებდა ფრესკების პირებს. 1919-1926 წლებში პარიზში მეცადინეობდა რონსონის „თავისუფალ აკადემიაში“. ასევე მონაწილეობდა გამოფენებში პარიზში, ბელგიაში, ამერიკაში და სხვა. 1922 და 1925 წლებში პერსონალური გამოფენები გამართა პარიზში. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ლადო გუდიაშვილი ასწავლიდა მონუმენტურ-დეკორატიულ მხატვრობას, აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნების გამფორმებელი. ასევე იყო თეატრისა და კინოს მხატვარი და მონუმენტალისტი. ლადო გუდიაშვილი გარდაიცვალა 1980 წელს.



თბილისის ქვაშვეთის ტაძარში დაბრძანებულია უძველესი და ახლადდაწერილი ხატები. ამ ხატებს შორის აღსანიშნავია დიდმოწამე გიორგის ხატი „წვერისი“, რომელიც ქვაშვეთის ტაძრის ერთ-ერთი მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს. ხატი ფიცარზე გადაკრულ ტილოზეა დაწერილი. მასზე გამოსახულია ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გმირავს ვეშაპს. გარდა წმინდანის სახისა, მთელი ხატი დაფარულია ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის პერანგით. ხატზე



პერანგის ქვეშ არის ქტიტორული წარწერა, რომელზედაც 1771 წელია მითითებული.

2009 წელს ელდარ კვერნაძის დაფინანსებით და რესტავრატორ ნანა მანაგაძის მიერ ხატის ფერწერას ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია და ჭედური პერანგის აღდგენა-მოოქროვება. ხატს გაუკეთდა ახალი ინკრუსტირებული ხის ჩარჩო. იგი დაბრძანებულია ტაძრის მარჯვენა პილონზე.

საუკუნეების განმავლობაში წვერის დიდმოწამე გიორგის ხატის ზემოთ, ერთ ფარვიზში დაბრძანებული იყო ჯვარი, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაიკარგა. 2006 წელს დამზადდა ძველის ანალოგიური ჯვარი, რომელიც შეასრულა გიორგი ლიპარტელიანმა. ჯვრის ცენტრში გამოსახულია წმინდა გიორგი, ხოლო მის თავზე წმინდა სამება, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ დაწერილი ხატის მიხედვით მინანქრითაა შესრულებული. ჯვარს აქვს წმინდა ნაწილებისთვის განკუთვნილი სანაწილე.

ჯვრის ზურგზე განთავსებულია წარწერა „დეკანოზ ელიზბარის კურთხევით, ღმერთმა დალოცოს ამ ხატის შემომწირველი ანტონ საღლიანი ოჯახით. 2006 წ. გიორგობა თვე."

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაბრძანებულია ბეთანიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც გადმოცემის მიხედვით XII-XIII საუკუნეებშია დაწერილი. კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ცნობით ეს ხატი ბეთანიაში ღვთისმსახურების შეწყვეტის შემდეგ, 1830-იან წლებში ჩამოაბრძანეს ქვაშვეთში.



1816 წელს დავით (დათუა) გოსტაშაბიშვილის ოჯახს ხატისთვის ოქროს წყალში



დაფერილი პერანგი და გარეთა არშია გაუკეთებია.

მოგვიანებით ხატს გაუკეთეს ციმბირის ქვებით შემკული და ოქროთი დაფერილი ვერცხლის გვირგვინი, რომელიც მალევე მოხსნეს. ამ გვირგვინით შეამკეს ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიაში დაბრძანებული ჰ. ჰრინევსკის დაწერილი ბეთანიის ღვთისმშობლის ხატის ასლი.

2008-2009 წლებში ძლიერ დაზიანებულ ხატს ელდარ კვერნაძის დაფინანსებით და რესტავრატორ ნანა მანაგაძის ძალისხმევით ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. რესტავრაციის დროს, ფიცარზე, რომელზედაც დაწერილია ბეთანიის ღვთისმშობლის ხატი, გამოვლინდა სამი ფენა.

ხატი რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ შემოსეს ახალი მოოქროვილი პერანგით. ღვთისმშობელს გაუკეთდა ახალი ჭედური გვირგვინი, მინანქრით და ძვირფასი ქვებით. ხის დაზიანებული ჩარჩო შეიცვალა ინკრუსტირებული ბზის ჩარჩოთი. ხატი დაბრძანებულია სპეციალურ მარმარილოს კიოტში.

საკურთხევლის წინ, მარმარილოს ფარვიზში დაბრძანებულია წმინდა გიორგის ხატი, რომელიც დაწერილია ფიცარზე 1701 წელს. გიორგი XII-ის ვაჟმა დავით ბატონიშვილმა ხატისთვის პეტერბურგში დაამზადებინა ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის პერანგი. 1933 წელს მძარცველებმა ხატს ააძრეს ვერცხლის პერანგი, რომელიც დაზიანდა და მისი ხატზე დამაგრება შეუძლებელი აღმოჩნდა. ხატს გაუკეთეს დაუფარავი ვერცხლის არშია, რომელზედაც გადმოტანილია დავით ბატონიშვილის ქტიტორული წარწერა.

დიდმოწამე გიორგი წარმოდგენილია ფეხზე მდგომი, მარჯვენა ხელში უპყრია

შუბი, მარცხენაში კი, თავისივე მოკვეთილი თავი, რომლიდანაც წვეთავს სისხლი.

წმინდა გიორგის გამოსახულების ქვემო კუთხეებში მოთავსებულია დიდმოწამე გიორგის წმინდა ნაწილები.

ტაძარში დაბრძანებულია წმინდა ნინოს ხატი, რომელსაც 2010 წელს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. სპეციალურად ამ ხატისათვის დამზადდა დიდი ოსტატობით დამზადებული ხის კიოტი (1.80×1).

ტაძარში ასევე დაბრძანებულია წმინდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც 2009 წელს ჩაუტარდა აღდგენა-კონსერვაცია. მაღალმხატვრულ დონეზე აღდგა და დამატებით მოჩუქურთმდა ხატის კიოტი, რომელიც ძლიერ იყო დაზიანებული.ამ ხატების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოებისათვის თანხები გაიღო ელდარ კვერნაძემ.

ქვაშვეთის ტაძარში გადმოტანილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ სასწავლებლების დახურული ეკლესიებიდან და სამლოცველოებიდან გადმოტანილი ხატები.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარში დაბრძანებულია თბილისის კადეტთა კორპუსიდან გადმოტანილი 1904 წელს შეწირული ვერცხლის ჯვარი და მხატვარ თეოდორე ბრუნის მიერ დაწერილი იესოს გეთსიმანიის ბაღში ლოცვის ხატის ასლი.

XIX საუკუნეში უდიდესი ოსტატობით დაწერილი ხატი ჩაბრძანებული ყოფილა მოოქროვილ დიდებულ ჩარჩოში. ხატი, რომელიც თავისი ზომებით იშვიათობაა ქართულ ეკლესიაში (2.5*1.6), დროთა განმავლობაში ძლიერ დაზიანდა – ფერწერა ჩამოიშალა, ტილო დაობდა და ჩაიხა, ჩარჩო დაზიანდა და ზედაპირი გადაიფხიკა, რის გამოც მისი აღქმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

2010 წელს ელდარ კვერნაძის ფინანსური მხარდაჭერით და რესტავრატორ ნანა მანაგაძის ძლისხმევით მოხერხდა ხატზე ურთულესი სამუშაოების შესრულება, როგორც ფერწერული ტილოს, ასევე ინკრუსტირებული ჩარჩოს პირვანდელი სახის წარმოსაჩენად. ხატი დაბრძანებულია წმინდა გიორგის საკურთხეველში.

თბილისის კადეტთა კორპუსის შენობაში ამჟამად თანამედროვე ხელოვნების მუზეუმია განთავსებული.

ვაკის სასულიერო სემინარიის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიიდან გადმოტანილია მხატვარ ჰენრიჰ ჰოფმანის - იესოს გეთსიმანიის ბაღში ლოცვის ხატის ასლი.

საბჭოთა პეროიდში სემინარიის შენობაში განთავსებული იყო თბილისის მეცხრე საავადმყოფო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საავადმყოფოს შენობა გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. ამჟამად შენობაში მიმდინარეობს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები.

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ეკლესიიდან გადმოტანილია პეტრე კოლიჩინის იესოს ხატი „მწყემსი კეთილი“.

დღეისათვის თბილისის გიმნაზიაში აღდგენილია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ეკლესია, რომელშიც მიმდინარეობს ღვთისმსახურება.

ქვაშვეთის ტაძარში კანკელის წინ მდებარე პილონებზე განთავსებულია ჰენრიხ ჰრინევსკის მიერ დაწერილი ორი ხატი - ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ფრესკის მიხედვით დაწერილი - წმინდა თამარ მეფის და წმინდა დავით აღმაშენებლის ხატები.

ეს ხატები გადმოტანილია ქართული გიმნაზიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ეკლესიიდან, რომელიც განთავსებული იყო დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გუმბათში.

1995 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში აიგო წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესია.

ქვაშვეთის ტაძრის წმინდა მარინეს ეკლესიაში ძირითადად ძველი ხატებია დაბრძანებული.

ერთ ფარვიზშია დაბრძანებული წმინდა დიდმოწამე მარინეს და ყოვლადწმინდა სამების ხატები.

წმინდა დიდმოწამე მარინეს ხატი, გარდა წმინდანის სახისა და ხელებისა, მთლიანად დაფარულია ოქროს წყალში დაფერილი პერანგით და შემკულია ძვირფასი თვლებით.

ასევე ოქროს წყალში დაფერილი პერანგითაა შემკული ყოვლადწმინდა სამების ხატი.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარში დაცულია ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი საღვთისმსახურო წიგნები, საეკლესიო სიმღერების კრებულები, ნოტები და ტაძრის დავთრები.

მათ შორის აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფელ უჩაშონას წმინდა გიორგის ეკლესიიდან გადმოტანილი ფსალმუნები - “წიგნი ესე შემოწირულ იქმნა უჩაშონის წმ. გიორგის ეკლესიაში აწ გარდაცვალებულის მიქაელ ადანიას სახელზე. 1899 წელი.”

ტაძარში დაცულია ძველი ქართული სახარება ოთხთავი, რომლის ყდის ზედა ფრთაზე ხუთ ადგილას ლითონის ფირფიტებია განთავსებული, - შუა არეზე მაცხოვარი, ხოლო გარშემო ოთხი მახარობელი. წიგნი ილუსტრირებულია ოთხი წმინდანის გრავიურით. XVIII საუკუნეში რუსულ ენაზე გამოცემული სახარება, რომელის ყდის ზედა ფრთას არშიად მიყვება დეკორატიული ორნამენტი, რომლის ცენტრში ოვალურ მედალიონზე გამოსახულია მაცხოვარი, ხოლო მის გარშემო ოთხ ოვალურ მედალიონზე მახარობლები. წიგნის ქვედა ფრთას არშიად მიყვება დეკორატიული ორნამენტი, ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. წიგნი ილუსტრირებულია ოთხი წმინდანის გრავიურით.

ტაძარში დაცულია მისი უწმინდესობის კალისტრატე ცინცაძის და ეპისკოპოს დიმიტრი ლაზარიშვილის ხელნაწერი „დავთარი”.

ასევე დაცულია XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო სიმღერების კრებული და სანოტო რვეულები.

ტაძარში დაცულია დიდმარხვის პირველკვირის საკითხავი არასრული „მარხვანი”. წიგნი გადმოტანილია რუსეთის იმპერიის მეფისნაცვლის სასახლის წმინდა ალექსანდრე ნეველის კარის ეკლესიიდან.

•ქვაშვეთის ტაძრის პირველი მოძღვარი, რომლის სახელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია, დეკანოზი პეტრე მაკარიძე-არჯევანიძეა, რომელიც ჯერ კიდევ დედათა მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე იყო.

•დეკანოზი ფილიპე მაკარიძე-არჯევანიძე (†1808), დაკრძალულია ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიის საკურთხეველში;

•დეკანოზი პეტრე არჯევანიძე (1744-1824).
ტაძრის წინამძღვარია 1809-1824 წლებში.

•დეკანოზი პეტრე არდაზიანი (დ.1783),
ტაძრის წინამძღვარია 1824-1859 წლებში;

•დეკანოზი გრიგოლ ჭარელაშვილი (1798-1876),
ტაძრის წინამძღვარია 1859-1876 წლებში,
დაკრძალულია ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიის საკურთხეველში;

•დეკანოზი დავით ჭარელაშვილი (1839-1897), ტაძრის წინამძღვარია 1876-1897 წლებში. დაკრძალულია ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიაში.



**დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე** (1859-1937), ტაძრის წინამძღვარია 1897-1902 წლებში. 1902 წელს გადაყვანილ იქნა თბილისის სიონის ტაძარში. 1932 წელს აღყვანილი იქნა პროტოპრესვიტერის ხარისხში.



**დეკანოზი ესტატე ელიაშვილი** (1845-1918), ტაძრის წინამძღვარია 1902-1903 წწ. 1903 წელს ხელდასმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად და უწოდეს ექვთიმე.



**დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე** (1866-1952), ტაძრის წინამძღვარია 1903-1930 წლებში. 1925 წელს დეკანოზი კალისტრატე დაინიშნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად და აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1932 წ. არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.



**დეკანოზი დიმიტრი ლაზარიშვილი** (1870-1947), ტაძრის წინამძღვარია 1930-1947 წლებში. 1943 წელს ხელდასმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად და დაინიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად.



**დეკანოზი ხარიტონ დევდარიანი** (1903-1977), ტაძრის წინამძღვარია 1947-1955 წლებში; 1955 წელს გადაყვანილ იქნა ჭიათურის მღვიმევის მონასტრის წინამძღვრად. 1972 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.



**დეკანოზი სოგრატ ჭულუხაძე** (დ.1933), ტაძრის წინამძღვარია 1975-2006 წლებში. 2006 წელს გადაყვანილ იქნა თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვრად.



**მიტროპოლიტი ბიძინა კერატიშვილი** (1945-2016) ტაძრის წინამძღვარია 1978 წლის იანვრიდან 1978 წლის მაისამდე.



**დეკანოზი გიორგი ზვიადაძე** (დ. 1963), ტაძრის წინამძღვარია 2006-2008 წლებში. 2008 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრძანებით დადგენილ იქნა პროტოპრესვიტერად და დაინიშნა თბილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად.



**დეკანოზი ბიძინა გუნია** (დ. 1956), ტაძრის წინამძღვარია 2008-2010 წლებში. 2010 წელს გადაყვანილია თბილისის სამების საკათედრო ტაძარში. დღეს წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარია.



**დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე** (დ. 1963), ტაძრის წინამძღვარია 2010 წლიდან.

**დღეს მსახურობენ**

| | |
|---|---|
| დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი | 1981 წლიდან |
| დეკანოზი ღვთისო შალიკაშვილი | 1987 წლიდან |
| დეკანოზი ალექსი ადამაშვილი | 1991 წლიდან |
| დეკანოზი ვახტანგ სარდლიშვილი | 2002 წლიდან |
| დეკანოზი გიორგი გეთიაშვილი | 2004 წლიდან |
| დეკანოზი დავით დელიბაშვილი | 2006 წლიდან |
| დეკანოზი დიმიტრი სუხიტაშვილი | 2003 წლიდან |
| დეკანოზი ლევან ჟღენტი | 2009 წლიდან |
| მღვდელი რევაზ ბაიდაშვილი | 2010 წლიდან |
| მღვდელი მიქაელ მეკრავიშვილი ? | 2011 წლიდან |

საქართველოში საბჭოთა პერიოდის დასრულებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგთბილისის ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწყო აღდგენითი, სარესტავრაციო და აღმშენებლობითი საქმიანობა.

1998-2000 წლებში არქიტექტორ ირაკლი მოსულიშვილის, კონსტრუქ-ტორ ომარ ჭანტურიძის პროექტით და მშენებელი- ინჟინრის ვაჟა მაჩაიძის მონაწილეობით აიგო ქვაშვეთის ტაძ-რის სამრეკლო.

სამრეკლო მდებარეობს ტაძრის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მისი შემადგენელი ნაწილებია – სარ-დაფი, პირველი სართული, ანტრე-სოლის სართული და ფანჩატური. სამრეკლო ფორმით ოთხკუთხედია, მოპირკეთებულია ბოლნისის მოყვი-თალო ფერის ტუფით და გადა-ხურულია მოთუთიებული თუნუქით. სართულები ერთმანეთს უკავშირდება ლითონის შიდა კიბით.

სამრეკლოს აშენებისთანავე გადაწ-ყდა პირველი სართულის მოხატვა, რომელიც ბიზნესმენ ზაალ (ზაზა) ცირეკიძის დაფინანსებით შეასრულა მხატვარმა მამუკა გეგელაშვილმა.

•სამრეკლოს აღმოსავლეთ კედელზე განთავსებულია - ნათლისღებისა და ფერისცვალების ფრესკა, წმინდა ნინო და მოციქული ანდრია პირველწოდებული. სარკმელთან - მაკურთხებელი მარჯვენა და მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი საზეიმო შესამოსელით.

•სამხრეთ კედელზე – წმინდა გიორგის ცხოვრებიდან ვლასია ქალაქის სასწაულის ფრაგმენტი და წმ.დავით გარეჯელის ცხოვრებიდან ლუკიანესთან ერთად გველეშაპის დათრგუნვის ფრესკა. აქვე არიან გამოსახულნი წმინდა მეფე-დედოფალი მირიანი და ნანა.

•დასავლეთ კედელზე – წმინდა ლუკიანეს ფრესკა, წმინდანების შალვა, ბიძინა და ელიზბარ ქსნის ერისთავების და ფეხზე მდგომი წმინდა აბო თბილელის ფრესკები.

•ჩრდილოეთ კედელზე - ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი ყმრით ხელში და მაყვლის რტოები.

•სამრეკლოს ჭერზე გამოსახულია ჯვარი·

სამრეკლოს პირველ სართულზე განთავსდა სანათლავი.



1753 წელს გივი ამილახვრის აგებულ ქვაშვეთის წმინდა გიორგის ძველი ტაძრის დასავლეთი შვერილის კედლის თავზე დაშენებული იყო ოთხ ბოძზე დაყრდნობილი პატარა სამრეკლო.



ქვაშვეთის ტაძრის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში 2005 წელს დაიწყო საეკლესიო სახლის მშენებლობა, რომლშიც განთავსებულია წინამძღვრის ოთახი, მოძღვრების მოსასვენებელი ოთახი, სატრაპეზო.

2009 წელს ამ შენობის აღმოსავლეთ მხარეს, დიდ დარბაზში საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა სამრევლო სკოლა.

ქვაშვეთის ტაძრის ეზოში აიგო ნაკურთხი წყლის ავზი.

ქვაშვეთის ტაძრის ეზოში დეკანოზი ალექსანდრე ჩახვაშვილის მიერ დაიდგა წმინდა გიორგის ხატი.

ელდარ კვერნაძის დაფინანსებით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში პირველად ქვაშვეთის ტაძარში პილონები და კედლები მოპირკეთდა მარმარილოთი, მასალად გამოყენებულია მარმარილო – იტალიური „კარარა“ და ურალის თეთრი.

**ლეოპოლდ ბილფელდის** მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარს ჰქონდა სამი შესასვლელი კარი – სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. გარკვეული მიზეზების გამო ტაძრის ორივე სართულს მხოლოდ სამხრეთი მხრიდან გაუკეთდა შესასვლელი კარი.

XX საუკუნის მიწურულს ჩატარებული რესტავრაციის შემდეგ გაიჭრა ტაძრის დასავლეთი კედელი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან და მოეწყო ქვაშვეთის ტაძრის მთავარი შესასვლელი.

დასავლეთი მინაშენი შიგნიდან მოიხატა, გარედან მოპირკეთდა გოდოგანის ქვით და გადაიხურა მოთუთიებული თუნუქით. დასავლეთ კარიბჭის შიგნით მარჯვენა და მარცხენა მხარეს განთავსდა მესანთლის ოთახი და საეკლესიო ნივთების მაღაზია.

ქვაშვეთის ეკლესიის დასავლეთ მხარეს მოიჭრა მიწა ტაძრის სისწორეზე და ეს ტერიტორია მოპირკეთდა ბაზალტის ქვით.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში იკრძალებოდნენ ქართველი ღვთისმსახურები, დიდგვაროვნები, თბილისის მოქალაქეები და სამხედრო პირები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის I ნახევარში ქვაშვეთის მიმდებარედ არსებული სასაფლაო გააუქმეს, თუმცა ტაძარში და მის გალავანში „განსაკუთრებული ნებართვით“ დაკრძალვა გრძელდებოდა.

ქვაშვეთის ტაძრის პირველ სართულზე განთავსებული წმინდა მარი-

ნეს ეკლესიის იატაკის დონე გივი ამილახვრის მიერ აგებული ეკლესიის იატაკს ემთხვევა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ცნობით, ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლესიაში 70, ხოლო გალავანში – 36 ადამიანია დაკრძალული. ტაძრის გალავანში დაკრძალთა საფლავების ქვების დიდი რაოდენობა დაკარგულია, შემორჩენილებიდან ზოგიერთი საფლავის ქვის წარწერა წაშლილი და დაზიანებულია.

აქ დაკრძალულთა შორისაა **მაკარიძე-არჯევანიძეების** გვარის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მსახურობდნენ და ლოცვას აღავლენდნენ ქვაშვეთის ეკლესიაში:

საკურთხეველშია დაკრძალული ტაძრის წინამძღვარი - **დეკანოზი ფილიპე პეტრეს ძე არჯევანიძე-მაკარიძე** (1728-1808) და მისი მეუღლე ქეთევანი.

მათი ვაჟი - ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი **დეკანოზი პეტრე ფილიპეს ძე არჯევანიძე** (1744-1824) და მისი მეუღლე რიფსიმე ბიჭიაშვილი-ენდრონიკაშვილი (1776-1851).

აქვე განისვენებენ არჯევანიძეების სხვადასხვა თაობის როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

ტაძარშია დაკრძალული ქვაშვეთის წინამძღვარი **დეკანოზი გრიგოლ ჭარელაშვილი** (†1876) და მისი მეუღლე ეკატერინე, მათი ვაჟი - ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი დავითი (†1897).



ქვაშვეთის ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან დაკრძალულია **მღვდელი გიორგი ჩაგუნავა** (1850-1907). „მღვდელი გიორგი იყო სამაგალითო მასწავლებელი, მშვიდი და წყნარი მოძღვარი და იშვიათი გულკეთილი ადამიანი“. – წერს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე.



ტაძრის გალავანშია დაკრძალული **გიორგი ზალიკანიანი** (1839-1915), ქვაშვეთის ტაძრის მედავითნე, ქართული სასულიერო მწიგნობრობის მცოდნე, საეკლესიო წიგნების ცნობილი მკითხველი და მგალობელი. 1908-1910 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ქვაშვეთის მგალობელთა გუნდს. მან ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში თავისი ბინის ერთ-ერთ ოთახში გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც ასწავლიდა რამდენიმე ათეულ ბავშვს წერა-კითხვას, საღმრთო ისტორიას და გალობას.

ეკლესიაში და ტაძრის გალავანში ასევე დაკრძალულნი არიან სხვა სასულიერო პირებიც - **მღვდელი მიხეილ დავითაშვილი** (†1891), **სიონის ტაძრის დეკანოზი იოსებ ავალიანი** (†1825), **დეკანოზი მიხეილ ესტატეს ძე მძინარაშვილი** (†1917).

1947 წელს ტაძარში დაიკრძალა **მთავარეპისკოპოსი დიმიტრი ლაზარიშვილი**.

ტაძარშია დაკრძალული მისი აღმშენებელი **იოანე (ივანე) გივის ძე ამილახვარი** (1829-1905) და მისი **მეუღლე ანა (ანეტა) ალექსანდრეს ასული ერისთავი** (1848-1934).

აქვეა **ივანე ამილახვრის** შვილიშვილების, **ნინო ამილახვრის და ნიკოლოზ თუმანიშვილის** შვილების - და-ძმის 16 წლის **ანასტასიას** (†1917წ.) და 11 წლის **ალექსანდრეს** (†1910წ.) საფლავები.

ივანეს ძმის, **მიხეილ ამილახვრის** მეუღლე **ანა ესტატეს ასული ერისთავი** (1844-1920), ქალიშვილი **ნინო ამილახვარი-ჩოლოყაშვილი** (1880-1918) და ამ ოჯახის სხვა წევრები

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიასა და გალავანში განისვენებენ საქართველოს დიდი საგვარეულოს ორბელიანების წარმომადგენლები,

რომლებიც XVIII საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის აოხრების გამო თბილისში დასახლდნენ.



ქვაშვეთის ტაძრის ქვედა სართულზე დაკრძალულია საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, თბილისის გენერალ-გუბერნატორი (1860-1866), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1866-1881), მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი (1859, 1861-1863, 1865), ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი **გრიგოლ ორბელიანი** (1800-1883), ერეკლე მეფის შვილიშვილი.

აქვე არიან დაკრძალულები გრიგოლის დედმამიშვილები, მისი და ეფემია (†1849) **ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის** დედა და ორი ძმა - ზაქარია და ილია.

პოლკოვნიკი **ზაქარია ორბელიანი** (1806-1846), მისი მეუღლე **ქეთევან ალექსი-მესხიშვილი** და მათი 19 წლის ვაჟი სანდრიკა (†1855). **ზაქარია ორბელიანმა** მრავალ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტზე. 1842 წელს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლეკებთან ბრძოლაში. ყაზიყუმუხის საზღვარზე მოიგო რაჭის ბრძოლა. გარდაიცვალა ქოლერით 40 წლის ასაკში.



**ილია (ილიკო) ორბელიანი** (1818-†1853) - გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა რვა თვე. იყო ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. ყირიმის ომის დროს ამიერკავკასიის ფრონტზე იბრძოდა. 35 წლის ასაკში სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა. ამ ტრაგედიას დაერთო მისი 2 თვის შვილის დემეტრეს გარდაცვალება, რომელიც მამასთან ერთად დაკრძალეს. ცოლად ჰყავდა ბარბარე, ილია ბატონიშვილის ასული.



**დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი** (1808-1882). გვარდიის პოდპორუჩიკი, საზოგადო მოღვაწე. ერეკლე II-ის შვილიშვილი. ელისაბედ ორბელიანის მამა და მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრი. გლეხთა გათავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვებული იყო ვერცხლის მედლით ალექსანდრეს ლენტზე ტარების უფლებით. დაკრძალულია ქვედა ეკლესიის ამბიონზე მეუღლესთან, მარიამ ორბელიანთან (1812†1866) ერთად.

სოფიო იაკობის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკაია (†1879) და მისი 36 წლის ქალიშვილი მარიამ სვიატოპოლკ-მირსკაია (1853-†1889) დაკრძალულები არიან ქვაშ-ვეთის ტაძრის პირველ სართულზე.

ტაძრის გალავანშია დაკრძალული გენერალ-მაიორი იოანე დავითის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი „მანანიჩი" (1823-†1893) და მისი მეუღლე სოფიო შალვას ასული ერისთავი (†1887).

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლე-სიაში და გალავანში დაკრძალულები არიან ქართველი დიდებულები.

ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლე-სიაში დაკრძალულები არიან ივანე (იოანე) სოლომონის ძე ავალიშვილი (1798-†1860) და მისი მეუღლე მართა ზოლოტარიოვა (†1870). გენერალ-მაიორი ივანე (იოანე) სოლომონის ძე ავალიშვილი, სხვადასხვა დროს იყო თბილისის გუბერნიის მთიულთა ხალხის უფროსი, ოსეთის ოლქის სამხედრო უფროსი, კავკასიის არმიის I ბრიგადის მეთაური.

რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (†1877) - გენერალ-ადიუტანტი, მრავალი ბრძოლის მონაწილე, პოლკის და ბრიგადის მეთაური, ლეკთა კორდონის ხაზის უფროსი (1859), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მე-7 მარშალი (1870-1877).

ქვაშვეთის ტაძრის წმინდა მარინეს ეკლესიაში დაკრძალულია ნინო შარ-ვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთა-ვარის, გენერალ-ადიუტანტის მიხეილ შარვაშიძის 19 წლის ასული (1868-†1856).

ლევან დავითის ძე გურიელი (1824-1888), გურიის უკანასკნელი მთავარის, მამია გურიელის შვილიშვილი, გენე-რალ-მაიორი. მსახურობდა ლაიბგვარ-დიის კავკასიის ესკადრონში და კავ-კასიის კორპუსში. იბრძოდა დაღეს-ტანში, რისთვისაც კაპიტნის ჩინი მიიღო. იყო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი. ყირიმის ომის დროს მეთაურობდა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთაგან ჩამოყა-ლიბებულ სახალხო ლაშქარს. სოფელ შეკვეთილთან სასაზღვრო ხაზის დაც-ვის დროს გამოავლინა პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკის შესანიშნავი ცოდნა და განსაკუთრებული სამხედრო საზ-რიანობა. რუსეთ-ოსმალეთის ომში მეთაურობდა იმერეთის რაზმს, 1879 წელს დაინიშნა ბათუმის ოლქის უფრო-სის მოადგილედ. ნაყოფიერად მუ-შაობდა სამუზეუმო გამოფენებში, მა-ტიანეთა მოძიებაში, მატერიალურად ეხ-მარებოდა შემოქმედ ახალგაზრდობას.

ტაძრის გალავანშია დაკრძალული ევგენი (გენო) დავითის ძე ქობულა-შვილი (1856-1915), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების ნამდვილი წევრი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. მასთან ერთად დაკრძალულია მისი 2 წლის ვაჟი „პატარა ევგენი".

ქვაშვეთის ეკლესიის წმინდა მარი-ნეს ეკლესიის კედელზე მიმაგრებულია ფირფიტა - მიჩმან გიორგი როსტომის ძე წერეთლის (1882-1905) სახსოვრად, რომელიც 1905 წლის 28 მაისს ცუსიმას ბრძოლაში ჯავშნოსან „სუვოროვზე" გემის ეკიპაჟის ყველა წევრთან ერთად დაიღუპა.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლე-სიაში და გალავანში დაკრძალულები არიან ქართველი დიდებულები.

ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილი (1830-1902) - გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის გმირი, მწერალი და მისი მეუღლე ნინო დავითის ასული წერეთელი-ჩოლოყაშვილისა (1847-1922) - იმერეთის მეფის დავით II-ის შვილი-შვილი. იგი მონაწილეობდა უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის „ვეფხისტყაოს-ნის" ცოცხალი სურათების დადგმაში, იყო თამარ მეფისა და ნესტანის პროტოტიპი.

ქვაშვეთის წმინდა მარინეს ეკლე-სიაში არიან დაკძალულები გენერალ-მაიორი იასონ ივანეს-ძე ჭავჭავაძე (1804-1857) და მისი მეუღლე მარიამ შალვას-ასული ერისთავი-ჭავჭავაძე (1816-1869). იასონ ივანეს-ძე ჭავჭავაძეს ქართველ გენერალთა შორის ერთ-

ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. მან 30 წელი გაატარა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში. მის მიერ განვლილი გზა სავსეა უნიკალური საბრძოლო ეპიზოდებით. 1857 წელს ბრძოლებში მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა წინანდალში. ის დიდი პატივით თბილისში წაასვენეს და ქვაშვეთის ეკლესის საკურთხეველში დაკრძალეს.

ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში დგას 1899 წელს არქიტექტორ ალექსანდრე როგოისკის პროექტით აგებული მინიატურული საძვალე. სფერული გუმბათით გადახურული მინიატურული საძვალეს ჩუქურთმები ედუარდ ანდრეოლეტის მარმარილოს მხატვრული დამუშავების სახელოსნოს ოსტატების მიერაა შესრულებული.

ამ აკლდამაში და გალავანში დარკძალულები არიან ბარათაშვილთა ერთი შტოს - გერმანოზიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები - იოსებ გიორგის ძე გერმანოზიშვილის მეუღლე ეფემია გაბაშვილი (†1882), მისი შვილები - პართენ (1819-1896) და ნიკოლოზ (†1854) ბარათაშვილები. აქვეა დაკრძალული იოსებ პართენის ძე ბარათაშვილი (†1899).

ქვაშვეთის ტაძრის ეზოში სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა გიორგი (გია) ჭანტურიამ (1959-1994), ქართველმა პოლიტიკოსმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელმა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში გია ჭანტურია იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პირველ სტიქაროსანთა შორის.

2015 წელს ქვაშვეთის ტაძრის ეზოში დაკრძალეს საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელი მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელი.

ტაძარში და მის გალავანში დასაფლავებულები არიან რუსეთის იმპერიის მოხელეები, სამხედრო პირები და მათი ოჯახის წევრები.

## ქართული ასო-ნიშნების სახელდების ლინგვისტური და ისტორიულ-გეოგრაფიული არსი

*რაულ გვეტაძე, სოფიო კანაშვილი*

ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ანბანი ელინისტური ეპოქის ძეგლია. ეს დაადასტურა, აგრეთვე, გამოჩენილმა გერმანელმა ქართველოლოგმა, იენის უნივერსიტეტის პორიფესორმა, ჰაინც ფენრიხმა. მან 2013 წელს გამოსცა წიგნი „უძველესი ქართული წარწერები", სადაც წერს: „ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა ქართველები უფრო მეტად მოაქცია ელინურ-ბერძნული გავლენის ქვეშ. ფარნავაზის დროს ამან ბიძგი მისცა დამწერლობის რეფორმას: ძველი მარცლოვანი დამწერლობიდან ახალ ანბანურ დამწერლობაზე, მრგლოვანზე გადასვლას" (ბახტაძე... №4, 2014:20-21).

ფარნავაზის ეპოქაში შეიქმნა თვითმყოფადი ანბანი, რომელშიც ასახულია ბაბილონური ასტრონომიულ კალენდარული სისტემა და გამოყენებულია ასოთა დასახელების ორიგინალური პრინციპი (გვეტაძე ....2009)

განვიხილოთ ანბანური დამწერლობის ისტორიის საკითხი, რომელიც ეხება ასოთა დასახელებას.

ფინიკიურ დედა-ანბანში ასო-ნიშნების იდეოგრაფიული რაობა აპირობებდა ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს. მაგალითად: რადგან მეორე ასო-ნიშანი სახლის იდეოგრამაა, ამ ასო-ნიშანს „ბეთ" ეწოდა, რაც ფინიკიურად სახლს ნიშნავს. ფინიკიური ასოთა სახელებია: ალეფ (ხარი), ბეთ (სახლი), ზაინ (სასწორი), რეშ (თავი) და ა.შ..

ბერძნულ ანბანურ დამწერლობას ფინიკიური დაედო საფუძვლად. ბერძნულ კაპიტალურ გრაფიკულ სისტემაში ფინიკიური ასო-ნიშნების ტრანსფორმაციის შედეგად ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა დაიკარგა, მაგრამ მათ შეინარჩუნეს ფინიკიური დასახელება. განსხვავება სემურ და ბერძნულ დასახელებათა შორის ის არის, რომ ბერძნულ დასახელებაში ბოლოში ემატება ხმოვანი „ა". „ალეფ" გახდა „ალფა", „ბეთ" – „ბეტა" და ა.შ..

ეტრუსკულში თანხმოვანი ასო-ნიშნების დასახელებაში განხორციელებულია ვოკალიზაციის მარცვლოვანი პრინციპი. მიიღბა ხშული: ელ, ემ, ენ, ერ, ეს, - ან ღია მარცვალი: კე, ცე, დე, პე და სხვა. ეს პრინციპი გადაიტანეს ლათინურ, რომელსაც იყენებენ დასავლურ ევროპული ენები.

ქართულ ასომთავრულ ანბანში არცერთი განხილული სახელდების პრინციპი არ არის გამიყენებული (პატარიძე...1980:102-122).

იმისათვის, რომ გავერკვიოთ ქართული ანბანის ასო-ნიშანთა სახელდების წარმომავლობაში, განვიხილოთ „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული ლეონტი მროველის ინფორმაცია „მწიგნობრობა ქართულის" შესახებ. „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, არაღარ იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული და მოკვა ფარნავაზ და დაფლეს წინაში არმაზის კერპისა" (კაცელაშვილი....2015:264).

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საისტორიო ცნობა გვაუწყებს, რომ ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არღარ იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა". ქართული ასომთავრული ანბანის ანალიზი მოწმობს იმას, რომ ასეთი აქტი, უპირველეს ყოვლისა განხორციელებული იყო ასომთავრული ანბანის ასოთა სახელების შეცვლაში. ასომთავრულ ანბანში არც ფინიკიური, არც ბერძნული და არც ეტრუსკული სახელების პრინციპი არ არის გამოყენებული.

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე თხზულებაში

„მოქცევაი ქართლისაი“ აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა არიან-ქართლის მეფე აზოს სატახტოდ უბოძა მცხეთა და განუსაზღვრა სამფლობელო საზღვარი (მოქცევაი ...1964:81).

ეს ისტორიული მოვლენა ასახულია ასომთავრული ანბანის სახელდების სისტემაში, „არიან-ქართლის“ სახელწოდების ორი მარცვალი „არ“ და „ან“ გამოყენებულია ანბანის მწკრივის სხვადასხვა ბგერის ბოლოკიდურად. ამ მარცვლების დასმის შედეგად 20-მა ასომ ახალი დასახელება შეიძინა, გარდა „არ“ და „ან“ ნაწილაკებისა ქართულ ასოთა სახელების საწარმოებლად გამოიყენება „ინ“, „ელ“, „ენ“, „ონ“ ბოლოკიდურები. ასეთნაირი ღონისძიების ჩატარების შედეგად ასომთავრული ანბანის ასოთა დასახელებათა სისტემამ ქართული ლექსიკის იერი შეიძინა. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მე-6 და მე-13 ასოებს, რომელთა სახელები „ვინ“ და „მან“ ქართული ნაცვალსახელების, ხოლო 27-ე და 34-ე ასოთა სახელები „შინ“ და „ხარ“ ზმნიზედა ფორმებს ემთხვევა. ზოგიერთი ასოს დასახელება წარ-მოადგენს გარკვეული სიტყვების ფუძეს. ქართულ ენაში ფუძის გაორკეცებით ახალი სიტყვები წარმიოშვება ამ შემთხვევაში „ნარ“ ასოს დასახელებიდან წარმოიშვება „ნარნარი“, „ლას“-ის „ლასლასი“, „თან“-ის „თანდათან“. გაორკეცებულ სიტყვებში თანხმოვნების ჩანაცვლებით სახელი „პარ“-იდან მიიღება ახალი სიტყვა „პარპალი“, „კან“-იდან „კანკალი“. ორი სამთავრული ასოს დასახელების კომბინაციით წარმოიშვება სიტყვა „შინაგანი“.

ქართველოლოგიისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დადგინდეს ინფორმაციული კავშირის არსებობა უძველესი ქართული საისტორიო წყაროს „მოქცევაი ქართლისაი“-სა და მრგლოვან ასომთავრულ ანბანურ სისტემას შორის. ამ პრობლემის აქტუალობა გამომდინარეობს იქედან, რომ „მოქცევაი ქართლისაიში“ მოთხრობილია ამბავი „არიან-ქართლის“ შესახებ, ხოლო ასომთავრულ ანბანში ტოპონიმ „არიან“-ის „არ“ მარცვლის ბოლოკიდურად გამოყენებით 7 ერთსახელა ასოთა ჯგუფია შექმნილი, ხოლო „ან“ ნაწოლაკის მეშვეობით 13 ასო-ნიშნის დასახელებაა წარმოებული.

საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის ნაყოფიერო მუშაობის შედეგად 2013-2015წ.წ. გამოვიდა მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ორი მონოგრაფია: „ქალდეა“ და „არიან-ქართლი“. ამ წიგნებში მოყვანილია ისტრიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში არაქსის და ჭოროხის ხეობებში ტაო-ბასიანის მომცველ იბერიის თემის მიწა-წყალს ეწოდებოდა „არიან-ქართლი“.

არიან-ქართლის სახელწოდების გასააზრებლად განვიხილოთ მითოლოგიური ცნობები მსგავსი დასახელების ლეგენდარული ქვეყნის შეახებ.

შუმერ ეპოსში ასეთ ლეგენდარულ ქვეყანას ჰქვია „არათა“, რომელიც მდიდარია საშენი მასალით, ძვირფასი ქვებით, სხვდასხვა ლითონითებით და განთქმულია ოსტატებით (კიკნაძე, 1984:14). ავესტაში მოხსენიებულია „არიან ვედჯა“ (არიული სივრცე). ასეთია კაცობრიობისათვის ახურამაზდას მიერ შექმნილი სიკეთის ქვეყანა. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მოიაზრება სხვადასხვა ადგილას. ერთ-ერთი ვერსიით მისი ლოკალიზაცია მდინარე არაქსთან არის მიჩნეული (Большой... 1998) ამ ვარაუდის სასარგებლოდ მოწმობს ის, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უხვად არის „არ“ ფუძის მქონე ტოპონიმები და ჰიდრონიმები: „არაქსი, არსიანი, არზნე, ართვინი, არტაანი, არტანუჯი, თუ არას ვიტყვით კარინცა

და კარზე - არიან ქართლის ქვეყნის სახელი არიანის ძველ ნაშთებზე“ (მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძე... 2015:28).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელდობრ ამ ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ხალიბები, თუბალები თუ მოსანიკები - ბრინჯაოს და რკინის მწარმოებელი ოსტატები, რომელთა საქმიანობამ ბიძგი მისცა ცივილიზაციის განვითარებას. ამ მოვლენის აღსანიშნავად ისტორიის სათანადო ეტაპებს ბრინჯაოს და რკინის ეპოქები ეწოდა.

ისმის კითხვა: ქართველთა განსახლების ადგილებზე რატომ იყო პოპულარული „არ“ ფუძიანი გეოგრაფიული სახელწოდებები. აღმოჩნდა, რომ „არ“ ქალდეური სიტყვაა, რაც ნიშნავს „სინათლეს, შუქს“. აქვე ავღნიშნოთ, რომ ხეთური ღვთაების მზის ქალღმერთის სახელი არინნა (არინიდღუ) ასევე „არ“ ფუძეს შეიცავს (კაცელაშვილი...2014:264), ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიულმა ტრადიციამ შემოინახა უძველესი ტოპონიმები, რომლის ეტიმოლოგიური არსი დროთა განმავლობაში მივიწყებულა.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლში „მოქცევაი ქართლისაი“ აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა არიან-ქართლის მეფის ძეს აზოს სატახტოდ უბოძა ქალაქი მცხეთა და სამფლობელო საზღვრებად მისცა: ჰერეთი, ეგრისწყალი, სომხითი და სროლის მთა (მოქცევაი... 1964:81). ეს დამწერლობის ძეგლი თარიღდება VII-IX საუკუნეებით. ძველი საქართველოს კონკრეტული საზღვრების დასადგენად საჭიროა უფრო ადრინდელი დამწერლობის წყაროების დახმარება, ასეთია იბერიულ-კოლხური ანბანური სისტემა, რომელიც ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება. ინფორმაცია ქართული ეთნოსის განსახლების ს შესახებ ეროვნული ანბანური სისტემაში ასოთა დასახელების საშუალების არის განხორციელებული. მდინარეთა, მთის მწვერვალეთა და ქედთა, პროვინციათა და ქალაქთა დასახელებების მისანიშნებლად ანბანის 20 შესაბამის ასოს „არიან“ ტერმინის „არ“ და „ან“ ფუძემარცვალი ერთვის. ეროვნული ანბანური სისტემის 7 ასოს დასახელება გაბრწყინებულია ქალდეური „არ“ შუქით. ანბანურ მწკრივში პირველი ასეთი ასოა მე-14 „ნარ“. „ნარ“ მარცვლის მქონე ტოპინიმები მრავალია თანამედროვე საქართველოში, მაგრამ, მათ შორის, არის ისეთიც, რომელიც ისტორიულ საქართველოს ჩრდილოეთის სასაზღვრო ზონაშა. „ნარა“ ხევი ისტორიულ დვალეთშია, კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში. იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან (ძვ.წ. IV-III ს.ს.). ნარა დვალეთთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. მასზე გადიოდა ისტორიული „გზა დვალეთისა“, რომელიც შიდა ქართლს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა (ქართული ტ.7:138). მარტო ამით არ შემოი-ფარგლება მისი ტოპონიმური დატვირთვა. ანბანური ტაბულის ანბანურ მწკრივში „მან“ ასოს ქვემოთ ასო „ნარ“ არის. ამოვიკითხოთ ამ ასოთა წყვილის დასახელება ბუსტროფიდანულად: მან

ნარ

გამოისახა ლექსიკური კონსტრუქცია „მან [დ] რან“. გაირკვა, რომ ანბანურ სისტემაში დაშიფრულია ინფორმაცია „რან“ გეოგრაფიულ არეალსა და რანთა შესახებ. ამას განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვა აქვს. ამრიგად, „რან“-ები მზის კულტის თაყვანისმცემლობით გამორჩეული ეთნონიმად გვესახება.

„ნარა“ ხევის მდებარეობა იძლევა საშუალებას გამოვთვალოთ ვარაუდი სროლის მთის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ კავკასიონზე მდინარე არხოტისწყლის სათავეებთან არის მწვერვალი არხოტისთავი, რომლის სიმაღლეა 324მ. არტო-

ხის უღელტეხილი მდებარეობს 3 235მ და აკავშრებს სნოსა და არტოხის ხეობებს. მდ. არტოხისწყლის მეორე სახელწოდებაა ცირცლოვანის წყალი. ჩვენი ვარაუდით, ისტორიული სროლის მთის იდენტიფიკაცია შეიძლება დაუკავშირდეს მწვერვალ არტოხისთავს.

„ნარ"-ის შემდეგ „არ" მარცვლით იდენტიფიცირებულია ასო „პარ". იგი ანბანური მწკვრივში მე-17 პოზიციაზეა.

ანტიკური გეოგრაფიის და ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე I საუკუნის მეცნიერის სტრაბონის ცნობით იბერების თავდაპირველი საცხოვრისი ოდესღაც მოიცავდა პარიადრეს კალთებს. სტრაბონის დროს ეს მხარე ქართული ტომებით: ტიბარინებით, ქალდებით, სანებით (მაკრონებით), კერკიტებით, მოსენიკებით, ალოზანებით იყო დასახლებული. „პარ" ფუძიანი ტოპონიმები თამანედროვე და ისტორიულ საქართველოს საზღვრებზე მიგვითითებს. პარხარის ზეგანზე ცხოვრობდნონ ჭანები. სიტყვა „პარხარი" წარმოადგენს მე-17 ასო „პარ"-ისა და მე-34 ასო „ არ" დასახელებების კომბინაციას.

იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სამეფო ივარაუდება ცხოვრობდა ჭანურ-ლაზური მოსახლეობა, რომელიც მდინარე ხარტიშის სანაპიროს ტერიტორიას საქართველოს უწოდებდნენ (მიტროპოლიტი 2015:102-103).

ქართული ანბანური სისტემის 21-ე ასოს სახელია „ტარ". ჩანს ამ სახელის წარმომავლობა გეოგრაფიული შინაარსის მატარებელია. ძვ.წ. I საუკუნით დათარიღებულ რუკაზე. ქართული ტომებით დასახლებულ პროვინციას, რომელიც მდინარეების მურაის და არაცინის შესართავიდან მდინარე ავფრატამდე ვრცელდებოდა, აწოდებოდა ტარონი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ...2014: რუკა №16). ტოპონიმ „ტარონ" 21-ე ასო „ტარ"-ის და მე-16 ასო „ონ"-ის სახელთა კომბინაციას წარმოადგენს.

ეს ისტორიული საქართველოს საზღვარი ვანის ტბის მახლობლად მდებარეობდა. ასევე, ტბის მახლობლად ქართული ტომის კარდუხების საცხოვრებელი არეალი იყო. ძველი ბერძენი ისტორიკოსი არიან ფლავუსი, რომელიც 131-137 წ.წ. კაპადოკიის მმართველი იყო, თავის ლიტერატურულ ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" მოხსენიებული აქვს მდინარე ტარუსი, რომელიც მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ვარაუდით არის ახლანდელი მდინარე სუფსა (მიტროპოლიტი 2013:167). ჩვენი აზრით ეს სამართლიანი მიგნებაა. საქართველოში დღემდე შემორჩენილია ტარეშის ეკლესია აკლდამა, რომელიც მდ. ცხენისწყლის ხეობაზე გამავალი ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირეთის სვანეთთან დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს (ქრისტიანული 2002). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხეთური ხანის ანატოლიაში ფართოდ იყო გავრცელებული ტაროსის ღვთაების კულტი, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ანალოგიური ტოპონიმი გვხდება ევფრატის მიდამოების სათავესთანაც და გურიაშიც.

ანბანის 23-ე ასოს სახელია „ფარ". „ფარ"-ფუძიანი ტოპონიმის შესახებ, ქალდ-ხალიბებისა და მათ მეტალურგიულ საქმიანობაზე მეტად საყურადღებო ცნობები დაცულია სტრაბონის გეოგრაფიაში. სტრაბონი წერს: „ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, უფრო ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია, რომელსაც ზღვიდან აქვს შემოსავალი, პელამიდების ჭერისაგან, ხოლო მიწიდან იღებს ლითონებს, ეხლა რკინას, უწინ ვერცხლსაც, საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვეა, ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე და ტყიანი მთები, მუშავდება კი ცოტა. მომთაბარეები თავს ირჩენენ ლითონის მოპოვებით, ხოლო მეზღვაურნი -

მებადურობით... ვფიქრობ ამათ (ხალიბებს) ახსენებს პოეტი (ჰომეროსი) - ალიძონებად, „კატალოგში“, პაფლაგონიელების შემდეგ: „ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიძონებს, შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“ (სტრ. XII, III,20; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე...2015:39-40).

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობები ეთნიკური ქართველების განსახლების არეალის შესახე.

სტრაბონი წერს: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, აქვეა მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე, კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს. პარიადრე სიდენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე არმენიამდე ვრცელდება და ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს“ (სტრაბონი, XII, III, 18; მიტროპოლიტი ... 2015:39-40).

23-ე ასო „ფარ“-ის მომდევნოა 24-ე „ქან“. ამოვიკითხოთ ამ წყვილი ასოთა სახელები ბუსტროფიდანული წესით: ფარ

ქან

ანბანში აღმოჩნდა დაფიქსირებული „ფარნაქ“, დავუმატოთ მას ქართული ენისათვის დამახასიათბელი აფექსი „ია“ – „ფარნაქ - ია“, მივიღეთ უძველესი ქართული პროვინციის სახელი „ფარნაქია“. თანამედროვე საქართველოს სამხრეთში, სამცხე-ჯავახეთში, „ფარ“-ფუძიანი ჰიდრონიმებია მდ. ფარავანი და ტბა ფარავანი. იბერიულ-კოლხურ ანბანურ სისტემაში 26-ე ასოა „ყარ“. ტიპიური ქართული ჰიდრონიმი და ტოპონიმია „ყარსი“. ამ სიტყვის ფუძე ქართული ასოს სახელია, ხოლო დაბოლოება „სი“, ქართული მორფოლოგიური ელემენტია. ანალოგიური დაბოლოება აქვს თბილისს, დმანისს, ქუთაისს. ქართული ასო „ყარ“-ით მონიშნულია გეოგრაფიული ადგილი, სადაც მდებარეობს მთა ყარსი, მდინარე ყარსი და პროვინცია ყარსი.

34-ე ასო „ხარ“-ფუძიანი ტოპონიმები და ჰიდრონიმები ასახულია წინაქრისტიანული წყაროების ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში. ვანის ტბისა და მდინარე ტიგროსის სათავეებთან რეგიონის შემადგენლობაში მოსხენიაბულია მდინარე ხარტიში, წალკის რაიონში მდებარეობს ორი სოფელი: ქვემო ხარაბა და შუა ხარაბა.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ანბანის პირველი ასოს „ან“-ის ინფორმატიკული ფუნქციის გარკვევა. მრავალრიცხოვანი ტოპონიმებიდან, რომლებიც იწყება „ან“-ით უპიტარესობას ქალაქ ანისს მივანიჭებთ. ამას ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ფუძე „ან“ შუმერულად ცის ღვთაებას „ანუ“-ს უკავშრდება. ანისის დაბოლოება ტიპიურია ქართული ტოპონიმისთვის. აღსანიშნავია, რომ ანისი ახურიანის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ვარაუდობენ, რომ ქალაქს სახელი მაზდიანურ ღვთაება ანაჰიტის ტაძრის მიხედვით უწოდეს (ქართული...ტ. I: 465). ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მდინარე ახურანი ერთვის მდინარეს, რომელსაც ძველად ერქვა „რასხი“, ხოლო თანამედროვე სახელია „არაქსი“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა „რასხი“, „რასხ“ განიმარტება როგორც შავ-მოწითალო ცხენი.

სტრაბონს მოხსენიებული აქვს მდინარე ჰიპოსიის, ე.ი. ცხენის წყლის სათავეები, „მოსხების ქვეყანაში“. მართლაც, თუ დავხედავთ I საუკუნის რუქას რასხის სათავეები მოსხეთის მთებთანაა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ... 2014:რუკა №22). ამრიგად, დაზუსტდა, რომელ მდინარეზე ჰქონდა ლაპარაკი სტრაბონს. ეს არის თანამედროვე არაქსი, წარსულში რახსად

წოდებული. იმ არეალშია მეორე ღირსშესანიშნავი სახელის მატარებელი მდინარე რაზდან, რომელიც ერთვის რასხს. ჩამოთვლილი ტოპონიმები რასხი და რაზდანი სერიოზულ ეტიმოლოგიურ კვლევას იმსახურებს და, იმედია, ამ საკითხით დაინტერესდებიან ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები.

ანბანის მეორე ასოს სახელია „ბან" ჰიდრონიმთან ავლენს პარალელს. მდინარე ბანა ჭოროხის შენაკადია. მის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს ისტორიული საქართველოს სახელმწიფოებრიობის ცენტრი - ქალაქი „ბანა". ბანას ტაძარი ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია.

იბერიულ-კოლხურ ანბანური ძეგლის მე-3 ასოს სახელია „გან". თანამედროვე საქართველოში „გან"-ფუძიანი ტოპონიმებია სოფ. განისი ყაზბეგის რაიონში, სოფ. განძანი ნინოწმინდას რაიონში, სოფელი განჯალა, რომელიც მდებარეობს მდინარე კაბალას მარცხენა სანაპიროზე, სოფელი განითყაუ ფრონის ხეობაში.

„კან" ანბანის მე-11 ასოა. არსიანის ქედს კვეთს უღელტეხილი „კანდრიდი", რომელიც გადის უზარმაზარი მწვერვალის ძირში, სახელწოდებით კანდილი (ქალდეა...2013:273).

ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მე-13 ასო „მან"-ის სახელწოდების ფუძეს ატარებდა ჰიდრონიმი მანანალი. მანანალი მესოპოტამიის მდინარე ევფრატის შენაკადი იყო. მანრალია ერქვა მდ. მანანალის ხევის პროვინციას. „მან"-ფუძანი ტოპონიმი და ეთნონიმი მოხსენიებულია II საუკუნის ასტრონიმიისა და გეოგრაფიის მკვლევარის ბერძენ კლაუდიო პტალემაიოსის „ანტიკურ კავკასია"-ში. პტალემაიოსი წერს: კოლხეთის ზღვის მიმდებარედ მკვიდრობენ ლაზები, ზემოთ კი მანრალები". მცირე აზიის ცნობილი მკვლევარი ნ. ადონცი აღნიშნავდა, რომ ქალდეას პროვინციის მაღლა, ქვეყნის სიღრმეში მდებარეობდა სამხრეთ ეგრისის პროვინცია „მანრალია". „მან" ასოს საშუალებით დაფიქსირებულია ქართული ეთნოსის სახელწოდება. აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ მანრალები ქართვული ტომის, იგივე მეგრელების სახელია (Меликишвили... 1957). „მან"-ფუძიან ტოპონიმს წარმოადგენს, აგრეთვე, მანგლისი, რომელიც თრიალეთის ქედის სამხრეთის კალთაზეა, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ის ადრინდელი ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი დასახლება იყო. მის დაწინაურებას ხელი შეუწყო მანგლისზე გამავალმა გზამ, რომელიც საქართველოს სომხეთთან და ბიზანტიასთან აკავშირებდა. მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერა იყო. პირველი ეკლესია მანგლისში მე-IV საუკუნეში ააგეს. მოგვიანებით აშენდა ჯვრულ-გუმბათიანი ტაძარი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. „მან"-ფუძიანი ტოპონიმია კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალი მანგაავცაგი, რომლის სიმაღლეა 3339მ. იგი მდებარეობს პატარა ლიახვის და დიდი ლიახვის წყალგამყოფ გერმუხის ქედზე.

ანბანის მე-20 ასოს სახელწოდებაა „სან". „სან" ფუძე მრავალ ტოპონიმშია ასახული . მნიშვნელოვანი ინფორმაია არის მეუფე ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიაში „არიან-ქართლი: „ჰომეროსის ეპოსის თანახმად, ტროას ომამდე რამდენიმე ხნით ადრე ტროას მეფე პრიამუსი, ვითარცა ფრიგიელთა მოკავშირე, ებრძოდა „ამაზონებს" მდ. სანგარიას (თანამედროვე მდ. საქარიას) სანაპიროზე. არანაკლებ საინტერესო ინფორმაციას ეთნონიმ „სანები"-ს შესახებ დაცულია სტრაბონთან: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკის ზემოთ ცხოვრობენ ტაბარინები, ქალდები და სანები... ჰემნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს (მიტროპოლიტი ანანია ჯაფა-

რიძე...39). ევსეი კესარიელი წერდა: „სანები, რომელთაც სანიკებს უწოდებენ, პორტომდე არიან დასახლებულნი“(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე... 132).

24-ე ასო „ქან“-ის ფუძიანი ტოპონიმია მცხეთის რაიონის სოფელი ქანდა, რომელსაც სახელი წარმართული დროიდან შემორჩა, რომელიც კერპთაყვანისმცემელთა საცხოვრისს.

29-ე ასო „ცან“-ის ფუძიანი ტოპონიმის მატარებელია სოფელი ცანი, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ლენტეხის რაიონში.

33-ე ასო „ხან“-ის ფუძიანი ჰიდრონიმია მდ. ხანისწყალი, რომლის სათავე მესხეთის ქედის ჩრდილოეთის კალთაზე 2280მ სიმაღლეზეა, ხანის წყალი ერთვის მდ. რონს მარცხენა მხრიდან, სოფელ ვარციხესთან (ქართული... ტ. 11: 431). ნინოწმინდას რაიონში მდებარეობს ხანჩალის ტბა (ქართული... ტ. 11:433). ტანდისი - სოფელი გალის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის კალთაზე, ხანდო - სოფელი ნინოწმინდას რაიონში (წალკა) განთავსებულია თრიალეთის ქედის სამხრეთ კალტაზე, მდ. ქციის მარცხენა მხარეს. პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილმა დაადგინა, რომ ისტორიულ კლარჯეთში არსებობდა ხანძთის ორი მონასტერი ეკლესია - ძველი, რომელიც აგებული იყო IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მიერ, ახალი X საუკუნის I ნახევარში, აშენებული ქართველთა კურაპალატების, აშოტ კუხისა და გურგენის მიერ. „X საუკუნის პირველ ნახევარში ხანძთა მონასტერი არა მხოლოდ საეკლესიო მეტროპოლიაა, არამედ ქართული ენითა და ქართული ქრისტიანობით ახალი ქართულ სახელმწიფოში ქართული მიწების გარშემოკრების სიმბოლოა, ხანძთელობა პოლიტიკური ფილოსოფიის ელემენტია, ხანძთაში შთაიბეჭდა ქართული ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა“ (თ. ჯაგოდნიშვილი....2014:152).

ქართული ანბანის 35-ე ასო „ჯან“-ის შემცველი ტოპონიმი მოხსენიებულია პროკოფი კესარიელის ტრაქტატში „შენებათა შესახებ“. ეს არის ჯანზაკონი, რომელიც ჭანეთში მდებარეობდა. ისტრორიულ-გეოგრაფიული თავლთახედვით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე, სვანეთის კავკასიის მთავარ ქედზე მდებარეობს „ჯან“-ფუძის მქონე ტოპონიმი მწვერვალე ჯანღა, რომლის სიმაღლეა 5059მ, სადაც ენგურის მარჯვენა შენაკადის მდ. ხალდეჭალის სათავეებია. იქვეა მყინვარი ხალდე. ტოპონიმი ხალდე, ჰიდრონიმი ხალდეჭალა ეთნონიმ ხალდესთან არის დაკავშირებული. თავის მხრივ, „ხალდე“ შესატყვისია „ხალიბის“. ხალდები ძველი დასავლურ ქართული ტომების სახელია, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ხალდი ურარტუს სახელმწიფოს პანთეონის მთავარი ღვთაება იყო, ამიტომ ჯანღა, ხალდეჭალა და ხალდე უძველესი წარმომავლობის ტოპონიმია, არიანქართლის, პროტოქართველთა საცხოვრისის ჩრდილო დასავლეთის არელის სასაზღვრო ნიშნულებია. ტოპონიმი „ჯანღა“ მორფოლოგიურად შედგება ორი ელემენტისაგან: ფუძე „ჯან“-ს ერთვის დაბოლოება „ღა“. აფექსი „ღა“ ქართული ლექსიკისათვის დამახასიათებელი ელემენტია. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს „სიტყვა კითხული, ოდეს რამე, საეჭვო რამე იყვის“. ქათულ ტოპონიმებს მხოლოდ ჯანღას მთიდან მორაკრაკე მდინარე ხალდისწყალიღა შემორჩენია. ტოპონიმი „ხალდე“ დასტურია იმისა, რომ ჩვენს მიწა-წყალზე აღმოცენდა ხალდეურ-ხალიბური ცივილიზაცია და დღემდე ცხოვრობენ მათი შთამომავლები გვარად ხალდანები.

ანბანის მე-5 ასოს სახელია „ენ“, ხოლო მე-7-სი „ზენ“. შუმერულ-აქადური მითილოგიით მიწისქვეშა სუფთა მტკნარი წყლის ღვთაებას ერქვა აბზუ. მესოპოტამიაში ერთ-ერთ მდინარეს ეწოდებოდა ენგურა, რაც აბზუს სინონიმია. ჩვენი მდინარე ენგურის ჰიდრონიმი ასევე ღვთაებასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისს ის ამყა-

რებს, რომ მითიური აზზუს შვილის ლახუმით სახელდებულია ენგურის ექვატორიაში ორი სოფელი და მდინარე. მდინარე ლახუმი ნენოკრის მარჯვენა შენაკადია, რომელიც მდინარე ენგურს ერთვის. ნენოკრის მარჯვენა ნაპირზე განთავსებულია სოფელი ლახამი. მსგავსი დასახელების სოფელი ლახამულა საკუთრივ მდ. ენგურის ნაპირზე მდებარეობს. წარმოდგენილი ონომასტიკური ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ძველად დასავლეთ საქართველოში მრავლად იყვნენ წყლის ღვთაების, აზზუს, თაყვანისმცემლები.

მე-7 ასოს სახელი „ზენ“ გამოყენებულია „ვეფხვისტყაოსანში“, რომელსაც პროფ. იუსტინიანე აბულაძე განმარტავდა როგორც „მაღალი“. „ზენ“-ის გაორკეცებულით მიიღება ატარებს საგურამოს ქედის მთის „ზედაზენი“-ს სახელი. ამ მთაზე ადრინდელ ეპოქაში აღმართული იყო ზადენის კერპი, რომლის ადგილზე VI საუკუნეში ასურელი მამა იოანეს ზედაზენის მინასტერი დაუარსებია (ქართული ... ტ.4:495).

ასომთავრული მრგლოვანი ანბანური ინფორმაციული სისტემა ელინისტური ეპოქის ისტორიული ქარტიაა, რომელმაც აუწყა იმ ეპოქის თანამედროობას, ალექსანდრე მაკედონელის წინა აზიაში ლაშქრობის დასაწყისიდან 50 წლის შემდეგ, ძვ.წ. 584 წელს, ქართველმა ტომება, რომელთა განსახლების არეალი მოიცავდა კავკასიის და მცირე აზიის გარკვეულ ტერიტორიებს. ფლობდნენ ძველი ცივილიზაციის ასტრონომიულ-კალენდარულ და მათემატიკურ ცოდნას, მეფე ფარნავაზის ხელმძღვანელობით კულტურული და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის შედეგად შექმნეს დამოუკიდებელი სამეფო იბერია. ფარნავაზიანთა ეპოქაში ჩამოყალიბებული ასომთავრული ანბანური სისტემა არსებობდა პირველი მეცნიერული საფუძველზე დამყარებული ქართველოლოგიური ნაშრომია.

2017 წელს იბერიის სამეფოს და ასომთავრული ანბანური სისტემის შექმნიდან 2300 წელი სრულდება. ისტორიული, საიუბილეო თარიღი ქართველმა ხალხმა საზეიმო ვიტარებაში უნდა აღნიშნოს.

**ლიტერატურა**

1. ზახტაძე დალი, უმნიშვნელოვანესი ნაშრომი ქართულ ეპიგრაფიკაში. „ქართველოლოგია“, №4, 2014;
2. გვეტაძე რაულ, გვეტაძე დავით, ასომთავრული ანბანწყობა და ქართული ქრონოლოგიის სათავეები. „სვეტიცხოველი“, №2, 2009;
3. პატარიძე რამაზ, ქართული ასომთავრული. თბილისი, 1980;
4. ქართლის ცხოვრება, მტავარი რედაქტორი რიონ მეტრეველი. თბილისი, 2008;
5. მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, 1964:81;
6. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქალდეა საეპისკოპო ლაზიკაში. თბილისი, 2013;
7. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, არიან-ქართლი. საეპისკოპოები ისტორიულ ივერიაში. თბილის, 2015;
8. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველს ისტორია საერო და საეკლესიო რუქების მიხედვით. თბილისი, 2014;
9. კიკნაძე ზურაბ. შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი. თბილისი, 1984;
10.Большой энциклопедический словарь мифологии. Москваб 1998;
11. კაცელაშვილი-ზასილაძე ზურაბ, კაცელაშვილი ლია, კაცელაშვილი მაია, ზენაარელ ქალდეველ-ქართველები. თბილისი, 2014;
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7;
13. ქრისტიანული არქეოლოგიური IV კონფერენცია, 2002;
14. Меликишвили, Г., К истории древней Грузии, Тбилиси, 1957г;
15. ჯაგოდნიშვილი თ., ხანძთა: ძველი, ახალი. თბილისი, 2014.

## სააკაძეთა გვარის წარმომავლობა

*ვაჟა ოთარაშვილი*

ცნობილი ისტორიული გვარის სააკაძეთა და თარხან-მოურავების (თარხნიშვილების) წარმომავლობაზე და წინაპრებზე პირველი ქართული წყაროა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოაზროვნის, მწიგნობრის და მკვლევარის, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის შვილის იოანე ბაგრატიონის (1768-1830) საყურადღებო გენეალოგიური ნაშრომი „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ანუ მოკლედ „აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა“, რომელშიც მოცემულია საქართველოს 88 თავადის და 281 აზნაურის გვარების წარმოშობისა და თავადაზნაურული წოდებების მიღების ისტორია [ჟ. „ივერია“ 1884 წ. რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, ახალი გამოცემა თბ. 1997 წ.]. აღნიშნულ წიგნში თავად თარხნიშვილებზე (თარხან-მოურავებზე) წერია შემდეგი: „ესენი ძველად იყვნენ დაღისტნის მხრის თავადნი, ჭანკაანად წოდებულნი, რომელნიცა აწცა არიან დაღისტანს და ბელაქანსა შინა ჭანკაანად წოდებულნი. ამათნი გვარნი ვინმე მოვიდნენ სისიანის კერძოდ, ნახჩევანის მხარეს და დაეშვნენ მუნ და მეფემან სომეხთამან მიიღო ხარისხთა პირველისა აზნაურობისათა და მიიღეს ამათ სარწმუნოება სომეხთა და უწოდეს საак (რომელ არს ისაკ) და მისცა ადგილი აგულელსა შინა და გუხთანისა მოხელედ განაწესა წელსა ქრისტეს აქეთ 767-სა, ხოლო უკანასკნელ რა სპარსთა იწყეს დამდაბლებად სომეხთა სამეფოისა, გადმოსახლდნენ მუნითგან და მოვიდნენ ქართლს და მეფემან საქართველოსამან მიიღო იგი და უბოძა თეგმის (იგივე თეძმის კასპის რაიონი – ვ.ო.) ხეობა შინა მამულნი და მოხელობა კლდე-კარისა, ხოლო შემდგომად ამისა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1503 იწოდებოდნენ მოურავებად და ხარისხით მესამე თავადად და უკანასკნელ ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი სპითა დიდითა საქართველოსა ზედა წინამძღოლობითა საакაძე გიორგი მოურავისა, ვითარცა მოუთხრობს ქართველ მატიანესა შინა; მიზეზითა ამით მეფეცა ლუარსაბ შეპყრობილ იქნა შააბაზ ყაენისაგან, რომელიცა აიძულებდა მამადიანობასა, ხოლო მეფე, არა მიმღები ბრძანებისა მისისა, იწამა ქრისტესათვის წელსა 1622-სა და შემდგომად ამისა შააბაზმან დაუმტკიცა თავადობა გიორგის და უბოძა გვარად თარხნობა (რომელ არს თათრულებ თავისუფლება) და მუნიდგან იწოდებიან თავადად თარხნის შვილებად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ გაღმა მხარეს ახალქალაქსა ადგილსა შინა: 1) ბეციას შვილები, 2) ზაზაშვილები, 3) გლახასშვილები, 4) პატარა ბეციას შვილები და სხვანი საакаძენი სახლობენ აზნაურად ატენის ხეობასა ზედა რაოდენსამე სახლად. „იოანე ბაგრატიონი ასევე „აზნაური საакაძე“-ს შესახებ წერს: „ამათნი წინაპარნი არიან მონათესავენი თავადის თარხნის შვილისა, ვითარცა ზემორე აღვწერეთ გვარნი მათნი. და აწ ესე საакაძენი არიან აზნაურნი და მოსახლენი ატენის ხეობისანი, რომელნიც სახლობენ სოფელსა ხიდის თავად წოდებულსა.“ იოანე ბაგრატიონი საакაძეთა მონათესავე გვარებად თვლის აგრეთვე აზნაურ როსტევანისშვილებს და აზნაურ საамისშვილებს. კერძოდ, იგი ამბობს, რომ აზნაურ როსტევანისშვილების „წინაპრები იყვნენ საакаძეთა გვართაგანნი მოსახლენი თავრიზსა შინა და უკანასკნელ მოვიდა ვინმე როსტევან საакაძე და ამის გამო გაუგვარდათ როსტევანის შვილობა და სჩანდნენ ესენი დროსა როსტომ მეფისასა (იგულისხმება ხოსრო-მირზა ვ.ო.) 1655 წ. აზნაურადვე მიღებულნი და მეფე ირაკლისაგან ტრაკტატში არიან მოხსენებულნი.“ ასევე აზნაურ საамისშვილზე წერს იოანე ბაგრატიონი: „ამათნი წინაპართაგანი იყო ვინმე შორს მონათესავე საакაძისა საамად წოდებული და მოსახლე მცირე აზნაურად თეძმის ხეობასა შინა და

გარდამოსახლდნენ მუნით საციციანოსა შინა, რომლისა გამო საამისა გაუგვარდათ სახელი და არიან ცნობილ დროსა მეფისა თეიმურაზისა და მოხსენებულიცა ტრაკტატსა შინა.“

იოანე ბაგრატიონი თავად თარხნიშვილების წარმომავლობის განმარტებისას რამოდენიმე უზუსტობას უშვებს და უარყოფით ტენდენციურ დამოკიდებულებას იჩენს გიორგი სააკაძისადმი, რაც აუცილებლად აღსანიშნავია ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად: ჯერ ერთი, გიორგი სააკაძის მიზეზით ანუ „მიზეზით ამით“ ლუარსაბ მეფე არ შეუპყრია შაჰ აბაზს (რასაც ამტკიცებს ბესარიონ კათალიკოსის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „წამება წმიდისა მეფისა ლუარსაბისა“, XVII ს. პირველი მეოთხედი, ვ. ოთარაშვილი, „მოურავი გიორგი... თანაჰყვა მეფესა“, ჟ. ქართველოლოგია, 2015, №4), რამეთუ ამ საქმეში მას მოღალატე თავადი შადიმან ბარათაშვილი – ლუარსაბ მეფის ნათლია „დაეხმარა“ რაზეც არაერთი ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსი მიუთითებს (მაგ., არაქელ თავრიზელი, ბერი ეგნატაშვილი, ისქანდერ მუნში, არჩილი და სხვ. მაგ., ისქანდერ მუნშის ცნობით იმერეთიდან ლუარსაბის გადმოსაყვანდ შადიმანის გარდა შაჰს გაუგზავნია ვინმე იაუყუბხან-ბეგი ყარამან-ლუ). ამ საკითხს ქვემოთ (მოგვიანებით) დეტალურად განვიხილავთ. მეორე, რაც შეეხება თავადობის და თარხნობის ბოძება პირველად შაჰ აბაზისგან არ მომხდარა, რამეთუ სააკაძენი (კლდეკარსა – თეძმის ხეობა – და ატენში მცხოვრებნი ისედაც დიდგვაროვანი თავადები იყვნენ და გიორგი სააკაძის მამაც სიაუშიც მოურავი იყო და მეფის სალაროს მოლარე [ვ. ფუთურიძე „ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები.“ თბ., 1955 წ.], ხოლო თარხნობის ტიტულზე პლატონ იოსელიანი ბრძანებს: „22 წლის გიორგი სააკაძე თურქების წინააღმდეგ შემდგარ ლაშქარში შევიდა და მისთვის ამ პირველ ლაშქრობაში ისე გამოიჩინა თავი, რომ მეფემ, უკვე აზნაურს, თარხნის წოდებაც უბოძა, რაიც „სათარხნო სიგელის“ მიცემით დაუდასტურა მეფე გიორგი X-ემ 1607 წელს დაუმტკიცა რა ყველა უფლება რაც ადრე ნაბოძები იყო მისი მამის მიერ (იგულისხმება დიდი სიმონ I – ვ.ო.), თითონაც უბოძა გლეხები და მიწა-წყალი, აგრეთვე მოურავის გვარით, მიანიჭა თავადმთავრის წოდება, ე.ი. წოდება, რაც ახლანდელ გუბერნატორს უდრის... გვარის სათავეში გიორგი სააკაძემ თავისი დიდებული გამარჯვებებით სამეფოს სახელოვან პირთა შორის საპატიო ადგილი მოიპოვა, მისმა გვარეულობამ კი შეინარჩუნა სახელი თარხან-მოურავებისა, როგორც განსხვავებული თავად თარხნიშვილთა მთელი საგვარეულოსი, რომელთა წინაპრად იქცა თავადი გიორგი სააკაძე.“ [პლატონ იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“ თბ. 1973 წ.]. ე.ი. თარხან-მოურავების (თარხნიშვილების) გვარს სათავე დაუდო გიორგი სააკაძემ, და სწორედ მისი უშუალი შთამომავლები ატარებენ თარხან-მოურავის გვარს. სწორედ დიდი მოურავის დაღუპვას გადარჩენილი შვილის იორამის შთამომავლები ატარებენ დღეს თარხან-მოურავების ლეგენდარულ გვარს. სავარაუდოდ „იორამ თარხანი“ მე-17 საუკუნის 40-იან წლებში დაბრუნებულა საქართველოში. ზემოთ აღნიშნულ წიგნში პლატონ იოსელიანი საგანგებოდ შენიშნავს, რომ „საქართველოს მეფენი, მსგავსად თურქი და სპარსელი ხანებისა, თარხნობას უბოძებდნენ ...“ და „ყველა შემთხვევაში თარხნობის წოდებას საფუძვლად ედო თავისუფლება და თავისუფალი მდგომარეობა“ სახელმწიფოშიც და სამეფო კარზეც. (ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის საქართველოში სიგელ-გუჯარები აღმოსავლეთ საქართველოსთვის შედგენილია ქართულ და სპარსულ ენებზე, რასაც ვლ. ფუთურიძის (და სხვა ავტო-

რების) წიგნიც ადასტურებს. ამიტომ ირანულ ენაზე აღმოჩენილ საბუთს ხშირად სპარსეთის მბრძანებლებს მიაწერდნენ შეცდომით).

დავუბრუნდეთ ისევ სააკაძეთა გვარის წარმომავლობას. სააკაძეთა გვარის წარმომავლობის ყველაზე უფრო ფუნდამენტალურ კვლევას და დეტალურ ანალიზს ვხვდებით დიდი მოურავის პირდაპირი შთამომავლების გიორგი დავითის ძე თარხან-მოურავის და დავით იორამის ძე თარხან-მოურავის ორტომეულში „Феодальный род Саакадзе“ Тбилиси 2002 г. (ქართულ და რუსულ ენებზე), რომელშიც სააკაძეთა გვარის წარმოშობის ვერსიები და ქართლში შემოსვლის სავარაუდო თარიღია განხილული ზედმიწევნით. ჩვენ შევეცდებით ამ მნიშვნელოვან ნაშრომზე, ასევე სხვა კვლევებზე და ისტორიულ საბუთთა ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით მოგაწოდოთ სააკაძეთა და თარხან-მოურავების (თარხნიშვილები, მოურავიშვილები, ხოლო რუსეთში Тарханов, Моуравов) წინაპრების წარმომავლობის ისტორიოგრაფიული ასპექტები და ვერსიები.

მეფე ერეკლესაგან რუსეთის იმპერატრიცა „ეკატერინე II-ისადმი 1783 წლამდე ანუ გეორგიევსკის ტრაქტატამდე“ წარდგენილ ქართლ-კახეთის წარჩინებულთა გვარების ნუსხაში თავად თარხან-მოურავებზე ნათქვამია, რომ მათი პირველი „წინაპარი იყო თავადი გიორგი სააკაძე, ხოლო გვარი სათავეს იღებდა ვასპურაკანის (სომხეთი) სამთავროში 767 წელს დარესტნიდან გადმოსახლებულ ვინმე „ჭანკასაგან“. შემდეგ განმარტებულია, რომ დაღესტნელი წარჩინებული „ჭანკა“ იქ მონათლა სომეხთა სარწმუნოებაში და დაირქვა ნათლობის სახელად სააკ, რომელიც ბიბლიური ისააკის არაბული ინტერპრეტაციაა. როგორც ჩანს „ჭანკა“ (მონათლული მონოფიზიტად ისააკი ანუ სააკი), რადგანაც დაღესტნელი დიდგვაროვანი იყო, ვარსპურაკანის (სომხეთის პროვინცია) მთავარმა მიიღო იგი პირველი ხარისხის აზნაურობით, რითაც ხაზი გაუსვა მისი გვარის ძირძველობას და წარჩინებულ წარმომავლობას. ამასთან, დაღესტნელმა დიდებულმა „ჭანკამ“ სახელოდ მიიღო გუჰთანიის მმართველობა, რაც დაახლოებით ერისთავის თანამდებობას უდრიდა საქართველოში.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს ტერმინი „ჭანკა“? საიდან გაჩნდა ეს სიტყვა დაღესტნურში? ჩემი აზრით (ჰიპოთეზა) შეიძლება სიტყვა „ჭანკა“ - უკავშირდებოდეს ჭანებს იგივე ლაზებს. ჭანები ხომ ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომია, რომელიც დასახლებულია შავი ზღვის სანაპიროზე, სამწუხაროდ ამჟამად თურქეთის ფარგლებში, მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს საქართველოში, სოფ, სარფში [„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ.II, თბ. 1990 წ.]. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც „ჭანი ეწოდება ლაზთა“ [„ქართული ლექსიკონი“ ნ. ჩუბინიშვილი თბ. 1961 წ.]. ლაზების ქვეყანას ზოგჯერ ლაზეთს, ზოგჯერ ლაზიკას უწოდებდნენ. შეიძლება ტერმინი „ჭანკა“ ლაზიკის მსგავსადაც წარმოიშვა და დაღესტანში ჭანეთიდან მოსულს ჭანკა დაარქვეს. სხვათა შორის საქართველოს ომპელოგრაფიიდან ცნობილია იმერეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიში – ჭანკილოური. იქნებ სწორედ ჭანეთიდანაა ვაზის ეს ჯიში შემოტანილი იმერეთში ვინ იცის... გიორგი და დავით თარხან-მოურავები ზემოთ აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაში აღნიშნავენ, რომ დაღესტანში დღესაც ცხოვრობენ ისეთი გვარის წარმომადგენლები, რომელთა გვარის ფუძეა სიტყვა „ჭანკ“ (чанк). ჭანკიევის გვარით თბილისშიც ცხოვრობდა (აწ გარდაცვლილი) ც. ჭანკიევა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი, რომლის წინაპრებიც თურმე უხსოვარ დროში ჯერ სომხეთში გადასახლებულან დაღესტნიდან, ხოლო შემდეგ ქართლში მოსულან საცხოვრებლად. (ცნობისათვის: 1980 წელს ე.წ. „უძველესი იადგარი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსუ-

რიანმა თბ. 1980წ.). გასული საუკუნის ცნობილი ნაწარმოების „სურამის ციხის" ავტორი დანიელ ჭონქაძე (1830-1860 წწ.) კი თავის რიგ ნაწარმოებებს „ჭანკა" ფსევდონიმით აქვეყნებდა. როგორც გიორგი და დავით თარხან-მოურავები აღნიშნავენ თავის კვლევაში [„სააკაძე-თარხნიშვილი-მოურავიშვილების ფეოდალური წარმომავლობა" თბ. 2002 წ.] ტერმინი „ჭანკა" დაღესტანში უეჭველია იყო სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი ამასთან დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა იცვლებოდა და გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVIII სს.) მიიღო „არათანაბარი ქორწინების შთამომავლის" მნიშვნელობა. უფრო ზუსტად „შთამომავალი მთავრისა, შობილი არათანაბარ ქორწინებაში და არ მქონი მემკვიდრეობით მიწის მიღების უფლებისა." ტერმინ „ჭანკას" განმარტებას დაღესტნელმა ისტორიკოსებმა „დაღესტნის ისტორიაში" ვრცელი სადისკუსიო ნარკვევიც მიუძღვნეს თავის დროზე [Джидалаев Н. Айтберов Т. «Чанка» в сб. Тюрко-дагестанские языковые взаимоотношения. Махачкала 1985 г.]. არც ძველქართულ ლექსიკონშია განმარტებული ტერმინი „ჭანკა", იმ გაგებით, რაც მას გვიან შუა საუკუნეებში მიანიჭეს. როგორც ჩანს მე-8 საუკუნეში, როდესაც სააკ - „ჭანკა" ჯერ კიდევ დაღესტანში ცხოვრობდა, ტერმინი „ჭანკვა" - იხმარებოდა „მნიშვნელოვანი პირის" აღსანიშნავად, ხოლო ავარიის (ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი მხარე) ისტორიულ სიმღერებში ტერმინი - „ჭანკა" ნახმარია „დიდგვაროვნის", „დიდებულის" აღსანიშნავად [«Аварские исторические песни». Пер. и комент. Б. Маллачиханова. НИЯЛ. Ф 9 от Ig. c. 39]. აქვე ხაზგასასმელია, რომ ტერმინი „ჭანკა" არ არის სუფთა ავარიული სიტყვების წარმონაქმნი, დაკავშირებული წარმოშობასთან და გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა [П.К. Услар «Этнография Кавказа. Языкознание. Аварский язык». Тифлис 1866 г. с 667-678 и Тифлис 1889 г. с. 41-222], რაც კიდევ უფრო მაფიქრებინებს, რომ ტერმინი „ჭანკა" - ჭანეთს (ლაზეთს) შეიძლება უკავშირდებოდეს. ცნობილ ჩინოლოგს ლ. მენშიკოვს კი მიაჩნია, რომ ტერმინი ჭანკა იხმარებოდა მნიშვნელობით: „არისტოკრატი", „დიდგვაროვანი", „დიდებული", „მმართველი საგვარეულოს წევრი", „კეთილშობილი". „ჭანკას" მნიშვნელობის შესახებ თავის გამოკვლევა აქვთ სხვა მეცნიერებსაც [М. Богомолов, О. Смирнова. «Согдийские документы с горы Муг. Вып. III. Хозяйственные документы. М. 1963 г.]. მე-19 საუკუნის ცნობილი დაღესტნელი პოეტი ელდარილაევი თავის ნაწარმოებში პოემის გმირ მთიელ ქალიშვილს სიამაყით ათქმევინებს: „მამა ჩემი „ჭანკაა", ძმები ამაყნი, გვარი ვაჟკაცური, ამიტომ ტყუილად ნუ ხარჯავ სიტყვებს..." [Эльдарилаев из Ругуджа (поэт XIX в. Махачкала 1969 г.]. ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ „ჭანკა" საამაყო და საპატიო ტერმინია.

უმნიშვნელოვანესი ისტორიული გვარის – სააკაძეთა წარმოშობის შესახებ რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსიაც არსებობს, გარდა ზემოაღნიშნულისა. მაგალითად, მკვლევარი თავადი (პრინცი) კ. თუმანოვი (თუმანიშვილი) წერს, რომ მის ხელთ არსებული წყაროების მიხედვით სააკაძეთა გვარი და შესაბამისად – თარხან-მოურავებიც უკავშირდება წინასწარმეტყველის – მუჰამედის სახელს [Toumaanoffc. de I'Empire de Russie, Rom, 1983]. მეცნიერ შიხსაიდოვის ვერსიით სააკაძეთა გვარს ეგვიპტელ ფარაონებთან მივყავართ [А.Р. Шихсаидов «Ислам в средневековом Дагестане (VII-XV вв.) Махачкала 1969 г.], ხოლო მეცნიერ-მკვლევარი მაგომედოვის ვერსიით – სკვითების მეფე იობოსთანაც მივდივართ [Сборник сведений о кавказских горцах. Тифлис 1871 г. книга V და P.M. Магомедов «Легенды и факты о Дагестане. Махачкала, 1969 г.]. და უნებლიედ გამახსენდა ჩვენი ისტორიის ბუმბერა-

ზი მკვლევარების და მამულიშვილების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორიიდან" შემდეგი სტრიქონები: „ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ ხეთურ-იბერიული გვარტომობის ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და აქედან დასავლეთისკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომობის (პროტოიბერიული – ვ.ო.) ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს..." [ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია" თბ. 1948 წ.] ასევე ამავე წიგნიდან „კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში... სკვითებს ეჭირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე. დონიდან აღმოსავლეთით კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. „სკვითიცა" და სარმატიც" კრებითი სახელი იყო მრავალს სხვადასხვა მოდგმის ტომს აღნიშნავდა. სარმატებად სთვლიდნენ, მაგალითად ქართველების მონათესავე ზოგიერთს ჩრდილო-კავკასიელ ტომსაც: ჩერქეზებს, ქისტებს და სხვ." მრავლისმეტყველი სიტყვებია დამერწმუნებით. შეიძლება დაღესტელი „ჭანკაც" იბერიულ-კავკასიური ტომისა იყო თავიდანვე...

დავუბრუნდეთ ისევ იოანე ბაგრატიონის განმარტებას თავად თარხნიშვილების წარმომავლობის შესახებ: „ესენი ძველად იყვნენ დაღესტნის მხარის თავადნი, ჭანკაანად წოდებულნი." ე.ი. სააკაძეთა წინაპრები თავიდანვე თავადნი ყოფილან, ოღონდ დაღესტნისა. შემდგომ ისტორიულ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, მე-15 საუკუნიდან – ჭანკა მხევლის ან გლეხის ქალისაგან შობილი ბატონიშვილია.

სააკაძეთა გვარის წარმოშობის ერთი ვერსია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში მოღვაწე ამირა საჰაკს უკავშირდება [Г.Д. Тархан-Моурави, Д.И. Тархан-Моурави «Опыт истории княжеского рода Тархан-Моурави, (в контексе фрагментов истории Грузии) Тбилиси, 2002 г.]. არაბები პირველად სამხრეთ კავკასიაში VII საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩდნენ. მართლაც, პირველი არაბული რაზმი სომხეთში 640 წელს გაჩნდა, მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო, ვიდრე ქვეყნის დაპყრობა. პირველად ქართლსაც არაბები 642-643 წლებში მისდგომიან, მაგრამ ქართლელები მედგრად დახვედრიან დუშმანს და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. მაგრამ შემდგომ წლებში არაბებმა უკვე მთელი სომხეთი დაიპყრეს, კერძოდ, 654 წელს და აიღეს ქალაქი თეოდოსიპოლისი (ბიზანტიური სახელწოდება) ანუ დღევანდელი ერზრუმი (არზრუმი) და ქართლისაკენ გამოემართნენ. მაგრამ იმ ხანად არაბებმა ქართლში მხოლოდ ორი წელი გაძლეს, რადგან შიგნით ხალიფატში 657-661 წლებში დიდი შინაური შფოთი იყო ატეხილი და ამიერ-კავკასიისთვის არ ეცალათ. ამასთან იმავე ხანებში ქართლის ერისმთავარს ნერსეს სასტიკად დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი და მტრის ჯარი გაუფანტავს და გაუქცევია. მაგრამ შემდგომში საქართველოს თავზე უდიდესი უბედურება დაატყდა თავზე არაბთა სარდლის მურვან ყრუს შემოსევების შემდეგ 736-738 წლებიდან [ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია" თბ. 1948 წ.] „ქართლის ცხოვრების" მემატიანე მწუხარებით წერს ამ წლების შემოსევების შედეგად იავარქმნილ ქალაქ კასპზე მაგალითად, „და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი." თუმცა როგორც ჩანს, გვიანდელ მატიანეში გაერთიანებულია არაბთა მტარვალი სარდლების მუჰამედ იბნ მარვანისა და მარვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობა შემოსევები და ორივე ამ უკანასკნელისადმია ანუ მურვან ყრუსადმია მიწერილი [ვ. ოთარაშვილი „კასპის ისტორია" თბ. 2015 წ.] არაბებმა ქვეყნის

სათავეში თავისი მოხელე დააყენეს, რომელსაც ამირა ეწოდებოდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა - არაბთა ჯარით გავსებულ დედაქალაქში. უმძიმესია VII-XIX საუკუნეები ივერიის ცხოვრებისა. მხოლოდ ერთ ეკლესიაში – ანჩისხატში ირეკებოდა ქრისტიანული ზარები წირვა-ლოცვისას და ამ ეკლესიას „ზარის საყდარს“ ეძახდნენ [„ძველი ანჩისხატი ტფილისში“ შემდგ. ვ. ოთარაშვილი თბ. 2013]. ეს უფრო განგაშის ზარების რეკვას ჰგავდა ერის გამოსაფხიზებლად... აღსანიშნავია, რომ თბილისის საამიროს მსგავსად არაბებს ესპანეთის იბერიად წოდებულ მხარეშიც ჰქონდათ დაარსებული ე.წ. კორდოვის საამირო და სისასტიკით განაგებდნენ იქაც. IX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის ამირებმა, ისევე როგორც არაბეთის ხალიფატის განაპირა ქვეყნების მმართველებმა (მაგ., იგივე კორდოვის საამირო) დაიწყეს ხალიფების ურჩობა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, მოსახლეობაში მოკრებილი ხარკის მითვისება. მადენად საამიროები ბუნებრივ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ ხალიფატთან და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სხვადასხვა ხერხებით ბრძოლა დაიწყეს. ასეთივე გზას დაადგნენ თბილისის ამირებიც. უკვე IX საუკუნის ოციან წლებში არაბეთის ხალიფას გასდგომია თბილისის ამირა. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა თბილისის ამირა საჰაკი, რომელსაც კახელები უმაგრებდნენ ზურგს [ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია“ თბ. 1948 წ; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ.II თბ. 1972 წ.]. ამირა საჰაკი ანუ ისჰაკ იბნ ისმაილი თბილისის ამირად 830 წელს დაჯდა. იგი ე.წ. შუაბიანთა დინასტიის უკანასკნელი და ყველაზე გამოჩენილი და მოქნილი წარმომადგენელი იყო, რომელმაც ამ თანამდებობაზე 23 წელი გასძლო, საიდანაც თითქმის თხუთმეტი წელი ეურჩებოდა არაბთა ხალიფას და ცენტრალურ ხელისუფლებას და თავისი ჰეგემონიის დამყარებას ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოს საერო თუ სასულიერო ცხოვრებაში [„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულე. პავლე ინგოროყვას რედ. თბ. 1965 წ.]. უნდა აღინიშნოს, რომ შუბიანთა დინასტიის ამირები 130 წლის განმავლობაში მართავდნენ თბილისის საამიროს (ფაქტიურად მთელ აღმოსავლეთ საქართველოს) და დამოყვრებულ-დამეგობრებულიც იყვნენ ადგილობრივ თუ მეზობელ სამთავრო-ქვეყნების მთავარ-გამგებლებთან. ასე იყო თბილისის ამირა საჰაკიც, რომელსაც ცოლად ყავდა თურმე სარირის იგივე სერირის (პატარა სამეფო დაღესტნის ცენტრალური ნაწილში, რომელსაც ისტორია VI საუკუნიდან იცნობს, დედაქალაქი ხუმრაჯი ანუ დღევანდელი ხუნზახი) ხელმწიფის (მთავრის) ულამაზესი ქალიშვილი [В.Ф. Минорский «История Ширвана и Дербента» Москва 1963 г.] ამ პერიოდში სარირი ერთ-ერთ უძლიერეს სამეფოდ ითვლებოდა მთელს კავკასიაში და როგორც ისტორიკოსები ვ. მინორსკი, დ. აგაევი, აგრეთვე პ. ტახნაევა წერენ მისი მეფენი ირანის სასანიდთა დინასტიის წამომადგენლები იყვნენ (გავიხსენოთ ვახტანგ გორგასალის დედის შტო! - ვ.ო.) და ვხრარხან-შაჰის და ავარან შაჰის ტიტულებს ატარებდნენ. ამასთან სარირის მეფის დიდი წინაპარი სასანიდთა ოჯახის წევრი - სპარსეთის სარდალი ბაჰრამ გური იყო, რომელმაც თურმე არაბების მიერ სპარსეთის დაპყრობისას თავს გაქცევით უშველა და მთიან ჩრდილოეთ კავკასიში – დაღესტანში გადაიხვეწა და თან სასანიდთა ოქროს ტახტიც ჩაიტანა. რის გამოც მას არაბებმა შეარქვეს „საჰიბ ასსარირ“ ანუ „სამეფო ტახტის მფლობელი“. აქედან გამომდინარე წარმოდგება კიდეც ქვეყნის სახელწოდება „სარირ“, რაც „სამეფო ტახტს“ ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ სარირის გამგებელნი

ანტიისლამური კოალიციის მონაწილენი იყვნენ, ხოლო როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოს-მკვლევარები წერენ (მასალებს მიაკვლიეს გ. თარხან-მოურავმა და დ. თარხან-მოურავმა – ვ.ო.) სარირის სამეფოში ქრისტიანობა და იუდაიზმი მძლავრობდა, ხოლო სარირის მეფენი ქრისტიანნი იყვნენ [В.Ф. Минорский «История Ширвана и Дербента» М. 1963 г.; Д.М. Агаев «Нагорный Дагестан в ранном средневековье (по материалам археологических раскопок Аварии), Махачкала 1963 г.; П.И. Тахнаева «Христианская культура средневековой Аварии (VII-XVI вв.) в Контексте реконструкции политической истории. Махачкала 2004 г.].

ამირა საჰაკი დაახლოებით 842 წელს საბოლოოდ განუდგა არაბთა ხალიფატს სავარაუდოდ და 853 წელ ხალიფა ალ-მუთავაქილმა თბილისის და საერთოდ კავკასიის ამ რეგიონის ურჩი მეთაურების დამორჩილება სცადა და ბუღა-თურქის სარდლობით დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა. ბუღა-თურქმა სისხლის კალო დაატრიალ კავკასიაში. მან თბილისი გადაწვა, დაანგრია ქართველთა დედაქალაქის ულამაზესი შენობები და ხიდები (რომლის შესახებაც უცხოელი მოგზაურები თუ ვაჭრები აღტაცებით წერდნენ) დაატყვევა ამირა საჰაკი და თავი მოჰკვეთა. საჰაკის ოჯახი – ულამაზესი ცოლი და ორი შვილი მისმა მოკავშირემ გუარამ მამფალმა შეიფარა, რომელიც მეფე აშოტ I დიდის უმცროსი ძე იყო. შემდგომში ამირა საჰაკის ოჯახობა ახლობლობდა ადარნასე II კურაპალატთანაც (881-923 წწ.). მეფესთან მეგობრობის გამო საჰაკის შთამომავლები შიდა ქართლს სახლობენ და საჰაკის ძეებად, მოგვიანებით კი სააკაძეებად იწოდებიან [თავადი ს. თუმანოვი (თუმანიშვილი) „რუსეთის იმპერიაში ქართველ თავად-აზნაურთა სახლები“. რომი, 1983 წ. თავადი ს. თუმანოვი (თუმანიშვილი) „გენეალოგიური და ქრონოლოგიური სახელმძღვანელო კავკასიელ ქრისტიანთა ისტორიისათვის“. რომი, 1976 წ. (ფრანგულ ენაზე)]. როგორც ცნობილი მეცნიერი ვ. ფუტკარაძე აღნიშნავს: მეფის ოჯახსა და სააკაძეთა გვარს შორის მყარდება ნათესაური კავშირები. კერძოდ, იმდროინდელი აზერბაიჯანის ბეგლარბეგის როსტომ-ხან სააკაძის განცხადებით, მათი ერთ-ერთი წინაპარი მეფე ბაგრატ IV (1027-1072 წ.) ყოფილა [ვ.ფუტკარაძე „ირანის მხედართმთავარი როსტომ-ხან სააკაძე“. კრებული „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“. თბ. 1966 წ.], [გ.დ. თარხან-მოურავი, დ.ი. თარხან-მოურავი „სააკაძე-თარხნიშვილი-მოურავიშვილთა ფეოდალური გვარის წარმომავლობა“ თბ. 2002 წ. (რუსულ ენაზე)].

ამ პერიოდისათვის (ისტორიის ამ მონაკვეთისათვის) აღსანიშნავია, რომ ერთი შედარებით გვიანდელი სომხური ხელნაწერის მინაწერში დასავლეთ საქართველოს სინონიმურ სახელწოდებადაა მიჩნეული: „ჭენთა ქვეყანა“, „აფხაზეთი“ და „შიგა ქართლი“ [ა. აბდალაძე „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში“ თბ. 1988 წ.]. დამაფიქრებელია სახელწოდება „ჭენთა (იქნებ ჭანთა – ვ.ო.) ქვეყანა“.

დავუბრუნდეთ ისევ პირველ ქართულ წყაროს იოანე ბაგრატიონის აღწერას საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა“, სადაც თარხნიშვილების გვარის წარმომავლობის დედა ადგილად დაღესტანია და ბელაქანი დასახელებული. „ჭარ-ბელაქანი“ ასე ეწოდებოდა ერთ დროს საქართველოს სახელწიფოში შემავალ ამ რეგიონს – დღევანდელი ჰერეთის ნაწილს, იგივე ალვანეთს. როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ქართველი მემატიანე – რუისის ეპისკოპოსი, მე-11 საუკუნეში მოღვაწე ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ კავკასიის ადგილობრივ ძირძველ ხალხებს და ტომებს ცალკე გამოყოფს და ქართველებს, სომხებს, ჰერებს (ალვანელებს), ლეკებს და სხვებს საერთო წარმომავლობისად მიიჩნევს, რაც იმდროინდელ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდანაც იყო ნაკარნახევი. კერძოდ,

კავკასიელი ხალხების საერთო მტრების წინააღმდეგ დარაზმვა, მათ შორის პოლიტიკური და სამხედრო კოალიციის შექმნა, სამეფო-სამოყვრო ნათესაური კავშირები და სხვ.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია დავუშვათ ჰიპოთეზა, რომ სააკაძეთა პირველი წინაპარი ჰერეთელი იყო და ჰერეთ-ალვანიდან მტერთა შემოსევის თუ სხვა არასასურველი სიტუაციის გამო დაღესტანში გადავიდა ქართველური ტომებით დასახლებულ ჭარბელაქანიდან. სიტყვა „ჭარ“ და „ჭან“ ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ასოთი განსხვავდება. ამიტომ დასაშვებია, რომ არსებობდა გეგრაფიული რეგიონის სახელწოდება ასეთი სახით ჭან-ბელაქანი“. შემდგომ ამისა იქნებ დაღესტნიდან ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდნენ ჭანკანად წოდებული სააკაძის წინაპრები.

ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ჭანკაანად წოდებული დაღესტნის ფეოდალური სახლის წევრის უცხო ქვეყანაში გადასახლება? ამ კითხავზე პასუხის გასაცემად უდავოდ საინტერესოა გიორგი და დავით თარხანმოურავების ვარაუდი. დავეყრდნოთ მათ არგუმენტაციას და განვიხილოთ იმდროინდელი ჟამთვითარება. მაშასადამე, ისმის კითხვა დაღესტნიდან „ჭანკაანად წოდებულნი“ რატომ „მოვიდნენ... ნახჩევანის მხარეს“ და „მეფემან სომეხთამან“ რატომ „მიიღო ხარისხითა პირველისა აზნაურობისათა“ და რატომ მიიღეს ამათ სარწმუნოება სომეხთა“. მაშ ვეცადოთ ამ კითხვებზე გავცეთ არგუმენტირებული პასუხი ზემოაღნიშნულ თარხან-მოურავების გამოკვლევებზე და სხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ასევე სავარაუდო ისტორიოგრაფიული ჰიპოთეზათა შემოწმებით და დაშვებებით.

დაღესტანი, ისევე როგორც მთელი კავკასია VII-X საუკუნეებში არაბეთის ხალიფატის შემოტევის მსხვერპლია. არაბი დამპყრობლები ძალით, სისხლითა და მახვილით ნერგავდნენ ისლამს დაღესტანში [Шихсаидов А.Р. «Ислам в средневековом Дагестане (VII-X вв.) Махачкала, 1969 г.]. ამასთან, დაღესტანის ზოგიერთ რეგიონში, კერძოდ სარირში ანუ ავარიაში კახ-ჰერეთიდან შემოღწეული მონოფიზიტური ქრისტიანობა არსებობდა ნაწილობრივ სომეხთა გავლენით და ნაწილობრივ მართლმადიდებლურიც ქართველთა გავლენით [მეუფე ანანია „საქართველოს სამოციქული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“ ტბ. 2012 წ. ა. აბდალაძე „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში“ ტბ. 1988 წ.]. დაღესტანში, დღესაც შეგხვდებათ IX-X საუკუნეების თუ უფრო ძველი ქრისტიანული ქართული ძეგლები. ამ ძეგლების აქ არსებობა შემთხვევითი არ არის თუმცა ეს სხვა საკითხია (ცალკე კვლევის თემაა). ამ პერიოდში ანუ მერვე საუკუნის პირველ მეოთხედში დაღესტანში იუდაიზმის, კერპთაყვანისმცებლობის და ქრისტიანობის მოსპობის სანაცვლოდ არაბები მოსახლეობაში ისლამს ნერგავდნენ ყველა საშუალებით: ადგილობრივი მცხოვრებლების რბევა-გაჟლეტა, მოსყიდვა, დაშინება, არაბთა ჩასახლება მნიშვნელოვანი პუნქტების ირგვლივ (არაბთა ომეიდების სახელმწიფოს სარდალ მასლამა ბენ აბდ-ალმალიქის პერიოდი). ამ დროს ბუნებრივია დაღესტნელ ფეოდალთა ნაწილი მიემხრობოდა (ან მიეყიდებოდა) არაბებს და ისლამს მიიღებდა, რათა შეენარჩუნებინა თავისი ქონება, ავლადიდება და პრივილეგიები, ხოლო მეორე ნაწილი იძულებული შეიქმნებოდა დაეტოვებინა სამშობლო და იძულებით ემიგრაციაში წასულიყო. დასაშვებია ჰიპოთეზა, რომ ერთ-ერთი დაღესტნიდან გადაბარგებული იძულებით ემიგრანტი დიდგვაროვანი იყო „ჭანკა“. რადგანაც დაღესტნელი ფეოდალი „მეფემან სომეხთამან მიიღო ხარისხითა პირველისა აზნაურობისათა“, როგორც აღწერს იოანე ბაგრატიონი. ასევე დასაშვებია ჰიპოთეზა,

რომ სააკაძეთა წინაპარი „ჭანკა“ იყო ქრისტიანი, ამასთან მონოფიზიტი, რადგანაც დაღესტანში, ალვანეთში (ალბანეთში) მონოფიზიტური რელიგია უფრო იყო გაბატონებული VII-VIII საუკუნეებში, ვიდრე იუდაიზმი ან ისლამი. ასევე აღსანიშნავია, რომ ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი – მთელი ჰერეთი მაშინ ქართლის სამეფოს ნაწილად მიიჩნეოდა [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ. 2009 წ.]. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაძის წინაპარი ქრისტიანი-მონოფიზიტი „ჭანკა“ გადავიდა ნახჩევანში და არა ქართლში, რომელიც გეოგრაფიულად უფრო ახლოს იყო დაღესტანთან, რადგან ნახიჩევანიც მონოფიზიტური იყო იმ დროს. ნახიჩევანი ადრე ანუ VIII საუკუნეში ვასპურაკანის სამთავროს ანუ სანახარარის ცენტრი იყო. ამ პერიოდისათვის სომხეთი აღარ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს და ცალკე სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, რომლის სათავეშიც იშხანები ან ნახარარები იდგნენ. აღნიშნული პერიოდისათვის კი ვასპურაკანის სამთავროს მონოფიზიტი არწრუნების (არცრუნების) სახლი განაგებდა, როგორც სომეხთა მეისტორიე მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს არწრუნთა ნამდვილი გვარია – არწივუნი. ისინი არწივებს ატარებდნენ მეფეთა წინაშე და მათი გვარიც აქედან მოდის [მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“ თბ. 1984 წ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ]. დასაშვებია ისტორიული ჰიპოთეზა, რომ ვასპარუკანის ნახარარის (რეგიონის) მმართველმა არწრუნმა „ჭანკა“ პირველი ხარისხის აზნაურად მიიღო, როგორც მონოფიზიტი ქრისტიანი. „ჭანკას“ დიდგვაროვნებას ისიც ადასტურებს, რომ მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დაღესტნელი „ჭანკას“ წოდების მქონე პირები გაუტოლა რუსეთის იმპერიის „შთამომავლობით აზნაურებს“ [В.Н. Невская «Социально-экономическое развитие Карачая XIX в. Черкеск 1960 г.]. მაგრამ აქ იბადება კითხვა: თუ „ჭანკა“ მონოფიზიტი ქრისტიანი იყო (გიორგი და დავით თარხან-მოურავების სავარაუდო ვერსია), მაშინ იოანე ბაგრატიონი რატომ წერს, რომ „მიიღეს ამათ სარწმუნოება სომეხთა და უწოდეს საак“ - ბიბლიური ისააკის სახელის სომხური ვარიანტი. თუ „ჭანკა“ მონოფიზიტი იყო, მაშინ სომეხთა სარწმუნოების მიღება აღარ დასჭირდებოდა სააკაძეთა პირველ წინაპარს. ამიტომ აქ უნდა გავითვალისწინოთ ჩემი აზრით შემდეგი გარემოება: V საუკუნეშივე წმინდა მეფის – ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული ე.წ. ნიქოზის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო-კავკასიელები, დვალ-ოსები, ასევე დასავლეთ საქართველოში გლოლაღების სანახები ანუ როგორც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე წერს; „არს ნიქოზს ეკლესია... გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი, ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა ღებითურთ“ [„ქართლის ცხოვრება“ ტ. IV თბ. 1959 წ.]. ასევე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VIII საუკუნეში ქართული ეკლესიის საზღვარი აღწევდა „ჩერქეზის საზღვრამდის სრულიად ოვსეთისა...“ და „პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვამდე...“ [„ქართლის ცხოვრება“ ტ.I, თბ. 1955 წ.]. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთის საზღვარი ემთხვეოდა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ საზღვარს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოახლოებული კავკასიას. „ბიჭვინთის იადგარში“ წერია „რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“-ო [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოციქული ეკლესიის ისტორია“ თბ. 2009 წ]. ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით მე-18 საუკუნეშიც კი აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის სამწყსოდ მიაჩნდა „პონტოს“ ანუ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები ანუ „პონტო ჩრდილოით“ [ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. III, თბ. 1970

წ.]. ასევე საყურადღებოა მოვსეს ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობა იმის შესახებ, რომ „სანატრელი ნუნუ (წმიდა ნინო – ვ.ო.) წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ" [მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია", 1984 წ. ალ. აბდალაძის რედაქციით]. მაშასადამე, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობით წმიდა ნინოს მასქუთების ქვეყნის საზღვრამდე იგივე დღევანდელი მტკვარ-არაქსის შესართავამდე ანუ თითქმის შემდეგ დროინდელ შამახამდე უქადაგნია. ტრადიციული გადმოცემით კი კავკასიაში – ერთ-ერთ უძველეს ალბანეთის ეკლესიაში უქადაგნია მოციქულთა მოწაფეს ელისეს (ელიშეს). ასევე ერთ-ერთი გადმოცემით ალბანეთში ქრისტიანობა პირდაპირ იერუსალიმიდან შესულა სომხეთის გვერდის ავლით. ამ დროს მასქუეთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი (იგივე ალბანეთის ნაწილი) მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთ-ერთ ნაწილად. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარას რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებენ [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები" თბ. 2013 წ.]. ძალზე საყურადღებოა ის ისტორიული ფაქტი VII–XVI საუკუნეებში დაღესტანში ქრისტიანი ქართველები მრავლად ცხოვრობდნენ. კერძოდ ფატიმათ ტახნაევას სიტყვებით ძველ დაღესტანში „ავარიულ სოფლებში შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც აულების ახლო მდებარე მრავალრიცხოვანი ნასოფლარები და ნაქალაქარები ძველად დასახლებული იყო ქრისტიანებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ქრისტიანებს „ქართველებად" მოიხსენიებენ" [ფ. ტახნაევა, „ქრისტიანული კულტურა შუა საუკუნეების ავარიაში (VII-XVI სს.) პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში. რუსულ ენაზე. http://www.Krotov.info/histori. გვ.1). ადგილობრივი ავარიული სახალხო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ავარია (დაღესტნის ერთ-ერთი მთავარი რეგიონი) თავდაპირველად ქრისტიანებითა და ქართველებით იყო დასახლებული განამტკიცა არც თუ დიდი ხნის წინ აღმოჩენილმა მნიშვნელოვანმა არაბულენოვანმა ისტორიულმა წყარომ, რომელსაც „ირხანის ისტორია" ეწოდება [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები" თბ. 2013 წ.]. აღნიშნული წყარო მოღწეულია ოთხი ხელნაწერის სახით და ასახავს დაღესტნის ისტორიას თემურ ლენგის შემდგომ პერიოდს. მეცნიერ ფ. ტახნაევას კვლევით XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის" ცნობით „მცხოვრებნი" ოლქ ხიდალისა (ანუ ოლქი ხიდი) – იყვნენ ქართველები" [ირხანის ისტორია www.volistil.info/texsts/Dokumenty/Kavkaz/VI/Dag-sron/ist. გვ. 1/6] . აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ 1380-წლამდე ანუ ამიერკავკასიაში თემურ-ლენგის შემოსევამდე დაღესტანსა და ჩეჩნეთში ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების განსამტკიცებლად იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი" ნახსენებია XIV საუკუნის სინას მთის სინოდში [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები" თბ. 2013 წ.]. მეუფე ანანიას აზრით „საქართველოს საპატრიარქო XIV საუკუნისათვის შედგებოდა რამდენიმე საკათალიკოსოსაგან, ესენი იყვნენ აფხაზეთის, ქართლის და ხუნძეთის საკათალიკოსოები". იგივეს წერს დაღესტნის ისტორიის მკვლევარი ფ.ტახნაევა თავის წიგნში „ქრისტიანობა ავარიაში" (გვ.39): „XIV საუკუნის დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებას განაგრძობს (!- ვ.ო.) საქართველოს

